


ՆՈՇՅՈՒՆ 11

644/
1964/4



Ե
Մ
Ն
Ն
Ն
Ն
Ն
Ն

1964



საპარტიველოს სამხედრო გზა

ფოტოგრაფი ბონდო დადვაძისა

სიღვაძე



1696

შინაარსი

მოთხრობა

- ლალო სულაბერიძე — ობელისკები 23
- ნელი გაბრიძიძე — ფრესკა 52
- ემზარ კვიციანი — ბალტიისპირეთში 62
- მედა პახიძე — ისევ თამუნას 65
- ნუგზარ წყნეთელი — პოლონური შთაბეჭდილებებიდან 90

პროზა

- ლალო ავალიანი — როცა მზე პირს იბანდა. მოთხრობა 3
- კლავდია დვდარიანი — ძველი ფუძე. რომანი. გაგრძელება 27
- ამბტიკ ისაბიანი — მოთხრობის ჩიბუხი. მოთხრობა 55
- ემანუილ ფეიგიანი — ჯარისკაცი, შვილი ჯარისკაცისა. მოთხრობა. გაგრძელება 66

ქრიგია და პუბლიცისტიკა

- აბაბი ბაძრაძე — „ქინკრაქს“ ნახვის შემდეგ 94

11

ნომერი


1964

გამომცემლობა

„ლიტერატურა და ხელოვნება“

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურონალი

საქართველოს ალკ. ც. კ.ს.ა და მწერალთა კავშირის ორგანო



ზოტა ძიძიგური — დრამატული ნა- წარმოების ენა	102
ოთარ ბაქანიძე — გამოჩენილი უკრა- ინელი პოეტი და საზოგადო მოღ- ვაწე	114
ავთანდილ ციგაძე — როცა სხვები შრომის ოფლს ღვრიდნენ	122

●

ნარკვევი

ამირან თევზაძე — მსოფლიოს მერვე საოცრება	132
---	-----

●

ყოველი მხრიდან

141

●

ქურნალი ქურნალში

„ჭაუნისი“

ვალერიან სულაბაძე — გაზაფხული დადგება მთაში. მოთხრობა	145
თეიმურაზ აბულაძე — ლექსები	146
ლია ასათიანი — მყინვართან დაბადება. ლექსი	148
ავთანდილ გურგენიძე — ლექსი	149
თამაზ გოღობერიძე — სოფლის მაღაზიაში	151
გიორგი ნატროშვილი — მხეცი და აღამიანი	152
ალი შუჭრი — როდის დაბრუნდება. მოთხრობა	154
შაშილ შიბაბერიძე — როცა ქალაქი იძინებს. ნარკვევი	157

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა :

გურამ გვერდწითელი, კარლო კალაძე, როინ მეტრეველი, გურამ ფანჯი-
კიძე (პ/მგ მდივანი), გიორგი ციციშვილი, ვლადიმერ ჭავჭავანიძე, ვახტანგ ჭელი-
ძე, სერგი ჭილაია, თამაზ ჭილაძე, ლაშა ჯანაშია.



გოთხრობა

ადამიანების ურთიერთკავშირი ერთადერთი ჭეშმარიტი ღირებულებაა.

ანტუან დე სენტ-ეზიუპერი

ადარბაზო კარის ჩარჩოში მზით განათებული ქუჩის მონაკვეთი იმპრესიონისტულ სურათივით ჩანდა. ის იყო, კიბე ჩავირბინე და ქუჩაში უნდა გავსულიყავი, რომ სინარას მოვკარი თვალი. მან ისე ჩაიარა, კარისაკენ არ გამოუხედა და არც დავეუნახივარ. მე და სინარა ერთად ვმსახურობთ. სამსახურში ის მარტო იმით იქცევს ყურადღებას, რომ მუდამ ჩუმად და თავისთვის არის; არც უმცროსებს მეგობრობს, არც ტოლებს, არც უფროსებს. თუ რამეს ჰკითხავ, თა-

ვაზიანად გიპასუხებს და თანაც ისე, გამოწვევა რომც გინდოდეს, ვერ მოახერხებ; სიტყვას ველარ გააგრძელებ. სინარა არ უყვართ, მაგრამ წარმოიდგინეთ, არც სძულთ. არ უყვართ იმიტომ, რომ ლაზლანდარობაში თავის გამოჩენას არ ცდილობს, ამყოლი არ არის. თან არც ლამაზია. თვალები კი ურიგო არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ ამაზედაც გარკვევით ვერაფერს იტყვი, რადგან სულ დახრილი აქვს და ზოგიერთებით აქეთ-იქით არ აცეცებს. ასე გგონია, თვალები მარ-

ტო იმისათვის აქვს, სადაც საკუთარი სულის სიღრმეში იცქირებოდესო. მართალია, სინარა ერთთავად დუმს, მაგრამ სახე კი ხშირად ეცვლება: ხან რაღაც ფარული ღიმილი მოეფინება, ხან მოღუშულია, ხანაც თვალებს წამით რამეს მიაპყრობს და თუ დააკვირდები, შეიძლება მიხვდე, რა გაიფიქრა, ან რა შთაბეჭდილება მოახდინა დანახულმა თუ ვაგონილმა. რაც მთავარია, მოდურად ჩაცმადან ბურჯაზე არ ზრუნავს; იქნებ არც ეხერხება და არც სურს. კაცია და გუნება. მე მაინც ვფიქრობ, რომ იგი ყველაზე მეტად ამ საკითხში სცოდავს. რას ამბობთ! რაც მუქყანვისფრად თმის შეღებვას და მოდურად ჩაცმას მიჰყვება, ლამაზი გოგონების რიცხვმა თითქოს ერთიორად იმატა. ჰოდა, ეს ამბავი თუ მის „უფერულ“ ხასიათს ვერა, უფერულ გარეგნობას ცოტათი მაინც ხომ უშველიდა? ყველაფერს რომ თავი დაეანებოთ, სინარა იქნებ იმის გამოც არ უყვართ, რომ არც თვითონ აბეზრებს თავს ვინმეს რჩევა-დარიგებით, არც სხვის ჭკუაზე დადის. მაგრამ არის ერთი გარემოება, რის გამოც სინარას უკლებლივ ყველა პატივს სცემს — მას ენდობიან. რაც უნდა ეცადო, რაც უნდა განზრახ არწმუნო და იფიცო, ესა და ეს კაცი თუ ქალი აუგად გიხსენიებდაო, სამაგიერო სალანძღავ სიტყვას ვერ წამოაცდენინებ. ენის მიტან-მოტანაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია! თვითონ ასე წყნარი და მყუდროებისმოყვარული, არასოდეს მოთმინებიდან არ გამოჰყავს სხვის სიფიცხეს, რადგან ცხოვრებას ზერელედ არ უყურებს და მისთვის ალბათ ზოგჯერ მიზეზს უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე შედეგს. შარშან ერთი ქალებისმოყვარული თანამშრომლის კიცხვა ორ დღეს რომ გაგრძელდა, ბოლოს სინარამაც უღალატა ჩაურევლობის წესს, თავს ახლად ვერვინ იშობსო, — სთქვა და ერთი ფრაზით მოუღო ბოლო ამ აღიარებას.

ახლა მართალია დავინახე, სინარამ ჩვენი სადარბაზო კარის წინ რომ ჩაიარა, მაგრამ არ ავჩქარებულვარ, არ გავდევენებვარ. გუშინ ცოტა ვაწყენინე და მინ-

დოდა რამდენიმე დღე გასულიყო, სინარა ისევ ხმას ვაცემდი. რაღაც ეშმაკად ეშმაკად სვენების დროს თეატრის წინ რაღაც ვიარე, ერთი ჩემი ნაცნობი მსახიობი დავინახე და მივესალმე.

— დღეს პრემიერას არ ესწრები? — მკითხა მან.

— სიამოვნებით დავესწრებოდი, მაგრამ პრემიერის პირველ დღეს ბილეთს რას იშოვნი!

ჩემს პასუხზე მან ერთი გადმომხედდა და ეშმაკურად გამიღიმა. მერე გულისჯიბისაკენ ისე ნელა წაიღო ხელი, დანარჩენი ძნელი მისახვედრი აღარ იყო: საფულედან ოთხი ბილეთი ამოიღო და ორი მე მომიხია. ასეთი გულწრფელი თავაზიანობა და განსაკუთრებით კი მისი ჯენტლმენობა მომეწონა. ხომ შეიძლებოდა ერთი ბილეთი მოეცა?

— ორ ბილეთს რომ მაძლევ, ცოლიანი ხომ არ ვარ? — ღიმილით შევნიშნე მე.

— ვიცი, მაგრამ როგორ დავიჯერო, ვინმეს წინაშე თავს არ იწონებდე, ჰოდა...

სიტყვა აღარ დაასრულა. ამ შემთხვევამ საუზმეც კი გადამაფიწყა. დაწესებულებაში გახარებული და აღელვებული დავბრუნდი. მიხაროდა, რომ დღევანდელი პრემიერის ორი ბილეთი ჯიბეში მედო და ახლა იმაზე ვფიქრობდი, ჩვენი გასათხოვარი თანამშრომლებიდან რომელი გოგონა ჩამეთვალა ამ საზეიმო დღეს თეატრში წაყვანის ღირსად. ერთნაირად მომწონდა მზიას ხავერდით შავი და წყნარი თვალები, მანანას მოგრძო სახე და ვაჟურად შეკრეპილი, შუბლზე უსწორმასწოროდ მიშლილ-მოშლილი წაბლისფერი თმა, თამარის აშოლტილი ტანი, დოდოს კბილები და ტუჩები. არანაკლებ მომწონდა ლეილას სწორი, პაწაწინა ცხვირი და მინიატურული ყურები. არ შეიძლება არ მოგზიბლოს ნუწუს ხმამ, ნამდვილი ქალური მოკრძალებით და რაღაც უცნაური სინარანართ რომ ქდერს. როცა ვთქვი, დღევანდელ პრემიერაზე ორი ბილეთი მაქვს-მეთქი, სინარას გარდა, ექვსივე გოგონამ ყური სცქვიტა, მაგრამ ვისაც არ შევთავაზე



თეატრში წასვლა, ყველამ უარი მითხრა. რა თქმა უნდა, „ცივი“ და პირდაპირი უარი არავის უთქვამს. ერთი ვითომ ნათესავთან იყო დაბარებული, მეორე — მკერავთან, მესამე — ამხანაგს ელოდა შინ, მეოთხეს თავი სტკიოდა. ვგრძნობდი, რომ ყველა სტყუოდა, მაგრამ ოდნავადაც არ შევიძინე. დანარჩენებმა რა მოიმიზნეს, აღარ მახსოვს, მაგრამ კარგად მახსოვს, რაც დღღომ მითხრა: — ბიჭო, ჯონდო, ავერ ჩვენი სინარა წაიყვანეო. ამის გაგონებაზე გოგონებმა ერთხმად ვადაიკისკისეს. იმ წუთში არც კი მიფიქრია, რა ძნელი მოსათმენი უნდა ყოფილიყო სინარასათვის იმ ქარაფშუტული სიცილით გამოძვლავებული დაცინვა. მის კი თავიც არ აუწყვია, არც ვაკვირვება გამოუხატავს, არც წყენა. და იმ წუთში, როცა ეს ულამაზოდ მიჩნეული გოგონა ჩემს თვალში ასე მოულოდნელად ამადლდა, მე უნებლიეთ უფრო მეტად ვაწყენინე, — გაბრაზებულმა პრემიერის ბილეთები ნაკუწებად ვაქციე. უფრო მეტ სისულელეს, რა თქმა უნდა. ჩემს ადგილზე კაცი ვერ ჩაიდენდა. იმის მაგიერ, საწინააღმდეგო რამ გამეკეთებინა და გოგონები გამებრაზებინა, ჩემი უნებლიე, დაუფიქრებელი საქციელით სწორედ მათ ავუბი მხარი. სინარას არც ამაზე უთქვამს რამე. ორ, ერთმანეთზე უარესად გამაბიაბრუებელ დაცინვას ეს წყნარი გოგონა საოცარი დიდსულოვნებით შეხვდა. რა თქმა უნდა, გულის სიღრმეში ჩემი უღირსი საქციელით უფრო გააკვირვებდა და ეწყინებოდა, ვიდრე მისი ქარაფშუტა ამხანაგებისა.

ეს ყველაფერი გუშინ მოხდა და ახლა სადარბაზო კარით ქუჩაში რომ გავედი, დარწმუნებული ვიყავი, სინარა უკვე შორს იქნებოდა წასული. გზა არხენად განვაგრძე. ქუჩაში ხალხი რალაც ისე არ ფუსფუსებდა, როგორც ეს კვირადღეობით სჩვევიათ. ის კვირადღე, როცა ფეხბურთია, სხვა კვირადღეებს არა ჰგავს. ქუჩაში ხის ძირას და კაფეების წინ მოედნებზე საათობით თავშეყრილ, დროის უქმადტარების მოყვარულ ახალგაზრდებს ამ დღეს სხვა საზრუნავი

ქვეთ. მათი „ბირჯა“ ახლა სტადიონის მახლობელი ადგილებია. ფეხბურთზე ფიქრით გართულს, მოულოდნელად თვალში მეცა გახუნებული ცისფერი ჟაკეტი. სინარა წიგნის მაღაზიიდან გამოვიდა. ერთი წიგნი ილღიაში ამოედო, მეორე კი ხელში ეჭირა და წიგნისმოყვარულისათვის დამახასიათებელი გატაცებით ფურცლავდა მას. ახლა უკვე აღარ შემეძლო, თავი დამეგრწმუნებია, რომ მან ვერ შემამჩნია; სულ რალაც ათიოდე ნაბიჯით ვიქნებოდი მისგან დაშორებული, როცა მაღაზიიდან გამოვიდა და ქუჩაში მიმავალნი ზერელედ შეათვალიერა. თუ მან შემთხვევით დამინახა და თვალი მაინც ამარიდა, ეს ხომ ფარული გულისწყრომის უნებლიე გამოძვლავნებას ნიშნავდა. მე კი ამ წუთამდე ისევე მჯეროდა სინარას დიდსულოვნებისა. ვფიქრობდი, რომ ის უთქმელად მიმიხედებოდა ყველაფერს, მიმიხედებოდა, რომ დაუფიქრებლად დავხეი ბილეთები და რომ სულაც არ მიფიქრია, რას ნიშნავდა ეს იმ წუთში. სინანულით ვიფიქრე, რა გასაკვირველია, თუ ამის შემდეგ ჩემთან შეხვედრა და ლაპარაკი არ ესიამოვნება-მეთქი. ის იყო, ქუჩის მეორე მხარეს გადასვლა დავაპირე, რომ თვითონვე მივხვდი, ჩემი საქციელი სწორი არ იქნებოდა. ერთხელ კიდევ შევავლე თვალი სინარას გამოხუნებულ ჟაკეტს და ნაბიჯს ცოტა ავუჩქარე. გულისცემა გამიხშირდა, რადგან არ ვიცოდი როგორ შემხვდებოდა სინარა. ერთ ნაბიჯზე რომ მივუახლოვდი, გავბედე და მოხრილ იდაყვზე ხელი ფრთხილად შევახე. სინარამ მკლავი ერთბაშად წინ წასწია, მაგრამ როცა შემომხედა, ჩემდა გასაოცრად სახე მყის შეეცვალა: გამიღიმა და ხელის გამოწოდებაც დამასწრო. მართალია, ავერ მეორე წელი ილივა, რაც ერთ დანწესებულებაში ვმუშაობთ, მაგრამ ხელს აქამდე მისთვის არ ჩამომირთმევია. და ახლა, მართალი გითხრათ, გაკვირვებული დავიჩი. ამ პირველი ხელის ჩამორთმევით თითქმის ერთბაშად შევიცა-

ლადო ავალიანი
როცა მზე პირს იბანდა

ნი სინარას ხასიათი. ჩემს ნაცნობებში ათასიდან ალბათ ორზედაც ვერ ვიტყვი, რომ ხელის ჩამორთმევის „შნო“ ჰქონდეთ. ზოგი ქალი ხელს გართმევს რაღაც იძულებით, უსიამოვნოდ, შეიძლება ზიზღითაც. ზოგი მორცხვად და უხეიროდ, ზოგის ხელი ისე დუნედ მოგხვდება ხელში, გეგონება ძვალი არა თუ თითებში, საერთოდ მთელ სხეულში არ გააჩნიაო, და უმალ იგრძნობ, რომ უთუოდ ასე უძვლო და უხერხემლოა მთელი მისი არსებაც. სინარამ კი ერთბაშად გამოაცხადა: ჯერ ერთი, ათასნაირად რომ ვვარაუდობდი და შეხვედრას არ ვაპირებდი, ვაითუ ქუჩაშიაც არ მომერიდოს და გუშინდელი შემთხვევის შემდეგ ჩემთან დალაპარაკება არ ისურვოს-მეთქი, ის ღიმილით შემომხედა და ხელი თბილად ჩამომართვა. შეიძლება ითქვას, რომ იმ წუთში პირველად ვიგრძენი, რას ნიშნავს ქალის ხელი, როცა მისი თითები და ხელისგული ისე შემოეჭოდნო ჩემს ხელს, თითქოს საოცრად რბილი ტყავის ვიწრო ხელთათმანი ჩამეცვას. გაოცებული შევაცქერდი. ჩემი ვარაუდისა ახლა მე თვითონ შემრცხვა. ჩანს, იმ წყენას, მე რომ უნებლიეთ მივაყენე, სინარას გულში არავითარი კვალი არ დაუტოვებია. ეს კი იშვიათად ხდება. ადამიანებს ზოგჯერ ფრჩხილისოდენა რამეც კი სწყინთ. დიდი ჯაფა არ სჭირდება მათი სულიერი წონასწორობის დარღვევას.

— სინარა, რა წიგნები გიყიდი? — ხელის ჩამორთმევის უმალ დავინტერესდები. სინარამ წიგნები გამომიწოდა. ერთი „უკვდავების ილუზია“ იყო, მეორე — „ბერძნული ცივილიზაციის“ ბოლო ტომი. ორივე წიგნი ზერელედ გადავათვალიერე.

— საინტერესოა? — ვკითხე, როცა წაგნებს ვუბრუნებდი.

— ზოგიერთ მოჩამახულ რომანს ალბათ სჯობია. შენ ასეთი წიგნების კითხვა არ გიყვარს? ბონარის „ბერძნული ცივილიზაციის“ პირველი და მეორე ტომები ძალიან მომეწონა. რა იქნებოდა, ასე დალაგებულად დაწერილი „ქართული ცივილიზაცია“ რომ გვქონოდა. მე შენ

გეტყვი, დამწერს მასალა შემოაკლდება!..

— დაწერს ალბათ ვინმე, აბა, რა იქნება!

— შენ რა წაიკითხე ამ ბოლო დროს, ვკონდო?

ცოტა წავიბოროტე, მაგრამ დროზე გამახსენდა „მე, პეღე“ და „ფეხბურთის კალენდარი“. სინარამ ეშმაკური ღიმილით გადმომხედა:

— ძალიან კი გაგიმდიდრებია შენი სულიერი სამყარო!

— დამცინი?

— დასაციინი რაა, მაგრამ...

— ვიცი, ქალებს ფეხბურთი არ გიყვართ, მაგრამ რაკი წიგნი გამოდის, ვილაცამ ხომ უნდა წაიკითხოს?

— ფეხბურთი მიყვარს, ჩვენს ფეხბურთელებს კი მაინცადამაინც პატივს არა ვცემ.

— რატომ?

— თავმოყვარეობა დალატობთ!

— რაკი ხშირად ავებენ?

— წაგება წაგებაა, მაგრამ ამ ხშირი და გაუშართლებელი წაგებისათვის ორმოცი ათასი კაცი ერთხმად რომ შებღავის და უსტვენს, ამის შემდეგ თავმოყვარე კაცი რაღა გულით ითამაშებს? ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ფეხბურთელებსაც და გულშემატკივრებსაც ყველაფერი ეპატიებათ. ფეხბურთელებს — ცული თამაში, გულშემატკივრებს — ლანძღვა-გინება! რას ამბობ, სტადიონის წყალობით, ვინც არ იცოდა, იმანაც კი ისწავლა გინება. იგინებთან შინ, იგინებთან ქუჩაში, ავტობუსში... ეს მე ძალიან მწყინს, რადგან კაცს გინება არ შეენის. გინება სულის ჭუჭყია!

— რაც არ უნდა სთქვა, სტადიონზე სიარულს ვერ გადამაჩვენე!

— რასაკვირველია, სანახაობა და გასართობიც პაპიროსსა და მჭესუმშირასავითაა, თუ შეეჩვიე, ძნელად გადაეჩვენე.

— სინარა, რა მაგის პასუხია და, ბილეთი რომ ვიშოვნო, წამოხვიდოდი?

სინარამ გაოცებით შემომხედა და თითქოს შემკრთალმა მიპასუხა:

— როგორ შეიძლება?!

— რატომ რა, უცხოისთან ხომ არ იქნება?

— არა, მაგიტომ არ გეუბნები.

— მაშ რატომ?

— რა ვიცი, მიზეზი ბევრია.

— ერთი მინც დამისახელე.

— ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ან შენ რას იფიქრებ? შენ რომ ქალი იყო, წაყვებოდი?

— გააჩნია, ვის.

— და გააჩნია, როგორ გეტყოდა, არა, ჯონდო?

— რასაკვირველია, ყველაფერს აქვს მნიშვნელობა, მით უმეტეს ქალისათვის.

— მაგრამ რა ნაცადი ხერხიც არ უნდა იყოს, ყველაზე ერთიანად ვერ იმოქმედებს, ისე როგორც წაპალი. ის, რაც სხვას გააბრუებდა, მე მხოლოდ სიცილს მომპვრის. ადამიანს თუ კარგად არ ვიცნობ, არც მის სიტყვას ვენდობი.

ერთ ხანს დუმით მისაბიჯებდით. მერე სინარას მოულოდნელად ვკითხე:

— კარგი თამაში გინახავს?

— ჩვენების თუ უცხოელების?

— უცხოელების თამაშიც გინახავს?

— რატომღაც აქამდე მახსოვს „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“. თუ კევანზე იტყოდი, ძლიერი მოთამაშეაო, სამაგიეროდ დანარჩენებზე ვერ იტყოდი, სუსტები არიანო. ჩვენი გუნდის ყველაზე დიდი ნაკლი კი აქამდე ისაა, რომ იგი საოცრად არათანაბარი დონის მოთამაშეებისაგან შედგება. შეიძლება გამოარჩიო ძალიან ძლიერი და ძალიან სუსტი ფეხბურთელები. თამაშის შედეგი კი გუნდის შემადგენლობის და უნარის სარკვეა.

გაოცებული შევცქეროდი სინარას. მე მეგონა, მას ფეხბურთზე წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რახან ამ ორ წელიწადში ერთხელაც არ დასცდენია სიტყვა... როცა ბიჭები სამსახურში ცხარედ ვკამათობდით წინაღობით ჩატარებულ მატჩზე, როცა ჩვენს კამათში გოგონებიც კი ჩამოეროდნენ ხოლმე, სინარა ჩვეულებრივ სულგანაბული იჯდა და ასე ვეგონებოდა, ფეხბურთი კი არა, სამსახურის საქმის ვარდა, ქვეყანაზე არაფერი აინტერესებსო. მაგრამ თურმე ნუ იტყვი, ისიც წერებულა ფეხბურთის

მოყვარულთა და გულშემატკივართა შორის. როცა რამე არ გესმის, ძალიან ადვილია გულგრილად უცქირო სხვების კისრისტეხას, იქნება ეს ფეხბურთი, ჭადრაკი თუ თეატრი, მაგრამ თუ გესმის, ძალიან ძნელია კამათში არ ჩაერიო და შენი „ავტორიტეტული“ სიტყვა არ სთქვა. სინარას კი თურმე ყველაფერი კარგად ესმოდა და მინც ახერხებდა თავის შეკავებას.

— სინარა, თუ გუნებაში გაქვს წამოსვლა, სთქვი, ნუ გერიდება, მაშინ ცოტა უნდა ვიჩქაროთ, ჩემთვის კი მაქვს ბილეთი, მაგრამ შენი ხომ საშოვნელია!

— წამოვიდე? — ყოყმანით წამოიწყო სინარამ და სახეზედაც, კილოზედაც აშკარად შეატყობდით, რომ წამოსვლა გულით სურდა. — სულ ერთია, ბილეთს ვერ იშოვნი, — დაუმატა მან, მაგრამ ამ სიძნელეს როგორ შეგუშინდებოდი!

— შენ რა გინდა. შოვნა რა სათქმელია, ბილეთს გვაჩენ!

მატჩის დაწყებას ერთი საათილა აკლდა და ტროლეიბუსსა თუ ავტობუსში ჩაჯდომაზე ფიქრიც ზედმეტი იყო.

სტადიონისკენ ფეხით გავეშურეთ. ახლა პროსპექტზე ხალხი მხოლოდ ერთი მიმართულებით მიისწრაფოდა.

— ჯონდო, ორიოდე წუთით რომ დაგაყოვნო, ხომ არ გეწყინება?

— საწყენი რაა, თუ აუცილებელია. მაგრამ ხომ იცი, ახლა ყოველი წუთი რად ღირს!

— სადაც კი შეგგზავნება, პირველივე ტელეფონ-ავტომატით ამხანაგს უნდა დაუვრეკო; გუშინ შევპირდი, ორ საათზე გამოვივლი-მეთქი.

— უკვე სამის ხუთი წუთია.

— ჰოდა, სწორედ დროზე გავაფრთხილდები.

— კარგი, სინარა, მხოლოდ ნაბიჯს ცოტა კიდევ ავუჩქაროთ.

— ავუჩქაროთ! — ისე მიპასუხა, ისე შემომცინა, მის სიტყვებშიც, მის გამომეტყველებაშიც ისეთი ხალისი და კმაყოფილება იგრძნობოდა, რომ სინარას

ლადო ავალიანი
როცა მზე პირს იბანდა

განწყობილება უნებლიეთ მეც გადმომედო. ორივენი ბავშვებად ვიქცეით. მე მას ხელიც კი ჩავჭიდე. სინარა არა თუ არ გამძალიანებია, პირიქით, თვითონაც მაგრძნობინა, რომ ეს ჩემი ბავშვური სითამამე სიამეს გვრიდა და საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა ასე ხელიხელჩაკიდებულებს გვერბინა, ხან იქით, ხან აქეთ, ხალხში „გასაძრომი“ გვეპოვნა და ასე დავეწინაურებულებოდით. ხომ უნდა მოგვეგო ის წუთები, ავტომატთან ლოდინში რომ უნდა დაგვეხარჯა. პირველმა ავტომატმა მოულოდნელად გავაწვინა. სინარამ რომ დაინახა, ჯიხური თავისუფალიაო, სიხარულით ცას ეწია, მაგრამ სიხარული ნაადრევი გამოდგა. ის იყო, სინარას ყურმილისათვის ხელი უნდა ეტაცნა, რომ სახტად დარჩა: ავტომატზე ზონარიდა ეკიდა — რომელიღაც პირუტყვს ყურმილი ძირში წაეგლიჯა. გზა ისევ ფაციფუტით ვანვაგრძელებდით. რაც უფრო ვუახლოვდებოდით სტადიონს, ხალხიც საგრძნობლად მატულობდა. სინარამ ავტომატის მეორე ჯიხურს ასიოდე მეტრზე, ქუჩის მეორე მხარეს მოჰკრა თვალი. ვცადეთ გადასვლა, მაგრამ ეს ახლა არც ისე იოლი აღმოჩნდა: ყველა მიიჩქაროდა, ზოგი კიდევ გარბოდა და ძნელი იყო გვერდი ისე აგეჭვია, ან ვინმე არ დაგჯახებოდა, ან არ დაჯახებოდი. მე რაც შემექლო ვიცავდი სინარას და ყველაფერს უდრტვიწველად ვიტანდი. მეორე ჯიხურთან ჯერში ოთხი კაცი იდგა. ამის დანახვაზე ორივეს გული შეგვიღონდა, მაგრამ რას ვიზამდით! ჩვენს წინ ორი მოხუცი იდგოდა, იმათ წინ კი ვიღაც ჭაბუკი და გოგონა. ჭაბუკი წამდაუწუმ იცვლიდა პოზას, გოგონას თავს მოურიდებლად აწონებდა. ჩაცმულობაზე და კილოზე ეტყობოდა, რომ ნამდვილი „სტილიაგა“ იყო. გოგონას კი მოსწავლის ფორმა ეცვა და თხუთმეტი წლის ძლივს იქნებოდა. ბიჭი აშკარად უხსნიდა სიყვარულს. მისი ლაპარაკი ყველას გვესმოდა. ეს იყო გაზეპირებული უმსგავსოება. მიუხედავად ამისა, გოგონა, თავისი გულუბრყვილობით მოსდიოდა თუ უჭკუობით, სიამოვნებით უსმენდა ვაჟის თავბრუდამხვევ

აბდაუბდას: დაგინახე თუ არა, შინა თვალეში იმდენი რამე ამოვხედავ, თავი ველარ შევიკავე, გულგრილად გვერდი ვერ აგიტყეო, — და სხვა ასეთები. თქმა არ უნდოდა, ბიჭი მიზანს უსათუოდ მიაღწევდა. გოგონას მშობლები კი, ვინ იცის, რა იმედითა და სასოებით შესცქეროდნენ თავის პირმშოს და რა გეგმებს არ აწყობდნენ სამერმისოდ, ჩვენი შვილი ისწავლის, განათლებული ადამიანი დადგება, საზოგადოებაც დააფასებს, ჩვენ კი სიბერეში გვიპატრონებსო. მეტი არაა თქვენი მტერი!

ასეთ შემთხვევებში ერთნაირად მომდის ხოლმე გული როგორც იმ წვრილფეხა და ნაძირალა „დონ ყუანებზე“, სკოლების მახლობლად და გზაჯვარედინებზე რომ დგანან, ისე იმ უჭკუო გოგონებზეც, აგრე იოლად, დაუფიქრებლად და შეუმჩნეველად რომ ეხვევიან „სასიყვარულო აღსარების“ ბადეში.

თუ ვაჟს ცოტა „წესიერად“ აცვია, თუ მას „ამშვენებს“ მაღალსაყელიანი, შინ ნაქსოვი, ან უცხოური ჯემპერი, ვიწრო, ბარძაყებზე გადატყეცილი შარვალი, მოღერი ჰეინტიანი ფესხაცმელი, უცხოური ჭრელი წინდა, და ხელში დაჭმუჭნილი იტალიური ლაბადაც უჭირავს, გოგონებისთვის ეს საკმარისია, ვაჟმა თავი მოაწონოს და შეაყვაროს, ერთი წლით ან ერთი თვით თუ არა, ერთი კვირით მაინც.

ცალკე ლოდინით, ცალკე იმით, რაც გვესმოდა, აშკარად ვლელავდი და ვიშმუშნებოდი; თუ აქ სინარამ რიგს კიდევ უცადა, დავიღუბებით-მეთქი, ვფიქრობდი გუნებაში. ეს შეშფოთება ალბათ სახეზედაც ისე აშკარად მეხატებოდა, რომ სინარას უთუოდ შეგებრალე. ერთი თავეშეკავებით ჩაიცინა, არა ჰქონია იღბალი ჩემს ამხანაგსო, სთქვა და ორივენი ერთად მოეწყდით ადგილიდან.

სტადიონის მისადგომებთან მართლაც ზღვა ხალხი ირეოდა. ქუჩა საბარგო მანქანებით და ცხენოსანი მილიციელების მწყრივით იყო გადაღობილი, ტროტუარზე კი, სადაც გასასვლელი მოეწყოთ, მილიციელები გაჰყვიროდნენ, ბილეთები მოამზადეთო, მაგრამ მათი ვაფრთხილე-

ბა არავის ესმოდა, ბილეთიანი და უბილეთო ერთად აწყდებოდა გასასვლელს. სინარას ვუთხარი, აგერ საათთან მომიცადე-მეთქი. მოზღვავებულ ხალხში პირჯგურის გადაუწერლად გადავეშვი. სადაც კი ხუთ-ექვს ბიჭს ერთად მოვკრავდი თვალს, მყის მივაშურებდი, ზედმეტ ბილეთს ზომ არ ყოფიან-მეთქი. კაცმა რომ სთქვას, ყველაფერი იღბალია. ბილეთი უფრო ადვილად ვიშოვე, ვიდრე ამას ახლა ვინმე წარმოიდგენდა. ვთამამებულმა ახლა ისიც მოვიწოდომე, სხვადასხვა ადგილის ბილეთები გადამეცვალა და მე და სინარა ერთად დავმსხდარიყავით. ათი-თხუთმეტი წუთის შემდეგ ბედს კვლავ ვეწიე. აღმოსავლეთისა და სამხრეთის ტრიბუნების ბილეთები დასავლეთისაზე გადავცვალე. ოთხიოდე მანეთის დამატება კი დამჭირდა, მაგრამ ახლა ამას ვინ დაეძებდა! სინარასთან თავმომწონედ მივიპერი, კვლავ ხელი ჩავავლე და გაცემულ-გახარებული გოგონა მილიციელების პირველი მწკრივისკენ გავიტაცე. აქედან სტადიონი „ერთ გასროლაზედაც“ აღარ იყო და გული უკვე საგულეს მქონდა — თამაშზე აღარ დავაგვიანებდით. გახარებული ხმას ვეღარ ვიღებდი. არასოდეს ასე აღფრთოვანებული არ ვყოფილვარ. სანახაობაზე დასწრების სინარაულს სინარას სიახლოვე მიათქეცებდა. სიძვავით თავმომწონედ ვუახლოვდებოდი სტადიონს. ასე მეგონა, აქ ფეხბურთის მატჩი კი არა, ჩემი ქორწილი იმართებოდა. ჯგლერთაში სინარა წინ გავუშვი. ხალხის ტალღა ისე მიგვარწყვდა, მიწაზე ფეხი რომც არ დავგვდგა, არ წავიქცეოდით. სინარას სულაც არ უეჭირდა ეს ამბავი. პირიქით, როცა ხალხის დინება ოდნავ მარცხნივ ან მარჯვნივ წაიღებდა, ის უსათუოდ მომხედავდა და კმაყოფილების ნიშნად გამიცინებდა კიდევ. როგორც იყო, რკინის ხარბებიან ვიწრო შესასვლელში მოვხვდით. კონტროლიორს უშვალ გადავაწოდე აქამდე ხელში ჩაბღუჯული ბილეთები და როცა სტადიონის ეზოში აღმოვჩნდით, ორივემ მართლაც რომ შვებით ამოვისუნთქეთ. დაქმუნილი ბილეთები ხელისგულზე

გავასწორე; მართალია, იარუსი და ადგილების ნომრებიც მახსოვდა, მაგრამ შენს ადგილზე ვინმე უბილეთომ თუ „დაგხსნა“ წრო“ დაჯდომა, ბილეთი რომ არ უჩვენო, ისე როგორ ადგება!

— კარგი ადგილებია? — იკითხა სინარამ.

— ქება არ უნდა.

თამაშის დაწყებას თხუთმეტი წუთიდა უკლდა. გასასვლელები და იარუსებზე ასასვლელი კიბეები მაყურებელს ისე გაეჭედა, რომ გზის გასაკვლევად დიდი სიმარჯვე იყო საჭირო. როგორც იყო, ავიყვანე სინარა ჯერ მეორე, შემდეგ მესამე იარუსის კიბეზე. სინარა სულ იღიმებოდა და თითქოს სიამოვნებდა კიდევ, კიბის კიდეზე ნახევრად ჰაერში გადმოკიდებულნი რის ვაივაგლახით რომ მივიწვევდით მალდა. აკრობატული ნიჭი ორივეს აღმოგვაჩნდა. სინარას ეს ყველაფერი ბუნებრივად მიაჩნდა. როცა ვუთხარი, არ გავიკვირდეს-მეთქი, გაცემულმა მომიგო, რა უნდა გამიკვირდეს, ცხოვრება ესაა, ყველგან თავისებური „წესრიგია“; კონსერვატორიის მცირე დარბაზში ზომ არა ვართ, სტადიონიაო. ჩვენი ადგილები მესამე იარუსის მეორე რიგში, ცენტრიდან მცირე დაშორებით აღმოჩნდა. რიგი უკვე გაჭედული იყო. ბილეთებს რომ დახედეს, ორი ჰაბუკი უხმოდ ადგა და წავიდა. მე ვახეთები დავაფინე და დავსხედით. დავსხედით თუ არა, უშვალ დავავიწყდა ჯაფაც, ხმაურიც, წვალეზაც და ისიც, რაც სტადიონის „გარეუბნიდან“ აქამდე ვადვიტანეთ. რებროდუქტორები ჰაერს აზანზარებენ ქართულ-იტალიურ-მექსიკური ჰანგებით. იარუსები ხალხით იყო გაჭედილი.

— აქაურობა თამაშის გარეშეც მიმზიდველია. შეხედე, ჯონდო, როგორ აფრიალებს ქარი სპორტულ დროშებს, რასიჭრელე და ფუსფუსია ტრიბუნებზე. ის არის აღმოსავლეთი?

— ისაა.

— იქ არ ვიცი, რა ამბავია, მაგრამ

ლადო ავალიანი
როცა მზე პირს იბანდა

აქედან კი ლამაზი სანახავია ხალხიც და ტრიბუნებიც

— ზოგი რამ შორიდან უფრო ლამაზი ჩანს.

— რაკი სტადიონის მერხზე ზიხარ, წაფილოსოფოსების გუნებაზედაც მოხვედი?

— ასე ჩანს, სინარა.

— მინდორიც რა საუცხოოა. მოგწონს მწვანე ფერი?

— სიცოცხლე მწვანეშია! ხეები, მთები, განა მწვანე ფერის არ არის?

— სიცოცხლე ყველა ფერშია, შავშიაც კი. დღისით მზით განათებული, ხასხასა მწვანით დაფარული მთა ღამით რომ შავ სილუეტად იქცევა, განა ის მაშინაც არ ცოცხლობს?..

როდესაც სტადიონის ტრიბუნები უკიდურესობამდე გაიჭედა, უბილეთობები ჩვენს მერხზედაც აქა-იქ ჩაიბედნენ და საგრძნობლად შეგვავეიწროვეს, როდესაც მუხლის გასამართავად ხუთი წუთით მინდორზე გამოსული მოთამაშეები უკანვე გაიქცნენ, ხოლო სტადიონს რეპროდუქტორებით გუნდების შემადგენლობა ამცნეს, როდესაც გამოჩნდა მთავარი მსაჯი თანაშემწეების თანხლებით, გუნდების კაპიტნებმა და მსაჯებმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და წილი ჰყარეს, ვის რომელი კარი დაეკავებინა და გუნდები ერთმანეთის პირისპირ დადგნენ, გაჭედდნენ და აქამდე ზუზუნით მოცულ იარუსებზე მხოლოდ მაშინ და ისიც მხოლოდ წუთით რაღაც აუწერელი სიჩუმე ჩამოვარდა. მაგრამ მოხვდა თუ არა ფეხი ბურთს, ატყდა ყაყანი, შეძახილები. ისმოდა ხან სიხარულის, ხანაც უკმაყოფილების გამომხატველი შენიშვნები. ყოველი მარჯვე ილეთი — კარისაკენ გაჭრა თუ ბურთის კარგად გადაცემა სიხარულით აძეგრებდა მაყურებელთა გულებს. ჩვენების მხრივ ერთი-ორი მარჯვე კომბინაციის გათამაშების შემდეგ ტემპი რატომღაც დაეცა, თამაში დუნედ წარიმართა და თანდათანობით გაუფერულდა. მაყურებლები უხეში შეძახილებითა და სტვენითა ლამობდნენ თამაშის გამოცოცხლებას, მაგრამ ამაოდ. ამ უფერულობას და ცალ კარში თამაშს

მეორე ტაიმის დასაწყისიდანვე წვიმით დაერთო. მომარაგებული გაზეთებისა და ლიან გამოგვადგა. სინარას თავის თავზე უფრო წვიმების დარდი ჰქონდა, არ დამისველდესო, და ცალი ხელით რომ თავზე წაფარებული გაზეთი ეჭირა, მეორე ხელით გულში იხუტებდა წელან ნაცნობობით შეძენილ „უკვდავების ილუზიას“ და „ბერძნულ ცივილიზაციას“. მე გემოზე გავიწუწუე, მაგრამ მაინც თავმომწონედ ვიჯექი. ფეხბურთზე წამოსული კაცი, თანაც თუ გვერდით ქალი განლავს, როგორ შეიძლება რამეს შეუშინდე! მართალია, სინარამ რამდენჯერმე გამიმეორა, მე ერთიც მიყოფა, მეორე გაზეთი შენ დაიფარეო, მაგრამ ძალიან ვიუარე — დავაჯერე, გაწუწუვას, მით უმეტეს სტადიონზე, შეჩვეული ვარ და რომელიმე გულშემატკივარს არც ამ მხრივ ჩამოვრჩები-მეთქი. სტადიონზე მთავარი ის კი არ არის, გაწვიმს თუ ქარია, მთავარია, როგორმე ჩვენებმა ბურთი გაიტანონ, ორმოცმა ათასმა მაყურებელმა რომ ერთხმად შებღავლოს და ტაში დაჰკრას.

სინარას რამდენჯერმე გავუმეორე, წავიღეთ-მეთქი. დღევანდელი თამაშით აგრერიგად უკმაყოფილოს და იმედგაცრუებულს მოედნისკენ გახედვაც აღარ მინდოდა. ახლა მთელი სიმწვავეთ ვიგრძენი ის, რასაც წელან სინარა თავმოყვარეობის თაობაზე მეუბნებოდა.

ირიბი წვიმის ზოლები ერთხმად ნზემ გაანათა. როგორც მხეს წვიმაში, ისე წვიმას მზეში სულ სხვა ელფერი აქვს. ახლა ამან უფრო მიიქცია მაყურებელთა უმრავლესობის ყურადღება, ვიდრე თამაშმა; აკი მეც და სინარამაც იმიტომ ავხედეთ ცას. უტეც სინარამ მკლავში ხელი მტაცა და შეჰკვირა:

— ხედავ, ჯონდო?!

ის იყო, მეც იქით ვაკვიხედე, საითაც სინარა მანიშნებდა, რომ მთელი სტადიონი ფეხზე წამოჭრილი მაყურებლების გაშმაგებულმა, ერთსულოვანმა შეძახილმა, გამაყურებელმა ტაშმა და სტვენამ შეაზანზარა. გაუშვეს მტრედებიც.

— გავიმარჯვეთ ოთხმოცდამეათე წუთის მიწურულს! — სხვებთან ერთად

გაოცებითა და სიხარულით ვიმეორებდი ამ სიტყვებს.

— ჯონდო, დანახე ცისარტყელა, როცა მზე პირს იბანდა და მე მალლა გახედებდი!

— ცისარტყელა ჰო, მაგრამ ის კი ვეღარ დავინახე, როგორ გაიტანა ბურთი ჩვენმა თავდამსხმელმა.

სტადიონი ისევ ბობოქრობდა: არ ცხრებოდა შეძახილები, ტაში, სტვენა. სტვენა კი არა, ვეგონებოდა, მილიონმა ბელურამ სტადიონს ყივყივით გადაუქროლაო.

— ხომ კარგად მოვიქეცი, ჯონდო, რომ არ დაგიჯერე და ათი წუთით ადრე არ დავტოვეთ სტადიონი!

— როგორ, შენ თუ დამიჯერე და წამომყევი, მე რატომ არ უნდა დამეჯერებინა? ხომ ხედავ, ორივენი რა ჰკვიანები აღმოვჩნდით?

ამ სიტყვებზე ბევრი ვიცინეთ.

ხალხი იარუსებზე დიდხანს ბობოქრობდა, მერე ნელ-ნელა იწყო დენა გასასვლელებისაკენ. მე და სინარამ თითქმის ყველაზე ბოლოს დავტოვეთ სტადიონი. როცა მესამე იარუსიდან კიბეზე ჩავდიოდით, თვალი კიდევ ერთხელ მოვაველეთ სტადიონს. თითქო თოვლი მოსულაო, მერხები სველ გაზეთებს გაეთეთრებინა. ისევ წვიმდა. ცისარტყელას შვიდღერი რკალი ახლა უფრო მკრთალად ჩანდა. სტადიონის ეზოდან შუაქარით გამოვედით.

— კმაყოფილი ხარ, სინარა?

— რაზე მეკითხები?

— რაზე უნდა გეკითხებოდე?

— ყოველ შემთხვევაში თამაშით არა, მაგრამ კმაყოფილი ვარ ამ ზღვა ხალხის, მწვანე მინდვრის და აი, ამ ხეივნის ხილვითაც! ხედავ, რა უცნაურად მიგრეხილ-მოგრეხილი ხეები ჩამწკრივებულან სტადიონის წინ, თითქოს ესენიც ბურთს თამაშობდნენ და უეცრად გაშეშებულანო!

— მე კი სულ სხვა რამით ვარ კმაყოფილი.

— რით? — იკითხა სინარამ და ეშმაკურად გადმომხედა. შევატყვე, რომ ნახევრად მაინც მიმიხვდა, რასაც ვფიქრობდი.

— იმით, რომ არ გამაწბილე და წამომყევი!

სინარას თავი დაეხარა, მისი სახე რაღაც იღუმალ ღიმისს გაენათებია. ჰკერდზე შემოჭდობილი ხელებით წიგნები მკერდში ჩაეკრა და დინჯი, თანაბარი ნაბიჯით მომყვებოდა მხარდამხარ. მე კი ვეჭურჩულებოდი, მხოლოდ მის გასაგონად ვლაპარაკობდი:

— მე რომ გკითხე, სინარა, თუ წამოხვალ-მეთქი, გულმა ისე დამიწყო ძგერა, რომ მუხლში ღონეც კი წამერთვა. ვინ იცის, როგორ გამიგებს ამას და ვითუ დღეიდან სამუდამოდ დავკარგო ეს უწყინარი გოგონა-მეთქი! მაგრამ მოხდა სასწაულო...

— სასწაული! — ისე გაიმეორა ეს ბოლო სიტყვა და ისე გაიცინა სინარამ, არ შეიძლებოდა იმ წუთში ეს ერთი შეხედვით ჩვეულებრივი და უფერული გოგონა ყველა ლამაზებზე მეტად არ მოგწონებოდათ. მაგრამ მე იმ წუთს როგორღაც უფრო მეტი დავინახე მასში, ვიდრე ამას ორი წლის განმავლობაში ვახერხებდი. სინარა უცებ მომეჩვენა მიწვანებულ ნაკვერჩხლად, რომელსაც საკმარისია ერთი სული შეუბერო, რომ გამოანათოს! განსაკუთრებით გამოაცა სინარას თვალებმა. ახლა ისე ულამაზო აღარ მეჩვენა მისი გამხდარი და მზით გარუჯული მოყავისფრო სახეც, სიგამხდრისაგან მკაფიოდ გამოკვეთილი ღაწვის თავები და ზომიერად ბრტყელი ნიკაბიც. როდესაც ჩემსკენ მოიხედა და გაიღიმა, მაშინლა დავაკვირდი მის ზომაზედ გრძელ, მაგრამ საშუალო სისქის ტურნებს, მჭიდრო და თეთრი კბილების მწკრივს.

— მიკვირს ხოლმე, ადამიანებს უთქმელად რატომ არ უნდა ესმოდეთ ერთმანეთის, — ვთქვი მე.

სინარამ შემომხედა, მაგრამ არაფერი სთქვა.

— სინარა, რაც არ უნდა სთქვა, რაც არ უნდა გაიფიქრო, მე მაინც მაღლობელი ვარ, ჩემი ერთი შეხედვით თავხედულად

ლალო ავალიანი
როცა მზე პირს იბანდა

რი წინადადება რომ არ გუუცხოვა და...
სინარამ კვლავ შემომხედა და სიტყვა
გამაწყვეტინა:

— იცი, რატომ? მე გუშინ შენზე უფრო მეწყინა, როცა გოგონებმა ისე აბუჩად აიგდეს შენი გულუბრყვილო წინადადება, ერთმანეთის წინაშე თავი არ დაიმცირეს. რა არ მოიგონეს, რა სიცრუე არ მოჩმახეს, რომ შენთვის თეატრში წამოყოლაზე უარი ეთქვათ. მე არ მიყვარს კულდაზიკა კეკლუცები. ხომ არ იფიქრე, თავის რეპუტაციას შეგნებულად უფრთხილდებიანო? ფარულად იქნებ შენზე ათჯერ უარესსაც გაუყადრონ თავი, მაგრამ საზოგადოებაში შენთან ახლოს გავლაც კი „ვითომ“ ეთაკილებათ. მაპატიე, ჯონდო, ჩემს „ამპარტავან“ კოლეგებზე ზურგს უკან, ისიც ვაუთან, ასეთ რამეს რომ ვლაპარაკობ, მაგრამ განა ჩემზე ნაკლებად იცნობ იმათ? თუ რამეში ვცდები, მითხარი. ძალიან მომეწონა, ბილეთები რომ დახეი და თვალეში შეაყარე!.. რა ცული იქნებოდა, დოდოს რჩევას რომ აპყოლოდი და ჩემთვის გეკითხა, თეატრში წამომყვები თუ არაო. მე ახლაც არ ვიცი, რას გეტყვადი, მაგრამ ალბათ ძალიან გამიჭირდებოდა რამე ჭკვიანური პასუხის სახელდახელოდ გამოძებნა. საამისოდ სრულებით არ ვიყავი მომზადებული. ვავიგონე თუ არა, რაც დოდომ სთქვა, გული ცუდად შემექნა, სულგანაბული ველოდი, რას მოიმოქმედდებდი. იცი, ეს რას ნიშნავდა, მათი რჩევა რომ არ გაიზიარე და მათზე მალლა მდგომი, უცბად დაბლა რომ არ ჩამოვარდი? დაცინვა მაშინ უნდა გენახა, იმათი უარით გაწბილებულს, ჩემს წინაშე რომ წამოგეჩოქა. მაგრამ კარგია, ასე რომ არ მოხდა. შენ იმათ თვალში ამაყი და გაბედული დარჩი. ამის შემდეგ მაინც მიხვდებიან, ვისთან აქვთ საქმე. ეცოდინებთ, რომ შენთან ხუმრობა არ შეიძლება, თუმცა სულ ეხუმრებოდი, აცინებდი და ართობდი, ჰოდა, ჯერ კიდევ გუშინ — რომ ეგონათ ღირსი არ ვიყავი, ჩემთვისაც გეკითხა, წამოგყვებოდი თუ არა თეატრში, ახლა, თუ დამერთმა ქნა და ერთად დაგვიანახეს, ვე-

რასგვით ვერ მიხვდებიან, რა მოხდა ამ ერთ დღეში.

მე მხოლოდ მაშინ გამოვერკვინე, როგორ დესაც სინარა გაჩუმდა. აქამდე მისი ხმა, მისი ჩურჩული მუსიკასავით ჩამესმოდა, სინარას ერთხელ კიდევ გამომწვევად, მოუტირდებლად დავაკვირდი. მან ეს არ იუცხოვა.

— ჯონდო, თქვენ საით?

ასეთ კითხვას არ მოველოდი. მეგონა, ერთ-ორ საათს კიდევ ერთად ვიჩეტილებდით პროსპექტზე, წიგნის მაღაზიებში შევივლიდით, ან ვაკის პარკს ვეწვეოდით.

— თქვენ კი საით? — კითხვითვე ვუპასუხე სინარას, თანაც გამიკვირდა — ამდენ ხანს სულ „შენობით“ ველაპარაკებოდი და ახლა „თქვენობით“ რატომ მივმართე-მეთქი. მაგრამ ამის მიზეზი ძნელი მისახვედრი აღარ იყო. ამ ორიოდე საათში სინარას უფრო მეტად დავუახლოვდი და ახლა უფრო მეტად ვცემდი პატივს, უფრო მომწონდა იგი.

— წელან რომ ამხანაგს ვერ დავურეკე, ახლა ხომ მაინც უნდა გავაგებინო ჩემი ამბავი.

— თქვენი ამხანაგი აქვთ სადმე ახლოს ცხოვრობს?

— ყოველ შემთხვევაში არც ისე შორს. აგერ, ამ ქუჩას ავივლი, მერე რკინიგზის ხილზე გადავალ და იქიდან სულ რაღაც ათიოდე ნაბიჯზეა მისი სახლი.

— ქალია?

— რასაკვირველია!

— რატომ, ხომ შეიძლება ვაჟი იყოს?

— მე ვაყებთან შინ არ დავდივარ.

— ეგ არც მიფიქრია, მაგრამ ხომ შეიძლება, ვაჟსაც მეგობრობდე.

— შინ როგორ ფიქრობ?

— მე მგონია, შეიძლება.

— სხვაგვარად არც უნდა ფიქრობდე.

— რატომ, სინარა?

— ალბათ იმიტომ, რომ შენთვის მართლაც ასეთი ხელსაყრელი.

— ესე იგი, ჩვენ, ვაჟები, სანდონი არა ვართ?

ჩემს კითხვაზე პასუხი არ გაუცია. ჩანს,



სინარა ზედმეტად სთვლიდა ამ საკითხზე კამათს.

— თავი ჩავლუნე, ხმა აღარ ამომიღია.

— რატომ მოიწყინე, ჯონდო?

— სულაც არ მომიწყენია, სინარა. უბრალოდ, დავფიქრდი.

— დასაფიქრებელი ბევრი რამაა, თუ დაფიქრების დრო ან საშუალება გაქვს.

— სამაგისო დრო, მე მგონია, შენ სხვაზე მეტი გაქვს. თუ არადა, სამსახურში სულ დაფიქრებული არა ხარ? არ მახსოვს, სხვების ლაპარაკში ჩარეულიყავი.

— როგორ უნდა ჩავერიო? ვაყები მარტო ფეხბურთზე კამათობენ, ქალები — მარტო ჩაცმაზე. ნუთუ ბურთისა და კაბის მეტი ამქვეყნად საყურადღებო აღარაფერია! მეც იძულებული ვარ, თავი ჩავლუნო და მინდა თუ არ მინდა, ვუსმინო.

— დიდი მოთმინება გქონია.

— რას იზამ, კიდევ ორი თვე და უმაღლესში შესასვლელად სტაჟი დამიგროვდება. სამი თვის მერე კი გამოცდები იწყება!

— გამოცდები?

— აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე მინდა ჩავირიცხო.

— რომელი ენა გაინტერესებს?

— არაბული. ახლა კი ნახვამდის, ჯონდო! ძალიანაც რომ არ გინდოდეს, ხვალ დილით სამსახურში მიინც შევხედვებით ერთმანეთს!

— მოუთმენლად გელი, სინარა!

— ძლივს არ იხუმრე! — უეცრად მომიჭრა სიტყვა, გაიცინა, ხელი კეკლუცად დამიჭინა და წავიდა. ასე უღმობლად გაუსწორდა ის ჩემს გულუბრყვილო და გულწრფელ წამოძახილს.

სადაც სინარა ერთი წუთის წინ დამემშვიდობა, იმ ადგილს ველარ ვცილდებოდი. მას მერეც, ის რომ თვალს მიეფარა, კარგა ხანს ვიდექი და ვფიქრობდი: „გამომშრალი“ და „გამოფიტული“ რომ მეგონა, თურმე სწორედ ის ყოფილა ყველაზე შინაარსიანი. რა ვუთხრა ადამიანების თვალს, ყურს და ჭკუას! რად გინდა თვალი, თუ ვერაფერს დაინახავ, რად გინდა ყური, თუ ვერაფერს გაიგონებ, რად გინდა ჭკუა, თუ ვერაფერს მი-

ხედები! ასეთი გოგო ყველას ათვალწუნებული ჰყავს. ჩვენს განყოფილებაში რვა ქალიშვილია, მაგრამ გათხოვებაზე სიტყვა რომ ჩამოვარდება, მხოლოდ შვილზეა ლაპარაკი, სინარას კი არაფრად აგდებენ: არც გოგოდ თვლიან, არც გასათხოვრად. მაგრამ რა მოხდა ამ ორიოდე საათში, მე თვითონ მიკვირს. — ახლა სინარა ლამაზი მეჩვენება, ისინი კი ულამაზონი. თუმცა რა ვასაკვირია, სინარასათვის თვალეში აქამდე ერთხელაც არ ჩამიხედნია, ერთხელაც არ გამოვლაპარაკებია. ჩვენი „საუბარი“ „გამარჯობა-გაგიმარჯოთი“ ამოიწურებოდა. ვნახოთ, რა შემრჩება ხვალ დილამდე ჩემი დღევანდელი შთაბეჭდილებებიდან.

ორშაბათ დილით მე და სინარამ სამსახურში მისვლა ყველას დავასწარი. დამინახა თუ არა, იმის მაგივრად, მომსალმებოდა, სიცილით და მრავალმნიშვნელოვნად მკითხა:

— კიდევ გახსოვს, ჯონდო?

— რა?! — ცოტა არ იყოს, გაკვირვებით ვკითხე.

— როცა მზე პირს იბანდა და ჩვენ გავიმარჯვებ.

— ჩემი დაბადების წელი შეიძლება დამავიწყდეს, ეგ კი — არა!

— დაგიჯერო?

— ჯერჯერობით ასეა, მარტო ჩემს სიტყვას უნდა ენდო, საქმე მერე იყოს.

— სიტყვა მინც სიტყვაა, საქმე კი — სხვა!

— თუ კაცი უპიროა, მისი არც სიტყვა უქნია ღმერთს, არც საქმე!

— მე მგონია, ამ საკითხზე კაცი მაშინ უნდა შეუდგეს მსჯელობას, როცა საქმე დადღის.

სინარას ამ შენიშვნამ უმალ ბოლო მოუღო ჩვენს საუბარს. სულ ერთია, ლაპარაკს ჯგროდ შემოსული თანამშრომლები შეგვაწყვეტინებდნენ. ის იყო, ყველამ თავისი ადგილი მონახა, რომ ზარიც დაირეკა. შესვენებამდე სინარასათვის ხმა აღარ გამოიცია. წინააღ-

ლად ავალიანი
როცა მზე პირს იბანდა

მდეგ ჩემი ჩვეულებისა, აღარც სხვებისათვის მიპასუხნია რამე, როცა ჩემი გამოწვევა სცადეს. მზიამ მკითხა, გუშინ წინ პრემიერაზე მაინც წახვედი თუ არაო. მე ხმა არ გავეცი. ლეილამ ჩემს მაგივრად უპასუხა:

— ხომ ხელავ, ბიჭი ნაწყენია, გუშინ წინ კარგად ვერ მოვექეციით ჯონდოს.

რა თქმა უნდა, ეს არ იყო გულწრფელი აღიარება და სინანული.

შესვენებაზე ყველანი გაიკრიფნენ. ზოგი დაწესებულების შენობის წინ ბოლთის ცემით „კლავდა“ ამ ერთ საათს, ზოგი დერეფანში, ზოგი სამკითხველოში, ზოგიც სასაუზმეში. მეზობელი განყოფილების თანამშრომელმა, ჩემსავით ფეხბურთის გიჟმა თამაზმა მეც ჩამომიარა, წავიდეთ, ვისაუზმოთო, მაგრამ მე „თავსაყრელი“ საქმე მოვიმიზეზე და როგორც იყო, სინარასთან მარტო დავრჩი. სინარასი არ ვიცი, მე კი ძალიან მინდოდა მასთან შესაუბრა, მაგრამ მოულოდნელად დავმუხჯდი, — ენა აღარ მემორჩილებოდა. არ ვიცოდი, რა მეთქვა, რით დამერღვია დღემილი. სინარამ ქაღალდები განზე გადასდო, შემდეგ უჯრა ნახევრად გამოსწია და „სუფრა“ შიგვე გააწყო. პერგამენტის ქაღალდი გაშალა, ზედ შებოლილი შაშხის მოზრდილი ნაჭერი, ორი მაგრად მოხარშული კვერცხი, პური, ორი ვაშლი და კანფეტი დააწყო.

ეს რომ დავინახე, წამოვდექი.

— ჯონდო?! — გაკვირვებით შემომხედა სინარამ.

— მე წავალ, ხელს არ შეგიშლი, ისაუზმე.

— დაჯექი!

— სინარა, ამხანაგებმა რომ შემოგვისწორნ, სიცილს დაგვაყრიან.

— რამდენიც უნდათ, იცინონ.

— როგორც გინდა, — ვთქვი და ცოტა არ იყოს, გამიჭირდა დარჩენაც და დაჯდომაც, მაგრამ საკმარისი იყო, სინარას კიდევ ერთხელ შემოეხედნა ჩემთვის, რომ ბედს უსიტყვოდ დავმორჩილებოდი.

— დანა გაქვს? — მკითხა სინარამ.

— ფანქრის გასათლელი.

— მომეცი.

ნეკის სიგრძე დანა გავხსენი და სინარამ რას გაუწოდებ. სინარამ დანა პურის ტახტით გულმოდგინედ გაწმინდა, მერე პური და შაშხი რაც შეიძლებოდა თანაბრად გაჭრა და ერთი ნაჭერი გამომიწოდა.

— რამდენი რამე წამოგიღია! სხვადროსაც ასე საუზმობდი?

— მამაჩემი სულ ამას მეხვეწებოდა, მაგრამ დღეს პირველად დავუჯერე. როცა საუზმეს ქაღალდში ვხვდები, უცაბედლად მამას შევხედე. ვერ წარმოიდგენ, რა გაცეცხლებული და გახარებული იყო. წამოსასვლელად გამზადებული, კართან შემაჩერა, თავი ორივე ხელით დამიჭირა, თმაზე მაკოცა და მითხრა, — ამქვეყნად გამგონე შვილზე უკეთესი არავინ არისო. მე გავიღიმე, შევხედე და ერთბაშად სახტად დავრჩი: მის თვალზე ცრემლი დავინახე. გული ბავშვივით ამიჩუყდა, მამას ლოყაზე ვაკოცე და გამოვიქეცი. რა უმართებულოდაც არ უნდა მსჯელობდნენ მშობლები, მაინც ძნელია წინააღმდეგობის გაწევა, რადგან ასეთ რამეს ძალზე მტკივნეულად განიცდიან. თითქმის ყოველ მშობელს სიბერეში ავიწყდება, რომ თავის დროზე მათაც ბევრი რამ არ სჯეროდათ თავიანთი მშობლებისა.

— მამა რას აკეთებს, სინარა?

— ფიზიკის მასწავლებელია საშუალო სკოლაში.

— დედა?

— დედა არ მახსოვს, სამი წლისაც არ ვყოფილვარ, როცა გარდაცვლილა.

— მამა გზრდიდა?

— არა, მამიდა.

— კარგი მამიდა ვყოლია.

— ძმის სიყვარულით თავი არ დამბნება. ჩემზე მხოლოდ ათი წლით უფროსია. თორმეტი წლისა ვიყავი, როცა გათხოვდა. სოფელში ცხოვრობს.

— ნახულობ?

— იშვიათად.

— მერე?

— მერე, რა?

— არა სწყინს?

— რომ იცოდე, რა ქალია! ხელმოკ-



ლედ ცხოვრობს, მაგრამ არა თუ სამღუ-
რავი, ნათესავებისადმი საყვედურიც კი
ერთხელ არ გამოვიონია მისგან. იცის, ეს
მინც არაფერს შველის. მართალია, სა-
შუალოც არა აქვს დამთავრებული, მაგ-
რამ საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ფილო-
სოფოსებსაც კი შეერკინება. თუმცა ბევ-
რი შრომა და ჯაფა უწევს, მინც გასა-
ოცრად ქალურია.

კარი ერთბაშად გაიღო და თანამშ-
რომლები ჯგროდ შემოვიდნენ ოთახში.
როგორც მოსალოდნელი იყო, ჩვენი
მარტო ყოფნა ფარულად შეიცხადეს;
დაიწყეს ჩურჩული, ერთმანეთში გადა-
ლაპარაკება და ბოლოს ისევ ის გამაბია-
ბრუებელი, „თავდაჭერილი“ სიცილი გა-
ისმა.

მე სინარას გადავხედე. მზად ვიყავი,
ასე ვთქვათ, „ამერია“, მაგრამ ამ დროს
სინარამაც შემომხედა. ამ ერთმა გამო-
ხედვამ უცბად დამაწყნარა და შემონთე-
ბული გულისწყრომაც გამინელა. ჩემს
მაგიდას მივუჯექი. არასოდეს ასე სე-
რიოზულად არ შევედგომივარ საქმეს.
დროდადრო მალულად ვიხედებოდი
ხოლმე სინარასკენაც. მე და სინარას
თავშეკავებამ საოცარი ნაყოფი გამოი-
ღო, თითქოს ლაზღანდარობისათვის აღა-
რავის სცალიაო, ყველა თავჩაღუნული
მუშაობდა. ათასში ერთხელ თუ გამოე-
ლაპარაკებოდნენ ერთმანეთს და ისიც
ჩურჩულით, ისიც მხოლოდ საქმეზე. ვე-
ღარ გაიგონებდით — „ეგ საკაბე სად
იყიდე?“ „ვის შეაკერინე?“ „რა გამო-
გართვა?“ „დიდხანს ვალოდინა?“

სინარა საქმეს მორჩა. უჯრა გამოაღო
და როგორც სჩვეოდა, უჯრაშივე გადა-
შლილი წიგნის „ფარულად“ კითხვას შე-
უდგა. მე სინარას საშუელი ვთხოვე და
თვითონ რომ არ შეწუხებულყო, უმალ
მასთან გაეჩნდი. საშუელი რომ გამო-
ვართვი, ცალი თვალი უჯრისაკენ გავა-
პარე. შრიფტი რუსულს ჰგავდა, მაგრამ
ტექსტი მინც ვერ გავარჩიე. ვერ მოვი-
თინე, ცნობისმოყვარეობამ მძლია და
ჩურჩულით ვკითხე:

— რას კითხულობ, სინარა?

სინარას არ შემოუხედნია, ისე შეაბ-
რუნა წიგნი; ყდაზე გვარი ვერ გავარჩიე,

მაგრამ მსხვილად ნაწერი სათაური კი
ასო-ასო ამოვიკითხე: „T-E-R-R-E
D-E-S H-O-M-M-E-S“. სინარამ შე-
მატყო, რომ ბევრი ვერაფერი გავიგე და
ისე; თითქოს სხვათაშორის განმარტა:

— ეჭიუტებრია. არ წავიკითხავს?

— არა. რა ენაზეა?

— ეს დედანია, ფრანგული. რუსულა-
დაც თარგმნილია, თუ გინდა, გიშოვნი.

— თუ ძნელი არ იქნება! ალბათ ღირს
წკითხვა, თორემ დროს არ დაკარგავდი.

— აი, უსმინე, ჯონდო, რას წერს ეკ-
ზიუტერი: გამოცდილება გვარწმუნებს,
რომ სიყვარული ის კი არ არის, ერთმა-
ნეთს ვუცქერდეთ, არამედ ის, რომ ერთი
მიმართულებით ვიციქირებოდეთო.

— საინტერესო უნდა იყოს...

სანამ სიტყვას დავასრულებდი, მეც და
სინარასაც მოგვესმა ხმადაბლა, მაგრამ
საკმაოდ მკაფიოდ ნათქვამი:

— რაო, რას ვკითხულობო? — ჰკი-
თხა დოდომ მზიას. მზიამაც ჩურჩულით-
ვე უპასუხა:

— რა ვიცი, რაღაც მოდური სასიყვა-
რულო აბღაუბდა იქნება.

— ვინც ცხოვრებაში ვერ პოულობს,
ის წიგნებში ეძებს სასიძოს! — შენიშნა
დოდომ.

მეწყინა, მაგრამ ხმა არ გამიღია. სინა-
რას წყალობით, როგორც იყო დავეუფ-
ლე თავშეკავების ხელოვნებას.

მე და სინარა აშკარად ვხედავდით,
რომ ჩვენი განყოფილების თანამშრო-
მელთა გაოცებას საზღვარი არა ჰქონ-
და. ვისაც ამ ორი წლის განმავლობაში
ხეირიანადაც კი არ დავლაპარაკებდით,
ახლა თავბრუსხვევით, გატაცებით ვეჩურჩუ-
ლებოდით და თავს დავტრიალებდით.

ჩემმა ასეთმა მოპყრობამ სინარა თით-
ქოს გამოაფხიზლო. მართალია, ჯერ
ხმას კიდევ არ იღებდა, ისევ ჩუმად და
წყნარად იჯდა, მაგრამ ახლა მასზე სულ
სხვაგვარად მოქმედებდა შენიშვნები,
წამოძახილები თუ ჩვეულებრივი საქმიან-
ი შეკითხვები.

ლადო ავალიანი
როცა მზე პირს იბანდა



მე ისეთი ყურადღებით ვეჭყეოდი სინარას, რომ ეს უკვე არა მარტო აშკარად შესამჩნევი, არამედ გამომწვევიც იყო. ეს ორი დღეა ბოლო აღარ უჩანდა ჩვენს მორიდებულ კილვას და ქირჩილს. რა თქმა უნდა, ყველა მინც იმ აზრისა იყო, რომ მე და სინარას ასე უეცრად დაწყებული მეგობრობა დიდხანს არ გასტანდა.

დოდოს, მზიას, მანანას და ალბათ სხვების აზრითაც შეუძლებელი იყო სერიოზულად მეფიქრა სინარასთან დაახლოებაზე მაშინ, როდესაც ჩემს გარშემო იმდენი ლამაზი გოგონა ტრიალებდა; და თუმცა მათი უმრავლესობა არაფრად მაგდებდა, მაგრამ ალბათ მინც სჯეროდათ, რომ ეს გარემოება ჩემს სულსა და გულს კიდევ უფრო მეტად იზიდავდა მათკენ.

ამხანაგების ყურადღება ზედმეტად რომ არ მიმექცია, დღის ბოლოს სინარას აღარ დაველოდე, არც გამომვმევიდობებოვარ, რამაც ალბათ ცოტა გააკვირვა იგი. დაწესებულებიდან გავედი თუ არა, იქვე ახლოს ავტომატის ჯიხურს მივაშურე; ტელეფონს ორი კაცი ელოდა. მე ამას არ შეუწუხებოვარ. ვიცოდი, სინარა ყველაზე ბოლოს მიდიოდა დაწესებულებიდან. ის ჯერ კიდევ ათ-თხუთმეტ წუთს მოუნდებოდა მაგიდის მიღებას, ხელის დაბანას, თმის ვარცხნას. ხუთიოდე წუთში ჩემმა რიგმაც მოაღწია, დაკრეკე. ყურმილი მართლაც სინარამ აიღო.

- აბა, თუ მიცნობთ, ქალბატონო!
- სინარამ ხმის ამოღებისთანავე მიცნო:
- ჯონდო, საიდან რეკავ?
- მის ხმაში ისმოდა ვაკვირვებაც, დაუფარავი სიხარულიც.
- იცი, სინარა, მანდ ვერაფერი გითხარი, ყველა ისე შემოგვცქერის, არ მინდოდა, ზედმეტად გამეღიზიანებია ზოგიერთი არამკითხე.
- გინდოდა რამე გეთქვა? — იკითხა სინარამ.

სანამ რამეს ვუბასუხებდი, ხმა აღარ ამოუღია, მაგრამ ახლა ისე მეჩვენებოდა, ყურმილში მხოლოდ ჩვეულებრივი შუილი კი არა, სინარას სუნთქვაც მესმისო.

— ამ საღამოს მიდიხარ სადმე?

- რატომ მეკითხები, ჯონდო!
- ისე.
- თუ რამემ ხელი არ შემეშალა, ტერლოოს ხიდი“ მინდა ვნახო.
- რომელი ხიდი?

— „ვატერლოოს ხიდი“. შენ არ მოვწონს ეს კინოსურათი?

- არ მინახავს.
- თუ მოვედი, ხომ კარგი, თუ არადა, შენ უსათუოდ ნახე! ჩემი ხათრისათვის მინც...

— შენი ხათრისათვის დღესაც ვნახავ, ხვალაც, ზეგაც.

უცებ სინარას სიცილი მომესმა. იცინოდა გულიანად, თავდავიწყებით. ლამაზი რაი აღარ გამიგრძელებია. ჯიხურის წინ ბარე ხუთ კაცს მოეყარა თავი. ერთი მათგანი მინც ძალიან ღელავდა. ჯიხურის მინაზე ორჯერ მომიკაკუნა ორკაპიკიანით. სინარას ახლაც არ გამოვმევიდობებოვარ. ყურმილი დავეიდე და მოთმინებადკარგულ კაცს აღმაცერად გადავხედე, მაგრამ არაფერი მითქვამს, ისე, გულმოსულმა ჩავუარე წინ.

ვაკის ბარკში სეანსის დაწყებამდე ორი საათით ადრე მივედი. სინარა არსად ჩანდა. სამაგიეროდ, ნაცნობები ბლომად იყვნენ. ბიჭებმა ერთად ვნახეთ სინარას ნაქები კინოსურათი. ძალიან მომეწონა ვივიენ ლი. მაგრამ სურათის შინაარსმა კი დამაფიქრა. მიკვირდა, რატომ მინცაღამინც ამ სურათის ნახვა მირჩია სინარამ-მეთქი. ის ღამე ძლივს გავათენე. მაინტერესებდა, როგორ შემხვდებოდა სინარა. მაგრამ მეორე დღეს ის სულაც არ მოსულა სამსახურში. ვერაფრით ამეხსნა ეს ამბავი. მთელი დღე თავს ვესაყვედურებოდი, ნეტავი სამსახურის შემდეგ არ დამერეკა და არც კინოში წავსულიყავი-მეთქი. სინარას ბინის მისამართი არ ვიცოდი. რომც შემეტყო, მინც ვერ მივაკითხავდი. საღამოს ისევ კინოსაკენ გავსწიე. დიდი მხარენის ახლოს დავჯექი. რომელი მხრიდანაც არ უნდა გამოჩენილიყო სინარა, მინც დავინახავდი. სეანსის დაწყებამდე ათიოდე წუთიდა იყო დარჩენილი, რომ სინარაც გამოჩნდა. მას ჯერ კიდევ მაშინ მოვკარი თვალი, როდესაც კიბეზე



ჩამოიღოდა. სხვათაშორის, თუ რამეში აშკარად ამქალაქეებს ქალღმობას, უპირველეს ყოვლისა, სიარულში. მარტო სიარულით გამოარჩევთ ათას ქალში: სინარა საშუალოზე ცოტა მაღალი და შესამჩნევად გამხდარია. სიცოცხლეში მობუზული ჩიტივით მხრები მუდამ აწეული აქვს. ამის გამო საკმაოდ მაღალი კისრის ნახევარიც არ უჩანს. მკერდიც ჩავარდნილი აქვს, თითქოს მალავსო. მოახლოებულ სინარას რომ ვაკვირდებოდი, უეცრად დავფიქრდი იმაზე, როგორ ანსხვავებს სიარული ადამიანებს ერთმანეთისაგან. სინარას დანახვამ ბავშვივით გამახარა. ალბათ ამის ბრალი იყო, რომ ადგილიდან აღარ დავძრულვარ, სინარაც დაუფარავი სიხარულით შემომეგება. ხელი გუშინწინდელივით შორიახლოდან კი არ ჩამომართვა, სულ ახლოს მოვიდა ჩემთან. ხელის განთავისუფლება არც უცდია, სანამ მე თვითონ არ მივეცი ამის საბაბი.

— რა მოხდა? გუშინ კინოში არ იყავი, დღეს კი სამსახურშიც არ მოხვედი!

— მამა ავად. ძალიან ფიცხი კაცია. ჯერ გაბრაზდება და მერე თვითონ ეციენება თავის თავზე. ხშირად გული ცუდად უხდება. გუშინ ჯერ სკოლაში უჩხუბნია, შემდეგ მალაზიაში, რას ეტყოდნენ, ჯონდო, თუ იცი?

— მადლობის გარდა, ყველაფერს!

— ჰოდა, ეს „ყველაფერი“ ხომ არის სავარაუდებელი? მამაჩემი კი ამითაც არ დაკმაყოფილებულა და ტროლეიბუსშიაც ვაფიცებულა. შეხვალ ტროლეიბუსში და ეს გვირბივით ხუხულა პაპიროსის ბოლით დაგვხდება სავსეო. თურმე მამაჩემს კონდუქტორი გაულანძღავს, რატომ აძლევ ხალხს პაპიროსის მოწვევის ნებასო. კონდუქტორს კი — მამაჩემი, მოგცლია ვილაცა ხარო. მოდი ახლა და, ელაპარაკე. მამა შინ მოვიდა და მითხრა, რაიონის ექიმს მაინც დაუძახეო. გამეციენა. დღეს უკვე გვიან არის ექიმის გამოძახება-მეთქი; მეზობლის ტელეფონით ისევ ამხანაგის მამას დაუურევე. ოც წუთში მოვიდა, გასინჯა, წამალიც გამოუწერა, სასტიკადაც ვაფრთხილა — შენი წამალი წყნარად, მოსვენებით ყოფ-

ნაო, მაგრამ ვერაფერი შეასმინა. მამაჩემს სიცილადაც არ ეყო ექიმის დარიგება. — შე დალოცვილო, ნერვები ცხინის სათავე ხომ არ არის, ხან მოვზიდო, ხან მივუშვაო. ჰოდა, ჯონდო, მეორედღე მამა წევს. ახლა ცოტა უკეთაა, მაგრამ ადგომის ნებას მაინც არ ვაძლევ. ჯონდო, მამატიე, კინოში ვერ შემოგყვები, თუმცა ისე მინდა ვივიენ ლის ნახვა, ისე, ისე!..

სინარამ ამ სიტყვებზე მაჯაში ჩამავლო თითები. მისი ხელი ძალზე ცხელი მეჩვენა, მეგონა, მაჯას დამწვავდა. ერთი წუთი ასე ვიდექით და ვდუმდით.

— მაშინ სახლამდე მაინც მიგაცილებს! „ვატერლოოს ზიდი“ დღეს თუ არა, ზვალ, ზეგ, თუნდაც მახევე ვნახოთ.


სინარამ როგორც იყო გამიშვა ხელი. ორივენი გასასვლელისაკენ გავეშურეთ. ნელა ავიარეთ მაღალი კიბის საფეხურები. კიბის თავზე სინარა ისევ ბალისაკენ შემობრუნდა. მეც გადმომხედა.

— ლამაზია, არა? უზარმაზარი შადრევნის თეთრი სვეტი, ურიცხვი ლამპიონები, ხალხით სავსე მოედანი, ხეივანები და მთის სილუეტი.

გზა განვაგრძეთ. არ გამიგია, როგორ მივალწვიეთ სინარას სახლამდე. ორიოდ კილომეტრი ფეხით შეუძმნევლად გავიარეთ. ბევრი არ გვილაპარაკნია. უფრო ვდუმდით, მაგრამ რაც თავი მახსოვს, ეს იყო ყველაზე სასიამოვნო დღე. მე სინარაზე ვფიქრობდი, ის კი ალბათ ჩემზე. განსაკუთრებით სასიამოვნო ყოფილა. როდესაც გვერდით გახლავს ის, ვისხედაც ფიქრობ. მაგრამ ახლა მე თვითონ მივირს, რატომ ვაქცევ ყურადღებას ასეთ წვრილმანს. ადრე კი მთელი დღე ისე გავიდოდა, ფიქრი რა იყო, არ ვიცოდი. ყველაფერს ინერციით ვაკეთებდი. არასოდეს არ დამიწყია განსჯა. ახლა კი სულ რამდენიმე დღეში სასწაულებრივად გარდავიქმენი. და ამის მიზეზი იყო სინარა, მხოლოდ მან შემაძლევინა, დამენახა და შემეცნო ჩემი თავი.

მამის ავადმყოფობის, თუ სხვა მიზე-

ლადო ავალიანი
 როცა მზე პირს იბანდა



ზით მე და სინარა ეს ორი კვირაა, გარდა სამსახურისა, არსად შევხვედრივართ ერთმანეთს. რამდენადაც შესაძლებელი იყო, დავანებე თავი ფეხბურთზე გაუთავებელ ფიქრს. სინარას რჩევით, შევიძინე რამდენიმე წიგნი. წიგნისათვის ერთი-ორი საათით გულის დადება ჯერ კიდევ მიჭირს, მაგრამ მგონია, ამას როგორმე დაძლიებ. ახლა მიკვირს რა უსარგებლოდ ვფლანგავდი და ვანიავებდი დღეებს, თვეებსა და წლებსაც.

დღეს დაწესებულებაში დილიდანვე დაიწყო უჩვეულო ფუსფუსი და ჩურჩული. გამოირკვა, რომ ორი კვირის შემდეგ ჩვენს დედაქალაქს უცხოური თეატრის დასი უნდა სწევოდა. ბილეთების მსურველთა სია დაწესებულებაში ჩუმად უკვე შეედგინათ. შესვენების დროს ეს ამბავი სინარას ვუთხარი. მასაც გული დაწყდა და ეწყინა, რომ ასეთი რამ გამოგვაპარეს; არც ერთმა თანამშრომელმა ამის შესახებ კრინტიც არ დასძრა. სინარამ განყოფილების უფროსს სთხოვა, თუ შეიძლება ბილეთების სიაში ნუ გამოგვტრეკებთო. უფროსი შეპირდა, მაგრამ ეტყობოდა, ეს არ იყო საიმედო დაპირება. ჩვენს დაწესებულებას ყოველსაპექტაკლზე ორმოცდაათი ბილეთის მოთხოვნილება წარედგინა. თეატრმა კი მხოლოდ ოც-ოცი ბილეთი მოგვცა. ბილეთის შოვნის იმედი, რა თქმა უნდა, დავკარგე. მაგრამ გამაჰკვირვა სინარას ქცევამ. ის ამ ამბავს ოდნავადაც არ აუღელვებია. პირიქით, ცდილობდა კიდევ იმათზე უფრო მზიარულადაც დაეჭირა თავი, ვინც დარწმუნებული იყო, ბილეთი მერგებო. ასეთი კი ჩვენი განყოფილების თანამშრომელთაგან მხოლოდ ორი იყო. მე რომ ხელი ჩავიჭინე, სინარას თურმე მკლავები მაშინ დაუქარწახებია. ერთი კვირა ისე გავიდა, ბილეთსა და თეატრზე კრინტიც არ დაუძრავს. და ერთხელ, სამუშაოს დამთავრების შემდეგ სინარას გვერდით რომ ჩავუარე, შემომხედა, უჯრა გამოსწია და თვალით მანიშნა, ნახე რა მაქვსო: გადაშლილ წიგნში ორი ბილეთი იდო.

— როგორ იშოვნე?!—ხმადაბლა შევძახე და ღია უჯრისაკენ კიდევ უფრო

დავიხარე, — პირველი რიგია? ასე ახლოს რატომ აიღე, სინარა?

— იმიტომ რომ, უკეთესად დამეგონებო!

დღეს პირველად გამოამქლავნა სინარამ ქალური ამპარტავნობა. ვიცოდით, თეატრში მეთორმეტე რიგზე ახლოს ბილეთს არ ყიდულობდა. მაგრამ ახლა სინარასათვის თეატრში წასვლას, გარდასპექტაკლისა და უცხოელი მსახიობების ნახვისა, სხვა მნიშვნელობაც ჰქონდა.

— ჯონდო, შენ, მგონია, მართლა დაიჯერე; რაც გითხარი! — დაუმატა ნათქვამს სინარამ. — ძალიანაც რომ მღომებოდა, ვინ ამარჩევინებდა?

— მეც გამიკვირდა, — მივუგე ცოტა ყოყმანით.

ახლა ის უფრო მიკვირდა, რომ ბილეთები ასეთ კრიტიკულ მომენტში იშოვნა. არ ვიცი, რომელს აღმოაჩნდა გავლენიანი ნაცნობი — სინარას თუ მამამისს. ერთი კია, რაღაც საოცრად გამართლდა შორეულ წარსულში შეთხზული ანდაზა, ქალმა თუ გაიწია, ცხრა უღელნი ხარ-კამეჩიც ვერ დააკავებდსო...

— რა აუცილებელია, თეატრში ერთად რომ მივიდეთ, არა, ჯონდო?

— როგორც გინდა, მე ერთად მისვლისაც არ მეშინია!

სინარამ შემომხედა, მერე თვალები მოჭუტა და გამიცინა.

— ცოტა ნაადრევად ხომ არ გათამამებულხარ?

— არ მესმის...

— ყველაფერი კარგად გეხმის! იმათზე უკეთესად, ვისაც შენი და ჩემი, ასე ვთქვათ, დამეგობრება არაფრად ეპიტნავებათ!

— ჩვენს დროში „არამკითხვების“ აზრს ნაკლებად უწყევენ ანგარიშს. ვისი რა საქმეა, სად, ვისთან და რა დროს გავივლი?

სიტყვა დამთავრებული არ მქონდა, რომ სინარამ კვლავ შემომხედა, მერე დინჯად, გაბმით და დაცინვით სთქვა:

— აი, მესმის ვაჟ-კაცი!

სინარას უთუოდ აქვს ღუმორის ნიჭი. როცა ეს ვუთხარი, იცით, რა მიპასუხა?

— შენც არ გიყვარს, ჯონდო, ისე-

თები, პირდაპირი მნიშვნელობით და პედანტური სერიოზულობით რომ აღიქვამენ სხვის ნათქვამს? მეც იგავურად მოლაპარაკე მიჩვენია.

— რატომ, სინარა?

— იმიტომ რომ, იგავურად მოლაპარაკე არასოდეს პრიმიტიულად არ აზროვნებს. იგი არ ჰგავს გალაზნანდარავებულ ხუმარას და მოსწრებული სიტყვის ჯამბაზს, რომელსაც მარტო ის მიზანი აქვს, რომ სიცილის საღერღელი ავიშალოს. თუ დაკვირვებისარ, ვინც თავს დებს მოსწრებულ სიტყვაზე, არასოდეს ჰკუთით არ გამოიჩინება. ვერც რუსთაველს, ვერც შექსპირს ვერ უპოვნი იაფფასიან და მხოლოდ გასაციინებლად შეთხზულ სტრიქონს.

სინარას მუნჯივით და რალაც შიშითაც კი ვუსმენდი. სულ იმას ვცდილობდი, უცაბედად პირი არ გამეღო და ისეთი რამ არ წამომცდენოდა, რომ სინარას თვალში ფასი დამკარგოდა.

— დღეს რა დღეა, ჯონდო?

— პარასკევი.

— ხვალ შეიძლება სამსახურში ვერ მოვიდე. ზეგ კი თეატრში შეგვდებია.

— ხვალ რატომ ვერ მოხვალ, მამა ისევე ავადაა, თუ...

სინარამ ჩემს კითხვას წაუყრაუა.

— წადი, ჯონდო, თორემ ცოცხის ხმაზე ვატყობ, დამლაგებელი უკვე ჩვენს განყოფილებას უახლოვდება. — სიცილით მითხრა, საფულედან პატარა სარკე ამოიღო, წიგნის ყდაზე მიაყუდა და თმის ვარცხნას შეუდგა.

უსიტყვოდ, ხელის დაქნევით გამოვემშვიდობე და დერეფანში გავედი. მეზობელ ოთახს რომ ჩავუბრუნე, ღია კარში თვალი მოგკარი დამლაგებელს: ნავთში დასველებული ნაჭრით იატაკს სწმენდა.

გუშინ, შაბათს, სინარა მართლაც არ გამოჩენილა სამსახურში. თუ აქამდე ყურადღებასაც არ ვაქცევდი მოვიდოდა თუ არა, ახლა პირიქით. შაბათი ძლივს დავალამე. გათენდა კვირაც. ამ დღეს მოუთმენლად ველოდი. სადამოს თეატრში სინარას უნდა შეგხვედროდი, ეს ახლა ჩემთვის ყველაფერი იყო.

სხვათაშორის, ყოველთვის მიკვირდა, რომ თეატრში ადამიანი რალაც სხვაგვარი ჩანს: უფრო ფერმკრთალიც და უფრო მიმზიდველიც, იქნებ ეს განათების ბრალია, მთვარის შუქივით რომ ეფინება იქაურობას, ან იმის, შეძლებისდაგვარად ყველა რომ გაკობტავებული, უფრო თავშეკავებული და ზომიერ მეტად თავაზიანია.

სპექტაკლი რვის ნახევარზე იწყებოდა, მაგრამ მე შვიდზე უკვე თეატრში ვიყავი. რვის ოცდახუთ წუთამდე თეატრის ფოიე თითქმის უკაცრიელი იყო; მერე კი ხალხი ერთბაშად მოაწყდა შემოსასვლელს. კონტროლიორები ბილეთის მოხვევას ძლივს ასწრებდნენ. ასეთი ალიაქოთი თეატრის წინ იშვიათად თუ იმართება. მოვიდნენ ჩვენი დაწესებულების თანამშრომლებიც. როგორც ხდება ხოლმე, ბილეთი ყველას ეშოვნა. მე ახლა მარტო ის მაკვირვებდა, რომ ამდენ ხანს სინარა არსად ჩანდა. როცა მისი მოსვლის იმედი თითქმის დავკარგე, ჩემს ადგილზე, პირველ რიგში დავჯექი. თან სულ იმისი შიში მქონდა, სინარას სკამზე დაჯდომა ისეთ ვინმეს არ მოეწადინებინა, რომ თქმა ვერ გამეხდებოდა, დაკავებულია-მეთქი. საბედნიეროდ, ასეთი ჯერჯერობით არავინ ჩანდა. სპექტაკლის დაწყებას აგვიანებდნენ. დანიშნულ დროს უკვე რამდენიმე წუთი გადააცილეს. მოულოდნელად არც ვაცით, არც ვაცხელე, ზეზე წამოვიჭერი და გვერდის კარით დერეფანში გავედი, იქიდან კი ფოიეში ამოვყავი თავი. ქვემოდან კიბეზე ვილაც დავვიანებული მაყურებელი მოისწრაფოდა, სინამდვილეში მკაფიოდ ისმოდა წვრილი ქუსლების კაკუნის ცემენტის საფეხურებზე. თვალში მომხვდა მისი მუქი ყანგისფერი, მოდურად დაყენებული თმა და ტანზე მოხდენილად მოყვანილი თეთრი გიპაურის კაბა. არ დავკვირებვივარ, რადგან მე ახლა სხვისი ჯავრი არა-მქონდა. კიოსკს მივაშურე. სადამოს გაზეთებს რომ ვყიდულობდი, ვილაცამ მკლავეზე ხელი მომჭი-

ლადო ავალიანი

როცა მზე პირს იბანდა

და. მოვიხედე, ჩემს გვერდით სწორედ ის გოგონა იდგა, წელან კიბეზე რომ ამორბოდა. შევხედე და გავშეშდი, თვალს არ ვუჯერებდი: სინარა იყო. ჩემი გაკვირვება მან თითქოს ვერ შეამჩნიათ, უბრალოდ, საქმიანი კილოთი მკითხა:

— აქ რა გინდა, ჯონდო?! შენს ადგილზე რატომ არ ზიხარ, ჯერ სპექტაკლი არ დაწყებულა?

— ალბათ უკვე დაიწყო, — მივუხედაბნეულად, — გელოდი, გელოდი და ველარ გავჩერდი, გარეთ გამოვედი.

— იქნებ შეგვიშვან...

მკლავში ხელი ჩამავლო და ორივემ ჩქარი ნაბიჯით გავიარეთ გრძელი დერეფანი. პირველი რიგის დასაწყისში გვერდით კარი ისევ ღია იყო. კარში ხალხი იდგა, მაგრამ შესვლა კიდევ შეიძლებოდა, რადგან სპექტაკლი ჯერ არ დაწყებულ იყო. დირექტორი მისასალმებელი სიტყვით მიმართავდა სტუმრებს. საბედნიეროდ, ჩვენი ორი ადგილიდან ერთი სკამი თავისუფალი იყო. სინარას თვალით ვანიშნე, შენ მაინც დაჯექიმეთქი. არ გამძალიანებია. გუნებაში მომეწონა, რომ დამიჯერა და შეიფერა.

გათავდა თუ არა პირველი მოქმედება, სინარამ თვალთ მანიშნა მივსულიყავი. იმ კაცმა, ვინც ჩემს სკამზე დაჯდომა დამასწრო და მთელი პირველი მოქმედება ფეხზე მაყურყურტა, დროზე ინება წამოდგომა. რაკი სინარა წამდაუწუმ ჩემკენ იქიბებოდა, ცხადია, მიხვდა, რომ უნებლიეთ დაგვაშორა ერთმანეთს. მივუჯექი თუ არა გვერდით, სინარამ წამჩურჩულა:

— ჯონდო, ხედავ რა ამბავია? მთელი ჩვენი დაწესებულება აქ არის!

— რა ვიცი, ოცი ბილეთის მეტს არ გადალევდნო და...

— ოცი ბილეთი მარტო დირექტორს არ ეყოფოდა ნათესაეებისათვის.

— სინარა, როგორ გამოცვლილხარ!

— სუ, ბიჭო! — ჩურჩულით წამოიძახა სინარამ და უკან, მეორე რიგისაკენ მიმახედა. — მაინცადამაინც გინდა გამა-

წითლო? ხომ ხედავ, აქა-იქ ნაცნობებიც ხედან და ჩვენი ჩურჩულიც კი...

უნებლიეთ მომხვდა თვალში მისი გრძელი, მზით დამწვარი თითები და უფერო ლაქით გაპრიალებული, ლამაზად წამოზრდილი ფრჩხილები. მომეწონა მუქი იისფერი ტყავის საფულე და ასეთივე ფერის მოდური ფეხსაცმელიც. სინარა წამოდგა. მეც ავდექი, მაგრამ აღარ ვიცოდი რა მექნა. ახლა მთლიანად მასზე ვიყავი დამოკიდებული. სინარამ თავმომწონედ მოავლო თვალი წინა რიგებს. ბენუარის ლოქებს, ბელეტაქს. ბელეტაქიდან ვიღაცა გოგონა მიესალმა, თან ხელით ანიშნა, ფოიეში გამოდიო.

— ჯონდო, გავიდეთ. მე ჩემი სკოლის ამხანაგს შევხვდები, შენც მონახე ვინმე ნაცნობი, — მხოლოდ ვაყი, იცოდე. მოდი ამ ერთხელ, ნაცნობების ყურადღება რომ არ მივიქციოთ, ცალ-ცალკე ვისეირნოთ.

უმალ დავეთანხმე, რადგან ჯერ კიდევ, ცოტა არ იყოს, ვმორცხვობდი. მით უმეტეს ახლა, როცა სინარა ასე კობტად და უკანასკნელ მოდაზე იყო გამოწყობილი. ფოიეში ერთად გავედით; იგი ამხანაგისაკენ გაეშურა. მე ძალაუნებურად თვალი გავაყოლე. როგორ განსხვავდებოდა ის ცისფერკაკეტისანი მოუქნელი გოგონა ამ ქალიშვილისაგან, ახლა რომ კობტად მიაბიჯებდა ფოიეში. რა თქმა უნდა, სინარა რომ ამის მეტი არაფერი ყოფილიყო, ჩემს მოწონებას აგრე ადვილად ვერ დაიმსახურებდა, რადგან საოცრად არ მიყვარს ჩვრებს გადაყოლილი ადამიანი; მაგრამ მე ხომ მას უკვე საკმაოდ კარგად ვიცნობდი! ახლა ისიც მომეწონა, რომ მას ჩაცმის შნღც და გემოვნებაც ჰქონია. ძალიან ძნელია, თუ შენში ბუნებით არ არის ეს მოცემული, ასე ერთბაშად მოახერხო და შეიფერო კობტად ჩაცმა-დახურვა.

დავშორდი თუ არა სინარას, წინ ჩვენი განყოფილების თანამშრომლები შემომეფეთნენ. მე მგონია, ისინი მიდარაჯებდნენ და კიდევაც მომიხელთეს. შემომეხვივნენ და ჩემს გარშემო ერთბაშად ვიწრო წრე შეკრეს.

— ჯონდო, რომ ამბობენ... — ოსტა-



ტურად წამოიწყო დოდომ და გოგონებს გახედა. ყველამ ხმამაღლა გაიცინა. გამიკვირდა, ჯერ ხომ სასაცილო არაფერი თქმულა და რა აცინებთ-მეთქი. თავი უხერხულად ვიგრძენი, რადგან მათს სიცილზე ფოიეში ყველამ ჩვენკენ იწყო ცქერა.

— რას ამბობენ? — ცოტა არ იყოს მწყურალად ვიკითხე და მივიხედ-მოვიხედე. ვერ გადამეწყვიტა, საით გამერღვია წრე. სწორედ ამ დროს, სულ ახლოს ჩავგვიარეს სინარამ და მისმა ამხანაგმა. მე სინარას გავუღიმიე, გოგონებმა კი დამდურებულოვით მოარიდეს პირი.

— რას ამბობენ? — ვიკითხე ხელმორედ და დოდოს მაჯაში ხელი ჩავჭიდე.

— ცოლს თხოულობსო! — სთქვა თამარმა.

გამეცინა. ცოლის თხოვაზე ჯერ არ მიფიქრია, მაგრამ ალბათ უფრო გამოსაჯავრებლად, ვიდრე სხვა რაიმე მოსახრებით, ორაზროვნად მივეუბრე:

— თუნდაც ასე იყოს, გასაკვირველი რაა?! — უკან რაზედ უნდა დამეხია?

ეტყობა, გოგონებმა რაღაც „იყნობს“. მათ ამ საქმეში ალღო არასოდეს ღალატობთ. იქნებ მეც არ ვიცი, ისე ვარ უკვე ვაბმული „მანეში“.

— თუ მართლა ასეა, უჭკუო ყოფილხარ! — შემომბედა დოდომ.

— რატომ?! — შეეკვიითხე დინჯად.

— ცოლის თხოვას არ აპირებდი. იმ ყვავის ბახალას მეტი ვერავინ დაინახა შენმა თვალებმა?! ვინ გეტყოდა უარს?! —

გაკვირვებით გადავხედე ჯერ დოდოს, მერე დანარჩენებს და ყველას თვალეში მხოლოდ გაცემა და უხეზლიე წყენა ამოვიკითხე. სინარასადმი ჩემს მოწიწებას და პატივისცემას ისინი პირად შეურაცხყოფად ღებულობდნენ, რადგან ყოველ მათგანს სინარაზე ათასჯერ უფრო მეტად მოჰქონდა თავი.

— არა შეჯდა მწყერი ხესაო! — ყველას გულის მოსაფხანად გადმოძკრა ლეილამ. სწორედ იმან, ვისი პაწაწინა ცხვირი და თავლისფერი თვალეები აგრერიგად მომწონდა; მაგრამ ახლა რომ შევხედე, შურს ისე დაეუშნოვებინა მისი სახე, ლამაზიაო, ვერ იტყოდით.

— მართლაც რომ მწყერებს ჰვავხართ, გოგოებო, და ისიც... მხოლოდ ჰკუთით! მოუბრძობლად ვუთხარი და გავიცინე. წრე ჩემს წინ ერთბაშად გაიხსნა. გულის სიღრმეში ყოველ მათგანს ალბათ სასიკვდილოდაც კი ვემეტებოდი, მაგრამ მე ისინი მაინც მეცოდებოდნენ.

მე და სინარა თეატრიდან თითქმის ყველაზე ბოლოს გამოვედით. გვეგონა, ჩვენი ნაცნობები წასულ-წამოსულეები იქნებოდნენ, მაგრამ ჩვენი ვარაუდი არ გამართლდა. თითქოს საგანგებოდ გველოდნენო, მთელი ჩვენი განყოფილების თანამშრომლები, თეატრის წინ ხის ძირას იდგნენ და მხიარულად ლზლანდობდნენ. აქვე იყო ჩვენი უფროსიც, ვეება ტანის კაცი კირილე უშვერიძე. ჩვენს დანახვაზე ყველა გაჩუმდა. მივეუახლოვდით, რადგან დაგვიანახეს თუ არა, თვალი აღარ მოუშორებიათ. კირილე უშვერიძემ სინარას ცნობისმოყვარეობით ახედ-დახედა. ეტყობოდა, თვალში მოუვიდა.

— სინარა, ნაწყენი ხომ არ ხარ ჩემზე, ბილეთი რომ ვერ გიშოვნე?

სინარამ არაფერი უპასუხა, ლმობიერად გაუღიმა.

კირილე უთუოდ დააკმაყოფილა სინარას კეთილმა ღიმილმა, მხრებზე ხელი მოხვია, თავისკენ მიიზიდა. სინარასაც გულის სიღრმეში უთუოდ ეამა უფროსის მამაშვილური ალერსი, ეამა, რადგან გამოჩენისთანავე ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა და ისედაც განაწყენებულ გოგონებს გული უარესად ატკინა.

შორს ავტობუსი გამოჩნდა.

— ვინ საით? — იკითხა კირილემ.

— მე აქეთ, აქვე ახლოს ვცხოვრობ, — სთქვა სინარამ და თავით მარჯვნივ გვიანიშნა.

— მეც აქეთ, — ვთქვი და ერთი ნაბიჯი სინარასაკენ გადავდგი.

— შენი გზა მაქვთ როდის იყო? — გამომწყვევად ჩამეკითხა მანანა.

მე, რა თქმა უნდა, პასუხი არ დამიყოვნებია:

ლადო ავალიანი
როცა მზე პირს იბანდა



— ახლა აქეთ არის!

სინარამ ისე შემომხედა, უმალ მივხვდი, ეს არ უნდა მეთქვა, მაგრამ გვიანდა იყო. კირილემ თვალი აშკარა მოწონებით ჩამიკრა, გოგონების გასავონად კი შენიშნა:

— ვინც ჯენტლმენობის ფასი იცის, გაუგებს! — გოგონებმა უფროსს სიტყვა ველარ შეუბრუნეს, თორემ მის შენიშვნას ერთი მწარე ქათინაური მაინც მოჰყვებოდა.

სინარამ კოხტად დაუკრა თავი ჩვენს უფროსს, გოგონებს კი ერთი გამომწვევად შეანათა მხერა და ზურგი კოხტად შეაქცია.

რა მოხდენილად გამოსდიოდა სინარას ეს ყველაფერი და რარიგ არ ჰგავდა გუშინდელი სინარა დღევანდელს.

რამდენიმე წუთი მდუმარედ მივაბიჯებდით. შემდეგ სინარამ მკითხა:

— მოგეწონა სპექტაკლი?

შევხედე, გავუცინე და გავუბედე:

— მე შენ უფრო მომეწონა!

სინარა არ ელოდა, თუ ასეთ რამეს ვეტყვოდი. გულწრფელად გაოცდა და ცოტათი შეკრთა კიდევ.

— ეს რა პასუხია, ჯონდო?!

— თურმე როგორ გიხდება ჩაცმა, შენ კი თავს ძალით იუშნოვებდი.

— მაინცადამაინც გინდა, ქათინაური შევიფერო?

— ხომ მართალია და, გინდ ქათინაური დაარქვი და გინდ...

— მართალი იცი რა არის, ჯონდო?

— რა?

შევჩერდით, სინარას თვალებში ჩავაქერდი. პასუხს მოუთმენლად ველოდი.

— ის, რომ ქალიშვილები ყველაფერზე მეტად ყურადღებას აფასებენ და სწორედ ამ ყურადღების მსხვერპლი ხდებიან ხოლმე!

— ეგ როგორ გავიგო?

— როცა არავინ ყურადღებას არ გაქცევს, არც შენს თავს სცემ პატივს, არც

თავს აქცევს ყურადღებას და ხარ გორლაც უპატრონოსავით. მაგრამ გორც ყურადღების ღირსი გახდები, შენდაუნებურად ცდილობ გაამართლო იგი! მეც ასე დამემართა.

— მერე, ცუდია?!

— ჯონდო, შენ ხომ ახლა სხვებზე უკეთ მიცნობ, იმიტომ კი არ გამოვეწყვე ასე, რომ ვეკლუტობ და თავს გაწონებ...

— მე ეს არც მიფიქრია!

— მეც იმიტომ გელაპარაკები ასე გულახდილად. თუ დამიჯერებ, უბრალოდ უნერხული იყო თეატრშიაც იმ გამოსუნებული ტანსაცმელით გამეგლო შენს გვერდით. მე უფრო შენი პატივისცემით მოვიქეცი ასე. თუ კაცს პატივს სცემ, მის გვერდით შენც ხომ არ გაივლი წვერგაუპარსავი და დაუდევრად ჩამტული!

— მართალი ხარ, სინარა.

გზა განვაგრძეთ.

— მაგრამ ამის მერე კი ვაი ჩემი ბრალი, ჯონდო! ისე ხომ ველარ გავივლი, როგორც აქამდე დავდიოდი. იცი? შენი ყურადღებით სწორედ დამლუპე! — ამ სიტყვებზე სინარამ ღონიერად ჩამავლო მკლავში ხელი.


ისევ შევჩერდი. სინარა ჩემს გვერდით დადგა. ორივემ თვალებში ჩაგხედეთ ერთმანეთს. ცოტა შევეკრთი. მისი ცრემლმორეული თვალები უჩვეულოდ ელავდნენ. სინარამ გამიცინა და მითხრა:

— ჯონდო, ვახსოვს ის წუთები, სტადიონზე, როცა მზე პირს იბანდა?

მე მივხვდი, რომ ეს არ იყო იმ დღის უბრალო შესხენება.

— ყველაფერი მახსოვს და მესმის, სინარა!

მის სახლამდე ისე მივედი, გზაში ხმა ერთხელაც აღარ ამოგვიღია. სიჭაბუკის დიდი საიდუმლოს გამხელის მოლოდინში მეც და ისიც უცნაურად დავმუნჯდით.



ღამო სვანებში

ობელისკები

1

ობელისკები დგანან ზვიადად
და გასცქერიან ზღვის პირს მთებთან.
შუბა წვერები აუბრჭყვივალდათ,
ჩახჩახა მზეზე ვარვარდებიან.
ობელისკები სუნთქავენ მძიმედ,
შემოხვევით აგვისტო ცხელი.
მისძინებიათ შორეულ წვიმებს,
რტოთა მარაოს ურხევენ ხენი.
სამამულე რქა აპყრიათ ვაზებს,
აბარდებულა რქა სამამულე.
ობელისკების წვეტიან თავზე
დაუკეციათ ფრთები ამურებს.
დაჰკუბებიან სათქმელი გულში,
გარინდებულან, თავს იკავებენ.
შავი ჩრდილები ჩაჰყარეს ხნულში, —
პურის ყანები ითავთავებენ.
ირგვლივ ხეებზე ჟღურტულით, მღერი
ჩიტები ბარტყებს ჩეკენ და ჩეკენ.
აქვთ ობელისკებს სათქმელი ბევრი,
შესძრავენ ხმელეთს, თუ დაიჭეძეს.

2

დროშა აჰქონდათ ბიჭებს გოროზებს,
სამშობლოს კარი მირაზ-მორაზეს.
საიერიშო დროშა იმდროის
ახლაც ელვარებს საპუნ-გორაზე.

ვარდები არის, განა სისხლია?!
მათი სუნთქვაა, განა ქარია?!
და ობელისკი იმ ქარიშხლიან
დღეს აღმართული დროშის ტარია.

3

ობელისკების ამ მეჩხერ ტყეში
ქათქათებს რუხი ბოლნისის ქვებიც.
მამულის მიწა წაიღე პეშვით,
გადაიარე ყირიმის მთები.
გაჰყევი დედას, მიაქვს კალათა
და ერთი დოქი რქაწითელაცა.
ის ობელისკთან ჩამოისვენებს,
როგორც შინ, ბიჭის დარგულ თელასთან.
უცნობო ვაჟო, დალიე ცოტა,
გასტეხე პური იმისი წილი.
მას შენნაირი თვალები ჰქონდა,
აგრე გიზგიზა და აგრე თბილი.
წავიდა, იყო ის შენი ტოლი,
(გაშოროს მისი ხვედრი და ბედი),
არ დარჩენია შვილი და ცოლი,
დაეცა, დარდი აღრჩობდა დედის.
გადაიკითხავს თეთრ ლოჯზე გვარებს,
მტვერს მოაშორებს ლოდს დედა კალთით.
ქვესკნელი ძმათა დარეკავს ზარებს,
დედას აშფოთებს სიფხიზლე მათი.
და ობელისკის ჩრდილს ემატება
შავით მოსილი დედის ჩრდილიცა.
შავულგაშიან ბიჭის ხატებას
გამოაშუქებს მოწმენდილი ცა.

4

დამუნჯებული ლოდი სამარის
ერთი ასულის სახელს ინახავს.
ლოდს ბევრი რამე აქვს დასამალი,
ერთი ამბავი წასცდა კინალამ.
იქნებ... დედების იჭვი თბილია,
მათთვის შვილები არა კვდებიან.
და თუ ოცნება გამოილია,
გაშტერდებიან, გაქვავდებიან.
იქნებ რას ამბობს დედის გუმანი?!
(ოცნებით მარად ბინას უშენებს).
იქნებ ერთი აქვთ თავსასთუმალი,
გოგო ძირს უფენს თმის ბურბუშელებს.
იქნებ ვერც უთხრეს ერთურთს სათქმელი?
იქნებ ვერც ნახეს მაშინ ერთურთი?
„იქნება ისე ჩაქრა სანთელი,

ერთმანეთს ველარც გაუერგულდით?
ვაი თქვენს დედას!“ — დედის ოცნება
უკიდევანო არის მარადის.
დედას ჭრილობა არ უხორცდება,
ლოლო, შენ რაღას დაუფარავდი!

5

ვინ მიეკარა ცარცით ობელისკს?!
ვინ ამხელს უცხო გვარსა და სახელს?!
შენ ნუ იქნები შეუნდობელი,
დედა, შენ მისი გუმანიც ნახე.
იქნება მამა დაჰკარგა მაშინ,
მის საფლავს ეძებს ყმაწვილი კაცი?
შეუნდე იმას და ნულარ წაშლი
რუხ ობელისკზე მინაწერს ცარცით.
იქნებ საფლავის ქვაც ვერ ანახეს,
ზედ იქნებ გვარიც ველარ დაწერეს.
გადაუფარავთ იქნებ ბალახებს,
სამყურებსა და ქათანაცერებს.
იქნებ ძმაკაცმა გათხარა მიწა,
სადღაც მინდორზე მარტოკა სძინავს.
იქნება ვიწრო სანგარში მიწვა...
მოსწყინდა მარტო ყოფნა და გმინავს.
საძმო საფლავიც აღარ ეღირსა,
ბედმა გარიყა აგრე ძმათაგან.
ცივი ქარი ქრის შეღამებისას,
მარტოკას ზამთრის ყინვა გათანგავს.
და ეძებს ბიჭი უძეგლო საფლავს,
ვერსად მიაგნო ნაწვიმარს, ნათოვს.
ობელისკებზე შრიალებს აფრა,
მზე ზედ წაწერილ სახელებს ათბობს.
მას მიაწერა ცარცით ყმაწვილმაც
მამის გვარი და მამის სახელი.
ნუ, ნულარ წაშლი, დედა, აწი მას,
ნულარც ჭაბუკის ხარ დამძრახველი.
ამ ცივ ლოდებზე მიწერილ გვართა
გვერდით ცოცხლობდეს მამის გვარიცა.
ობელისკივით მან სულში ზარდა
სული, რაც ქვეყნად დარჩა ჯარისკაცს.
ის სული არა, არ დამიწღება,
შვილი იმ სულზე იტყვის სხვა ზღაპარს.
ამ ობელისკის ჩრდილი მიწვედება
უცხო მინდორზე დაკარგულ საფლავს.

6

მოემართებით, შორდებით, ხვდებით
და ბაწრებივით ალაგ ისკვნებით
მაგისტრალეები, ბილიკნი, გზები
და წინ გხვდებიან ობელისკები.

★
ლალო სულამერიძე
★
ობელისკები

შეჩერდებიან ხან ტურისტები,
ეძებენ გზა-გზა გმირთა ნატერფალს.
ობელისკებზე აგიზგიზდები, —
მზეო, სიმაღლე შეგემატება.
ამ მაგისტრალებს, გზებს და ბილიკებს
გამოჰყვინენ, — ეთქვათ დღეის მზის ქება.
მოკვდნენ, რომ ქვეყნად სულ ყოფილიყვნენ,
აღმართულიყვნენ ობელისკებად.
აწ გაჰყურებენ გრძელ მაგისტრალებს,
გზებო, წვიმაში რად ილიმებით?!
სიმები დასწყდათ იმათ გიტარებს,
მაგისტრალებზე დარჩა სიმები.

7

მზის სხივებს ახვევს დილა ბრიალა,
ვით აბრეშუმის ძაფებს ბობოლი.
ზღვამ ლურჯ უბეში შეაჩხრიალა
ქლავი კენჭები სევასტოპოლის.
ზუზუნებს სადღაც სოფელი, სკები,
მხრებს შლიან მთები ცხრამთის, ხუთკარის.
ცად ატყორცნილი ობელისკების
ახლოს არ წუწუნის ყვავილს ფუტკარიც.
ზღვაში ბავშვები ჰყრიან ანკესებს,
და არ ეღევათ მათზე ზღაპრები.
ობელისკებზე, როგორც ანძებზე,
აშლილა მათი სულის აფრები.
ობელისკებში ჩქეფს ძმათა სისხლი,
აჩნიათ ძმათა ლურჯი ვენები.
ობელისკების ჩრდილში თავს იყრის
ის ღამეები გაუთენები.
ერთად შეკრული მკლავების კონა,
როგორც შუბები ერთად შეკრული,
ცად აშფერილან და ობელისკებს
დაჰფეთებია ბედი ბედკრული.
გზებო, ერთმანეთს აქ მოხვევთ ხელებს
და ბაწრებივით მათთან ისკვნებით.
თუ დაიჭიქეს, შესძრავენ ხმელეთს
გარინდებული ობელისკები.



კლავდია ლევაკინი



რომანი

ვახტანგი ყოველთვის მაკასთან ერთად მიდიოდა სასწავლებელში. ახლა კი ლექციებზე მარტო სიარული უმძიმდა. თავჩაღუნული დააბიჯებდა, თითქოს მთელ ქვეყანას შემოსწყრაო. ბინა ბიძასთან ჰქონდა; იქაც ფეხაკრეფით დადიოდა, ყველას ერიდებოდა, ცდილობდა არავინ შეეწუხებინა. ბიცოლა უჯავრდებოდა: ზედმეტად მორიდებული ნუ ხარო.

ვახტანგი სასადილო ოთახში წვებოდა. სანამ ყველა არ დაიძინებდა, იჯდა და წიგნებს ჩაჰკირკიტებდა. ყოველ საღამოს წერილს სწერდა მაკას და დაძინების წინ დიდხანს ფიქრობდა სოფელზე. ხშირად ლექციებზედაც აეკვი-

ტებოდა ფიქრი შინაურებზე. ფანჯრიდან გასცქეროდა თბილისის გარშემო შემოჯრილ მთებს, შემოდგომის მუქი ფერი რომ გადაჰკვროდათ — და თავისი სოფელი აგონდებოდა.

ერთხელ ლექციებიდან დაბრუნებულ ვახტანგს მისმა ბიძაშვილმა — მინდიამ — ეშმაკურად გაუღიმა და კონვერტი ცხვირწინ აუფრიალა.

— აი, იმ ლამაზი გოგონას წერილი მოვიდა, — თვალი ჩაუკრა და ლილინით გვერდით ჩაუარა, — ყოჩაღ, ტყუილად არ კარგავ დროს! — ვახტანგი გაწითლდა, კონვერტი გულის ჯიბეში ჩაიღო. სადილზე პირი ვერაფერს დააკარა. ეჩქარებოდა, განმარტოებულიყო, რომ წერილი წაეკითხა. როგორც ექნა, სადილიც დამთავრდა, ვახტანგი ახლა თავი-

სუფალი იყო. ის-ის იყო წასვლა დააპირა, რომ ბიკოლამ, თითქოს საგანგებოდ, ბორჯომის წყლისა და ლიმონათის მოტანა დაავალა:

— სალამოს სტუმრებს ველი, დამჭირდება.

ვახტანგმა ცარიელი ბოთლებით სავესე ბალურას ხელი დასტაცა, კიბე ჩაირბინა, ქუჩაში გავიდა და ჯიბიდან წერილი ამოიღო. დახედა, გაიღიმა. არა, აქ ვერ გახსნის, ვერ წაიკითხავს. სადმე მყუდრო ადგილს იპოვის. წერილი კვლავ გულის ჯიბეში ჩაიდო და ჩქარი ნაბიჯით გზას გაჰყვა.

მზე კარგა ხნის გადახრილი იყო, როცა ვახტანგი მთაწმინდაზე ავიდა. აქ მყუდრო ადგილი მოსძებნა, კონვერტი გახსნა, წერილი ამოიღო და თავიდან ბოლომდე რამდენჯერმე გადაიკითხა. მაშ, მაკას კოლმეურნეობაში დაუწყია მუშაობა? იქნებ მართალია მაკა. ინატრა, ნეტავ სოფელში ვიყო და ყურძნით სავესე გოდორს ვეზიდებოდო.

მთაწმინდაზე ბინდი ჩამოწვა. ბილიკზე წყვილ-წყვილად მოეშურებოდნენ ქალ-ვაჟნი. მაკა და ვახტანგიც ხომ ამ გზით ამოვიდნენ პირველად მთაწმინდაზე. მაშინაც ავ წყაროსთან იხსდნენ. უეცრად შხაპუნა წვიმა წამოვიდა, ჭექა-ქუხილიც გახშირდა, წვიმა თანდათან მატულობდა, ტაძრის კარი დაკეტილი იყო, ამიტომ სამრეკლოს შეეხიზნენ. მაკას სველი კაბა ტანზე შემოტმასნოდა, განძრევას ვერ ბედავდა, სველი თმა ბექებზე ეყარა; საოცრად ნაზი და მიმზიდველი ჩანდა. მაშინ იყო, ვახტანგმა პირველი კოცნა რომ გაუბედა... რა დაავიწყებს იმ წუთებს! სამრეკლოს ფარულა კედლებიდან ცივი, ნამიანი ქარი უბერავდა, მაგრამ ისინი სიცივეს ვეღარ გრძნობდნენ, ერთმანეთის გარდა ვერაფერს ამჩნევდნენ, ვერაფერს ხედავდნენ.

ჯერ კიდევ ადრე იყო, ვახტანგი ქალაქში რომ ჩამოვიდა. შინ გული არ მიუწყევდა, კინოში შეიარა. სალაროს წინ ხალხი ბლომად შექუჩულიყო. ვახტანგი რიგში ჩადგა. ახალგაზრდების ჯგუფი კრიამულით მიუახლოვდა სალაროს.

— თუ შეიძლება, აგვიღეთ ბილეთე-

ბი, — ჩაესმა ვახტანგს. მოიხედა, მის წინ მადონა იდგა.

— ჩვენი თანაკურსელია, — გადაულაპარაკა მადონამ ახალგაზრდებს. ვახტანგმა ბილეთები აიღო, დარბაზში შევიდა და დაჯდა. მის გვერდით მადონა მოთავსდა, გოგონა იცინოდა და შავგვრემან ახალგაზრდას გაუთავებლად ეტიტიწებოდა რალაცას.

მადონა შინ გვიან დაბრუნდა. დედა საყვედურით შეეგება მას:

— სად იყავი, შვილო. ლოდინით გული გადამელია!

— კინოში ვიყავი, დედა.

— ჩააბარე საგანი?

— არ გავსულვარ, დედა.

— რატომ?

— მზად არ ვიყავი.

— რატომ?

— ძნელია, დედა, ძნელი. მამას უნდა ეთხოვო, დამეხმაროს.

— მამიკო, — მიუბრუნდა მადონა ოთახში შემოსულ მამას, — უთხარი იმ გამომცდელს, ჩემმა ქალიშვილმა საგანი უნდა ჩაგაბაროსოქო.

— იცის, შვილო, იცის, მხოლოდ არ შემარცხვიო.

— ვერ წარმოიდგენ, მამიკო, რა ძნელია.

— ვიცი, ვიცი!

— როგორმე ჩააბარე, სირცხვილია, მამაშენის შვილი რომ ... — სათქმელი არ დაამთავრა დედამ.

— Подумаешь, სირცხვილია!

— შვილო, ახლა უმადლესდაუმთავრებელი ვინ არის?

— რა მინდოდა სამედიცინოზე, მუსიკა მაინც მესწავლა.

— შეგირცხვა თავი, არ გასწავლიდი? შენ რომ ინსტიტუტი არ დაამთავრო, თავი მოსაკლავი გვექნება.

— არა, დედა, მაგ ინსტიტუტს მოვახსრჩობ როგორც იქნება, მაგრამ სულ წიგნს ხომ არ უნდა ვუჯდე!

იმ დღეს თბილისიდან ვახტანგს ელოდნენ. მაკა დილით ადრიაანად ადგა. თოვ-

და. მიდამო ჩამოხელებული იყო, ხეებს თეთრი მოსასხამი ჩაცევით.

მაკა აივანზე გავიდა. ზამთარში, როცა ხეებს ფოთოლი დასცვივდებოდა, აივანიდან მოჩანდა ვახტანგის სახლი, ვიწრო ბილიკი და ხის ჭიშკარი. ახლა კი თოვლს მიდამო ისე ჩამოებარდა, კაცი ძნელად თუ გაარჩევდა რამეს.

მამა სკოლაში წავიდა. მაკა სამფეხა სკამზე ბუხრის წინ მიმჯდარიყო და უყურებდა, როგორ ამოჰყავდა ბებიას ყველი. სამზადის წინ ინდაურები ყვიტყვიტებდნენ.

— ნეტა რა დემართათ ამ ინდაურებს, რომ აღარ ჩერდებიან?

— თოვლი აკვირვებთ, შვილო, თოვლი, — აუხსნა ბებია.

— დეიდა ვარიჩკა! — იძახდა გარეთ ვიღაც. ძახილს ძაღლის ყეფა და ინდაურების ყვიტყვიტი უერთდებოდა. იქნებ ვახტანგი იძახის, რას გაიგონებ ამათ ხელში? ახლა მოუწდათ ვარიჩკას ძებნა!

მაკამ კედლის საათს ახედა. მატარებელი მოსული იქნება. ვახტანგი უთუოდ ჩამოვიდოდა. ახლა აღბათ სოფლისაკენ მოეშურება. აი უკვე რკინიგზა გადმოიარა და თოვლში, შარაზე მოაბიჯებს. მაღლე სერზე გადმოდგება და მაკა ნაცნობ სტვენას გაიგონებს.

მძიმედ მიდიოდა დღე, გარეთ ისევ თოვდა. მაკა მოუსვენრად დაბორილობდა ოთახებში, სერიდან სტვენა არ ისმოდა. არც მაცია ჩანდა. უკვე ბინდი ჩამოწვა, მიდამო ჩამოხელებდა. კიბეზე ვიღაცა ფეხის ბარტყუნით ამოდიოდა. მაკა წამოხტა და სტუმარს შეეგება:

— მოდი, მოდი, მაცია! სად დაიკარგე? დილიდან გელოდი.

— დეიდა პუბლიასთან ვიყავი, ვახტანგს მოვლის, ვეხმარებოდი. დაღამდა, ის კი არსად ჩანს.

— რატომ დაიგვიანეს?

— აღბათ მატარებელმა დაიგვიანა. ხედავ, რა ამინდია? ცა ფეხად აპირებს ჩამოსვლას, ასე მგონია, ხელით ავწვდები.

— ჰა, ჰა, ჰა, შენ უსათუოდ აწვდები ცას, მაცია! — გადაიკისკისა მაკამ.

— რად არ მოხვედი დეიდა პუბლიასთან?

— საქმე მქონდა, ვეღარ წამოვედი.

— ჩაიცივი, წავიდეთ.

— წადი, შვილო, წადი, — კვერი დაუკრა ბებია. იგი დილიდანვე ამჩნევდა, რომ მაკა ადგილს ვერ პოულობდა.

— ბანდულები გაიკეთეთ ფეხზე, ისე ვერ გააღწევთ, — ურჩია შალვამ. იგი სწორედ იმ დროს შემოვიდა ოთახში, როცა ვოგოები წასასვლელად ემზადებოდნენ.

მაკა და მაცია ხელიხელაკიდებულნი მიდიოდნენ. თოვლის ფანტელი სახეში სცემდათ, ვეღარაფერს ხედავდნენ. ეზოში შევიდნენ, აივანზე პუბლია გამოვარდა, უკან, ლამფით ხელში, ვარიჩკა მოსდევდა.

— რომელი ხარ?! — გასძახა პუბლიამ.

— ჩვენ ვართ, დეიდა პუბლია, ჩვენ!

— ვახტანგი მეგონა, გული გადამიქანდა, — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა პუბლიამ. — მოზრძანდით, მოზრძანდით. ამ მოლოდინმა თავგზა ამიბინა.

ყველანი ბუხარს შემოუსხდნენ, პუბლიას დამშვიდებას ცდილობდნენ.

— რა უშავთ, პირველად ხომ არ არიან ამ გზაზე? — სთქვა ვარიჩკამ.

— შარშანწინ დიდი თოვლი რომ იყო, სამ დღეს ვიყავი მატარებელში, — გაიხსენა ვიღაცამ.

— სამ დღეს რომ ასე ველოდო, მე ვეღარ გადავრჩები! მაინც სად უნდა წასულიყვნენ ამდენ ხანს?

— ნუ გეშინია, ქალო, ეგ ადამკამობის დროს იყო, ახლა ელმავალი დაგრიალებს, — გაახსენა ესმამ.

ძაღლის ყეფამ ქალებს ლაპარაკი შეაწყვეტინა.

— მოვიდნენ! — დაიძახა მაცია და ყველანი გარეთ გაცვივდნენ.

— შენ გენაცვალოს დედა, გული გადამელია ლოდინით, — გადაეხვია პუბლია თოვლით შებუშბულ ვახტანგს. ვახტანგს დანარჩენებიც შემოეხვიე-

კლავდია დევდარიანი
ძველი ფუძე

ნენ, მაცია კისერზე ჩამოეკიდა, ესმამ თავისი ტკბილი ხმით დალოცა.

— როგორ დამშვენებულა, ნამდვილი ქალაქელია, ჩვენ რაღას გვიკადრებს! — არ ისვენებდა ვარიჩკა.

ყველამ გულში ჩაიკრა ვახტანგი, მხოლოდ მაკამ გაუწოდა ხელი.

— შენც აქა ხარ, მაკა?!

მაკა ვერ მიხვდა, რატომ გაჩუმდა ყველა, როცა ისინი ერთმანეთს ესალმებოდნენ.

ბუბლიას სტუმრები გვიან ღამით დაიშალნენ. ისევ თოვდა, სოფელში სიჩუმე იყო, ძაღლის ყეფაც კი არსით ისმოდა. შეზარხოსებულმა ახალგაზრდებმა სიმღერით მიდამო გამოადვიძეს.

— ხელი მომეცი, მაკა, ჩაიკეცან, — ამირანმა ხელი გაუწოდა მაკას.

— ამირან, მიშველე! — იკივლა უცებ მაცია და კიბიდან მოსხლეტით დაეშვა. ამირანმა მაკას ხელი გაუშვა, კიბე ჩაირბინა, თოვლში ამოგანჯღული მაცია წამოაყენა და უკმაყოფილოდ უთხრა:

— მარტო ფათერაკებისთვის ხარ გაჩენილი!

მაცია მკლაფზე ჩამოეკიდა ამირანს და ჩაიბურღლუნა:

— წამო, გამაცილე, არ მოდიხარ შინ?

ამირანმა მკლავი გაინთავისუფლა და დაღმართში დაეშვა. ისე გარბოდა, ბეგონებოდათ, უკან ვიღაც მოსდევსო.

მაცია ვახტანგს შეხედა და ამირანის გაქცევით სახტად დარჩენილმა ირგვლივ დაბნეულად მიმოიხედა.

ვახტანგი კიბიდან გადახტა, ორივე ხელი მაკასკენ გაიწვდინა და უთხრა:

— გადმოხტი, მაკა. დაგიჭერ!

მაკა ყოყმანობდა.

— მე არსად არ წავალ, ამაღამ დეიდა ბუბლიასთან დავრჩები, — სთქვა მაცია და კიბე აირბინა, — ჩახტი, გოგო, — მიაძახა მან მაკას, ხელი უბიძგა, კიბიდან გადააგდო და თვითონ სახლში შევარდა.

ვახტანგმა მაკა დაიჭირა.

— რა მსუბუქი ხარ, მაკა, გინდა სახლამდე ასე გატარო?

— გაგიყდი? — გაიბრძოლა მაკამ, ახლავე ჩამომსვი!

ვახტანგმა მაკა სწრაფად მიწაზე დაუშვა და დარცხენილი გვერდით ამოულდა.

ირგვლივ გამეფებულ სიჩუმეს არაფერი არღვევდა. მაკა და ვახტანგი ბედნიერნი იმით, რომ მარტონი იყვნენ, ხელიხელჩაკიდებულნი ჩუმად მიაბიჯებდნენ ბილიკზე.

— მაკა, არ გინდა ასე ვიაროთ მუდამ? მომეცი მეორე ხელიც, გაგიტოვო. ვახტანგმა მაკას ყინულივით ცივი ხელი ხელში მოიქცია.

— გაგიტოვა, მაკა, ხელი გაგიტოვა! — ჩურჩულებდა ვახტანგი და მაკას ხელებს უკოცნიდა.

ვახტანგის თბილისში წასვლის შემდეგ მაკამ ძალზე მოიწყინა. დიდი თოვლი მოვიდა, მეზობლები ერთმანეთთან ვეღარ გადადიოდნენ, წყაროზე მისვლა უჭირდათ. სკოლაში მეცადინეობა დროებით შეწყდა. ფოსტალიონი დაბაში ვერ ჩადიოდა, აღარც გაზეთები მოჰქონდა, აღარც წერილები. მთის პირას სოფელი თითქმის სამყაროს მოსწყდა.

ამირანი ისეთ ქარბუქში დაბრუნდა სოფელში, რომ ესმა მთელი ღღე მადლობას უხდოდა ღმერთს შვილის გადარჩენისათვის. ბიჭი დაუსწრებელზე მიეღოთ, გახარებული დაბრუნდა შინ.

— დამიფარა ღმერთმა, გადამირჩინა ბიჭი. რამ წამოიყვანა ამხელა თოვლი? — წუხდა ესმა.

კვლავ გაგიჟდა ამინდი, დღე და ღამე შეუჩერებელივით თოვდა. შალვა ვერ ისვენებდა.

— ჩამინგრევს ნამდვილად სკოლას და დავიდუბები.

— ნუ გეშინია, ბიჭო, — ანუგეშებდა შვილს ბებია ნინო.

— ოქროპირი მეცოდება, მარტოა იმ წყლის პირზე, ვეღარ მივალწიე იქამდე!

— გამოიღარებს და ჩააკითხავ, სულ ასე ხომ არ იქნება?

თითქოს გული იჯერაო, უეცრად გამოიღარა. დილით გლეხებმა გარეთ გამოიხედეს და მზეზე აბრწყინებული თოვლის ზვინები დაინახეს.

— მგონი გვეშველა! — ამბობდა ხალხი. ერთმანეთს ამხნევებდნენ, ეშველებოდნენ. თოვლმა ნელა დაიწყო დნობა.

პერში გაზაფხულის სურნელება დატრიალდა, ხეები დაიკვირტა, დედოფალივით მოირთო მაკას კარ-მიდამო. მაკა თავს დასტრიალებდა ეზოს, ზედმეტ ჩხირსაც კი ვერსად ნახავდით.

იმ დილით ინდაურებმა ისეთი ამბავი ასტყეს, რომ ბებია ნინო შეშინებული გამოვარდა აივანზე.

— რა იყო, თქვე წყულებო, რა ნახეთ ასეთი, ყურთასმენა რომ წაიღეთ?

— მე ვარ, ბიცოლა ნინო, მე!

— მობრძანდი, შვილო ლევან, — შეეგება ნინო კიბეზე ამომავალ ლევანს.

— დილა მშვიდობისა, ბიცოლა!

— მშვიდობა ნუ მოგაკლოს, შვილო, ღმერთმა!

— შალვა სად არის, ბიცოლა?

— სად იქნება, შვილო. ინათებს თუ არა, სკოლისაკენ გარბის. მაკა კი აღრიანად წაივია სამუშაოდ.

— მაკა ჩვენთან არის. ნეტა ერთი ოცი გოგო მომცა მაგისთან!

— გვიანდა არის ნატვრა, შვილო. ერთი ბიჭის ანბარა დარჩი და ის არის.

— ბიცოლა, ჩემთვის კი არ მინატრია, ოცი გასათხოვარი გოგო მტრის ოჯახს! ავერ კოლმეურნეობისათვის მინდა, ლობიო დამრჩა დაუთესავი.

— მუშახელი ვაკლია?

— მაკლია, ბიცოლა, თუ ვინმე წამოიჩიტა და თვალში გამოიხედა, სოფელში აღარ ჩერდება. მარტო მაკა, მაკია და ამირანი რას გახდებიან? ჭიანჭველამ რამდენი ხანია მიწა ამოყარა, თესვა მიგვიანდება.

— მგონი ქალები ჯერჯერობით არ გარბიან სოფლიდან, შვილო.

— არ გამოდიან სამუშაოდ, ბიცოლა, არა! ყურძენი თუა საკრეფი, იცოცხლე, მოგაშურებენ. ლობიომ მომაძულა ფეხი, იმისი არც კრეფა უნდა ვინმეს და არც თესვა.

— აბა, მოკრეფილს ვინ მოგიტანს, შვილო. საჭმელად ხომ ყველას უყვარს ის დალოცვილი!

— იმას ამოუვარდა ძირი, სიცოცხლე გამიმწარა, სისხლი გამიშრო. საქონელი იმას არ ჭამს და ღორი, ამ ადამიანს რა მზე ამოუვიდა ზედა?

— ღმერთს ნუ სცოდავ, შვილო, ყუათიან საჭმელს აუგად ნუ ახსენებ!

— რა ვქნა, ბიცოლა, გავმწარდი. ჯერ არის და მუშახელის სიმცირემ დამატანჯა. წამოდი, ბიცოლა, ყანაში. მუშაობით როგორ გამუშავებ, მარა ქალები რომ დაგინახავენ, იქნებ შერცხვეთ და თვითონაც გაანძრიონ ხელი, იქნებ შენმა ტკიბლმა სიტყვამ მოიტყუოს ის საძაგლები.

— რატომ არ გამოდიან სამუშაოდ?

— ხომ გითხარი, ბიცოლა, ყველას ეზარება მუშაობა. ზოგმა ავადმყოფობა მოიმიზეზა. ის დალოცვილი ექიმიც ყველას აძლევს ცნობას, ავად არისო. გაზაფხულია, ვარიჩკამ ჩვეულებიანამებრ თბილისის ბაზარს მიაშურა, მკავე პრასა შემოეღევა იქ წასაღებად თუ ეკალა?

— კარგი, შვილო, თუ ჩემი მოსვლა გიშველის, მოვალ.

— შალვასი მერიდება, გოგო თავს არ იზოგავს მუშაობით და ახლა შენც რომ წაგიყვანო...

— არაფერია, შვილო, შალვას არ ეწყინება.

— აბა, ჩემო ბიცოლა, შენებურად ჩამოიარე ამ ორღობეში, ზოგიერთს გადასძახე. ხათრს ვერ გაგიტყვენ. ტყუილა რომ გნახონ, ისიც კარგია ჩემთვის.

— რამ ჩამოგიყვანა, ბებია? — ღიმილით შეეგება ყანაში ჩამოსულ ნინოს მაკა.

კლავდია დედდარიანი
ძველი ფუძე

— გამოვიარე, შვილო, ვიფიქრე, ქალებს წავეშველები-მეთქი.

— შენი ჭირიმე, ბებია, სად შეგიძლია მუშაობა?

— რა დავარდნილი მე ვარ, შვილო, ლობიოს თესვა ვერ შევძლო! ქალები მაკლია თვალში, ქალები! — მიიხედ-მოიხედა ნინომ.

— პეპესი ავად არის, მინაღორას წელი გაუკავდა, გაფია აბანოზე წავიდა, პუბლიამ ქალაქს მიაკითხა, ვარიჩკა ბაზრის უფროსად დაუნიშნავთ და ყოველ პარასკევს გარბის ყველის გასაყიდად, — ჩამოკენჭა მაცია.

— არაფერია, შვილო, თუ გულით მოვეციკლებით საქმეს, ჩვენც ვეყოფით.

— მეტი მუშაობისაგან წელი აღარ მივარგა. ვაი, ვაი! — წელზე ხელი შემოიჭლო მაცია. — მეც ჩავიდოდი ექიმთან, — თავმჯდომარის გასაგონად ხმა-მალა სთქვა მან.

— კარგი, გოგო, გააჩუმე ენა, — შეუტია ამირანმა.

— შენ აქ რა გინდა?

— დედაჩემთან მოვედი, პერანგი გადამხსა ზურგზე.

— ბიჭო, მერე ზურგით ხნავ მიწას? მოდი აგერ, გაგიკერავ.

— თავი დამანებე, შენს საქმეს მიხედე!

— გაგიკეროს, შვილო, მაგ მაღლიანმა, გაგიკეროს. სათვალე არა მაქვს თან, — დაუძახა შვილს ესამამ.

— შენი ჭირიმე, ბიცოლა, ხომ ჩამივარდა ხელში ეს ვაჟბატონი. — გაიხარა მაცია, — შენმა თავის გახეთქამ, სულ ჩემისთანები გყავდა მკერავებად!

— გაინძერი, ხარები მელოდება.

ღღეები შეუმჩნევლად გადიოდა. ზაფხული თითქმის მიიწურა. მოსავალს კარგი პირი უჩანდა. ხარობდა სოფელი. ამირანი დიდი ხანია გზის გაყვანაზე მუშაობდა, საღამოობით შინ დაღლილ-დაქანცული ბრუნდებოდა.

ვახტანგი უსაქმოდ დაბორიალობდა სოფელში. ხან კოლმეურნეობის მინდვრებში იყო, ხან მეზობლებთან გადავი-

დოდა — უჭირდა უსაქმოდ ყოფნა. ბუმ-ლია შვილის გასამართლებლად ხშირად იტყოდა:

— დაღლილია წელს ჩემი ვახტანგი, ენაცვალოს დედა, უნდა დაიხვენოს; გამოცდების დროს დიდი ჯაფა დაადგა.

მზე კარგა მალა იყო, როცა ვახტანგი ყანაში გადავიდა.

— ქალები ლობიოს კრეფენ ოქრო-მჭედლისეულში, — უთხრა მამამ ვახტანგს.

ვახტანგი სიმინდებში მიიკვლევდა გზას. შორიდან ქალების ხმა ესმოდა. ცხენზე ამხედრებული ვაჟაკებივით ჩამწკრივებულიყვენ სასუქისაგან გათამამებული სიმინდის ღეროები.

— გამარჯობათ! — მიესალმა ვახტანგი ქალებს.

— ღმერთმა გამარჯვება ნუ მოგაკლოს, შვილო!

ქალებს თავზე ფართო ჭილის ქუდე-ბი ეხურათ. კაბის კალთები აეკარწახებინათ და ლობიოს კრეფდნენ.

— დედა ესმა, ამირანი სად არის?!

— გზაზე მუშაობს, შვილო.

— მაცია სადღა? — კვლავ იკითხა ვახტანგმა.

— მაცია დაბაში წავიდა.

— რა ღობე-ყორეს ედები, ბიჭო, შენ ვინც გინდა, ეგერ მუშაობს, იმ მწკრივში.

ვახტანგმა ვარიჩკას პასუხი არ გასცა და მაკასკენ წავიდა.

მაკას ვეებერთელა ჭილის ქუდი ეხურა. ურჩი კულულები შუბლზე ჩამოყროდა, მზით დამწვარ მკლავებს ისე ლამაზად ამოძრავებდა, ადამიანი ცქერით ვერ გაძლებოდა.

ვახტანგი შედგა და მაკას მიაჩერდა. მაკა ვერ ხედავდა ვახტანგს და ხმადაბლა ღლინებდა...

— ვაიმე! — შეჰკვივლა უცებ გოგონამ და შიშველ მკლავზე ხელი მოისვა.

— რა დაგემართა! — მივარდა ვახტანგი. მაკამ ახლდა შეამჩნია იგი.

— არაფერია, ეკალმა გამაკურა.

— მეც მოგეხმარები! — ვახტანგი მაკას გვერდში ამოუდგა. ლობიოს კრეფაში მიეშველა. იცინოდნენ, ლაპარაკობ-



დნენ და ერთმანეთს სიხარულით შესცქეროდნენ.

— შენი წასვლის დრო ახლოვდება, ვახტანგ!

— მეზარება წასვლა.

— ერთი წელიც გაირბენს, მერმის ერთად წავალთ.

— რაღაც ძალიან გაჭიანურდა ეს ერთი წელი.

— მე რომ ჩამოვალ, შენ უკვე მესამე კურსზე იქნები, ხომ დამეხმარები?

— ჩემი დახმარება არ დაგჭირდება. იცი რა? მოდი, აკადემიურ შევებულებას ავიღებ და დაველოდები.

— რას სულელობ?!

— წერილს ხშირად მომწერ?

— მეტი რა საქმე მაქვს?

— გოდორი აესებულა, შენ აქ მოი-ცადე, წავიღებ.

— ყოჩაღ, რამდენი დაგიკრფავა! — შეაქვს ქალებმა მაკა. ისინი იქვე ჩრდილში მიმსხდარიყვნენ და ისვენებდნენ. ესმას თავსაღრის ბოლოები ნიკაპქვეშ გამოენასკვა, ცივ წყალში დასველებულ ხელებს ლოყაზე ისვამდა.

— მაგასავით დამხმარე რომ მყავდეს, მეც ავავსებდი გოდორს, — ვერ მოისვენა ვარიჩკამ.

— რაღა დროს შენი მასეთი დამხმარეებია, ბეჩა, ვარიჩკა!

— თუ კაცი მოინდომებს...

— ახალგაზრდობაში უნდა მოგენდომებია, ჩემო ვარიჩკა.

— ახალგაზრდობის დროს მასე დავწაწალებდი სწორედ ყანებში! — ვარიჩკამ ჩამომტყნარი ყელი ამაყად მოიდგრა.

— გეშინოდა, ვარიჩკა, პირისკანი არ წავებდნოდა, ხომ?

— ახლა ცუდი ფერი მაქვს, თუ?

— არა, მაგრამ ახალგაზრდობაში უკეთესი გექნებოდა.

— რა ადამის ხნის მე მნახე, შე ქალო! მაკა უსიამოვნო ლაპარაკს გაერიდა და ვახტანგთან დაბრუნდა.

— ვახტანგ, ქალები ისვენებენ, ჩვენც შევიცვენოთ.

— კარგი.

— ვენახში წავიდეთ. აქ ვარიჩკა ზის. არ მინდა თვალში მოვხვდე.

მაკამ ცარიელი კალათა მარგილზე ჩამოაცვა და ლობიოს ბარდს წამოედო. ვახტანგმა ხელი შეაშველა. ამ შეხებამ საოცრად შეაერთო ორივე. ერთმანეთს დარცხენით შეხედეს და გაწითლდნენ. ვენახის პირზე ჩამწკრივებული თხილები დაკროლილიყვნენ. ატმებსა და მსხლებსაც ლოყები წითლად დაბრაწოდათ. რუს პირად ჩამწკრივებულ ბარდებში მწიფე მაცვალი მიმალულიყო. მაკა და ვახტანგი დიდი კაკლის ხისკენ გაეშურნენ, მწვანე მოლზე დასხდნენ და მათ წინ ჩამწკრივებულ ვაზებს გახედეს: დამკრახულ მტევნებს ყვითელი ფერი გადაჰკრავდა. ცაში მწიფობელები დატრიალებდნენ. ვახტანგმა მაკას ხელზე ხელი მოჰკიდა, გოგონას ხელმა უცნაურად შეიფრთხილა.

— აბა თვლები დახუჭე! — ვახტანგმა მწიფე მაცვალი პირში ჩაუღო მაკას.

— ახლა მე.

ვახტანგმა უეცრად თვალი გაახილა, მაკა მისკენ გადმოხრილიყო, ტუჩები მაცვლის წვენით ჰქონდა მოსვრილი. ვახტანგს აღარ ახსოვდა, როგორ მოხვია ხელი მაკას: გულში ჩაიკრა და აკოცა. მაკამ გაიბრძოლა, სცადა ვაჟის მკლავებიდან თავი დაეღწია, მაგრამ ვერ შეძლო...

ბურანიდან გვიან გამოერკვნენ და ერთმანეთს შიშით შეხედეს. მაკას ხმა ვერ ამოედო. ვახტანგი კი რაღაცას ამბობდა, მაგრამ მაკას იმ სიტყვების აზრი აღარ გაეგებოდა. მხოლოდ ესმოდა საკუთარი გულის ძვერა და გრძნობდა, რომ ის გული დღეიდან დიდი საიდუმლოს მფლობელი გახდა.

სტუდენტთა სამეცნიერო სხდომაზე ვახტანგი მოხსენებას კითხულობდა. გულის თანდაყოლილი მანკის საკითხი აინტერესებდა ვახტანგს. მთელი ზამთარი მუშაობდა, დღეებს ბიბლიოთეკაში ატარებდა.

პუბლია ჩამოვიდა სოფლიდან. პუბ-

კლავდია დევდარიანი
ძველი ფუძე

ლიამ ვახტანგის ცხოვრების ყოველი წერილმანი იცოდა და აბა, ასეთი ამბავი როგორ გამოეპარებოდა?

— არა, დედა, სხდომაზე ვერ წაგიყვან, იქ მხოლოდ სტუდენტები და პროფესორები იქნებიან.

— რა მიჭირს, შვილო, სადმე კუთხეში მოვიკუჭები.

— არა, დედიკო!

დილით ადრე ვახტანგს ყველაფერი მზად ჰქონდა. პუბლიამ დიდ სარკესთან დააყენა ბიჭი, დიდხანს უტრიალებდა ირგვლივ, მერე კიბეზე ჩააცვილა და სამჯერ წალმა შემოატრიალა.

დარბაზში სტუდენტებს ბლომად მიეცა რათ თავი.

ვახტანგი კათედრასთან მივიდა. აუდიტორიას გადახედა. იგრძნო, როგორ უთრთოდა ხელები. ჩაახველა, შუბლზე ოფლი მოიწმინდა. რამდენი თვალი მისჩერებია ვახტანგს! უცხო ხალხის მზერამ დააბნია და სათქმელი დაავიწყა. მოხსენება შემკრთალი ხმით დაიწყო, მაგრამ მალე გამხსნედა, ხმა გაუმტკიცდა, მთელი დარბაზის ყურადღება მიიპყრო.

— ნამდვილად დიდი მომავალი აქვს იმ ახალგაზრდას, — პროფესორი არჩილი თავის ასისტენტთან ერთად, ამ სიტყვებით შევიდა შინ.

— ვისზე ლაპარაკობთ? — მიეგება მედეა ქმარსა და სტუმარს.

— დღეს ერთმა სტუდენტმა სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე მოხსენება ვაკეთა. შენ რად არ იყავი? ის ბიჭი ხომ შენი თანაკურსელია, — მიუბრუნდა არჩილი მადონას.

ქალიშვილი სავარძელში იჯდა და ჟურნალებს ათვალიერებდა.

— მკერავთან გიყავი, მამა!

— შემცდარხარ. უნდა დასწრობოდი, საინტერესო მოხსენება იყო.

— მითხრეს...

— ბატონო არჩილ, სტუდენტთა სამეცნიერო სესიაზეც წავაკითხოთ ის მოხსენება.

— უეჭველად, უეჭველად!

სადილის შემდეგ მადონა მამას მოეხვია და უთხრა:

— მამიკო, ხვალ გამწვანებაზე მივყავართ, გამანთავისუფლე.

— ვერ გავიგე, შვილო, რას მტყუნებ? მადონამ მამას ლოყები დაუყოცნა და გამოაჯავრა:

— ვერ გავიგე, ვერ გავიგე! ხვალ, დილის შვიდ საათზე, შენი მადონა თბილისის ზღვაზე მიჰყავთ ხეების დასარგავად.

— მერე რა არის აქ ცუდი?

— არაფერი, მაგრამ შვიდ საათზე როგორ ავდგე!

— დილით ქალაქგარეთ გასეირნებას რა სჯობია!

— საბარგო მანქანით, მამიკო?

— რა ახირებულეი კაცი ხარ, არჩილ. სად უნდა წავიდეს ბავშვი! — ჩაერია საუბარში მედეა.

— ჯერ ერთი, შენი შვილი ბავშვი აღარ არის, ქალბატონო მედეა. მეორეც, — როგორ მივიდე და ვუთხრა: თქვენ ყველანი წაბრძანდით ხეების დასარგავად, ჩემი ქალიშვილი კი ვერ წამოვა-მეთქი?

— როგორ იქნება, არჩილ, მზე მოეკიდება.

— მზის მოსაკიდებლად ზღვაზე მიდინართ.

— რას ამბობ, არჩილ, ის სულ სხვაა! ზღვის მზეა.

— არაფერია, შვილო, წადი, ჰაერზე გავლა არ გაწყენს.

არჩილი წამოდგა და ნელი ნაბიჯით თავის კაბინეტისაკენ წავიდა.

სტუდენტები სამედიცინო ინსტიტუტის ეზოში დილით ადრე შეიკრიბნენ. ჯგუფებლები სიებს კითხულობდნენ. როცა ვახტანგმა მადონას გვარი ამოიკითხა, მადონამ კეკლუცად გაუცინა, თავი დახარა და ამხანაგებს წასჩურჩულა:

— იცით, მგონი მომწონს ეგ სოფელი ბიჭი!

— სოფელილობა აღარ ეტყობა, ერთი გენახა, როგორი მოხსენება წაიკითხა! — უთხრა ამხანაგმა.

— მამაც ძალიან აქებს.



— მასეთი სტუდენტები ბევრი არ არის ჩვენთან!

— შეეუტით?

— მერე თენგიზი?

— ეჰ, ერთი შენც... თავი მომაზეზრა, მუღამ მეჩხუბება! — ამხანაგმა შურით გააყოლა თვალი მადონას. მადონა საბარგო მანქანასთან შეჯგუფულ სტუდენტებთან მივიდა და ხმამაღლა სთქვა:

— ამაზე როგორ ავიდე? — თანაც თვალი ვახტანგისაკენ გააპარა. ვახტანგი მასთან მიიჭრა:

— მოგესმარები!

მადონამ ხელი გაუწოდა, ვახტანგმაც ხელი შეაშველა და ქალიშვილი მანქანაზე ავიდა.

ქალები საბარგო მანქანაში ფიცრებზე დასხდნენ. ვაჟები ფეხზე იდგნენ. მადონა ვახტანგს თვალს არ აცილებდა. სტუდენტები მთელი ვაზა სიმღერით მიდიოდნენ.

— სიმღერაც კარგი სცოდნია!

— ღმერთივით ბიჭია!

სამგორის ველიც გამოჩნდა. დილის მზის სხივებზე ზღვას საამო ფერი დაპკრავდა. ზღვის გარშემო ჯგუფ-ჯგუფად ირეოდა ხალხი და ნერგებს რგავდა. სტუდენტებს ინსტიტუტისათვის გამოყოფილ ადგილზე პარტორგანიზაციის მდივანი და ადგილკომის თავმჯდომარე დახვდათ. მანქანა გაჩერდა. ვახტანგი პირველი ჩამოხტა და გოგონებს მიეშველა. მადონამ ორივე ხელები მხრებზე დააწყო ვაჟს. ვახტანგმა ხელები წელზე შემოაჭდო და მადონაც მერცხალივით გადმოფრინდა ძირს. „რა წვრილი წელი აქვს“, — გაიფიქრა ვახტანგმა.

ქარი ქულებს ართმევდათ, კაბებს უფრიალებდათ. გოგონები კისკისებდნენ. ვახტანგი ამხანაგებს სამუშაოს უნაწილებდა.

— მადონა, შენ ნერგები დაგვიჭირე.

მადონამ თვალები მაღლიერებით მიაპყრო ვაჟს და ეშმაკურად გაიღიმა.

— უკვე დააბი? — წასჩურჩულა მადონას ლილიმ. გოგონები აფხუკუნდნენ.

— დიდი რამ კია მაგის დაბმა! — მხრები აიჩჩია მადონამ.

შუადღეზე სიცხემ დააჭირა. ბიჭებმა

პიჯაკები გაიხადეს, მუშაობა გაძნელდა. ვახტანგი ყველას ამხნევებდა. მისმა ბრიგადამ ყველაზე ადრე დაამთავრა მუშაობა, მადონაც განთავისუფლდა. ვახტანგმა ახლა დასახმარებლად სხვებს მიაშურა. დაღლილი გოგონები მანქანის ჩრდილში ჩამწკრივდნენ. ზოგმა ყმაწვილმაც ბარი გვერდზე მიაგდო და გოგონების ჯგუფს შეუერთდა. მადონამ მინდვრის ყვავილების თაიგული შეკრა.

— ჯილდოდ იმას, ვინც ყველაზე უკეთ იმუშავა, — გამოაცხადა მან და თაიგული ორივე ხელით მაღლა ასწია, რომ ყველას დაენახა.

— რა ეშმაკია, — წასჩურჩულეს გოგონებმა ერთმანეთს. — იცის, ვინც გაიმარჯვებს.

ქალიშვილები სუფრის გაშლას შეუდგნენ. როცა ყველანი ერთად შეგროვდნენ, მადონამ დაიძახა:

— ხალხნო და ჯამათნო! ვის გადაეცე ჩემი ჯილდო?!

— ვახტანგს! ვახტანგს! — იგრიალა ყველამ. მადონა ვახტანგთან მივიდა და თაიგული გაუწოდა.

— მიიღეთ ჩემი ჯილდო, თქვენ იგი დაიმსახურეთ!

— გმადლობთ, — მიუგო ვახტანგმა. წასასვლელად გაემზადნენ.

— სად არის ჩემი ჯილდო, ჭაბუკო. ასეთი უყურადღებობა შეიძლება? — მადონამ იქვე მიგდებული თაიგული აიღო და ვახტანგს ესროლა.

მადონა ლექციებს აღარ აცდენდა. ყოველთვის ვახტანგის გვერდით ჯდებოდა. ვახტანგიც შეეჩვია მის გვერდით ყოფნას. როცა მადონა დაავიანებდა, თითქოს რაღაც აკლდა. მაკასთან გასაგზავნ წერილებშიაც გახშირდა მადონას სახელი. მაკა ხშირად კითხულობდა: „მე და მადონა კინოში ვიყავით. მე და მადონამ პარკში გავისეირნეთ“. იმ დღეს მადონა ლექციაზე არ მოვიდა. ლილიმ წერილი მოუტანა ვახტანგს. მადონა ამ საღამოს

კლავდია დევდარიანი
ძველი ფუძე

დაბადების დღეზე ეპატიჟებოდა. ვახტანგ-
გი გახარებული მივიდა შინ.

— სად მიდიხარ, ვახტანგ? — ჰკითხა
ბიძაშვილმა.

— პროფესორის ქალიშვილმა დამპა-
ტიჟა, — თავმომწონედ მიუგო ვახტანგმა.

— შენს მეტი ვეღარავინ ნახა?

— ღღეს მისი დაბადების დღეა.

— ოჰო, ყოჩაღ, წინ მიდიხარ, ბიჭო!
სად არის დედაშენი, როგორ გაიხა-
რებდა!

— პროფესორის ქალიშვილი ჩემი
კარგი ამხანაგია.

— ტყუილად კი არ აქვს დედაშენს
შენი იმედი.

ვახტანგი კობტად გამოეწყო. საათს
დახედა.

— ბიჭო, რა წრიალი აგიტყდა, ის
გოგო გულში ხომ არ ჩაგივარდა?!

— რას ამბობ? — შეუტია ვახტანგმა.

— არ შეიძლება თუ?

ქუჩაში გამოსული ვახტანგი დიდხანს
ფიქრობდა, რა უნდა ეყიდა მადონასა-
თვის. ბოლოს წიგნების მაღაზიაში შე-
ვიდა და გამყიდველ ქალს მორიდებით
ჰკითხა:

— დაბადების დღეზე მივდივარ, რას
ამირჩევთ?

გამყიდველმა ქალმა ღიმილით შეათ-
ვალიერა ყმაწვილი:

— ქალია თუ ვაჟი?

— ქალი.

— უყვარს კი წიგნები?

ვახტანგი დაიბნა. ამაზე მას არასოდეს
უფიქრია.

— უყვარს...

— აი, მშვენიერი წიგნია...

ვახტანგმა ქალს წიგნი ჩამოართვა და
ჩქარი ნაბიჯით მადონას სახლისაკენ
გაემართა. რუსთაველის გამზირს გაჰყვა.
ქუჩაში უამრავი ხალხი ირეოდა, გაზა-
ფხულის ამ მშვენიერ საღამოს დიდი და
პატარა გარეთ გამოსულიყო. ვახტანგმა
ბიონერთა სასახლის ხეივანი გაიარა, მა-
ჩაბლის ქუჩაზე აუხვია და ღიმილი სახ-
ლის შესასვლელთან შეჩერდა. სახლის
ნომერი ერთხელ კიდევ შეათვალიერა და
ფართო კიბეს აჰყვა.

კართან შეჩერდა. პატარა, ოქროსფერ

აბრაზე პროფესორის გვარი და სახელი
ეწერა. ზარის ღილაკს ხელი დააჭირა.
კარს უკან ძაღლის ყეფა გაისმა. კარი
თეთრწინსაფრიანმა ახალგაზრდა ქალმა
გააღო. ძაღლს გაუწყრა, სტუმარი ოთახ-
ში შეიპატიჟა. მეორე ოთახიდან მადონა
გამოვიდა. თეთრი კაბა ეცვა, თმაშიც
თეთრი ვარდი ჰქონდა დაბნეული. პეპე-
ლასავით შემოფრინდა. ვახტანგმა პირ-
ველად ვერც კი იცნო ...

— მობრძანდი, ვახტანგ, მობრძან-
დი! — ვახტანგმა დაბნეულად მიმოიხე-
და, ოთახში მათ გარდა არავინ იყო. მა-
დონა მსუბუქად წამოვიდა მისკენ.

— დედა, გამოდი, ვახტანგი გვატაც-
ნო, — ხმამაღლა დაიძახა მან.

ოთახში ტანმალალი ქალი შემოვიდა.
შავი თმა ბულუღით ეყარა თავზე.
ზღვისფერი თვალები და მოღიმარი სახე
ჰქონდა. ქალის კობტა ტანს სიმსუქენ
შეჰპარვოდა.

— სასიამოვნოა, სასიამოვნო. ბევრი
კარგი მსმენია თქვენზე, ყმაწვილო. —
მედემამ თვალები ოდნავ მოჭუტა და
ფაფუკი, ლამაზი ხელი ვახტანგს გაუ-
წოდა.

— ხედავ, დედა, წიგნი მომიტანა სა-
ჩუქრად, — მადონამ წიგნი ხელში შე-
ატრიალა, — ქართული ყოფილა! არ
მიყვარს ქართული წიგნების კითხვა!

მედემამ წაუყრუა შვილის ნათქვამს.

— რად იგვიანებენ შენი სტუმრები?

მადონამ საათს დახედა.

— ჯერ ადრეა, დედიკო!

მედემამ შვილს მკაცრად გადახედა.
ვახტანგს გაუღიმა.

— მობრძანდით, ყმაწვილო. მადონა
დაუკრავს. არ მოიწყინოთ! — მედემამ
ვახტანგს სავარძელზე ანიშნა. სავარძ-
ლის წინ დაბალი მაგიდა იდგა, ზედ
ჟურნალ-გაზეთები ეყარა. ვახტანგი
უხერხულად ჩაჯდა სავარძელში. მედემამ
მის პირდაპირ დაჯდა, ჟურნალები გაუ-
წოდა.

— მადონა, დაუკარი რამე.

— დედიკო, მაგნიტოფონს ჩავრთავ.

მაგნიტოფონი მოდურ სიმღერებს უკ-
რავდა. მადონა ვახტანგს გვერდით მიუჯ-



და. დაბალ მაგიდაზე არც ერთი ქართული ჟურნალი არ იყო.

მადონას ამხანაგები ნელ-ნელა შეგროვდნენ. მოვიდნენ თანაკურსელებიც. მუსიკის ჰანგები ერთმანეთს სცვლიდა.

— ვახტანგ, არ ცეკვავ?

— არა!

— მოდი, გასწავლო! — მადონამ ვახტანგს ორივე ხელი ხელებში წაავლო, — აი, ასე ამოძრავე ფეხები. აი, ასე, — ასწავლიდა მადონა და პატარა ფეხებს სწრაფად დააცურებდა იატაკზე. ვახტანგს თავბრუ დაეხვებ. თვალი აუჭრელდა, დარბაზში მარტო მადონასღა ხედავდა.

— დავიწყოთ! — მადონამ ვახტანგს მხარზე ხელი დაადო და ტანის მსუბუქი რბევით მოსცეკვავებებს შეუერთდა.

ვახტანგს არ ახსოვდა, როგორ ცეკვავდა, ახსოვდა მხოლოდ, რომ სხვებთან ერთად ისიც ტრიალებდა ჯა რომ მადონა ცეკვას უწონებდა, შემდეგ სადღეგრძელოებს ამზობდა და ყველას ყურადღება დაიმსახურა.

დაწოლის წინ მედემამ შვილს უსაყვედურა:

— როგორი უტაქტო ხარ, მადონა. როგორ შეიძლება საჩუქრის დაწუნება!

— რად მინდა ქართული წიგნი, ხომ ვერ წავიკითხავ!

— ასე უზრდელად მაინც არ უნდა მოქცეოდი.

— ოჰ, ერთი შენც, დიდი სერემონია მჭირდება ვახტანგთან.

არჩილმა გაზეთი გვერდზე გადადო და ცოლს მიუბრუნდა:

— ესეც შენი აღზრდის შედეგი, ქალბატონო მედეა. ჩემი შვილი ქართულ წიგნს ვერ კითხულობს.

მადონამ საჩუქრების დათვლიერებას თავი მიახებდა, მაშისკენ მობრუნდა:

— მაგაზე ადრე უნდა გეფიქრა, მამა. ახლა გვიან არის.

არჩილი შვილს მიაჩერდა. მის თვალწინ გაიბრინა მრავალი წლის წინათ ატეხილმა დავამ. მაშინ მედემამ აჯობა. მაგრამ ახლა, ახლა მართლაც გვიან იყო! არჩილი წამოდგა და თავის ოთახ-

ში გავიდა. მედემამ დამცინავი ღიმილი გააყოლა ქმარს. მუდამ ასე იყო, გაუაზრებელი, დამარცხებული არჩილი თავის ოთახში შეიკეტებოდა.

ღილით მედეა დიდხანს აღვიძებდა მადონას, ადე, შვილო, ლექციებზე დაგაგვიანდებო. მაგრამ მადონას არაფერი ესმოდა. თორმეტ საათზე ძლივს გაიღვიძა. ნებიერად გაიზმორა და დედას უთხრა:

— დედა, მამას უთხარი დამხმაროს, თორემ დღესაც გამიცდა პრაქტიკული, ვაითუ არ ჩამითვალონ!

— არა გშია, შვილო?

— როგორ არა, მაგრამ ადგომა მეზარება!

— იყავი, შვილო, აქ მოგიტან.

შინამოსამასხურემ კაკაო და ნამცხვარი შემოიტანა.

— ძალიან მომეწონა თქვენი ვახტანგი!

— ნეტა რა მოგწონთ მაგისი?

— მამაშენმა სთქვა, ნიჭიერი ყმაწვილიაო, თვალადაც მშვენიერია.

— რას ამზობ, დედა, რას?

— წუხელ თვალი არ მოუცილებია შენთვის...

— ჰა-ჰა-ჰა! ესღა მაკლია, ვახტანგს არ მოგვეწონს! — მადონამ კოხტად შეარხია თავი.

— დავიჯერო ვითომ?!

— თუ ეჭვი გეპარება, მაგასაც გაჩვენებ! — მადონა საწოლიდან წამოხტა. ფეხები ქოშებში წაპყო, ტელეფონთან მივიდა.

— ლილი ხარ? რომელ საათზე ადექი? მე ვერაფრით ვერ გავიღვიძე. ჩვენი ღირსეული თამადა როგორ არის? ჰა, ჰა, ჰა, არა, არა, ამ საღამოს აღარ მოიყვანო. იმის თავი არა მაქვს. ამ საღამოს მარტო ჩემიანები მოვლენ. პროფესორი არ ჩამითვლის? ნუ გეშინია, იმ შენ მოწონებულ ვახტანგთან ერთად ვიმეცადინებ. ნახე, თუ არ ჩავაბარებ. სხვა რაში გამომავლება?

კლავდია დევდარიანი
ძველი ფუძე

სტუდენტები საგზაფხულო სესიები-
სათვის ემზადებოდნენ. სოფლიდან პუბ-
ლია ჩამოვიდა. ბიჭს ხელი უნდა შე-
ვუწყყო.

ვახტანგი, მადონა და ლილი ერთად
მეცადინეობდნენ. ისინი მადონასთან იყ-
რიდნენ თავს. მათ განკარგულებაში იყო
ცალკე ოთახი, ცხელი საუზმე, ცივი ლი-
მონათი, ბორჯომის წყალი. დაღლილ
სტუდენტებს ხანდახან არჩილის ავტო-
მობილი წყნეთისაკენ ან კიკეთისაკენ
გასაცირებდათ. ვახტანგს ძალიან სია-
მოვნებდა მანქანის რბილ სავარძელზე
ჯდომა და ქალიშვილებთან საუბარი.

პუბლიას რძალმა სასიხარულო ამბავი
დაახვედრა: — შენ შვილს დიდი წარმა-
ტებები აქვს, პროფესორის ქალიშვილი
ყოფილდე აკითხავსო.

— დედა, რას მეუბნები, აგრაფინა? —
შეიცხადა პუბლიამ.

— აგერ ნახავ, საცაა მოვა, ქალაქის
პირველი საავადმყოფო შორს არის, ფე-
ხით სიარულს არ აკადრებენ შენს
შვილს, — აგრაფინას სიტყვებში ცოტა
შურიც იგრძნობოდა.

მათი სახლის წინ მანქანა გაჩერდა.
ვახტანგმა ფანჯრიდან გადაიხედა, სა-
ქალაქის ხელი დაავლო და კიბეზე
ჩაირბინა.

— მოდი, ქალო, დაგანახო! — მიუბ-
რუნდა პუბლიას აგრაფინა, — გამოდი
აივანზე.

— ასე ვერ გამოვალ, არ დამინა-
ხოს, — შეწრიალდა პუბლია. ფანჯრიდან
გადაიხედა და დაინახა როგორ გამოალო
ვახტანგმა მანქანის კარი. მანქანა ას-
ფალტზე გასრიალდა.

— დედა, ღმერთო მოჰკალი, რატომ
არ ერიდება ამ ბიჭს პროფესორის მან-
ქანით სიარული?

— აჯენენ, ბატონო, და რატომ არ
უნდა ჩაჯდეს? — დავესლა აგრაფინამ.

მანქანა საავადმყოფოსკენ მიქროდა.
შოფრის გვერდით პროფესორი იჯდა და
ამიტომ ვახტანგი და მადონა ჩუმად იყ-
ვნენ. დღეს პროფესორი ოპერაციას აკე-
თებდა. სტუდენტები დერეფანში ჯგუ-
ფად იდგნენ და რაღაცაზე გახსარებით
კამათობდნენ. პროფესორი რომ დაინა-
ვს

ხეს, უეცრად დაჩუმდნენ. პროფესორი
ყველას მიესალმა, თავის ოთახს მიაშუ-
რა. სტუდენტები მადონასა და ვახტანგს
შემოეხვივნენ. მადონამ საქალაქე ვახ-
ტანგს გაუწოდა.

— დაიჭი, ხალათს ჩაიცვამ, — მა-
დონამ ხალათი ჩაიცვა, თმები კოხტად
გადაივარცხნა. — მომე, ახლა შენ ჩაიც-
ვი, — გაუღიმა ვახტანგს და ხალათი
გაუწოდა.

სტუდენტები საოპერაციო ოთახის წინ
შეჩერდნენ. ექთანმა სტუდენტებს ანიშ-
ნა, ოთახში შესულიყვნენ. ყველანი
ფრთხილი ნაბიჯით ავიდნენ კიბეზე და
სტუდენტებისათვის განკუთვნილ ადგილ-
ზე ჩამწყრივდნენ.

— ჩემთან დაჯექი, — წასჩურჩულა
მადონამ ვახტანგს და ხელი ხელზე ოდ-
ნავ მოუჭირა.

ექთანმა პროფესორს რეზინის ხელ-
თათმანები მიაწოდა. ასისტენტებმა თა-
ვიანთი ადგილები დაიკავეს, ოპერაცია
დაიწყო. მადონა თვალს არ აცილებდა
მამას. რამდენჯერ გაუგონია, პროფე-
სორს კარგი ხელი აქვსო, მაგრამ ოპერა-
ციის დღეს პირველად ესრებოდა.

შინ დაბრუნებულ ვახტანგს პუბლია
მორიდებით შეხვდა.

— დაიღალე, შვილო?

— არა, დედიკო, საინტერესო ოპერა-
ციას დავესწარი. პროფესორი აკეთებ-
და.

— აგრაფინამ მითხრა, პროფესორის
ქალიშვილი ვახტანგთან ერთად მეცადი-
ნეობსო.

— კი, დედიკო, ძალიან კარგი გოგოა,
ნიჭიერი, ცოტა ზარმაცია და დედამისმა
მთხოვა; ამეცადინეო.

— კაი დაგეშართოს, შვილო, მაგას რა
სჯობია!

პუბლიამ მთელი ღამე უძილოდ გაატა-
რა, შვილის ბედაზე ფიქრმა არ დააძინა.
აი, მისი ვახტანგი უკვე ექიმია, პროფე-
სორის სიძეა, მას ყველა მოწიწებით ექ-
ცევა. ვახტანგი თბილისში ცხოვრობს,
მშვენიერი ბინა აქვს, ეზოში მანქანაც
უდგას. პუბლიასაც უსრულდება დიდი
ხნის ოცნება, — თბილისში ცხოვრობს.
ვახტანგი ცოლ-შვილით საზაფხულოდ

სოფელში ჩამოდის. პუპლია ამაყობს, რომ მისი რძალი ასეთი განათლებული და ლამაზია. კი მაგრამ, რომ არ იცის როგორია მისი სასძლო. პუპლია ლოგინში წამოჰდა. ეს როგორ იქნება, ნუთუ ვახტანგი თავის საცოლეს მშობელ დედას არ ანახებს?

დილით პუპლიამ ვახტანგს საუბრე გაუმზადა, გვერდით მოუჯდა.

— შვილო, მაჩვენე პროფესორის ქალიშვილი.

— რად გინდა, დედა?

— მინდა შეგხედო, როგორი გოგოა. სოფელში არავინ დაგვეცინოს. — სოფლის ხსენებაზე ვახტანგი შეკრთა. მაკას ისე ხშირად ვეღარ უგზავნიდა წერილებს. მეცადინეობა, კინო, თეატრი და მადონასთან სეირნობა დიდ დროს ართმევდა მას. მაკას წერილებს კვლავ სიხარულით კითხულობდა, მაგრამ ზოგჯერ იმ სტრიქონებს გამოტოვებდა, სადაც დაუსრულებლად იყო ლაპარაკი ვენახის მოვლაზე და აბრეშუმის ჭიაზე.

— რას დაფიქრდი, შვილო?

— სოფელი გამახსენდა.

მანქანის საყვირის ხმა გაისმა, ვახტანგი წამოხტა. პუპლია დაფაცურდა. დიდი სარკის წინ შეტრიალ-შემოტრიალდა, თმა შეისწორა. ტანსაცმელს თვალი შეავლო და ვახტანგს შეუმჩნევლად უკან მიჰყვა. ის-ის იყო ვახტანგმა მანქანის კარი გამოაღო, რომ დედის ხმაც მოესმა:

— ვახტანგ, შვილო, ცხვირსახოცი დაგრჩა, — ვახტანგმა უკან მოიხედა და ცხვირსახოცი სწრაფად გამოართვა.

— მოიცა, შვილო, გამაცანი შენი ამხანაგი.

მანქანიდან მადონა გადმოხტა. მას წითელი ქოშები და ჩითის ნოჰიანი კაბა ეცვა. თმა მოკლედ ჰქონდა შეკრეჭილი, პუპლიას თავი მოხდენილად დაუკრა და ხელი გაუწოდა.

— სახლში ავიდეთ, შვილო!

— გმადლობთ, გვეჩქარება.

— დედა, ახლა მაგის დრო არ არის! — უთხრა ვახტანგმა.

— პირობა მომეცით, სხვა დროს რომ მოხვალთ, უსათუოდ მინახულებთ, —

არ ეშვებოდა პუპლია მადონას და არც ხელს უშვებდა.

— აუცილებლად! აუცილებლად!

— შენი ჭირიმე, რა კარგი გოგო ყოფილხარ. — პუპლიამ მადონას ლოყაზე ხელი მოუცაცუნა. მადონა მანქანაში ჩაჯდა, პუპლიას ხელი დაუქნია.

— სიმპათიური ქალი ყოფილა დედაშენი, — გაუღიმა ვახტანგს მადონამ, — მაგრამ როგორი ხელი აქვს! ალბათ ბევრს მუშაობს.

მადონამ ლოყაზე ხელი მოისვა. ვახტანგი გაწითლდა, გუნება გაუფუჭდა. კარგახანს ხმა არ ამოუღია. გაახსენდა, როგორ ემდურებოდნენ დედას სოფელში, ცოტას მუშაობსო, მადონა კი თურმე სხვანაირად ფიქრობს.

— რამ დაგაფიქრა, ვახტანგ? ექიმი რომ გახდები, დედას ბევრს ნუ ამუშავებ, — ვახტანგმა თავი დაუქნია. — სოფელში არასოდეს არ გყოფილვარ. კარგია სოფელი?

ვახტანგი თვალდახუჭული მიყრდნობოდა საზურგეს.

— რა დაგემართა, ვახტანგ, დაგეძინა?

— არა, რას ამბობ!

— ამაღამ „ოტელოზე“ მივდივართ, ბილეთები მოგვიტანეს.

— მართლა? კარგი ადგილებია?

— ადგილს რას დავეძებ, ოღონდ ვნახო.

მადონას ნახვის შემდეგ პუპლია ცას ეწია სიხარულით. სამწუხაროდ, შინ მარტო იყო. არ იცოდა ვისთვის გაეზიარებინა სიხარული. ბაზრიდან მოსულ აგრაფინას ისე შეეგება, თითქოს ათი წელია არ უნახავსო.

— დედა, დედა, რა გოგოა, რა გოგო!

— ვინ?

— ვახტანგის საცოლედ.

— უკვე საცოლედ გახდა? — აიმრიზა აგრაფინა.

კლავდია დედმარცხენი
ძველი ფუძე

— რა ვიცი, მე კი ასე ვფიქრობ, ჩემო აგრაფინა და...

— კაი დაგემართოს, კაი საქმეა! — კვერს უკრავდა აღტაცებულ პუბლიას აგრაფინა, თან ნავაჭრს ალაგებდა.

— მაგას რომ სოფელში ჩაიყვან და ჩემს ეზო-გარემოში გავატარებ, არ დასკდებიან გულზე?

— არც ისე გადასარეგია, ქალო, ერთი გაკნაჭული გოგოა!

— მართალია, ცოტა გამხდარია, მაგრამ გავასუქებ, ქალო. ერთი მაგ მომცა სოფელში და ისეთ ფერ-ხორცზე მოვიყვან, რომ თვალი ვერ მოსწყვიტო. მართო ის რადა ღირს, პროფესორის ქალი-შვილი რომ არის. შესახებდავად შალვას გოგო სჯობია, მაგრამ სად ის და სად მადონა? ტალახში თხლაშუნით ქუსლები აქვს გადატყაული.

— ვახტანგი არ მოსულა? — სიტყვა შეაწყვეტინა პუბლიას ოთახში შემოსულმა მინდიამ.

— ახლა წავიდნენ, შვილო, ისა და მისი ამხანაგი.

— ფეხბურთის ბილეთი არ დაუტოვებია?

— მალე მოვალო, დაიბარა.

— დედა, ხალათი არ დამიუთოვე? — ახლა დედას მიუბრუნდა მინდია.

— ვერ მოვიცალე, შვილო, ბევრი საქმე მქონდა.

— ამ დაქმუნნილი ხალათით როგორ წავიდე?

— მე დაგიუთოვებ, მინდია. რატომ დილითვე არ მითხარი? — დაუტკბა პუბლია ძმისწულს.

— შენი ჭირიმე, მამიდა, გამიუთოვე. იმ ბიჭმა რომ დააგვიანოს, მოვკლავ!

მინდია სარკესთან იდგა და ქოჩორს ივარცხნიდა, როცა ქუჩიდან ვახტანგის ხმა მოისმა:

— ჩქარა, მინდია, ვვაგვიანდება! მადონას მანქანით მიყვავართ სტადიონზე! მინდიამ პუბლიას დაუთოებულები ხალათი გამოართვა და მადლობის ნიშნად ლოყაზე აკოცა.

— მარჯვე ბიჭი გყავს, მამიდა, მარჯვე! სულ შენა გვაგს, არ დაიკარგება.

— ღმერთო მომკალი, პროფესორის

მანქანით მიდის ფეხბურთზე? — ცხადა პუბლიამ.

— შენ ის სთქვი, არ გაგიჟდეს და ის გაკნაჭული გოგოც არ წამოიყვანოს!

— თუ გოგოს წამოსვლა უნდა, უარს ხომ ვერ ეტყვის, შვილო, — წაეშველა პუბლია ვახტანგს.

— მაგ საქმის შენ არაფერი გაგეგება, მამიდა! — მინდიამ პუბლიას წელზე ხელი შემოხვია, რამდენჯერმე შემოატრიალა და გარეთ გავარდა.

შესალამოვდა. ის იყო, პუბლია და აგრაფინა ტელევიზორს მიუხსდნენ, რომ ზარის წკარუნმა ორივენი ფეხზე წამოაგდო. აგრაფინამ კარი გააღო და ოთახში ხალათშემოფლეთილი, სახედაკაწრული მინდია შემოვიდა.

— ვაიმე! — ერთხმად შეჰკვივლეს ქალებმა.

მინდიამ სწრაფად მიხურა კარი.

— რა დაგემართა, ბიჭო?!

— ტროლეიბუსიდან ჩამოვარდი?

მინდია დაფხრეწილ ხალათს იხდიდა და ხმას არ იღებდა.

— სთქვი, ბიჭო, რა წაგეკიდა? — შეუყვირა შვილს აგრაფინამ.

— ვიჩხუბეთ!

— ვახტანგი სად არის? — გონს მოეგო პუბლია, — ისიც ხომ შენთან იყო?

— ვახტანგი დაიჭირეს!

— ვაიმე, შვილო! ასეთი რა დააშავა! — იკივლა პუბლიამ და ლოყა ჩამოიკაწრა.

— ქუჩაში ჩხუბი მოგვივიდა ბიჭებს.

— რას მეუბნები, შვილო, ვახტანგის ჩხუბი კაცს არ გაუგონია!

— მე ვიჩხუბე, მამიდა, მე! ვახტანგი მომეშველა.

— მერე შენ გამოიქექცი, ბიჭო?

— აბა, ორივე რომ დავეჭირეთ, ამბავს ვილა მოგიტანდათ?

— ეს რა მესმის! ეს რა მესმის! — პუბლიამ მოთქმით დაიწყო ტირილი.

— თქვენ წადით მილიციაში. მე რომ წამოვიდე, არ ივარგებს, შეიძლება მიცნონ.

პუბლიამ და აგრაფინამ მილიციაში ბევრი ვერაფერი გაიგეს.



— არაფერია, დეიდა, ჭკუას ისწავ-
ლის, — უთხრა განყოფილების მორიგემ.

— რას ამბობ, შვილო, — აწუწუნდა
პუბლია, — ჩემს შვილს ჭკუის სასწავლე-
ბელი რა სჭირს! ოქროსავით ბიჭია,
სტუდენტი.

— ჭკუის სწავლება რომ არ სჭირდე-
ბოდეს, ჩვენთან არ მოხვდებოდა. ის კი
არა, შეიძლება ინსტიტუტიდანაც გა-
მოაბრძანონ.

ამ სიტყვებმა მთლად გადარია პუბლია.

— რაღა ვქნა, რაღა მეშველება, რა
წყალში ჩავევარდე, ბიჭი ინსტიტუტიდან
მართლა რომ გამომივლონ.

— ნუ გეშინია, ქალო, — ანუგეშებდა
მულს კრატაშეკრული აგრაფინა.

იმედგადაწყვეტილი ქალები შინ წა-
მოვიდნენ, აღარ იცოდნენ რა გზას დას-
დგომოდნენ ან რა ელონათ. პუბლიამ ის
ღამე თეთრად გაათენა.

— ვაიმე, შვილო, სად ხარ, რა დააძი-
ნებს დედაშენს, — ოხრავდა იკი.

— სანამ თქვენ რამეს მოიფიქრებთ,
საქმეს სასამართლოში გადასცემენ. ისევ
ის გოგო უნდა მოვძებნოთ. მე მისამართს
გავიგებ, იქნებ დაგვეხმაროს, — სთქვა
დილით მინდიამ.

— ვაიმე, იმას როგორ გავაგებინო.
ხომ მომეჭრა თავი.

— რას ამბობ, მამიდა, რა დროს თა-
ვის მოჭრაა! მაღონას მამამ თუ არ
უშუამდგომლა, შენს შვილს ციხე არ ას-
ცდება, ინსტიტუტიდანაც გამორიცხავენ.

— დედა, შვილო, პროფესორმა რომ
ეს ამბავი გაიგოს, ქალს გამოატანს ჩემს
შვილს?

— ნუ გეშინია, მამიდა, ეს ხელს არ
შეუშლის.

მინდიამ როგორც იყო დაყოლია
პუბლია და აგრაფინა, რომ პროფესორ-
თან წასულიყვნენ.

პუბლია ძლივს ადიოდა კიბეზე. ქა-
ლებმა აბრაზე პროფესორის ვეარი ამო-
იკითხეს და სულის მოსათქმელად კარ-
თან შეჩერდნენ. ოთახიდან პიანინოს
ხმა ისმოდა.

— ვაიმე, შვილო, სად არის ახლა ჩე-
მი ვახტანგი? — ამოიგმინა პუბლიამ.

— კარგი ერთი, რა დროს წუწუნია! —

შეუტია მულს აგრაფინამ და ზარბ-
ღილს ხელი დააჭირა.

კარი მაღონამ გააღო და პუბლიას და-
ნახვაზე ძალიან გაოცდა.

— მობრძნდით, თქვენ ვახტანგის დე-
და ბრძანდებით?

— კი, შვილო, ვახტანგის დედა ვარ,
ვახტანგის, ვაი ჩემს დღეს!

— რა მოხდა? — გაიკვირვა მაღონამ.

— ისეთი არაფერი, ქალიშვილო, —
სიტყვა ჩამოართვა პუბლიას აგრაფი-
ნამ, — ვახტანგმა ქურაში იჩხუბა და
მილიციაში წაიყვანეს.

— აი თურმე რატომ არ მოვიდა წუ-
ხელ ოპერაში, მე კი...

— რას მოვიდოდა, შვილო, ციხეში
ზის ჩემი ვახტანგი.

— ახლა მილიციაშია და შეველა უნდა,
იქნებ შუამდგომლობით გამოუშვან, თუ
არადა, ინსტიტუტიდანაც გარიცხავენ.

— რა ვქნათ, როგორ დავეხმაროთ?

— მამაშენი მაჩვენე, შვილო! ვთხოვ,
მუხლებზე შემოგვიხევი, — კვლავ აწუ-
წუნდა პუბლია.

— ახლა მამა შინ არ არის. როცა მო-
ვა, ვეტყვი, ალბათ დაეხმარება.

— შეიხევი, შვილო, მეც მოვალ,
ვთხოვ, არ დამედუბოს შვილი.

— თქვენი მოსვლა საჭირო არ არის,
მე თვითონ ვეტყვი მამას.

ვახტანგი შინ სამი დღის შემდეგ დაბ-
რუნდა. მაღონამ მოიყვანა მანქანით.
პროფესორის შუამდგომლობამ გასჭრა.

პუბლია სიხარულისაგან დაიბნა, აღარ
იცოდა, ვახტანგს გადახვეოდა თუ მა-
ღონას.

— ეს რა ანგელოზი გამომიჩნდი, შვი-
ლო! შენ რომ არა, ჩემს ბიჭს ციხე არ
ასცდებოდა, ინსტიტუტსაც უნდა ჩამო-
შორებოდა. მაღლობა უთხარი, შვილო,
შენს პროფესორს — ციხეს, სირცხვილს,
თავის მოჭრას რომ გადაგარჩინა!

პუბლიას წუწუნზე მაღონა და ვახტან-
გი გულიანად იცინოდნენ.

კვლავდა დევდარიანი
ძველი ფუძე

პუბლიას სოფელში ჩასვლისთანავე ხმა დაირხა, ვახტანგი პროფესორის ქალს ირთავსო. ეს ამბავი პუბლიამ ვარიჩკას უთხრა საიდუმლოდ.

— ჩემო ვარიჩკა, ვიცი, გაგებხარდებო ჩემი ოჯახის სიკეთე, ვახტანგი პროფესორის ქალს ირთავს.

შეშინებული ვარიჩკა პუბლიას მიაჩერდა.

— რას ამბობ, ქალო, გაგიჟდი?

— რამ გამაგიჟა!

— იმ გოგოს რაღას ეუბნებით?

— რომელ გოგოს? — გაიკვირვა პუბლიამ, ვითომ არ იცოდა, ვისზე იყო ლაპარაკი.

— რომელს და მაკას!

— რა უნდა ვუთხრა?

— მე რას მკითხები, საცაა ქალს ბავშვი ეყოლება.

— უი, უი, ღმერთო მომკალი, ეგ რა მითხარი, ქალო! — შეიცხადა პუბლიამ და ლოყები ჩამოიკაწრა, — მერე რას ამბობს ის სასიკვდილე, ვახტანგისააო?

— აბა, ვისი იქნება? ამას რა გამოცნობა უნდა.

— გადაირიე, ქალო? ეგ როგორ გაჩიბედე? — გაცხარდა პუბლია. — მთელი დღე გოგო სოფელ-სოფელ დატანტალებს, ისა და ამირანი ხან აქ არიან, ხან იქ და ვახტანგი რა შუაშია?

— რავა ისე შეიცხადე, ვითომ ახალი ამბავი გაგეგონოს, — გაჯავრდა ვარიჩკა, — ამირანი რა შუაშია, ქალო. დღე-დღეზე ქორწილს გააჩაღებდით, მეგონა.

„შეხედე, რა უსინდისოები ყოფილან? თავიანთი გაფუჭებული საქმე ამირანს უნდა გადააბრალონ! აგრე მოუხდება შალვას!“ — ფიქრობდა ორლობეში მომავალი ვარიჩკა. ესმას სახლს რომ გაუსწორდა, გულმა აღარ მოუთმინა და გასძახა:

— საღამო მშვიდობისა, ესმა!

— ღმერთმა მშვიდობა ნუ მოგაკლოს, ჩემო ვარიჩკა.

— საქორწილოდ ხომ არ ემზადები, ესმა?

— ვინ გიჯერებს, ჩემო ვარიჩკა, თორემ იცოცხლე, შვილიშვილი მენატრებოდეს!

— პუბლიამ გაჯობათ ყველას, ვარიჩკამ ალაგვე გადმოაბიჯა. ქალები აკაციის ძირში ქვის სკამზე ჩამოსხდნენ.

— კარგი უფიქრიათ, არ ივარგებდა დაცდა.

— რატომ? — გაიკვირვა ვარიჩკამ.

— რად მალაპარაკებ! შენც ხომ კარგად იცი.

— შენ არ მომიკვდე, არაფერი ვიცოდე, — შორს დაიჭირა ვარიჩკამ. ესმა მიხვდა, აქ რაღაც ამბავიაო და გაჩუმდა. ვარიჩკამ ღუმილი ველარ აიტანა და დაიწყო:

— ახლა პუბლიასთან ვიყავი, მითხრა, ვახტანგი პროფესორის ქალს ირთავსო ქორწილისათვის ემზადება.

ესმა დაიბნა, ჭირის ოფლი დაასხა, თავსაფარი მოიხსნა და სახეზე მიისგმინისვა.

— რა იყო, ქალო, არ გაგებხარდა? პროფესორის ქალიშვილი რძალად შემოგვივა.

ესმა სწრაფად წამოდგა და სიმინდის ხვავზე შეგროვილ ქათმებს ქაქანით გამოუღდა:

— აქშა, აქშა! უყურეთ ამ წყეულებს. თქვენ შეგვამათ მელამ!

— დიდი უნამუსო ხალხი კი ყოფილან! — ისევ წამოიწყო ვარიჩკამ.

— ვინ?

— ვინ და პუბლია, მისი ქმარი და ის ვაყბატონიც.

— რა მოხდა, შე ქალო, ასეთი, ქალი არავის შეურთავს?

— ჰოდა, თუ შეურთავს, მაკა ამ დღეში რომ არის, პუბლია ამას შენს ამირანს აბრალებს.

— უი, უი, ღმერთო მომკალი! რატომ იწყემდს სულს ის პირშავი, რატომ?

ვარიჩკამ ესმას თავი მიანება და მეზობლებისაკენ გასწია. სოფელს სწრაფად მოედო ახალი ამბავი.

ესმას უნდოდა მაშინვე პუბლიასთან გაქსეულიყო და ერთი ლაზათიანად გამოეღანძლა, მაგრამ ბოლოს გადაწყვიტა, საქმე კარგად გაერკვია და საღამოს შინ დაბრუნებულ შვილს მიუჯდა:

— შვილო ამირან, ამ ბავშვმა გრამატიკის წიგნი რომ ვერ იშოვა, გეთქვა



მაკასთვის, ვახტანგს მიწერდა, იქნებ გამოეგზავნა.

— გამოცდების ჩასაბარებლად რომ წაგაღ, მე თვითონ ვიშოვი.

— მაკას რომ უთხრა, რა უჭირს, ვახტანგს წერილებს ხომ წერს?

— წერს, აბა რა?

— ისიც ხომ პასუხობს, შვილო?

— ვინ ის?

— ვინ და ვახტანგი.

— რას ჩამაცივდი, დედაჩემო, რაში გეკითხება ვახტანგის წერილები?

— ისე გკითხე, რად ცხარობ?

ესმამ შვილის პასუხით გული დაიმშვიდა. სუფრის ალაგებას შეუდგა. თავი დაიხიმედა, ეს ვარიჩქას მორიგი ჭორი იქნებაო. „როგორ არის შალვას ოჯახზე გადაკიდებული! თუმცა ვისზე არ არის გადაკიდებული? ამირანის ბავშვი იქნებაო. საიდან მოჭორა, მაგას გაუხმა ენა. ვაი, ნეტა მართლა ჩემი ამირანის იყოს, ხელად გადავიხდიდი ქორწილს. კაი რძალი არ მეყოლებოდა თუ? ნეტა ეს ბიჭი იმ ვიქმაჟ მაციას მიინც მოიყვანდეს!“

პუბლიას გუნება წაუხდინა ვარიჩქას ნათქვამმა. ინანა, ნეტავ არაფერი მეთქვაო. „მაგას გაუსკდა მიწა, ეს გაკეთებული საქმე მაგ გომბიომ რომ ჩამიშალოს, რაღა მეშველება? ვახტანგს ვახტანგ, ეს რა მიყავი, ბიჭო!“ — პუბლია გულში ხელს ირტყამდა. ამ ამბავმა ისე ააფორიაქა, რომ ქმრის მოსვლამდე გული ვერაფერს დაუდო, თავწაკრული იჯდა აივანზე და გზას გასცქეროდა.

— საღა ხარ, კაცო, სად დაიკარგე ამდენ ხანს? — შეეგება პუბლია ლევანს.

— სად ვიქნები, რა დაგემართა?

— რაღა რა დამემართა, შალვას მაკა ფეხმძიმედ ყოფილა.

— მაშ, ქორწილს გავაჩაღებთ, პა?

— აპა, პა, პა, თუ ჩემი სიკვდილი არ გინდა, ეგ არ გამაგონო!

— რა წაგეკიდა, ქალო, არ იტყვი?

— ხომ გითხარი, ვახტანგს პროფესორის ქალიშვილი ეძლევა-მეთქი.

— ახლა, თუ საქმე ასეა, მაკას ხომ ვერ მიატოვებს?

— რა იცი, რომ მაკას შვილი ვახტანგისაა?

— ცოდვას ნუ ამბობ, დედაკაცო! — შეუტია ლევანმა ცოლს.

— იმ ქალის მამა პროფესორია. ვახტანგის ბედი იმ კაცზეა დამოკიდებული.

— ახლა რაღა დროს ეგ არის, მაკას უნდა მიეხედოთ.

— თუ ასეა, შალვა რატომ არაფერს ამბობს?

— ალბათ არ იცის.

— რა არ იცის? თვალი ხომ არ დაესებია?

— არა, პუბლია. რადგან ასეა, ის ბიჭი მაკას მეტს ვერაფერს შეირთავს.

— არ მითხრა ეგ! იმ ქალის მამამ ბიჭი ციხიდან დაიხსნა, ინსტიტუტიდან გამორიცხვას გადაარჩინა...

— ხომ არ გადაირიე, დედაკაცო! — იყვირა ლევანმა.

პუბლია უცებ დაწყნარდა, თვალეზი ეშმაკურად გაუბრწყინდა და ლევანს საიდუმლოდ ჩასჩურჩულა:

— ის ქალიც ფეხმძიმედ არის და საცაა შვილი უნდა ეყოლოს.

ლევანმა წარბი შეიკრა და მთელი სოფლის გასაგონად დასჭყეა:

— რას ჰგავს ეს? ფეხი არ დაღვას აქ, თვალით აღარ დამენახოს!

— ჩუ, ჩუ, ნუ გადაირიე! — პუბლია ქმარს კისერზე ჩამოეკიდა და ტუჩებზე ხელი დააფარა. ლევანმა კიბე ჩაირბინა და იმ დამეს შინ არ შესულა, ეზოში დაბორილალობდა. არც პუბლიას თვალს მოჰკიდებია რული. გათენების ხანს კიბეზე ქმრის ფეხის ხმა გაიგონა და ხმადაბლა შეეხმინა:

— სად იყავი, კაცო, ამდენ ხანს?

— არსად, — წაიბუზღუნა ლევანმა.

პუბლია ლოგინზე წამოჯდა და ცრემლნარევი ხმით დაიწყო:

— იმ გოგოს მამა პროფესორია, ლევან, დიდი კაცია! იმას რომ უარი ვუთხრათ, ბიჭი დამედუბება.

კლავდია დევედარიანი
ძველი ფუძე

— რას ამბობ, დედაკაცო, მე ამ სოფელში აღარ დამედგომება, რა ვუთხრა შალვას, ხალხს რა ვუთხრა?

— ლევან, შენს თავზე ფიქრობ თუ ბიჭზე? მის მეტი ვინ გვყავს? მე და შენ მისი ჭირი წავგიღია, — აწუწუნდა პუპლია, — იცოდე, ამ საქმეს დიდი სიფრთხილე უნდა, ბიჭი არ დაგვეღუპოს.

— რა გქნა, რა წყალში ჩავევარდე, როგორ გაბედა ასეთი რამ, როგორ ჩამაგდო ქვეყნის ყბაში!

— შეცდა, ლევან, ბავშვია, მოტყუვდა.

— დაგიჩემებია, ბავშვია, ბავშვიაო! მოგვეჭრა თავი, ხალხს თვალში ვეღარ ვუყურებ.

— რა გქნათ ახლა, მოგვკლათ?

— აქ ჩამობრძანდეს და თავისი წამხდარი საქმე გამოასწოროს.

— ლევან, დაწყნარდი, მოვიფიქროთ. მაგ ახტაჯანა გოგოების გულისათვის შეიღს ხომ არ დაგვარაგავთ?

— რა პასუხი გავცე შალვას, ან მაკას რა ვუთხრა?

— ნურაფერს ნუ ეტყვი, მე დამაცალე. ჩვენთვის ხომ ჯერ არაფერი უთქვამთ, რად ვახლით თავს ერთმანეთს? მე თბილისში წავალ. გავიგებ, საქმე როგორ არის. თუ ამ საქმეს შემოველეება, ბიჭი რომ გამოცდებს დაამთავრებს, ჩამოვიყვან და ქორწილი გადავიხადოთ. თუ არადა, როგორც აჯობებს, ისე მოვიქცეთ. შენ თუ ვინმემ გკითხოს, არაფერი არ ვიციტყო, უთხარი...

ლევანმა ამ დახლართულ საქმეს თავი ვეღარ გაართვა, ნაღვლიანი დადიოდა, თვალს ვერავის უსწორებდა.

მაკა მოუთმენლად ელოდა ვახტანგის ჩამოსვლას. რამდენი ხანია ფარავდა ყველაზე დიდ საიდუმლოს თავის ცხოვრებაში. ვახტანგის წერილები ახლა უფრო იშვიათად მოდიოდა. „გამოცდები აქვს, წერილისათვის სად სცალია“, — ფიქრობდა მაკა. ვახტანგიც ამასვე იწერებოდა. რამდენჯერ დააპირა მაკამ, მივწერ, რა ამბავიც არის ჩემს თავსო, მაგრამ ეშინოდა, ვაითუ გამოცდები მიატოვოს და სოფელში გამოიქცესო. მოვიციდი, გამოცდებზე ხელს არ შევეშლი, ჩამოვა და მერე ყველაფერს ვეტყვიო.

მეზობლებთან აღარ გადადიოდა რცხვენოდა, ყველას ერიდებოდა. რულიც უჭირდა, სულ განმარტუნდა. განსაკუთრებით მამას ერიდებოდა. როგორც კი დაინახავდა, მაშინვე წიგნს ან სახატავს მიუჯდებოდა. თუ დრო ჰქონდა, მოხუც მეწისქვილეს მიაკითხავდა და მასთან საუბარში გულს აყოლებდა.

ოქროპირი ამჩნევდა, მაკა რაღაცას რომ დარდობდა, მაგრამ მიზეზს ვერ ეკითხებოდა. შორიდან უვლიდა, უყვავებდა, მაინც ვერაფერი წამოაცდენინა.

— ახალგაზრდობა დიდი სამკაულია, შვილო. როგორც ყველა სამკაულს, იმასაც მოვლა უნდა. მაგრამ ამქვეყნად უსაშველო საქმეც არ არსებობს. წუთისოფელი ასეა: დარდის შემსუბუქება თუ გინდა, მეგობარს ან ამხანაგს უნდა გაუზიარო, — ოქროპირმა კალათის წნელი მუხლებზე გადაიდო და მაკას შეხედა.

— ვთქვათ, არა გყავს მეგობარი, მაშინ? — ჰკითხა მაკამ.

— ცდები, შვილო, უმეგობრო და უამხანაგო ჩიტიც არ ფრინავს ცაში. უმეგობრო აღამიანი ცოდვია. კარგი აღამიანი ქვეყანაზე ღმერთმა ნუ გამოლიოს. თვალი გაახილე, მიდექ-მოდექი, ტოლსა და ამხანაგს გული გაუხსენი, დარდი შეგიმსუბუქდება...

— ძია ოქროპირ, დარდი ზოგჯერ მძიმე ლოდივით დაგაწვება.

— ჭირი უნდა დაძლიო, შვილო! დარდმა არ უნდა დაგაბეჩავოს, ცხოვრების წვრიმალს თავი უნდა აარიდო. ჩემდენი დარდი ვის ჰქონია, მაგრამ ვერ წამაქცია, არ დაგმორჩილდი. ახლა ამ ხნის კაცს ისევე მიხარია მზის ამოსვლა, გათენება, წყლის ჩხრიალი, როგორც ბავშვობისას მიყვარდა.

— მე ვეღარაფერი გამახარებს.

— არ მომწონს შენი ლაპარაკი, მაკა, ჭირხა შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ქვითკირსაო, ხომ გავიგონია.

ტყუილად ჩაიარა ოქროპირის ნუგეშმა. შინ მიმავალი მაკა ძლივს მიათრევდა ფეხებს. აღმართი აათავა, ბალახზე დაეშვა და თავი ფიქრს მისცა... იმ დღეს განსაკუთრებით მხიარულნი იყვნენ. მაკას აღარ ახსოვს, რაზე ლაპარაკობდნენ. ახ-

სოვს მხოლოდ, რომ იმდენ ხალხში მარტონი იყვნენ და მარტო ერთმანეთის გულისძგერა ესმოდათ. მაშინ მაკას ეგონა, დღეები მუდამ ასე სიხარულით სავსე იქნებოთ. ახლა კი იცის, ის სიხარული და ბედნიერება აღარასოდეს განმეორდება. ახლა წინ აღარაფერს ხედავდა. აღარაფერზე აღარ ფიქრობდა, მარტო იყო, სირცხვილით გულს ვერავის გაუხსნიდა, ისიც იცოდა, მის საქციელს არავინ გაამართლებდა.

ვახტანგი გააოცა დედის მოულოდნელმა ჩამოსვლამ.

— რა იყო, რა მოხდა, დედა?

— მშვიდობა, შვილო.

— მაშა მარტო დატოვე?

— ვარიჩკას ჩავაბარე.

— ვარიჩკა თავის საქმესაც ვერ ართმევს თავს.

— რატომ, შვილო?

— მეზობლები როგორ არიან, დედა?

— კარგად, რა უშავთ, მუშაობენ. სოფლის ამბავი ხომ იცი, ამ დროს რამდენი საქმეა!

— მაკას არაფერი გამოუტანებია?

— მოულოდნელად წამოგვედი, არავის გაუგია.

— გოგო-ბიჭები როგორ არიან, არ ვენატრები?

— როგორ არა, შვილო. მაკა და მაკია აბრეშუმის ჭიას უვლიან, შარშან კარგი მოსავალი მიიღეს და წელსაც თავს არ იზოგავენ.

— მაკას ახლა მაგისათვის არ ეცლება.

პუბლიამ გამომწვევად შეხედა შვილს:

— რატომ, შვილო?

— შემოდგომაზე გამოცდები უნდა ჩააბაროს.

პუბლიამ შვებით ამოისუნთქა.

— მერე რა უჭირს, მარჯვე გოგოა, მაკას არაფერი გაუჭირდება, — შეაქო გოგო პუბლიამ, და გადაწყვიტა საქმე ბოლომდე მიეყვანა, — წერილებს არ გწერს?

— როგორ არა.

— შენც მიწერე, ცოდვია გოგო.

— რა დაემართა?

— არაფერი, შვილო, ისე ვამბობ, რისტიტუტში რომ ვერ მოეწყო...

— წელს მოეწყობა, კარგად არის მზადადებული.

ქუჩაში მანქანის საყვირის ხმა გაისმა. ვახტანგმა დედას აკრცა და კიბე სასწრაფოდ ჩაირბინა. პუბლია ფანჯრიდან უყურებდა, როგორ ჩაჯდა ვახტანგი მანქანაში.

— ღმერთო, მაღირსე, ეს მანქანა ჩემი შვილის იყო!

მანქანა წავიდა. პუბლიამ ოცნება განაგრძო. აი, იგი სოფლიდან ჩამოვიდა, ვახტანგი ცოლითა და საკუთარი მანქანით სადგურზე დახვდა. არა, ვერ დათმობს პუბლია ამ ოცნებას, სულ მიატოვებს სოფელს... მართალია, ლევანი გაჯიუტდება, მაგრამ შვილი ძალიან უყვარს და იქნებ დაეთანხმოს. ეტყობა, მაკას თავისი მდგომარეობა არ უცნობებია. რატომ არ გააგებინა? იქნებ ბავშვი მართლა არ არის ვახტანგის? პუბლია დატრიალდა, ჯერ ვახტანგის უჯრა გამოალო, მერე ჩემოდანი გასხნა, ფაქიზად დაკეცილი წერილები ამოიღო და კითხვას შეუდგა. „მოუთმენლად მოველი შენს ჩამოსვლას, დიდი საიდუმლო მაქვს სათქმელი“, — სწერდა მაკა ერთ წერილში. „არ მინდა სწავლაში ხელი შეგიშალო, მოწერა კი მიჭირს, ვინ იცის, იქნებ წერილი ვინმემ წაიკითხოს. როცა ჩამოხვალ, გეტყვი“, — ამოიკითხა მეორეში. ეტყობოდა, ვახტანგი წერილით თხოვდა საიდუმლოს გამჟღავნებას.

„არ მინდა სწავლაში ხელი შეგიშალო“ — მართლაც კარგი გოგოა მაკა, მაგრამ მჯობნის მჯობი რამ დალია? პროფესორის ქალიშვილი, კარგი ბინა, საკუთარი მანქანა, რაც მთავარია, სამუდამოდ თბილისში ცხოვრება. როგორ უნდა დათმოს ვახტანგმა ყველაფერი ეს? მაკა რომ ითხოვოს, ისევ სოფელში უნდა დაბრუნდეს, პუბლიაც სამუდამოდ იქ ჩარჩება. არა, არა, ეს მეტისმეტია! ქვრივი ქალები თხოვდებიან, მაკას რა უჭირს. აგერ ამირანს გაყვეს. რაღა ვახტანგს

კლავდია დევდარიანი
ძველი ფუძე

ჩააცივდა?“ — პუბლიას ბრაზი მოერიდა მაკას წერილები ძველ ადგილზე შეინახა და თავისი გემის განხორციელებაზე დაიწყო ფიქრი.

მალე ვახტანგი გამოცდებს დაამთავრებს, სოფელში წავლენ და პუბლიას ოცნება სიხმარავით გაქრება.

ბაზრიდან შინ მიმავალმა პუბლიამ სადარბაზო კართან მანქანას მოჰკრა თვალი, შიგ ვახტანგი და მადონა ისხდნენ და გულიანად იცინოდნენ. პუბლიას მათ დანახვაზე სახე გაუბრწყინდა. ღმერთო, ხელი მომიმართეო, ჩაიჩურჩულა. ამ დროს მანქანის კარი გაიღო და ვახტანგი გადმოვიდა. პუბლია მადონას მიესალმა.

— რაა ხარ, შვილო?

— კარგად, დეიდა, — კეკლუცად გაიცინა მადონამ, — ვახტანგ, მოდი, დედაშენს შეგვიკითხოთ, როგორც გვეტყვის, ისე მოვიცქეთ.

— არა, მადონა, მე უკვე გადაწყვეტილი მაქვს.

— რა იყო, შვილო?

— დეიდა, ჩვენ ზღვაზე მივდივართ. ვახტანგს ვთხოვეთ ჩვენთან ერთად წამოსულიყო, არ დაგვეთანხმა, სოფელში მეჩქარებაო.

— რატომ, შვილო, წადი, შენ ხომ ზღვა არ გინახავს.

ვახტანგი დედის თანხმობას არ მოელოდა, დაიბნა.

— რას ამბობ, ვახტანგ, ზღვა არ გინახავს? — გაიკვირვა მადონამ.

ვახტანგი ყურებამდე გაწითლდა.

— სოფელში მეჩქარება, ზღვის ნახვას ყოველთვის მოვესწრები, — სთქვა ვახტანგმა და მოსაუბრეებს სახე მოარიდა.

— წადი, შვილო, უსათუოდ წადი, ქვეყანას ნახავ; სოფელი სად გაგექცევა? — მხიარულად განაგრძობდა პუბლია.

— საგზურს ინსტიტუტიდან აიღებს, ცოტა დამატება დასჭირდება, — ტიტინებდა მადონა.

პუბლიას გულს ბაგაბუგი გაჰქონდა. სიხარულს ვეღარ მალავდა. ეშინოდა, ბედისაგან ნაწყობობები შემთხვევა ხელიდან არ წასვლოდა.

— შვილო, მაგის ფულს ახლავე მოვი, ორი კვირა ხელად გაირბენს.

— მერე, დედა, შენ მარტო გაგიშვებ? უკანასკნელი მიზეზი მოიშველია ვახტანგმა.

— როგორ, პირველად მივდივარ მარტო? რამდენი ხანია დეიდაშენი მეხვეწება, წყალტუბოში ჩამოდიო. შენ რომ სოფელში წამოხვიდე, წყალტუბოში ვეღარ წავალ. ზღვაზე რომ დაგიკულებ, მეც ჩემს თავს მივხედავ. ჩემი დაი ექიმის ცოლია, წყალტუბოში ცხოვრობს, — მოიწონა თავი პუბლიამ.

— მაკასაც უკვე ვაცნობე, მოვდივარმეთქი, — ყოყმანით სთქვა ვახტანგმა.

მადონამ წარბი შეიკრა.

— მისწერე, შვილო, ორი კვირა დამაგვიანდებათქო.

— ვნახოთ, მოვიფიქრებ.

— ამოდი, შვილო, დაისვენე, — შეეპატიჟა პუბლია მადონას.

— არა, დეიდა, მუსიკის გაკვეთილი მაქვს.

მანქანა ასფალტზე გასრიალდა.

— უნდა წახვიდე, შვილო. ხედავ, მადონას როგორ გაუკვირდა, რომ გაიგო. ზღვა არ უნახავსო, — არ ასვენებდა პუბლია ვახტანგს. — ორი კვირა ისე გაირბენს, ვერც კი გაიგებ. მერე სოფელში ამოდი. ესეც არ იყოს, მაკას საგნების მომზადებაში ხელს შეუშლი.

— მართლა და, რა არის ორი კვირა? წავალ, რა იქნება? — ძლივს ამოღერდა ვახტანგმა.

პუბლიამ შვებით ამოისუნთქა. ჯარასავით დატრიალდა. დარცხბა, დააუთოვა და ჩაალაგა, რაც საჭირო იყო. სოფელში უნდოდა წასვლა, მაგრამ ლევანის ეშინოდა, ეს აწყობილი საქმე არ ჩამიშალოსო. ამიტომ თვითონ წყალტუბოში გაემგზავრა, ქმარს კი წერილი მისწერა: ექიმები წყალტუბოში წასვლას მირჩევენ, მეც მივდივარ, თუ მოახერხო, ცოტა ხნით შენც იქ ჩამოდიო.

მაკას შინ ვახტანგის წერილი დახვდა. ალბათ წამოსვლის დღეს ატყობინებს და ბოლო მოეღება მაკას ტანჯვას. ძლივ-

ძლიოზით გახსნა წერილი. რამდენჯერმე გადაიკითხა. ორი კვირით ზღვაზე მივიღვარო, სწერდა ვახტანგი, უჩემოდ არ მოიწყინო, ჩამოსვლის დღეს წერილით გაცნობებ. სადგურში დამხვდი, ძალიან მენატრები, მისამართს ჩასვლისთანავე შეგატყობინებო. წამოდგა, კიბე ჩაირბინა, სოფლის ორღობეს გაჰყვა. მენატრებო, იწერება, სხვაგან კი მიდის. რად არ მისწერა ყველაფერი, რად დაინდო? ახლა, ახლავე მისწერს, მაგრამ მისამართი რომ არ იცის, ვის მიწეროს, სად მიწეროს?

ვახტანგის სახლის წინ შეჩერდა. სახლის კარი გამოხურული იყო. პუბლია თბილისშია. ვახტანგი ზღვაზე წავიდა. ლევანი კი, ვინ იცის, სად არის? მაკას ცრემლი ახრჩობდა, შესჩერებოდა ვახტანგის სახლის გამოკეტილ კარს. უნდოდა ყველას გასაგონად ეყვირა, სად მიხვალ, ვახტანგ, მე რას მეუბნები, რას ფიქრობო, მაგრამ ხმას ვერ იღებდა. მიიხედ-მოიხედა, ჩამოხუნებულყოფილად, ცა ღრუბლებს დაეფარა.

„წვიდა, წვიდა, მარტო დატოვა, სულ მარტო. გაქრა უკანასკნელი იმედი.“ მაკამ ცას ახედა, ფეხი ააჩქარა. სადღაც შორს დაიქუხა, ქარმა წამოუბერა, კოკისპირული წვიმა წამოვიდა. წვიმის წვეთები მათრახივით უტყლაშუნებდა მაკას სახეზე, მხრებზე, შიშველ მკლავებზე. მიდიოდა გაწუწული, განადგურებული.

„რა ვუთხრა ხალხს, მეზობლებს, შვილს?“ — ფიქრობდა იგი; უმცრად ქვას ფეხი წამოჰკრა. წაბარბაცდა, აღმართის ავლა გაუჭირდა. ყანის პირზე შინდის ხის ძირში შეჩერდა. ქარ-წვიმას აუარებელი შინდი ჩამოეყარა. მაჰას რა უთხრას, როგორ მიაყენოს ასეთი ტანჯვა, როგორ მოუკლას გული. ახალგაზრდობა ცოლის დაკარგვამ გაუმწარა, სიბერე მაკამ უნდა გაუმწაროს. ღმერთო, ეს რა ჩაიდინა!

მაკას ფოსტალიონის დანახვაზე გული უთრთოდა, მაგრამ მის შესაგებებლად ყორესკენ აღარ გარბოდა. აივანზე ვაზის ფოთლებს ამოეფარებოდა და იქიდან

უთვალთვალებდა, შემოუხვევს ეზოში თუ არაო.

ბიჭია ფოსტალიონი ეზოში რომ ფეხების დანახვად, წყაროსთან ჩამოხუხუხებდა, ცივ წყალს დალევდა, შუბლზე სველ ხელს გადაისვამდა, ავაშენოთო, იტყოდა და თავის გზას დაადგებოდა. მაკა ნაღვლიანად თვალს გააყოლებდა აღმართზე მიმავალ კაცს. ხანდახან დაეჭვებოდა კიდეც, იქნებ დაავიწყდა წერილის მოცემად.

ორი კვირა მიიწურა. ვახტანგმა მისამართი არ გამოუგზავნა. რომ სცოდნოდა, სად იყო ვახტანგი, მაკა წავიდოდა, მაგრამ ახლა სად უნდა წასულიყო? რამდენჯერმე გადავიდა ვახტანგის ეზოში. სახლის კარი ან გამოკეტილი დაუხვდა, ან მარტო ლევანი იყო შინ. მაკა ერიდებოდა ლევანს, შორიდანვე თვალს მოჰკრავდა თუ არა, შინისკენ გარბოდა.

მაცია ფარულად თვალს ადევნებდა მაკას. ამირანც ხშირად მოდიოდა მასთან. მეგობრები საიდუმლოს გამხელას მოელოდნენ, მაკა კი ჩუმად იყო. ორ კვირას ორიც დაერთო. ვახტანგისაგან არაფერი ისმოდა, არც პუბლია ჩანდა. ლევანი ყველას ერიდებოდა. მთელი სოფელი მოუთმენლად მოელოდა პუბლიასა და ვახტანგის ჩამოსვლას.

იმ დღეს გლეხები სამუშაოდ ადრიანად გავიდნენ. სიმიდს მარგლიდნენ. მაკაც მოვიდა, ახლა ის ჭილის ქუდს აღარ იხურავდა, თავზე თავსაფარი ჰქონდა წაკრული.

— აბა, მაკა და მაცია, ალერდი და ბალახი გამოკრიფეთ სილოსისათვის, — მიმართა ესმა ქალიშვილებს. მაკა საქმეს შეუდგა. სასილოსე ალერდს ჩუმად ჰკრეფდნენ. ესმა თვალყურს ადევნებდა მათ და ანეტას ეუბნებოდა:

— ლევანმა პირში წყალი ჩაიგუბა, არაფერს ამბობს, სად ჰყავს ამდენ ხანს ცოლ-შვილი?!

— გკითხოთ თუ გინდა.

— გკითხე და მითხრა, პუბლიას ქარები აწუხებს, წყალტუბოში დასთან გავ-

კლავდია დევდარიანი
ძველი ფუძე

გზავნო. ბიჭზე ასე მიპასუხა, ახლანდელი შვილების ამბავი ხომ იცი, ამხანაგებს ზღვაზე გაჰყავო.

— ნეტა რას ფიქრობს, ამ გოგოს პატრონობა არ უნდა?

— „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამოხანხო“, ხომ გაგიგონია.

— რა ვიცი, ლევანი ურიგო კაცი არ არის, — დაუჭვებით სთქვა ესმამ.

— შენგან არ მიკვირს! ლევანს ვინ რას ჰკითხავს? პუბლიას შვილს კი მეტი რა მოეთხოვება!

— ლევანი დღეს არ გამოჩენილა?

— არ დამინახავს.

— არც ვარიჩკა გამოსულა სამუშაოდ... — ქალებს სიტყვა არ ჰქონდათ დამთავრებული, რომ ვარიჩკამ სიმინდებში თავი გამოჰყო და მოსაუბრეებს მკვახედ მიახალა:

— რა იყო, ქალებო, ჩემზე ჭორაობდით?

— საჭორაო რა გაქვს, სამუშაოდ რომ არ გამოხვედი, ამაზე ვლაპარაკობდით, — დინჯად მიუტო ესმამ.

— თავმჯდომარესთან ვიყავი, საქმე მქონდა.

— თავმჯდომარესთან შენ რა გესაქმება! მისი ცოლი ჩამოვიდეს და მოუაროს.

— ჩამოვიდა და ის არის.

ქალები ვარიჩკას შემოეხვივნენ. გოგომამაც გაიგონეს მისი ნათქვამი და გაფაციცებით უსმენდნენ.

— რაო, რა სთქვა, ამდენ ხანს სად ვიყავიო?

— ავად იყო ქალი, წყალტუბოში ისვენებდა.

— ვიმუშაოთ, ქალებო, ვიმუშაოთ, — მოთმინება დაეკარგა ესმას, — პუბლიას საქმეები ჩვენ რაში გვეკითხება?

ქალები ისევ ყანას შეესივნენ, ვარიჩკა შეყოყმანდა, ქალებს დაცინვით გადახედა და სთქვა:

— კვირას ვახტანგს ქორწილი აქვს, თბილისში მიდიან. პუბლია ლევანის წასაყვანად ჩამოვიდა.

— რაო? — გაიკვირვა ვიდაცამ. ქალები ისევ ვარიჩკას შემოეხვივნენ.

— რაო და, რომ გეუბნებოდით, ვახ-

ტანგი პროფესორის ქალს ირთავს-მერქი, ხომ გამართლდა ჩემი სიტყვა? მოუწერიათ. კვირას ქორწილი აქვთ.

მაკა ვარიჩკას მიუახლოვდა და თვალეგაფართოებული, გაფითრებული უგდებდა ყურს მის ლაპარაკს. უეცრად იგი ადგილიდან მოსწყდა და სირბილით გაჰყვა ვიწრო ბილიკს. ქალებმა ერთმანეთს გადახედეს. მაციამ გადევნება დააპირა, მაგრამ ესმამ ანიშნა, შეჩერდით. შალვას ბრიგადა იქვე ახლოს, დობილოში სიმინდს მარგლიდა და ესმაც იქითკენ გაეშურა.

— შალვა! — მიახლოვებისთანავე დაუძახა მან, — მაკა გარბის ეკერ, თავს არაფერი აუტეხოს! — ესმამ ხელი გორაკისკენ გაიშვირა. მაკა ბილიკზე მიბრუნდა, ხელში ჭრელი თავსაფარი უფრიალებდა.

— რა დემართა? — შეშფოთდა შალვა.

— უჭირს, შალვა, მაკას. ჭკვიანი კაცი ხარ, შენ თვითონ მისვდები.

შალვა სწრაფად მოწყდა ადგილს და შვილს უკან გამოუდგა. მაკა, ეტყობოდა, დაიღალა. ძლივს მილასლასებდა. ყანაში მომუშავენი შორიდან უტკერდნენ მამა-შვილს. ზოგმა დააპირა უკან გაჰყოლოდა, მაგრამ ესმამ არ გაუშვა! თავი დაანებეთო. შალვა ტყის პირას დაეწია მაკას, მხრებში სწვდა, შეაჩერა.

— რა დაგემართა, მაკა?

მაკამ მამას უაზროდ შეხედა, თითქოს ვერ იცნო.

— მაკა, მაკა, შვილო!

მაკამ თვალი დახუჭა და გულშემოყრილი, მამის მკერდზე მიესვენა.

შალვამ შვილი მკლავებზე გადაიწვინა და ნელი ნაბიჯით შინისკენ წავიდა.

— რა ამბავია, შვილო?! — გამოეგება შეშფოთებული დედა.

— მომეშველე, დედა, მაკას გული შეუწუხდა.

ბებიამ სწრაფად გაშალა ლოგინი. შალვამ შვილის საწოლთან დაიჩოქა.

— რა იყო, შვილო, მითხარი, რა გაწუხებებს, ჩემზე ახლობელი ვინა გყავს?

მაკას თვალები ჭერისათვის მიეშტერებინა, ხმას არ იღებდა. აივანზე მაცია და

ამირანი ამოვიდნენ, ბებია მითხრიდან გამოიხედა.

— რა ამბავია, შვილებო, ჩვენს თავს? ამ დღით მაკა თქვენთან იყო, ასეთი რა შემთხვევა?

მაცია თავი ჩაჰკიდა, ძლივს წაიჩურჩულა:

— ვახტანგს ცოლი შეურთავს, ბებია; კვირას ქორწილს იხდიან.

— რას გვერჩოდა, ასეთი რა დავუშავეთ? — ჩაილაპარაკა მოხუცმა და დამჭანარ ლოყებზე ჩამოგორებული ცრემლი თავსაფრის ყურით მოიწმინდა.

სამიწვენი ავადმყოფის ოთახში შევიდნენ. მაკას ყრუ კენეს აღმოხდა, მაგრამ სახე კვლავ გაქვავებული ჰქონდა. ბებია შალვასკენ დაიხარა და ხმადაბლა უთხრა:

— შვილო, ექიმი მაინც მოგეყვანა.

შალვა წამოხტა. შორეულმა მოგონებამ თვალწინ გაურბინა: „ჩქარა, ჩქარა ექიმი, ექიმმა არ დაიგვიანოს!“ — გაიფიქრა მან და კიბეზე სირბილით დაეშვა.

მაკა ორი დღე და ღამე ებრძოდა სიკვდილს. ექიმი თავს ადგა, შემფოთებულ მამასა და ბებიას ანუგეშებდა:

— ნუ გეშინიათ, ყველაფერი კარგად იქნება.

— მაკა, ხმა ამოიღე, ხმა! — ჩასძახოდა შვილს გაოგნებული მამა.

მთელი სოფელი ფეხზე დადგა, შალვას ეზო ხალხით აივსო. ლევანი ვერ ბედავდა სიყრმის მეგობართან მისვლას. აივანზე დარბოდა. ცოლი და ნათესავები ამ მუდამ მორჩილსა და უთქმელ კაცს ახლოს ვეღარ ეკარებოდნენ.

— რა მიყავით ეს, ეს რა მიყავით? — წამდაუწუმ იმეორებდა იგი.

— დამშვიდდი, მშობიარობას ჩვენს დროში ვინ გადაჰყოლია?

— თვალით არ დამენახოთ, დამეკარგეთ აქედან! — ღრიალებდა ლევანი.

შალვა ძლივს მოაცილეს შვილის საწოლს. აივნის სვეტს მიყრდნობილი, ხელებს იმტვრევდა.

— მომილოცავს, გადარჩა! — ულოცავდნენ შალვას და გარს ეხვეოდნენ.

— სძინავს, დააცადეთ!

შვილის გადარჩენამ შალვას სირცხვი-

ლი გადაავიწყვა, ოჯახს სიხარული დაუშვლა. ჩუმად დადიოდნენ, ჩურჩულით ლაპარაკობდნენ, ეშინოდათ, მაკასთვის ძილი არ დაეფრთხოთ. მიწყნარდა ყველა. შალვას ახლადშობილი მიუყვანეს. მან დახედა ბიჭს, და ოდნავ გაიღიმა.

— შვილო, რად მიაყენე შენს თავს ასეთი ტანჯვა? ყოველი სულიერი სიხარულით იზადება, ცრემლით რად შემოვიდა შენი შვილი ჩემს ოჯახში? რად გამიცრუე ოცნება? ვაიმე, შვილო, ბავშვს რა უშავს, მეც რა მიჭირს. შენ, შენ რა გეშველება, ასე რომ გაიმეტე შენი თავი! განა ამაზე ვოცნებობდი? ჩემსავით დაგზავრა ბედმა, შვილო. — შალვა აივნის სვეტს მიყრდნობოდა და უხმოდ, უცრემლოდ ტიროდა.

ლევანის ოჯახს სოფელი შემოწყრა, მეზობლები მისკენ აღარ იხედებოდნენ. მარტო ვარიჩკა არ ღალატობდა პუბლიას. მეზობლებმა ვარიჩკასგან გაიგეს, რომ პუბლიასა და მის დას ქორწილისათვის აუარებელი სანოვავე წაედოთ თბილისში. ლევანს ცოლთან დიდი უსიამოვნება მოუვიდა და შვილის ქორწილში არ წასულა. ახლა იგი თავის ეზო-გარემოს აღარ სცილდებოდა, კანტორაშიც კი იშვიათად გამოჩნდებოდა. მეზობლებში ხმა დაირხა, განცხადება შეუტანია, თავმჯდომარეობიდან გამანთავისუფლეთო.

მაკა თანდათან მომჯობინდა. მეზობლის ქალები მარტო არ ტოვებდნენ ავადმყოფს. ერთ დღეს დავაც კი ატიხეს, დროა ბიჭს სახელი შევეურჩიოთო.

— შენი სახელი დავარქვათ, მამა. ძია ოქრობირს მოვანათვლინოთ. — ძლივს ამოიღდა ენა მაკამ. შალვამ იმწამსვე ოქრობირთან აფრინა კაცი. ოქრობირმა მაკას საჩქაროდ ჩხიკვი მოუყვანა.

— უშენოდ მოიწყინა, შვილო, სჯობია შენთან იყოს.

არავის შეუმჩნევია, მაკას ავადმყოფობის დროს მაცია რომ სადღაც გაქრა.

კლავდია ღვედარიანი
ძველი ფუძე

მხოლოდ ამირანმა იცოდა მაციას საიდუმლო და ხმას არ იღებდა.

მესამე დღეს მეზობლის ბიჭმა ამირანი მარტო მოიხელთა და უთხრა:

— მაცია სთქვა, საღამოზე შალვას წაბლებთან გამოვიდეს.

ამირანი შეკრთა, მაგრამ არ შეიმჩნია. საღამოს მაციას დათქმულ ადგილს შეხვდა.

— რა ამბავი მოიტანე, მაცია?

— დამაცადე, სული მოვიტქვა!

— რაო, რა სთქვა?

— ჩავედი, ვნახე, მარა რა ვნახე! მე ხომ პირველად ვიყავი თბილისში.

— მაგას არ გეკითხები. ის მითხარი, ვახტანგმა რა სთქვა?

— რაღას იტყოდა. არა, დამაცა, ყველაფერს თავიდან გიამბობ. მაკას მამიდის მისამართი მქონდა. კითხვა-კითხვით ძლივს მივაგენი. არაფერი იცოდა, გადაირია ქალი. სულ ცოფებს ჰყრიდა. პუბლიას ძმასთან არ გამიშვა, წმინდა წყლის არც ის არისო. გადავწყვიტეთ, პირდაპირ პროფესორთან წავსულიყავით. დედა, რა მშვენიერი ბინა ჰქონია, რა ავეჯი, რა მორთულობა. თავი სიზმარში მეგონა.

— მითხარი, ვახტანგი თუ ნახე.

— ვნახე, მაშ რისთვის წავედი? მივადექი იმ პროფესორს ბინაზე და გამოვუცხადე, მადონას ნახვა მინდა-მეთქი. დაუძახეს. ერთი კნაჭა გოგოა, გამხდარი და თმაშეკრეჭილი. კინოში რომ ქალებს უჩვენებენ, ისე იყო ჩაცმული. ვუთხარი, ვახტანგის ამხანაგი ვარ და თქვენთან საქმე მაქვს-მეთქი. თავის ოთახში შემიყვანა. ზღაპრულად იყო იქაურობა მორთული. მითხრა, რაზე შეწუხებულხართო. მეც ყველაფერი დაწვრილებით მოვუყვიე. ბალიშზე დამეხო და ტირილი მორთო. ტიროდა, მარა რას ტიროდა! იქაურობა აიკლო, შემოცვივდნენ დედა-მისი, მამამისი, ვახტანგი, პუბლია... დაეხვივნენ, ევედრებოდნენ, დაწყნარდიო. ყურს არავის უგდებდა, ვახტანგი ახლოსაც არ გაიკარა, თვალით არ დამენახოს ეგ საზიზღარი, მოტყუება როგორ გამიბედაო. — არც ამან იცოდა, შვილო, არაფერი, — ევედრებოდა პუბლია. პუბლიასაც შეუტია: — ორივე დედა-შვილი

მომშორდით, მატყუარებო, საზიზღრებო! ცოლ-შვილი თუ ჰყავდა, ჩემთან არ უნდოდაო!

გადიარია პუბლია: — რა ცოლ-შვილი, რის ცოლ-შვილი, ეს რა მესმის, ბატონო, გოგომ თავს ვერ მოუარა, რა ჩემი შვილის ბრალიაო. — სამწუხარო ამბავია, სამწუხარო! — იმეორებდა პროფესორი და წინ და უკან დადიოდა. მისი ცოლი გულმეწუხებული ეგდო ტახტზე და წამლებით აბრუნებდნენ. ვახტანგი გამოშტერებული იდგა, ხმა ვეღარ ამოელო. უეცრად პუბლია მომგარდა, თითქოს ახლა დამინახაო:

— შენ აქ რა გინდა, შე საზიზღარო, გინდა ჩემი შვილის ბედნიერება დამირღვო? შურით თვალები წამოგცვივდათ ყველას. აქედან გამეცალე, სანამ შუაზე გაგგლეჯდე. ის გოგო მთელი დღე ამირანთან გდია და ახლა ჩემს შვილს გინდათ ყველაფერი გადააბრალოთ?

ენა კინალამ ჩამვივარდა, გარეთ გამოვვარდი და გამოვიქცევი.

— რაო? — დაიღრიალა ამირანმა და ზეზე წამოხტა.

— მოიცა, რა გაყვირებს! — შეაჩერა მაცია. — ახლა რაღას იზამენ, ხელი უკვე მოწერილი აქვთ. სთქვი რამე. რა დაგემართა, დამუნჯდი?

— თავი დამანებე! — დაიღრიალა ამირანმა და დაღმართზე დაეშვა.

მაკა თანდათან მომჯობინდა. შინაურები თავს ევლებოდნენ. თბილისიდან მამიდამისიცი კი ჩამოვიდა. იმ დღეს ეზოში პირველად გამოიყვანეს და ცაცხვის ჩრდილში დასვეს. გვერდით აკვანი მიიღვა, თვალი სივრცეს მიაშტერა. ავადმყოფობის შემდეგ ასე დასჩემდა. საათობით იჯდა გარინდებული, ზოგჯერ ჩვილის ტირილიც არ ესმოდა. ცაცხვის ტოტზე გალია ეკიდა. ესტატეს ნაჩუქარი ჩხიკვი გალიაში დახტოდა და გაიძახოდა:

— მაკა, ნუკრის შია, ნუკრის შია!

ბავშვს შინაურობაში ნუკრის ეძახდნენ. ჭიშკარში ამირანი შემოვიდა და მაკასკენ გაემართა.

— გამარჯობა, მაკა!



მაკა შეკრთა, უმწეოდ მიიხედ-მოიხე-
და, ძლივს უპასუხა სალამზე ამირანს.

— ბიჭის სანახავად მოვედი, მაკა! —
უთხრა ამირანმა და მაკას გვერდით
მოუჯდა.

— ჰო! — დაიბნა მაკა. — აი, ჩემი ბი-
ჭი. — სთქვა და ბავშვს თავსაფარი გადა-
ადრო. ამირანი ჩვილს არ უყურებდა,
მაკას ვერ აცილებდა თვალს. როგორ
გამხდარა, ფერი დაუკარგავს.

— ბიჭს სძინავს, დაახურე. მაკა, შენ-
თან საქმე მაქვს.

ამირანი ნაბდის ქუდს ხელში კმუჭ-
ნიდა. ეტყობოდა, სათქმელი აწუხებდა.
არ იცოდა, როგორ დაეწყო. ორივენი
უხერხულად გრძნობდნენ თავს. მიხვდ-
ნენ, რომ ბავშვობა დასრულდა და წარ-
სულს ვეღარ დაიბრუნებდნენ. ნუთუ ამი-
სათვის მოვიდა ამირანი, რომ ამაში
დარწმუნებულიყო? ნუთუ იმედი ჰქონ-
და, რომ მაკა ოდესმე შეძლებდა წარსუ-
ლის დავიწყებას!

— მაკა, რას აპირებ? — ძლივს ამოი-
ლულულა ამირანმა. — ინსტიტუტში
ალარ მოდიხარ? — სთქვა და თვითონაც
გაუკვირდა, ეს რა ვთქვიო.

— ინსტიტუტში? — ჩურჩულით გაი-
მეორა მაკამ.

— მაპატიე, მაკა, ჩვენ ხომ მეგობრე-
ბი ვართ. სხვანაირად ნუ გამიგებ, შენ
დახმარება გჭირდება და მინდა დაგეხ-
მარო. არ გეწყინოს, ასე გადავწყვიტე:
შენ სთქვი... არა, შენ კი არა, ჩვენ ორი-
ვემ ვთქვათ, რომ ეს ბიჭი... — ამირანმა
ღრმად ამოისუნთქა, მაკას გაოცებულ
მზერას თვალი აარიდა, თავი დახარა. —
მე, მე ვიქნები ამ ბავშვის მამა, — ძლივს
დაამთავრა სათქმელი ამირანმა და ამო-

იოხრა. მაკა დიდხანს იყო ჩუმად. მერე
ამირანს ოდნავ გაუღიმა და ხელი ხელზე
დააადო.

— ჩემო ამირან, შენ ყოველთვის კარ-
გი ბიჭი იყავი, — მაკამ თვალეზი დახუ-
ჭა, ცრემლი დაწვებზე გადმოუგორდა.
დიდხანს იყო თვალდახუჭული და ცრემ-
ლი ღაპაღუპით ჩამოსდიოდა. ეს პირვე-
ლი ცრემლი იყო, თავის უკულმართ ბედს
რომ დააფრქვია, — გახსოვს, სკოლიდან
რომ მოვდიოდით, ძალღი გამოგვე-
კიდა? ყველანი გაიქცნენ, მე დავრჩი-
ის-ის იყო, ძალღი მომვარდა, რომ შენ
ჩემს გვერდით გაჩნდი. ძალღს წინ და-
უხვდი და გადამარჩინე. მერე შენ დიდ-
ხანს გიკეთებდნენ ცოფის საწინააღმდე-
გო ნემსებს. ბავშვობაში შენ მუდამ ჩემი
ქომაჯი იყავი. ახლაც გინდა გადამარჩი-
ნო? ახლა ძნელია ჩემი შველა, ჩემო
ამირან. გვიანიც არის. მისმინე, ამირან,
მე ჩემს შვილს თავზე არავის მოვხვევ.
ჩემი მიზეზით სხვას ცხოვრებას არ გა-
ვუმწარებ. შენ დიდი და კეთილი გული
გაქვს. გინდა დამეხმარო, გამამართლო
საზოგადოების და ხალხის წინაშე, მაგ-
რამ იცოდე, ძნელია ჩემი გამართლება. ეს
მხოლოდ სიყვარულს შეეძლო. ჩემი მი-
ზანი ამიერიდან მხოლოდ ეს ბავშვია.
მე ვახტანგი მიყვარდა, მიყვარდა დიდი
სიყვარულით. ეს დიდი გრძნობა ფეხქვეშ
გათელეს. ბავშვობის მეგობარმა მომა-
ტყუა. თურმე თქვენს შორის ყველაზე
უღირსი მიყვარდა, თურმე მე და ვახ-
ტანგს საერთო არაფერი გვქონდა. ახლა
ის ჩემთვის მკვდარია.

კლავდია დევედარიანი
ძველი ფუძე

გაგრძელება იქნება



ფ რ ე ს კ ა

ლადო გუდიაშვილს

ნუ შემაშფოთებს ახლა ნურავინ
და სინანული ჩემი მაკმარეთ,
მე ჩალისფერი მახლავს ბურანი
და მზე მეხება ოქროს მაქმანით.

ვისმინე სტვენა შავი ჩიტების,
შავთა ფრთოსანთა შავი გუნდების
და თუ ქვეყანას ისევ ვჭირდები,
ვიქცევი ქალად და დავბრუნდები.

დამიბრუნდება იერი ძველი
და სასოება ჩიწის წინაშე,
თვალდახუჭული ვივლი წვიმაში,
დამიბრუნდება იერი ძველი.

დამიბრუნდება კვლავ სილამაზე
ვიწრო თვლებს და ვიწრო მხრების,
ჩემი სხეულის ნაკვთებს სილაზე
დავტოვებ, როგორც ტოვებენ სხვები.

თქვენ ვეღარ იცნობთ ამ სათნო თითებს,
რომელთა ხილვა გაოცებთ ეგზომ,
მე იქნებ მთაში ცხვრის ფარა ვმწყემსო,
ან ჩიითი ვქსოვო და ქერი ვთესო,
თქვენ ვეღარ იცნობთ ამ სათნო თითებს.

თქვენ ვეღარ მნახავთ კედელზე აკრულს,
ჩუმს, მოცახცახეს იღუმალ კდემით,

თქვენ მოიგონებთ ნაზ ლეგენდებს, სიმღერებს ზღაპარულს
და შუა ძილში ტკივილივით გაგახსენდებათ
დაეძვებულნი ღიმილი ჩემი.

მე აღარ მახსოვს, რა ვიყავ წინათ —
ყურძნის მტევანი თუ წვიმის წვეთი,
მე ბროწეულის ყვავილებით ჩემს სახელს ვწერდი
და აღარ მახსოვს, რა მერქვა წინათ.

არ მაგონდება, რა მერქვა ადრე,
იქნებ ნათია, იქნებ მაცვალა,
მე მახსოვრობამ ჩემმა დამალა
და დამავიწყა სახელი ჩემი.

იქნებ ოდესღაც ფუტკარი ვიყავ,
რადგან ჩემს ტურებს გემო აქვს თაფლის,
ან ცისარტყელა ვიყავი იქნებ —
კას მიქარგული აბრეშუმის ფერადი ძაფით.
ან შეიძლება ვიყავ ვენახი,
კაკლის ხეები და პატარა თეთრი ქოხები
და დიდხანს მერქვა მშვენიერი სახელი სოფლის.

მე დედა ვიყავ, მაგონდება, მე ვიყავ დედა,
თერთმეტი ვაჟის დედა ვიყავი. დღე დღეს მისდევდა,
წელი წელს სცვლიდა,
თერთმეტი წყვილი მოვქსოვე წინდა,
ვკერე თერთმეტი ქრელი პერანგი,
შემდეგ მოზავადა მტერი ვერაგი,
მე დედა ვიყავ, ქართველი დედა.

შემდეგ რა მოხდა... მაგონდება სუნი ირემთა...
ვიყავ ჩანჩქერი — მოჩუხჩუხე ცრემლი კლდეების,
ეხო ვიყავ და... მრავლდებოდნენ პრომეთეები,
და ვიყავ დალი — მტერ-მოკეთე მონადირეთა.

შემდეგ ურჯულომ მოინდომა ჩემი წვალება,
და სასტამბოლოდ განწირულმა ზღვას ვთხოვე შველა,
ჰოი, რამდენი განვიცადე ფერიცვალება,
დღეს კი კედელზე მოცახცახეს მილიმის ყველა.

დღეს ლამაზ რიდედ ჩაღისფერი მახლავს ბურანი
და ყელმალალი გიდიმით კრძალვით,
წარბმოხატული უკვდავი ყალმით,
მოალერსე და გაუხუნარი;
დღეს ლამაზ რიდედ მთვარისფერი
მახლავს ბურანი.

☆ ფრმასა
☆ ნელი ბაბრიძემ

სალამობით მეფერება გუნდი ჩიტების.
ჩემს ღაწვებს ისევ ესიზმრება შეხება ფუნჯის,
მე მაქვს ფიქრები:

ვარდისფერი, თეთრი და ლურჯი,
სალამობით მეფერება გუნდი ჩიტების.

მე სიყვარული განვიცადე ძვირფას: მხატვრის,
ზღაპრული კაცი შთაგონებით არის დაჭრილი,
ზღაპრულ დარბაზში კრძალვით დგება ჩემი აჩრდილი,
მე მაქვს ფიქრები:

ვარდისფერი, თეთრი და ლურჯი.

მე ვიღიმები,

რადგან მავსებს სინათლე მისი,

მე ვკრთები მეტად,

რადგან მაკრთობს სიდიდე მისი,

მე მიხარია,

რადგან ფუნჯი სველია მისი,

მე მაქვს ფიქრები:

ვარდისფერი, თეთრი და ლურჯი.

ზღაპრულ დარბაზში მყავს მეტოქე მრავლად მრავალი,
ზღაპრულ დარბაზში უკვდავების დიან წყარონი,
ნიამორებთან შეჩერდება მზე ჩამავალი,
და იხდის წითელ ხელთათმანებს მაღალი ქალი.



მათხიანჯის ჩიტი

მოთხრობა

მატარებელი შირაქის აყვავებულ ველზე მიქროდა. ვაგონის ფანჯრიდან გავცქეროდი სანატრელი მიწის ნაკვეთს, სადაც მხიარულად გავატარე ჩემი ბავშვობა.

აი, ოპან-ამის ნაწისქვილარიც. აქ ერთ დროს რაკუნი გაჰქონდა წისქვილს. ახლა რუ დამშრალა, წისქვილი კი დიდი ხანია დაიწვა. წისქვილს გარშემო ოპან-ამის ხელით დარგული ხეებიდან მხოლოდ სამი ძეწნა და ერთი ჩინარიღა გადარჩენილა.

ვინ იცის, რამდენჯერ გმსხდარვართ ამ ხეების ძირში მე და ოპან-ამი და გვიმასლაათია.

იმ დღიდან ბევრი რამ შთანთქა ჟამთასვლამ ამაოების უფსკრულში; აღარ არის ცოცხალი ოპან-ამიც. ანდერძისამებრ, მისი ხელით დარგულ ხის ძირში დაასაფლავეს.

მე კი მაინც ვიგონებ მის ბრძნულ სიტყვებს:

„კაცი წავა, ქვეყანა დარჩება“.

ჩვენი წისქვილიდან ნახევარი საათის სავალზე, მდინარე ახურიანის პირას იდგა ოპან-ამის ერთთვლიანი წისქვილი, მის ქვას ახურიანის პატარა შენაკადი აბრუნებდა. ოპან-ამის თვითონ აეგო წისქვილი, ზედ პატარა ქოხიც მიედგა. საკუთარი ხელით გაეშენებინა აგრეთვე მდინარის პირს გაშლილი პაწია ზოსტანი.

როცა ჩვენს წისქვილში ჩავირბენდი, ხშირად ვესტუმრებოდი ხოლმე ოპან-ამის, საჩუქრად ჩაისა და შაქარს მიეუტანდი, ჩაის ერთად შევექცეოდით და ვსაუბრობდით.

ეს დიდი ხნის წინათ მოხდა, იმ მია-

მიტ დროს, როცა ოპან-ამის მოხუცი მეგობრები ყავარჯნებს ქვებზე მიაკაკუნებდნენ, სოფლიდან სოფელში დახეტიანობდნენ და წელში მოხრილი, შეივლიდნენ ხოლმე წისქვილში, რომ ოპან-ამისთან სურნელოვანი თამბაქოთი გატენილი ჩიბუხი მოეწიათ, ორიოდ სიტყვა გულლიად ეთქვათ ერთმანეთისათვის და შემდეგ ლასლასით უკან გაბრუნებულიყვნენ.

ჩემს მეხსიერებაში ბრძენი წინაპარით განმარტოებით დგას ოპან-ამი. იგი თავისი ასაკის მწვერვლიდან დაპყრობებს ცხოვრებას, ბუბოს ამქვეყნიურ ამოებაზე და დინჯად ეწევა „მოთმინების ჩიბუხს“. ჩემზე ახლაც გონიერი მრჩევლის შთაბეჭდილებას ტოვებს მისი განვლილი ცხოვრება და ბრძნული აზრები.

ვიდრე ორმოცი წლისა გახდებოდა, ოპან-ამი თავის მამა-პაპათა სოფელში ცხოვრობდა, დღედაღამ მუშაობდა: თესავდა, მკიდა, მშობლებს პატრონობას უწევდა. შემდეგ ისინი პატივით დაასაფლავა, ღები დაათხოვა, თვითონაც დაოჯახდა და შვილები შეეძინა.

ორმოცი წლის ოპან-ამი სოფელში მიწების ხელახალი გადანაწილების მოწმე გამხდარა. ნოყიერი მიწები მდიდრებს წაეღოთ, მწირი ნაკვეთები კი დაბეჩავებული, ღარიბი გლეხებისათვის მიეკუთვნებინათ.

ოპან-ამი გამწარებულა, შევიწროებული ხალხის გულში შურისძიების ცეცხლი აუნთია. უმიწაწყლოდ დარჩენილი გლეხები ამბოხებულან და მამასახლისსა და მდიდრებს თავს დასხმიან.

ქალაქში საჩივარი უფრენიათ. მოქრთამულ ბოქაულს იასაულები ჩამოუყვანია, მემამოხენი შეუკრებია, დაუტუქსავს და გაუმართახებია.

ოპანს ქვისთვის ხელი დაუვლია და ბოქაულისათვის ზურგში უსვრია. ამის დანახვაზე გამართახებულესაც ხელი გამოუღიათ: იასაულებს თავს დასხმიან, იარაღი აუყრიათ, ბოქაულისა და პოლიციელებისათვის ქვების სიტყვა დაუშენიათ და სოფლიდან გაუძევიანათ.

მესამე დღეს ამბოხების ჩასაქრობად

სოფელში კაზაკები მოსულან, მაგრამ მემამოხენი იქ აღარ დახვედრიათ, ისინი მთებში გახვეწილიყვნენ და „ყაჩაღობა“ დაეწყოთ.

მაგრამ დროთა განმავლობაში გაქცეული გლეხები სათითაოდ სოფელში დაბრუნებულან, მდიდრებს ფეხქვეშ ჩავარდნიან, პატიება უთხოვიათ და თავის მწარე ხვედრს შერიგებიათ.

ოპანი ოთხ ამხანაგთან ერთად მთებში დარჩენილა. ცოტა ხნის შემდეგ ის ოთხიც სოფლად დაბრუნებულა, მდიდრების წინაშე ქედი მოუხრიათ და პატიება მიუღიათ. ოპან-ამი მარტომდართო დაეხეტებოდა მთებში, მაგრამ მაინც არ გატეხილა. უარით გამოუსტუმრებია მდიდრების წარმომადგენელი, მას წინადადება მიუცია, სოფელში დაბრუნდო, წარსული მოენანიებია და შეწყნარება მიეღო.

რამდენიმე ხნის შემდეგ ოპან-ამი ვიღაცის დაბეზღებით ერთ სოფელში დაიჭირეს, ზურგზე ხელებაკრული ქალაქკეიუმრში წაიყვანეს, გაასამართლეს და ოთხი წლის პატიმრობა მიუსაჯეს.

როცა ოპანი ციხიდან განთავისუფლდა და შინ დაბრუნდა, შვილები უკვე დაგაქვაცებულნი დახვდნენ, ისინი შეძლებულად ცხოვრობდნენ. ოპან-ამიმ ოზლად ივარძნო თავი მათ შორის. მას დასანახავად სძულდა მოღალატე, სულმოკლე ამხანაგები, და თავის მტრებს—მდიდრებს რომ არ შეხვედროდა, განმარტოებული ცხოვრება ირჩია.

ოპან-ამი ჯერ კიდევ ციხეში ყოფნისას ოცნებობდა „ქვეყნიდან განდგომაზე“ და ამიტომ როგორც კი განთავისუფლდა, საბოლოოდ დასახლდა წისქვილში და სოფელში იშვიათად ამოდიოდა. ამოდ ჩაიარა ცოლ-შვილის მუდარამ, ხელი აიღე მაგ განზრახვაზეო.

• ვიდრე ცოცხალი ვარ, აქ ვიცხოვრებ, ვიმუშავებ, ხოლო როცა მოვეკვები, ჩემი ხელით დარგული ხეების ძირში დამასაფლავეთო, — ანდერძად დაუტოვა მან შვილებს. *

გუშინდელივით მახსოვს ერთი დღე-გაზაფხული იყო. ახურიანში ბანაობის შემდეგ ოპან-ამისთან სამასლაათოდ გა-



ვეშურე. ოპან-ამი ხის ძირში მხარეთმო-ზე წამოწოლილი დამიხვდა. პატარა ფაფახი შეთხელებულ, ჭადარა თმას უფარავდა, შუბლი ძლიერ დანაოჭებუ-ლი ჰქონდა, გრძელი წვერი გულზე ეფინა. მოხუცი ჩაფიქრებული ეწეოდა ჩიბუხს. მის ფერხთით ვეება ქოფაკი ასლანი იწვა, ოპან-ამის განუყრელი მეგობარი.

ოპანს მივესალმე, ჩაი და შაქარი მივართვი.

— კეთილი იყოს შენი მოსვლა, ძმის-წულო, — მითხრა მან. ასე მომპირთავდა ხოლმე ყოველთვის.

შუადღემ მოატანა. მზისგან დასიც-ხული ჭრიჭინობელები ყურისწამლებად ჭრიჭინებდნენ, წისქვილის სარეკელას ზარმაცად გაჰქონდა რაკუნნი. წისქვილის კართან მიბმული სახედარი გულმოდგი-ნედ უხახუნებდა ზურგს კედელს. აქა-იქ ქათმები გაფანტულიყვნენ.

ოპან-ამის სანახავად მისი მეუღლე ამოსულიყო. ქალმა დამინახა თუ არა, ჩემკენ გამოეშურა და შემომჩივლა:

— კარგი, მე ხმას არ ამოვიღებ, თქვენ განსაჯეთ. უქეიფოდ არის, გვერდს იტკივებს; ეყოფა ამ ტრიალ მინდორში ყოფნა. რაღა დროს მისი მუშაობაა? დაბრუნდეს შინ და წყნარად იცხოვროს, იმ თვალდასავსებ რძლებს სხვა რა საქმე აქვთ? დაე, მოუარონ. ნუთუ არ იცის, რომ სიბერეს ვერსად დამალები? ადრე თუ გვიან მოგაკითხავს. რა უნდა წაიღოს ამ ქვეყნიდან?

— დედაკაცო, გეყოფა ქაქანი. ათას-ჯერ მითქვამს, რომ განდეგილი ვარ და სოფელში არ დაგებრუნდები. ჩემი სიტყვა სიტყვაა. რაც შეეება მუშაობას, მანამ ბირთვან ხელის მიტანა შემეძლება, უნდა ვიმუშაო. სიმდიდრეს არ ვეტანები, ჩემი თვალი მადლარია, ბიჭები თავისთვის არიან, მე — ჩემთვის. ოფლით უნდა მოვიყვანო ჩემი სარჩო. თქვენზე კარგად მესმის და მწამს, რომ იმქვეყნად არავის არაფერი წაუღია, მაგრამ კაცი მხოლოდ ჯაფისათვის არის გაჩენილი. „ხელი საქმეზე — ფეხი საფლავში“, უთქვამთ. ეს ჩაი-შაქარი გამომართვი, სუფრა გააწყვე.

ჩაიღინი დაადგი, პური გჭამოთ ძმის-წულთან ერთად, ჩაი დაველიოთ.

როცა დედაბერი მოგვეცილდა, ვკითხე — ოპან-ამი, ავადა ხარ?

— არა, გენაცვა, გვერდის ტკივილი ახალი ამბავი არ არის ჩემთვის. ციხი-დან გამომყვა. არაფერია, უფალმა რაც მომცა, ნელა-ნელა უკან წაიღებს. ასეთია წუთისოფლის განაჩენი. მეც ნაბიჯ-ნაბიჯ გავუდგები მამა-პაპათა გზას. — ოპან-ამიმ ჩიბუხი ქამარში გაირჭო და ფეხზე მსუბუქად წამოდგა.

— გავიაროთ ბოსტანში, ცოტა ხახვი და ტარხუნა მოვეკრიფოთ, დღეს ცოლმა შილაფლავი მომიტანა, ერთად შევექცეთ.

ვიწრო კვლებში ოპან-ამი უჯოხოდ დააბიჯებდა. საერთოდ, ის ჯოხს არც ხმარობდა. ენაგადმოვადებული ასლანი უკან მისდევდა.

ოპან-ამი უკვე წელში იყო მოხრილი, თავი მხრებში ჰქონდა ჩამჯდარი, მაგრამ მოკლე, კუნთმაგარ ფეხებს ჯერ ისევ მხნედ ადგამდა.

ასლანი შავბეწვიანი ვეება ქოფაკი იყო. მისმა წინაპრებმაც ოპან-ამისთან მოჭამეს წუთისოფელი, მოხუცმა ისინი ბოსტინის ბოლოს ჩამარხა და საფლავზე ქვები დააწყო. ოპან-ამი მუდამ ტკბილად იგონებდა ასლანის წინაპართა ერთგულებას და იმ ამბებს. რაც ერთად თავს გადახდენოდათ.

ასლანი ერთი წუთითაც არ სცილდე-ბოდა ოპან-ამის. როცა ისინი ერთმანეთს არ ხედავდნენ, მოუსვენრობა ეტყობო-დათ და გულმოსულნი დაეძებდნენ ერთ-მანეთს. საჭმელსაც ერთდროულად შეექცეოდნენ ხოლმე: ოპან-ამი თავის კერძს ჭამდა, ასლანი — სალაფავს.

ზამთრის დღეებში, როცა ოპან-ამი ბუხართან ჩუმად იჯდა და ჩიბუხს ეწეოდა, ასლანი მის ფერხთით იწვა, თავი თათებზე ედო და ჩიბუხიდან გა-მოშვებულ კვამლის რგოლებს თვალს ადევნებდა.

თუ ვინმე ასლანთან პატრონის სა-

ავეტყვ ისააკიანნი მოთმინების ჩიბუხი

ხელს ახსენებდა, ძალლი თვალებს დააბრიალებდა, ყურებს აცქვეტდა, კუდს გააქნევდა. ერთგულ ძალღს პატრონის სახელის ხსენებაც კი მოსვენებას უკარგავდა.

ვაი იმას, ვინც ოჰან-ამის იქ არ ყოფნის დროს მის ნივთს ხელს დააკარებდა. გამხეცებული ძალლი ყვეფით აიკლებდა იქაურობას. თუმცა თვითონ კი უყვარდა ოჰან-ამის ნივთებთან თამაში: ხან ქისას დაუმალავდა პატრონს, ხან ცხვირსახოცს, თვითონ თავს მოიძინარებდა და სიამოვნებით უთვალთვალებდა, როგორ დაეძებდა ოჰან-ამი დაკარგულ ნივთებს. შემდეგ წამოდგებოდა, აქეთ-იქით სირბილს მოჰყვებოდა, დამალულ ნივთს დაეძებდა, იპოვნიდა და კუდის ქიცინით მოხუცს მიურბენინებდა.

ერთ დღეს ჩემს ძმისწულებს ასლანი დაეჭირათ, შინ ძალით მოიყვანათ, ოთახში დაემწყვდიათ და ხორცი დაეგდოთ, იქნებ მოშინაურდესო, მაგრამ ასლანს პირი არაფერზე დაეკარებინა, ორი დღე გამუდმებით ყმუოდა თურმე, და ბოლოს დაეღაჩემს გარეთ გაეგდო. ძალლი მაშინვე პატრონთან გაქცეულიყო.

როცა ერთ დღეს ოჰან-ამის ეს ამბავი მოვუყვიე, მან მშვიდად მითხრა:

— მეფის სასახლეშიც რომ წაიყვანო, დღენიდაც ჭათმები და შაშხი აჭამო, მაინც არ გაჩერდება, — და დაუმატა: — ეს ძალღია, ძალღი! არც კაცია, არც დედაკაცი, არამედ ძალღია! ესე იგი, სულით ხორცამდე ერთგულია.

ხის ჩრდილში დავსხედით.

ოჰან-ამიმ არაყი გადაჰკრა და ერთი ჭიქა მე შემომთავაზა:

— დალიე, ძმისწულო, დალიე, გავმხიარულდეთ. ამქვეყნად მთავარია, კაცმა გული გაახაროს. სიხარული იგივე ბედნიერებაა. რაც მოსახდენია, უჩვენოდაც მოხდება. რა ძალა გვადგია, აქედანვე მოვიწყინოთ? ახლა დრო ჩვენს ხელთაა და რაკი ასეა, უნდა ვიმხიარულოთ, თორემ მერე შეიძლება ხელიდან გამოგვცტალოს. იყო და არა იყო რაო, — ასე იტყვიან ჩვენზეც.

ოჰან-ამიმ მეორე ჭიქა არაყი გადაჰკრა.

— მე ბოროტი საქმე არ მიყვარს, არც შფოთიანი კაცი ვარ. ბედისწერას არ ვემდური, ეს წისქვილი, ეს მიწის ნაკვეთი მეტიც არის ჩემთვის. მთელი დედამიწა რომ გაანაწილონ, შეიძლება ამდენი არც მერგოს, იმდენი უსახლკარო, უმიწაწყლო, ლატაკი ხალხია ირგვლივ.

ჰეი გიდი, მირზა მეჰდი! ხმა გამეცი თუ ცოცხალი ხარ და თუ მიწაში განისვენებ, ღმერთმა დიდხანს გიცოცხლოს შვილები. ციხეში გამუდმებით სულ ერთ სიმღერას ღიღინებდა. გულში ისე ღრმად ჩამრჩა იმ სიმღერის სიტყვები, რომ აგერ ოცმა წელიწადმა განვლო მას შემდეგ და მაინც ყოველდღე ვიმეორებ:

მე მიყვარს მწვანე ხალიჩაზე დადგმული ფაცხა,

შაჰის ოქროს კოშკს მირჩენია,

მასზე კარგია: სულთანის კერძს სჯობს ხმელი პური —

მე მხოლოდ შრომით მონავარი სულფრაზე რაც მაქვს,

მე მირჩენია ზვიად შაჰის: საზრდო მარგია,

მე მირჩენია ტკბილ მუხამბაზებს

თავისუფალი სიოს სუნთქვა და ქროლა ქარის;

მე მირჩენია უხვირო და მდიდარ და-ძმებს

სულ უცხო ვინმე, ვინც მართალი და სათნო არი.

— კარგი სიტყვებია, — ვთქვი მე. — მაგრამ ვინ იყო ეგ მირზა მეჰდი?

— ერთი არიფი ვინმე იყო, ჩემი ხნის კაცი. ყალბი ფული აღმოაჩნდა, დაეჭირათ და ციხეში ჩაესვათ. ორ წელიწადს ტკბილად ეცხოვრობდით, ერთი ჯამიდან ვჭამდით, ჩემი-შენის გარჩევა ფიქრადაც არ მოგვსვლია. არ ვიცი, დამნაშავე იყო თუ მართალი — ციხეში კაცს ვერ ნახავ, რომ სთქვას, დამნაშავე ვარო. პირიქით, ყველა თავს იმართლებს. — მაგრამ მეტად პატივსაცემი, ბრძენი და გულმართალი კაცი რომ იყო, ჭკუა-გონების ნამდვილი ზღვა, — ამაში ეჭვი არ მეპარება. იმ დალოცვილმა მაღლიანი სიტყვის თქმა იცოდა წამოწვებოდა ხოლმე ტახტზე, ჩიბუხს გააბოლებდა



და იტყოდა: მოვწიით მოთმინების ჩი-
ბუხი, ვიდრე თავისუფლების კარი გაგ-
ველებათ. ეს სიტყვები ვისწავლე და ახ-
ლა მეც მოთმინების ჩიბუხს ვიწვევი,
ვიდრე... დედაკაცო, ერთხელ კიდევ შეავ-
სე, — ოჰან-ამიმ ამბის თხრობა შეწყვი-
ტა და ცოლს მიუბრუნდა, შემდეგ სავსე
ჭიქა ასწია, შორს გაიხედა, წამით თით-
ქოს იქაურობას გამოეთიშა, — იცოც-
ხლე, მირზა მეჰდი, ჩემო ძმაო, — სთქვა,
ტურები მოიწმინდა და განაგრძო, — ჰო,
ის მინდოდა მეთქვა, ქვეყნად მოთმინება
იმთავითვე იყო და არის... მრავალი ჯუ-
რის აღამიანი იჯდა ციხეში, ქვეყანამოვ-
ლილი, ცხოვრების ჯარდაკში გამოწრ-
თობილი: სომხები, თურქები, ქურთები,
ვაჭრები, ნასწავლიც და უსწავლეელიც.
იმთავან ბევრი რამ ვისწავლე. მოგებული
ფული შენი არ არის, სხვის ხელში გა-
დავა, ან მოგპარავენ, მაგრამ რაც გის-
წავლია, ის შენია.

ციხეში ერთი კარგი ახალგაზრდა იყო,
სარქისი ერქვა, ძმა ძალზე ავიწროებდა,
თურმე ბოლოს მიწაც კი წაართვა. სარ-
ქისს ძმა დაეჭრა და მიხუ სახლისთვის
ცეცხლი წაეკიდებინა. ამისათვის ერთი
წლით ციხეში ჩააგდეს. კარგი ბიჭი იყო,
ბატკანივით უწყინარი, პატრისაკემი.
მასთან საუბრის დროს მირზა მეჰდიმ
სთქვა:

„ერთხელ სპარსეთში, ერთ-ერთ სო-
ფელში უცხო კაცი მივიდა და ითხოვა,
მიწა მომეცით, თქვენთან მინდა დავ-
სახლდეთ. სოფლის თავკაცებმა მიწა
მიუზომეს. უცნობმა იცოტავა. მოუმატეს
მიწა. უცნობს ისევ ეცოტავა, მაშინ
სოფლის თავკაცებმა უთხრეს: ეი, თვალ-
გაუმაძღარო კაცო, აი, ჩვენი სახნავ-
სათესი მიწები, წადი, ირბინე, სანამ
დაიღლები და რა ფართობსაც შემოურ-
ბენ, სულ შენი იყოსო. ამ კაცმა იმდენი
ირბინა, რომ გული გაუსკდა, დაეცა და
მოკვდა. ასეთი ხარბი ყოფილა შენი
ძმაც. სამაგიეროდ ხომ მიიზლო სასჯე-
ლი, — სიკვდილმა ხომ შეასუნთქა სახე-
ში, ეგეც ეყოფა!“

— მოდი, თითოც დავლიოთ და მოვა-
თავოთ, — შემომთავაზა ოჰან-ამიმ.

მე ვიუარე, თვითონ დაისხა და გადა-
ჰკრა.

— ციხეში ერთი გაკოტრებული ვაჭა-
რი იჯდა. ბევრი ფული გაეფლანგა, მაგ-
რამ სასაცილო ის იყო, რომ ვისთვისაც
ფულები შეეჭამა, სწორედ ისინი არ
ივიწყებდნენ, მოდიოდნენ, სასმელ-საჭ-
მელს უგზავნიდნენ. ამაზე თვითონაც
ოხუნჯობდა: — წარღვნის დროს ერთი
კაცი ნოეს კილოზისკენ მიცურავდა და
ყვიროდა: ნოე-ჯან, თოკი ჩამოუშვი, თუ
გახსოვს, ერთხელ ერბო რომ არა გქონ-
და, მე ერთი გუდა ერბო მოგეციო. ნოეს
არ შეუსწმენია განწირული კაცის მუ-
დარა, უფიქრია, რომ გადავარჩინო,
ვაითუ ერბო კიდევ მომთხოვოს, ამიტომ
უმჯობესია დაიხრჩოსო.

ამ დროს ერთი სხვა კაციც მიახლო-
ვებია ნოეს და შევედრებია: — მე მაინც
გადამარჩინე, კარგი კაცი ხარ, ერთ მოუ-
სავლიან წელიწადს ფქვილი არ მქონდა
და შენ ერთი ტომარა ფქვილი მასეს-
ხეო. ნოეს უბრძანებია თავის ხელქვეი-
თებისათვის, გადაარჩინეთ, ცოდოაო,
გუნებაში კი უფიქრია: რომ დაიხრჩოს,
ფქვილი დამეკარგება, გადავარჩენ, იმუ-
შავეებს და სესხს დამიბრუნებსო.

ოჰან-ამიმ ჩიბუხი გატენა, კვამლი
ბოლქვად გამოუშვა და განაგრძო:

— ამრიგად, ციხე ერთად შეკრებილი
ხალხის პატარა ქვეყანა იმ განსხვავე-
ბით, რომ თუ ციხის გარეთ თავისუფ-
ლად ცხოვრობენ ნიღაბაფარებული ავა-
ზაკები, ციხეში კი დამწყვედული არიან
სააშკარაოზე გამოყვანილი ქურდები. ცი-
ხეში ყოფნისას შევიტყვე ამ ქვეყნის ასა-
ვალ-დასავალი. ყოველი ავკაცობის სათა-
ვე შენ-ჩემობაშია. სოფლად და ქალაქად
ერთმანეთს ფულისათვის, სიმდიდრისა-
თვის, სხვისი ნაოფლარის მიტაცებისათ-
ვის ახარჩობენ. ვიდრე ფული და შენ-ჩე-
მობა არსებობს, ადამიანობა, სიყვარუ-
ლი, სინდის-ნამუსი — ზღაპარია. აი, სა-
იდან გაჩნდა მდიდარი და ღარიბი, ციხე
და სისხლისღვრა...

თურქს ჰკითხეს, ომი საიდან ჩნდე-
ბაო? მან მიუგო: როცა ერთი ჭამს, მეო-
რე კი ოფლს ღვრის, მაშინ ომი გარ-

ავეტიკ ისააკიანი
მოთმინების ჩიბუხი

დუფალიაო. ახლა ჩემზედაც მოგახსენებ — ქვეყანასთან ანგარიში გასწორებული მაქვს. სხვა გზა არ გამაჩნია. მდიდრებთან ბრძოლისთვის ციხეში ჩამსვეს; ახლა მარტოდ ვარ. კაცი ქვეყნის აე-კარგთან ვერას გააწყობს, დავარტყი — დამარტყეს. ხეირი ვერაფერი ვნახე. ახლა ამ ხელებით იმდენ პურს ვშოულობ, მეც თავს ვირჩენ და ალალ ლუკმას ნაცნობ-უცნობსაც ხშირად ვუნაწილებ.

მხიარული ყიჟინით და მხრების რხევით მოვიდა გიჟი მხო.

— მხო-ჯან, — უთხრა ოჰან-ამიმ, — დაჯექი, პური ჭამე. — შემდეგ ჩემკენ შემობრუნდა და დასძინა: — მხო მუდამ ისე მხიარულად არის, თითქოს არ იცოდეს, რომ ამ წუთისოფელში სიბერე და სიკვდილი არსებობს. მთელი ქვეყანა რომ ერთ კაპიკად შესთავაზო, არ იყიდის. მხო ყველაზე მდიდარი კაცია, უბედნიერესი, ყელამდე კმაყოფილი, და ყველა ვნებაზე გამარჯვებული.

მხო ოჰან-ამის დისწული იყო, ბავშვობაშივე დაობლებული ბიძას შეეკედლებინა. ოჰან-ამი შვილებში არ არჩევდა მას. ოცდაათი წლისა იქნებოდა, მაღალ-მაღალი იყო. ვიწრო შუბლი და დიდი ცხვირი ჰქონდა. შერეკილიაო, ასე ამბობდნენ სოფლელები. მხო უთავბოლოდ, აბნეულად ლაპარაკობდა და მუდამ მხიარული იყო. ქვეყნიერების ყველა უკეთურება კეთილად ეჩვენებოდა და რატომღაც სიცილის საბაზს აძლევდა.

მართალია, მხო ოჰან-ამისთან ცხოვრობდა, მაგრამ ერთი ფეხი წისქვილში ედგა, მეორე — სოფელში. ისინი ერთად უვლიდნენ თავიანთ პატარა მეურნეობას, ზოსტანს, ოციოდე ფრთა ფრინველს და ერთ მეწველ ძროხას. წისქვილშიც ერთად მუშაობდნენ.

მხო ოჰან-ამის ძლიერ ემადლიერებოდა. ბიძის სიტყვა მისთვის კანონი იყო. მხოლოდ მის შეკითხვაზე იძლეოდა წესიერ პასუხს.

ზამთარ-ზაფხულ მხო ქუდს არ იხურავდა. თმები ქჩასავით მოთელოდა, დიდი სიცივის დროს მხოლოდ ყაბალასს შემოიხვევდა თავზე. თუ ქუდს აჩუქებდნენ, მხო გადაავებდა და იტყოდა:

ჩემი ფაფახი მომიძებნეთ, მხოლოდ იმას დავიხურავ, სხვა არ მინდა, ჩემი ფაფახი ექვსი აბაზი ღირსო.

— მხო-ჯან, რა უყავი ფაფახი? — ჰკითხავდნენ ხოლმე ახალგაზრდები.

მხო ყოველთვის ერთსა და იმავე პასუხს აძლევდა.

— რა ფაფახი, ვისი?

— როგორ თუ ვისი? შენი.

— ფაფახი? ჰოო, ქარმა წაიღო. კარგად აღარ მახსოვს, როდის! რაღაც ეშმაკისეულმა ქარმა დაჰქროლა, წისქვილის ქვასავით დატრიალდა. მე ერთ დიდ ლოდქვეშ შევძვერი, შემეშინდა, არ გამიტაცოს-მეთქი. მხოლოდ ფაფახი მომტაცა, ეს იყო და ეს. ახლა ვინ იცის, ჩემი ფაფახი რომელი მთის თხემზე გდია, ან რომელ ზღვაში ტივტივებს! რა ფაფახი იყო, რა ფაფახი! ექვსი აბაზი ღირდა.

მაგიდის კიდესთან დაცუტული მხო პირში იტენიდა, რაც მოხვდებოდა და თან ოჰან-ამის თვალს არ აშორებდა.

— მხო, სოფელში იყავი? — შეეკითხა ოჰან-ამი.

— ვინა?

— შენა, სოფელში იყავი-მეთქი?

— არა, ძია-ჯან, გზაზე ვიდექი, გამვლელ-გამომვლელებთან ვმასლაათობდი. — ხმამაღლა გაიცინა და დაუმატა: — ამბობენ, ჰორომხიანთ ბათო-ალა მოკვდაო. ჰა, ჰა, ჰა, მოკვდაო! — და სიცილისაგან კინაღამ გაიგუდა.

ოჰან-ამიმ წამით დახუჭა თვალები, მარცხენა ხელით შუბლი მოისრისა, მერე თვალი გაახილა, შემომხედა და მითხრა:

— ერთი წამლექტი მწერლუქა იყო. ღარიბს უკანასკნელ საცვალს გახდიდა. მზე რომ ყოფილიყო ეგ ბათო-ალა, ერთ კაცსაც არ გაათბობდა. უფლის მფარველობა არ მოაკლდეთ საიქიოში მიცვალეებულებს, თორემ მაგისაგან მოსვენება არ ექნებათ. — ოჰან-ამიმ ერთი-ორი ყლუბი ჩაი მოსვა და განაგრძო: — კარგად ვიცნობდი, მეტად ხარბი და ძუნწი იყო. ქვეყანა რომ მიგეცა, მაინც ჭიანჭველის მიერ წაღებულ ქერის მარცვალზე დარჩებოდა თვალი. მუსუნავი კა-

ცის სტომაქი შეიძლება ამოყორო, მაგრამ თვალი მაინც დამშეული ექნება. ეგ კაცი დღენიადგა ნახევრად შიმშილობდა, სულ აგროვებდა და აგროვებდა ქონებას. ვაჟები არ ჰყავდა და მთელი სიმდიდრე სიძეებს დარჩათ. ასეა ქვეყნის სამართალი! ძუნწი კაცის კისერს კუნთარი შეჭამს, ფულს კი — სხვა ხალხი. კაცი წარმავალია, მისი კარგი საქმენი კი რჩება. ეს იმას ნიშნავს, რომ ბოლოს და ბოლოს თვითონ კაციც რჩება. აი, მაგალითად, მე ჩაიში შაქარი ჩავაგდე; გადნა, გაქრა, აღარ არის, მაგრამ ჩაი დატკბა. ასეა კარგი კაცის ბედისწერაც — მოკვდება, მაგრამ მისი კარგი საქმე ქვეყანას დაატკბობს. ასე რომ არ იყოს, ქვეყანა გველის შხამივით მწარე იქნებოდა...

— ვინა?

— ბათო-ალაზე ვამბობ, მხო-ჯან.

— ერთი ლუკმა პური სხვისთვისაც რომ გაეზიარებინა, ამით ვითომ რა დააკლდებოდა? — ხითხითით დასძინა მხომ.

— გენაცვალე ჭკუაში, მხო-ჯან, — ალერსიანად უთხრა ოპან-ამიმ და ერთი მოზრდილი ნატეხი შაქარი შესთავაზა. მხომ შაქარი პირისაკენ გააქანა და ჩაახრამუნა.

ლამდებოდა. მთები იისფრად იღებებოდა. მზესუმზირები ოქროსფერ თავებს ხრიდნენ. ველ-მინდვრებიდან ნელი ნაბიჯით შინ ბრუნდებოდნენ გლეხები.

მეც წამოვდექი. ოპან-ამიმ ბოსტნის ბოლომდე მიმაცილა, გზადაგზა რამდენიმე კიტრი მომიწყვიტა.

ბოსტნის ბოლოს გაგჩერდით. ოპან-ამიმ მოწყენით მოავლო თვალი არემარეს, მდინარის დაკლაკნილ ნაპირს, ბილიკებით დასერილ მინდვრებს; გახედა შორეულ მთებს, ათეული წლების მანძილზე სიყვარულით რომ შესცქეროდა; მზერა შეავლო ჩამავალ მზეს და ჩიბუხი გააჩაღა; მერე ამოიოხრა, ოხვრას ბოლი ამოაყოლა და სთქვა:


— ეჰ, ჩვენც დავბერდით! ჩანს, გავსულვართ ბოლოში... არაფერი! ერთს ვნატრობ მხოლოდ, სანამ ვცოცხლობ, ხელ-ფეხს ვამოძრავებ, დედამიწას ზედმეტ ბარგად არ დავაწვე. მინდა ვიმუშაო და აქ, წისქვილის კართან მჯდარმა, მანამდე ვწიო „მოთმინების ჩიბუხი“, ვიდრე სამყაროს ოთხივე მხრიდან, ყოველი კუთხიდან კეთილ, მხიარულ ხმებს არ გავიგონებ. სხვა არაფერი მსურს.

ჩემო ძვირფასო ოპან-ამი!
მრავალმა წელმა გაირბინა იმ დღიდან, ბევრი ამბავი ჩაინთქა მესხიერების წყვილიდში, მაგრამ შენი ბრძნული სახე წარუშლელად ჩამჩრა სულში. მუდამ მახსოვს შენი საუბარი, „მოთმინების ჩიბუხის“ მშვიდობიანი კვამლი დღესაც თვალწინ მიდგას და ისევ ყურში ჩამესმის შენი მშვიდი, ნაცნობი ხმა.

1920 წ. ერევანი

თარგმნა არჩილ დავითიანი





გაერთიანებული

გზაზე

შორს ვიყავ, აღარ მახსოვდა თითქმის
თეთრი და მწვანე არყის ხეები,
შენზე სიმღერა უბრალოდ ითქმის,
შენზე მღერიან ჩემი დღეები.


ჩემს შემკრთალ თვალებს შორდება ძილი,
ღამეში ქროლვის მე ვარ მსურველი,
მთვარეზე ელავს ყვითელი სილა
და სუნთქავს მიწა ფიჭვის სურნელით.

ასე მგონია, დაეშვი ციდან,
გფარავდა ღამის შავი ნილაზი,
გვერდით მედექი, თუ ბედი მცდიდა,
იყავი ჩემთან, თუ არ იყავი...

ვიწრო გვირაბის სველი თაღები
სარკმელს აწყდება და უცებ ქრება,
ბნელში ფეთქავენ და ცახცახებენ
შენი პატარა, დაღლილი მხრები.

მესმის ხმაური შორეულ დღეთა
და შორეული მიხლება ქარი,
მთვარე ცვარია და ნელა წვეთავს
თანდათანობით ილევა მთვარე.

ღამეც ილევა თანდათანობით,
მიწაზე ნისლი წვება ფენებად
და ტრამალები თითქოს ნანობენ
მთვარის დადნობას და გათენებას.




ტალინი

ქვის გაღვანი რუხი და მძიმე.
მიიკლაკნება კედელზე ბზარი,
ისევე ძველი, როგორც ეს წვიმა,
როგორც ეს ელვა, როგორც ეს ქარი.

შავი ღრუბელი იზრდება უცებ,
მიწას დუმილი აწვება მკაცრი.
ჩრდილი ეცემა შენს ვიწრო ქუჩებს
და სანთელივით ჩამოქნილ ტაძრებს.

შორს ნავსადგურის სინათლე უხმობს;
მიფრენს ყორანი — შავი წერტილი.
ელის საღამოს ცივსა და უხმოს
ქვის ჯვარი, შავად გადაფერდილი.

ქვაფენილს თხელი ეხვევა ნისლი,
თეთრი წვეთების კრთება ხტომაზე,
რატუშის წვერზე ამაყად ფხიზლობს
და იცავს ქალაქს ძველი თომასი.



მუზაუმი

უცებ აგრილდა, უცებ შებინდდა,
წინ ზღვა ხმაურობს წრეგადასული,
ეუყურებ კედლებს და კედლებიდან
მთელი ქალაქის მიმზერს წარსული.

☆
ემზარ კვიტაიშილი ☆ ბალტიისპირაში


გზა და ხიფათი ზღვაოსნებს ქანცავს, —
მიწის დანახვის ლოდინი მწარე,
გადაუხრია მაღალი ანძა
და სველ ბადეში ფართხალებს ქარი.

მყუდრო ნაპირზე დღეა ბაზრობის,
დღეა ნათელი და უცნაური
და ზეთისხილით სავსე კასრები
ეხეთქებიან გემბანს ხმაურით.

სადაც შუბები' ...ო ქგერება,
იქ მეომართა სული ბარბაცებს —
და აწ გარდასულ დროთა ბგერებით
გავსებულია გრილი დარბაზი.

ანელებს ბუკის ხმა საყვარელი
ცეცხლმოდებული ისრების წივილს...
ქვიდან ცრემლივით ყონავს მარილი,
დაღარულია კედლები ცივი.


დრო გარბის და დროს ვერავინ ამჩნევს,
მძიმე თაღები სისხლში ისვრება
და ვიკინგების მწუხარე ჯავშნებს
სულს უხუთავენ ბნელი სიზმრები.



მლაშე ნაპირებს ლოკავს ბალტია,
ქალაქს არაფრის არა აქვს შიში,
ნავსადგურს ნისლი შემოსალტვია
და ირწევიან გემები ნისლში.

დგას რუხი კოშკი და დუმილს აკმევს,
ფოთლებში წითლად ელავს კრამიტი,
ენატრობ: მზექალი მოადგეს სარკმელს,
ზღაპრად ქცეული და მიამიტი.


სხივებმა სივრცე თეთრად დახაზეს,
ცაში ფარფატებს ღრუბლის ნამღევი,
წკრიალი გააქვთ მზის დანახვაზე
და ჰაერს ფლეთენ რკინის მამლები.



მერაბ კახიძე

ისევ თაყუნიას

მომავლებს მუდამ შენს თავს
ყველა წუთი და საათი,
მე მოვდივარ ჩუმად შენთან,
დავთმე ფუჭი მასლაათი!
ყველაფრისა მეშინია,
მაკრთობს ციდან ბამბის ფთილაც.
შენზე ფიქრით შეშლილი ვარ,
მოვისწრაფი სახლში ფრთხილად!
მინდა ცად მზე დადიოდეს,
თვალს მიტკობდეს მზისაფერი,
რადგან ყოველ ალიონზე
ბუდეში ვარ მისაფრენი!



ჭკილკასა, უზინი ჭკილკასი

მოთხრობა

თავი მერვი

1

იმ ადგილზე, სადაც სერგეიმ ოცეული დატოვა, კაციშვილი არ ჭაჭანებდა. მოდი ახლა და იპოვე მათი ასავალ-დასავალი. რას იზამ, უნდა შეეჩვიო. მცებში „ბრძოლისას“ ოცეული ხან სად ამოჰყოფს თავს და ხან სად.

სერგეიმ მიტოვებული სანგრები დათვალიერა. მაგრამ რა დაგიკარგავს, რას ეძებ — თავისი ქვეგანაყოფის კვალსაც კი ვერსად მიაგნო.

სერგეი საგონებელში ჩავარდა, მხრები აიჩეჩა და ბილიკს გაუყვა. მოულოდნელად სამხედრო გაზეთის კორესპონდენტი, ზემდევი მაკაროვი შეეჩეხა.

— ა, ბრაჟნიკოვ! აქ რას აკეთებ? — ჰკითხა მაკაროვმა.

სერგეიმ თავისი გასაჭირი შესჩივლა.

— წამომყევი, — შესთავაზა ჭაკაროვმა, — მეც თქვენს ბიჭებთან მივდივარ. ვიცი, სადაც არიან, პოლკის შტაბში მითხრეს.

სერგეის მაინცადამაინც არ ეჭაშნიკა კორესპონდენტთან შეხვედრა. ყანჩასავით მალაქანაშვიანი მაკაროვი გულგახსნილი და მხიარული ყმაწვილი ვახლდათ. ყველას გულს ადვილად ინადირებდა. ქვეგანაყოფში გამოჩნდებოდა თუ არა, ბიჭები მტრედის გუნდივით აედევნებოდნენ. ზოგს მისი სუმრობა მოსწონდა, ზოგს — ლექსები. ისედაც სასურველი იყო იმ კაცთან საუბარი,



რომლის გვარსაც ყოველდღე შეხვდებოდი გაზეთში. მაკაროვი რამდენიმე წიგნით ხელდაშვენიებული დედაქალაქელი მწერალი რომ ყოფილიყო, კიდეც მესმის, გასაოცარი არაფერი იქნებოდა. ეს კი... დადის კაცი შენსავით სამხედრო ფორმაში და თავი კი ჭკუითა აქვს გამოტენილი. რა არ გამოუდის ხელიდან — ლექსებსაც ბეჭდავს, ფელეტონებსაც, ნარკვევებსაც წერს და მოთხრობებსაც გვარაიანს აცხობს.

ასეთი თავგამოდებული თავყვანის-მცემლები მაკაროვს, იცოცხლე, ბევრი ჰყავდა. თუმცა ცოდვა გამხელილი სჯობია, ბევრს თავქარიანადაც მიაჩნდა, არც მის მწერლობას უყურებდნენ კარგი თვლით. ის კი არა, სერგეის კორესპონდენტის სამართლიანობაშიც ეჭვი ეპარებოდა. აბა ერთი მითხარით, მზარეულ შაქირ მურთაზოვს ფელეტონში გასამასხარავებელი რა სჭირდა? მგონი სულაც რითმის გულისათვის გასწირა ოქროსავით ბიჭი! ამას რომ კაცი იკადრებს, წითელი კვერცხი კი არ უნდა უგორო. ცხრაპირი ტყავი უნდა გააძრო. მაგის ბედი, რომ შაქირი ბუნჩულა და უწყინარი ბიჭია. მაინცადამაინც დიდად არ გაგულისებულა, თორემ კაი ხათაბალაში გაეხვეოდა ჩვენი მხიარული ჟურნალისტი, ახიც იქნებოდა. ქვეყანაზე უქნარა და ყალთაბანდი დაილია, კარგ ხალხს რომ არ წამოკრას ხელი?!

ასე ფიქრობდა სერგეი და მთის ვიწრო ბილიკზე მიმავალ მაკაროვს გულამრეზილი მიჰყვებოდა.

— მოგკვდი ამ კლდეებში ბოდილით, — შესჩივლა ბრაჟნიკოვს კორესპონდენტმა, — ხუთი დღეა ასე დაგებტილო. რედაქციაში გუშინაც შემქმლო დაბრუნება, მაგრამ გულმა არ მიქნა, ჯერ თქვენი ბიჭები უნდა ვნახო. ერთი კარგი ნარკვევი მათაც უნდა მიგუძღვნა.

— მე ეს-ესაა საველე გაზეთისათვის მიეიტანე მასალები, — უთხრა სერგეიმ. იგი ძალაუწებურად პატივისცემით განიმსჭვალა გაზეთის მუშაკის მიმართ. „უყურე ერთი, შრომისმოყვარე ბიჭი ყოფილა. ეტყობა, უყვარს თავისი საქმე“.

— ევ არაფერი. საველე გაზეთმა თავისი საქმე იცის, ჩვენ კი ჩვენი. გამოგიტყდები და, მე მარტო გაზეთისთვის კი არ ვაგროვებ მასალებს. ჩვენი არმხედრიგით ჯარისკაცებზე წიგნი მინდა დაწერო. დავდივარ ასე ტყე-ღრეში. ყველაფერს ვიწერ. სულ მეშინია, რაიმე მნიშვნელოვანი არ გამომჩრჩეს. მთელს ოლქში შეძებარი ძალღვივთ დაწვანალებს. ხან სად ამოგყოფ თავს და ხან სად, — მაკაროვმა ამოიოხრა და მერე ბრაჟნიკოვს გულდანდობილად გაუღიმა, — გინდა, ერთი ჩანახატი წაგიკითხო? გუშინ ჩავიწერე. შენი აზრი მაინტერესებს.

— სიამოვნებით, — სავსებით გულწრფელად მიუგო სერგეიმ.

— მოდი, ამ ლოდზე ჩამოვჯდეთ, — შესთავაზა მაკაროვმა.

სერგეიმ შენიშნა, რომ კორესპონდენტი აშკარად ღელავდა.

2

ორთავენი დახავსებულ ლოდზე ჩამოსხდნენ. მაკაროვმა ჩანთიდან სქელი, მაგარყდიანი რვეული ამოიღო. დარცხვენილმა სერგეის ისეთი მოკრძალებით უთხრა — ვიცე ჩემს ნაწერებზე მაინცადამაინც დიდი აზრისა არა ხარ, მაგრამ მგონია ეს კი უნდა მოგეწონოსო, — რომ მისი გული სავსებით მოინადირა.

„მწვერვალს დილაადრიანად მივადექით. მისი სიმაღლე ორი ათასი მეტრი მაინც იქნება. მომჩვენა, თითქოს დამავიწყდა ნათელი ცის ზურმუხტოვანი ფერი. ღრუბლებში არაფერი ჩანდა. ღრუბელი და ნისლი კი აქ ყველგანაა — ჩვენს თავზეც და ჩვენს ქვემოთაც. მგონი, ასეთ ღრუბლებზე ამბობენ — მრავალსართულიანიაო. მე რომ მკითხონ, ასეთი ღრუბლები უზარმაზარ ფენოვან ნამცხვარს უფრო წააგავს. ხოლო კლდეები, ხეები, ფორებიანი გამოფიტული ლოდები, მანქანები და ნისლში მიმოფანტული ხალხი თითქოს მოხალული თხილივით აქვს მოყრილი ამ უზარმაზარ ნამცხვარს.“

ემანუილ ფეიგინი
ჯარისკაცი, შვილი ჯარისკაცისა

გალიუჲ კლდის ქიჲს შემოეუარეთ. ხეებთან ჯავშნოსანი მანქანა დაეინახეთ. ცოტა მოშორებით ხალხიც დავლანდეთ. ჩვენს დანახვაზე ყველანი წამოიშალნენ. ტალიკ-ტალიკა, დარჩეული ბიჭები იყვნენ. ასეთ ბიჭებსაა, გოგოები თვალეზს რომ უბრაწავენ.

ერთმანეთს გამოვემცნაურეთ. ბიჭები მზვერავეები აღმოჩნდნენ. ახალგაზრდა ოფიცერმა აგვისხნა, მზვერავეები ნაწილს ყოველთვის წინ მიუძღვიან, ძირითადი ძალები კი საცაა გამოჩნდებო. „მოწინააღმდეგე“ უღელტეხილზეა გამაგრებული. „მტერს“ აქედან შვეუტევთ. უღელტეხილი აგერაა ყურისძირში, ორ კილომეტრზე მეტი არ იქნება.

— უღელტეხილს რომ ხელში ჩავიგდებთ, ამაში ეჭვიც არ მეპარება, — დარწმუნებით სთქვა ოფიცერმა, — მერე გზას განვაგრძობთ, უკანდახეულ „მტერს“ ფეხდაფეხ მივყვებით დასაზვერად. ახლა კი ვისვენებთ.

გადაწყვიტე მზვერავეების ხანმოკლე შესვენებით მესარგებლა და ბიჭებს ახლო გავცნობოდი. ჩემს გვერდით მოსული, მზით გარუჯული ვაჟკაცი იჯდა, რიგითი ჯარისკაცი ვლადიმერ ფედოსევი. მეტყვიამფრქვევე გახლდათ. ხელის ტყვიამფრქვევი ლაბადის კალთით მზრუნველად დაეფარა.

— ხელი ხომ არ შეგიშალეთ? — ვკითხე ფედოსევეს, — მგონი რალაცაზე საუბრობდით.

— ჰო, ერთ საკითხზე ვმსჯელობდით.

— თუ საიდუმლო არაა, იქნებ ჩვენც გაგვანდოთ თქვენი საუბრის თემა?

— არა, საიდუმლო არაფერია. აქ ერთი მეგობარი... სახელს ვერ ვეტყვი. ეს კი საიდუმლოა, ცოტა შემომელანძღა. იმას ჰგონია, აქ სამასხროდ ვართ ჩამოსული და ომობანას ვთამაშობთ. მე კი ვეუბნები — არა, ძმობილო, ჩვენ აქ დიდ საქმეს ვაკეთებთ, სამშობლოს ვიცავთ. ხალხი ჩვენთვის არაფერს არ იშურებს — ტანსაცმელს, სასმელს-საჭმელს, ტექნიკას და მერე როგორ ტექნიკას. მერე და იცი რა შრომა, რა ფული იხარჯება ამაში. მაგ გოგრა თავში ერთხელ მაინც მოგსვლია აზრად, ჩვენს მშრომელებს რა

უჯდებათ ერთი ჯარისკაცის შენახვა? ასე რომ, ცოტა ყურები გამოიბერტყე და ხელი გამოიღე. აქ, ჩემო ძმაო, ფაფის საჭმელად კი არ ჩამოვსულვართ-მეთქი.

— თქვენ ალბათ აგიტატორი ხართ, — ვუთხარი ფედოსევეს.

— რატომ გგონიათ?

— კომკავშირელი ნამდვილად იქნებოთ.

— კომკავშირელი კი არა, უპარტიო ბოლშევიკია. ჭკვიანი და შეგნებული, — ერთმანეთს აღარ აცლიდნენ მზვერავეები, — თუ ვინმეზე დაწერას ფიქრობთ, ამაზე უკეთესს ვერავის იპოვით.

ბიჭების ნათქვამი ჭკუაში დამიჯდა. აქ ყველანი მკელივით ბიჭები არიან. ერთმანეთს ტოლს არ უჯდებათ. თვითეულ მათგანზე შეიძლება რალაც დაიწეროს ლექსადაც და პროზადაც. ფედოსევი კი მაინც ყველაზე უფრო მომივიდა თვალში. ისიც მომეწონა, ამხანაგებს რომ აუბუზღუნდა:

— რას არ მოიგონებთ. ჩემზე რატომ უნდა დაწერონ. მე ჯერ რა გამიკეთებია. კარგი ჯარისკაცი გამოილია ნაწილში?..

ბიჭებმა სიტყვა პირიდან გამოსტაცეს:

— კი, მართალი ხარ, არიან ღირსეულებიც, მაგრამ მზვერავეები ყველანი კარგები არიან. ასე რომ, ნამეტან თავმდაბლობას ნუ გამოიჩენ.

მე კოლექტივის აზრს დავემორჩილე. რვეული გავშალე და ფანქარი მოვიმარჯვე.

— მერე? — იკითხა სერგეიმ, რადგან მაკაროვი მოულოდნელად გაჩუმდა და რვეული დახურა.

— ჯერ ეს მითხარი, რაც წაგიკითხე, მოგეწონა?

— მომეწონა, — სთქვა სერგეიმ, — ბუნება შედარებით კარგად გაქვთ აღწერილი.

— რას ნიშნავს, — შედარებით?

— სხვებთან შედარებით. ტურგენევი, მაგალითად, უკეთესად აღწერდა.

— ტურგენევი, ხომ? დამცინი არა?

— რას ამბობთ, აზრადაც არ მომსვლია!

— ვხედავ. ესე იგი, არ მოგეწონა?

— ღმერთო, რა იჭვიანი ხალხი ხართ ეს მწერლები, — ხელები გაშალა სერგეიმ, — მე სიმართლე გითხარით, მომეწონა-მეთქი. მაგრამ რა ვქნა, ძმაო, რა ჩემი ბრალია. მე ადამიანები უფრო მაინტერესებს. თუნდაც ეს მზვერავი.

— ფელოსევეზე მთელი ათი გვერდი მაქვს ჩაჭიკჭიკებული. მართლა, მისი ბიოგრაფია შენსას ჩამოგავს. ფელოსევეიც მესახტია.

— ჩემი ბიოგრაფია საიდანღა იცით? — გაუკვირდა სერგეის.

— მე, ჩემო ძმაო, რა არ ვიცი, — გაიღიმა მაკაროვმა და რვეულს ხელისგული მოუტყაპუნა, — აქ ისე გემრიელად მყავხარ ჩახატული, რომ შენი მოწონებული.

— მოხვდებილევარ წიგნში და ეგ არი!

— აბა რა გგონია, ძმობილო.

— ვერასდროს ვერ წარმოვიდგენდი, თუ წიგნის გმირი გავხდებოდი.

— გმირობამდე ჯერ შორსა ხარ.

— თქვენს რვეულსაც ბევრი უკლია, სანამ წიგნად იქცეოდეს.

— მაგაში მართალი ხარ, — დაეთანხმა მაკაროვი.

— საინტერესოა, ჩემზე რა აზრისა ხართ. წეროთ მაინც რამეს სახეიროს? ეს მაინც მითხარით, დაღებითი გმირი ვარ თუ უარყოფითი?

მაკაროვი, რა თქმა უნდა, მიხვდა ხუმრობაზე რომ გადავიდნენ და სერგეის იქით ჰკითხა:

— შენ როგორი გავხარდებ?

— რაც მართალია, მართალია, დაღებითი რომ ვიყო, ის გამეხარდებ. თანაც ლამაზი და კობტა ბიჭი.

— როგორც შენ მიბრძანებ, ისე იქნება, — თავი დახარა მაკაროვმა.

ორთავეს გაეცინა.

— ახლა წავიდეთ, სერგეი, თორემ წინ კაიხელა გზა გვიდევს. თქვენი ბიჭები აგერ იმ გორაკზე იქნებიან. აქედან გეგონება ხელს მივაწვდენო, მაგრამ ვერ მოგართვეს. იქ ასვლაში ტყირაბი ჩაგეძქევა. აბა რა გგონია, ძმობილო, მთამ თვალის მოტყუება იცის.

გორაკებამდე მართლაც დიდხანს წაირეს, მაგრამ ამას ვინ სჩიოდა. უბედურება ის იყო, რომ იმ არემარეში ძეხორციელის კვლიც არ ჩანდა.

— არა უშავს რა, ვიპოვით, — თავი იწუხებდა მაკაროვმა, — ქვევანაყოფი ნემსი ხომ არაა, თვალსა და ხელს შუა დაგვეკარგოს.

ეს მოსწრებულად იყო ნათქვამი, მაგრამ საქმეს ვერაფერს შეელოდა. როგორც შემოდგომაზე იცის, უცერად ჩამოღამდა. წვიმა ისევ წამოვიდა. სცივე ძვალსა და რბილში ატანდა. თითქოსდა ჯიბრზე, გზისგამკვლევ საორიენტაციო ნიშნადაც კი არაფერი გამოდგებოდა. აქ ყველა გორაკი ისე წააგავდა ერთმანეთს, ერთი დედის მუცლიდან შობილი გეგონებოდა. ბუჩქი რომ ბუჩქია, ტყულებით ერთმანეთს ჰგავდნენ. აქაურ გზასაც კი ძლივს გაარჩევ, ისიც მაშინ, როცა ზედ ბორბლების ძნელად შესამჩნევ კვალს წააწყდები. გაჰყვები ამ გზას და ვაი შენი ბრალი, ისეთ ადგილზე ამოგაყოფინებს თავს, რომ გზაკვალს სამუდამოდ აციბნევს.

— მე გგონია, ყელში საბელჩაბმულებით ამ ერთი გორაკის ირგვლივ დაგვორიალობო, — სთქვა სერგეიმ.

— მეც ასე გგონია, — დაეთანხმა მაკაროვი და უგემურად წაიხუმრა, — მეტი რა გზა გვაქვს, სამისამართო მაგიდას უნდა მივმართოთ.

საბედნიეროდ, სამისამართო მაგიდა აღარ დასჭირვებიათ. ქვევანაყოფს უამისოდაც მიაგნეს. გზააბნეულებს ამაში ხარხარი დაეხმარათ... დიახ, ხარხარი!

წარმოიდგინეთ სამარისებური სიჩუმე, ისეთი სიჩუმე, ბუზის გაფრენის ხმას რომ გაიგონებ. და უცებ ასეული ღონიერი ხანიდან ამოვარდნილი ხარხარი. ასეთი ქუხილისმაგვარი ხარხარისაგან ალბათ კლდეებიც კი შეზანზარდებოდნენ. ვინ იცის, იქნებ შეზანზარდა კიდევ, ეს არავის შეუმჩნევა. ერთი რამის თქმა კი

ემანუილ ფეიგინი

ჯარისკაცი, შვილი ჯარისკაცისა

თავისუფლად შეიძლება, — ამ ქვა-
ლორღიან უღაბნოს სამყაროს შექმნის
დღიდან არ მოსწრებია ასეთი სიცილი.
ამ სიცილში სულიერი ჯანმრთელობაც
იგრძნობოდა, ჭაბუკური სილაღეც, გა-
მოუღვეველი ძალაც. არა, ძალა კი არა,
ჯანსაღ ორგანიზმში დაუტყვარი ძალის
სიჭარბე.

მაკაროვი ჩინებულად იცნობდა მხედ-
რულ ცხოვრებას. ციდან ჩამოვარ-
დნილი როდი გახლდათ. მეომრის ცხოვ-
რება თვითონაც კარგად ჰქონდა ნაწუნე-
ვი. პოეტური ბუნებისა რომ იყო, თავს
აღბათ იმიტომაც ვეღარ იკავებდა, აღ-
ფრთოვანებას ვეღარ მალავდა.

„აი, მესმის ხალხი! — გაიფიქრა მან, —
ამ სიცილის გამგონე, აბა თუ დაი-
ჯერებს კაცი, რომ ბიჭებს რამდენიმე
დღეა თვალი არ მოუხუჭავთ. მთელი ამ
დროის მანძილზე შეუსვენებლად მიალა-
ჯებენ წვიმით გაქღნითილ, ატალახებულ
გზებზე. შეუპოვრად მიფოფხავდნენ მი-
უვალ კლდეებზე. მოლიპული ბილიკებით
ადიოდნენ მთის მწვერვალებზე. უშიშ-
რად გადადიოდნენ მშფოთვარე დღე-
ებზე, ხეობებზე და უფსკრულებზე.
არაქათი აღარა ჰქონდათ, კბილებიდან
ოფლი სდიოდათ. ახლა კი ისე იცინიან,
ვითომც აქ არაფერიაო. სიცილიცაა და
სიცილიც; ასეთი სიცილი მხოლოდ
საიმედო ხალხს სჩვევია. ასეთი ხალხი
ყველგან გაგიტანს, ლხინშიც და ჭირშიც.
ეტყობა, კარგ ხასიათზე არიან ბიჭები“.

— მდეგებით არ იცინიან? — წამო-
იძახა აღტაცებულმა კორესპონდენტმა.

— ჩვენი ბიჭები არიან, — გაეხარდა
სერგეის, — აღბათ კატანჩიკმა მოხსნა
გულას თავი.

4

ასიოდე მეტრი კიდევ გაიარეს და რო-
გორც იქნა, ეკლიან ბუჩქნარს თავი
დაადწიეს. შორიახლოს ციცინათელე-
ბივით ბრწყინავდა პაპიროსის ცეცხლი.
სამზარეულოს სასიამოვნო ოსშივარიც
ეცათ ცხვირში. შემდეგ მოკლე განკარ-
გულებებიც მოესმათ. აჩხარუნდნენ არ-
მიული ქვაბუნები. ჯარისკაცები ოცუ-

ლებად ეწყობოდნენ და საგანშემოდ გე-
ზადებოდნენ. ვიღაცამ ისევე ^{ეჩხვინა}
მთებს კვლავ მოეფინა ვაჟკაცური ^{ჩხვინა}
ხიანი სიცილი.

— სიდედრიც გვეყოლია და სიმამ-
რიც, — სთქვა სერგეიმ, — ამხანაგო ზემ-
დეგო, აბა შაქირთან მივიდეთ, ენახოთ,
რა სუფრას გავგვიშლის.

— მერე უხერხული არ იქნება? — შე-
ყოყმანდა მაკაროვი.

— უხერხული ის იქნება, მარცხენა
ფეხით რომ მარჯვენა ყური მოიფხანო, —
გაიხუმრა სერგეიმ, — რომელ უხერხუ-
ლობაზე მელაპარაკებით.

— რა ვიცი, ისე... — სიტყვას თავი
ვერ მოაბა მაკაროვმა.

— აა, ახლადა მივხვდი, სადაა ძალ-
ლის თავი დამარხული. თქვენი ფელეტო-
ნი გაგახსენდათ, ხომ? ეგ არაფერი.
ჩვენი შაქირი კეთილი ბიჭია. ზოგიერ-
თივით გამყოლი გული კი არა აქვს. წა-
მოდიოთ, წამოდიოთ, რალაც უნებლიე
შეცდომის გამო შიმშილით ხომ არ უნ-
და დავწყდეთ?

— ეხ, სერგეი, შენზე ისე დავწერ
ჩემს წიგნში, ისე რომ...

— რას იზამ, ასეთი მწარე ხედრი
მქონია, — ვითომ ნაღვლიანად ამოიხ-
რა სერგეიმ, — მიწვრია თქვენს წიგნში
უარყოფით ტიპად გამოჰქმნა. ამას აწი
აღარაფერი ეშველება. ეი, შაქირ! ორი
ულუფა მომეცი, სტუმარი მომყავს.

— ამ წუთში, ჩემო ბატონო, — გა-
მოეპასუხა მზარეული, მაგრამ ვინ დაა-
ცალა. ვიღაცამ დაიძახა, შაქირი ვაბურ-
თაოთო. მურთაზოვმა გონს მოსვლაც
ვერ მოასწრო, ისე აფრინდა ჰაერში.

— ერთი კიდევ, ერთიც, ერთიც! ვაშა
შაქირს, ვაშა!

მგონი გულაჩუყებულ შაქირის გარდა
ყველა მიხვდა, საქმე რაშიც იყო, ბიჭებ-
მა მზარეულს მადლობა კორესპონდენ-
ტის ჯიბრზე ვადაუხადეს. წინასწარ
როდი იყვნენ მოლაპარაკებულნი. შაქი-
რი ყველას უყვარდა და როგორც კი
მაკაროვი დაინახეს, არც დაფიქრებულან,
მურთაზოვი ისე აიტაცეს ჰაერში. ეს
ერთსა და იმავე დროს მზარეულის დამ-
სახურების აღიარებაც იყო და მაკარო-



ვის ზედკრულ ფელეტონის წინააღმდეგ გალაშქრებაც. ბიჭებმა მიზანში მოახვედრეს. მაკაროვი დაიბნა. ერთ ხანს ყოყმანობდა — დაეცვა გაზეთის ღირსება? კი მაგრამ, რაშია გაზეთის ღირსება? განა სიმართლე, თვითკრიტიკა გაზეთის ღირსება არაა? რა თქმა უნდა. მაკაროვი გუმანით მიხვდა, რა უნდა ექნა და რა უნდა ეთქვა. ამით არც თავის ღირსებას შელახავდა და არც გაზეთის ავტორიტეტს დასცემდა.

— შევცდი, ამხანაგებო, გულწრფელად ვაღიარებ, რომ შევცდი, — განაცხადა მაკაროვმა.

მეომრებმა ჯერ გულიანად გადაიხარხარეს და შაქირი მხოლოდ ამის მერე დაუშვეს მიწაზე.

ვიღაცამ დაიძახა, მოდი ახლა კორესპონდენტი ვაბურთაოთო. მხარი არავინ აუბა. სიმართლის თქმისა და თვითკრიტიკისათვის რატომ უნდა ეცათ ასეთი პატივი. ეს ხომ ყველა კარგი ადამიანის თვისებაა.

როგორც იქნა, შაქირი მიწაზე დაუშვეს. იგი, ნჯღრევისაგან გაბრუნებული, სამზარეულოსაკენ ბარბაცით გაემართა. ვიღაცამ ძირს დაგდებული წერილი აიღო.

— შაქირ, შენია?
— ჩემია, ჯიბიდან ამომვარდნია, უპასუხა მზარეულმა, წერილი გამოსართვა, ხელში შეატრიალა და მოულოდნელად ცეცხლში შეუძახა. ზედ ერთი ოხვრაც მიაყოლა. წერილი ერთბაშად როდი დაიწვა. ცეცხლის ენებმა ქაღალდი ისე გალოკეს, თითქოს ამოწმებდნენ, დაიწვება თუ არაო. მერე ოთხივე მხრიდან შემოეგზნენ და მალე წერილისაგან, შაქირ მურთაზოვის გრძნობებისა და აზრებისაგან, მონაცრისფრო ზოლიდა დარჩა. შაქირს ნაღველი აღარ ეტყობოდა, თითქოს უცებ მოეშვა გულზე. თითქოს ამ ცეცხლმა ჭბაბუკს ერთხელ და სამუდამოდ მოაშორა რაღაც მძიმე, უსიამოვნო ტვირთი.

ეს წერილი შაქირმა დილით დაწერა. როგორც კი დროს მოიხელთებდა, გაგზავნას აპირებდა. ახლა კი მზარეულმა გადაწყვეტილება შეცვალა. ალბათ იმიტომ, რომ წერილში ეწერა...

მაგრამ სანამ წერილის შინაარსს გაგანდობდეთ, ერთი რაღაც უნდა გიამბოთ, თორემ ისე გაგვიძნელებდა წერილში მონათხრობი ამბის გაგება.

თავი მცხრო

სერგეი ბრაჟნიკოვის კლუბში წასვლის შემდეგ დიდ დროს არ გაუვლია, რომ გაშმაგებული „მტერი“ კონტრშეტევაზე გადმოვიდა. იერიში მოულოდნელად დაიწყო. სერგეის ოცეულმა თავშესაფრის გამაგრებაც კი ვერ მოასწრო. კიდევ მათი ბედი, რომ „მტერმა“ მეორე მხრიდან შეუტია, თორემ მამაზეცვიერც ვეღარ უშველიდათ. გორაკის შენარჩუნებაზე ხომ ფიქრიც ზედმეტი იქნებოდა. ასე შორიდან კი, გიყვარდეს, სასიამოვნო იყო. სეირის ყურება. ბრძოლა ცხრა-ათი კილომეტრის დაშორებით მიდროდა, ყველაფერი მაინც ხელისგულივით ჩანდა.

მფრინავების გრგვინვა და ატოჰური აფეთქებანი ერთმანეთში აირია. მეომრების ხუმრობისა არ იყოს, მთებს უცნაური მუსიკა აყრუებდა. ამ მუსიკას ვაჟაკის ყური თუ აიტანდა. აბა, ქალიშვილებს და ნერვიულებს აქ რა ხელი ჰქონდათ.

კატანჩიკი აღტაცებისაგან ცმუტავდა: — რას მუშაობენ იმიტატორები! აი, ცეცხლიც ამასა ჰქვია. ესეც შენი საარტილერიო კონცერტი, არც ფეიერვერკი აკლია. მე თუ მკითხავთ, ესაა სილამაზე; ვასიას მოსწონდა ცეცხლი. აი, სხვებს

ემანუელ ფეიგინი
ჯარისკაცი, შვილი ჯარისკაცისა

თუნდაც ზღვა რომ მოსწონთ, ისე რას იზამ, კაცია და გუნება. ცეცხლს კი შორეული მთის კალთაზე ბრიალი გაჰქონდა. განსაკუთრებით მაშინ, როცა ცაში უზარმაზარი ატომური სოკოები აიზიდებოდა.

— მართლაც რომ კონცერტია, — სთქვა მიკეშინმა. მას თვალი მოექუთა და უკმაყოფილოდ გაჰყურებდა აბოზობრებულ ცეცხლის ოკეანეს, — უზარმაზარი ძალაა, ვერაფერს იტყვი! მაგრამ ძალას მაშინა აქვს ფასი, როცა ტრაქტორებსა და ორთქლმავლებს ამუშავებს, როცა ლითონს ადნობს, როცა სახლებს ათბობს და ანათებს.

ატომსაც თავისებურად უდგებოდა მიკეშინი: „თუკი ჩვენი ყურმოჭრილი მონა იქნები, სასარგებლო მეგობარი, ვალში არც მე დავარჩები, პატივს გცემ და შეგიყვარებ. თუ აიწყვეტ, ბოროტი და დამანგრეველი გახდები, მაშინ რა მოგახსენო, სამუდამოდ შეგიძულებ“.

— კონცერტია! — უეცრად ხმამალა სთქვა მიკეშინმა, — კაი შენს ცეხირს მოუვა, კაი კონცერტი ეს იყოს. ერთი ნამდვილი ატომური აფეთქება გაგემონ, მაშინ ვნახავ რა ბიჭი ხარ!

— იქნებ გგონია, შემეშინდება? — აიქორჩა კატაჩიკი. — ატომური ბომბის დარტყმას ვერ მოესწრებიან... გარდა ამისა, ხომ გაგიგონია, ძმობილო, ეშმაკი არც ისე საშიშია, როგორც ხატავენო.

— შენი შიში ვინა სთქვა. ნამდვილი დევგმირი ხარ და კაცური კაცი. დუელში ვიწვევ ყველას, ვისაც ამაში ეშვი ეპარება, — გაიქაჩა კაზანჯიანი.

— დუელში და ისიც რაპირებით, — კვერი დაუტრა საფონოვმა, — კეთილშობილო რაინდებო, გთხოვთ იშიშვლოთ თქვენი კეთილშობილი იარაღი.

— ნეტავი თქვენ, ყველაფერს რომ ედებით, — ტურჩები აიპრუწა მიკეშინმა. მან კარგად იცოდა კაზანჯიანის ფარეკაობით გატაცების ამბავი, ცხადშიაც და ძილშიაც რაპირები და ესპადრონები რომ ელანდებოდა. მაგრამ ამისთანა უსარგებლო სპორტს რა თავში ვიხლი, ვის რაში გამოადგება ნეტავ? და მიკე-

შინმა ნაფიქრალი ხმამალა წარმოასთქვა:

— ერთი ამ მეომარს დამიხედეთ! ვინა რა ჯანდაბად უნდა შენი რაპირა. ახლა ბუზი რომ ბუზია, იმასაც კი ქიმიკატებით ხოცავენ. კაი საყურებელი კი იქნება, ტანკებს რომ რაპირით შეუტევთანაც თუ წყალბადის ბომბებიც ზედ მოგაყოლეს! ფარიკაობა, ჩემო ძმაო, ჩამორჩენილი კაცის საქმეა.

— იცი, რას გეტყვი, — იფეთქა კაზანჯიანმა, — ჩამორჩენილი თავი გაბია. შენ რომ კაცმა ყური გიგდოს, რახან ატომური საუკუნეა, კაცს აღარც მუსიკა უნდა, არც სპორტი და არც სილამაზე მე თუ მკითხავ, ესა ყველაზე დიდი სისულელე. მართალი თუ გინდა იცოდე, ასე მხოლოდ რეაქციონერები ფიქრობენ.

— აბა, თავს ნუ გახვედი, — გაცეცხლდა მიკეშინი, — დღეს რა ეშმაკი შეგიჯდათ, ყველანი მე გადამეკადეთ, მართლა ბოთე ხომ არ გგონივართ? ახლა ცოტა მოზომეთ, თორემ...

— აი, თავისუფალი აზრთა გაცვლა-გამოცვლაც ამას ჰქვია, — წამოიწყო კატაჩიკმა, მაგრამ მიკეშინმა ისე გადაუტრიალა თვალები, რომ ვასია მიხვდა. — ახლა კი დროა ამ კაცს შევეშვაო.

კაცს რომ შორიდან შეგეხედა, გეგონებოდა, ან ახლა დაერევიან ბიჭები ერთმანეთს ან ახლაო, მაგრამ ახალმა ცნობებმა ყველანი დააშოშმინა. ჯერ ერთი, გამოირკვა, რომ კონტრშეტევაზე გადმოსული „მტერი“ ჩაფლავებულია და ისევ თავდაცვაზე გადასულა. რასაკვირველია, ამ ამბავმა ყველას ლაპარაკის საღერღელი აუშალა. ვინ იფიქრებდა, რომ ლეიტენანტ გრომოვის ოცუელში ამდენი სტრატეგი აღმოჩნდებოდა, თანაც ასეთი ბრძენი და განსწავლული.

მეომრებს ვინ დააცალა „სტრატეგიული პრობლემის“ საფუძვლიანი გარჩევა და დამუშავება. მოულოდნელად შეიტყვეს, რომ ქვეგანაყოფი „წინა ხაზიდან“ გადაჰყავდათ.

ამ გადაწყვეტილების მიზანზე ზოგიერთებმა მკითხაობა დაიწყეს. ხან რა სთქვეს და ხან რა. უფრო დინჯებმა და გამოცდილებმა შეუტიეს: ნეტავ რა თავს

იმტვრევთ, უფროსებმა ხომ იციან საქმე რაშია და მეტი რაღა გინდათო.

უფროსებმა კი არა, ოცმეთაურებმაც კარგად იცოდნენ საქმის ასავალ-დასავალი. დივიზიის მხვერავები „მტრის“ ზურგში უნდა შეპარულიყვნენ მათი რაკეტული დანადგარების აღმოსაჩენად.

ამ ამოცანის შესასრულებლად ზოგიერთი მსროლელი ოცეულიც გამოყვეს. ეს ბედი ეწია გრომოვის ოცეულსაც.

გრომოვის გარდა არაგინ დაფიქრებულა, უფროსებმა რაღა მაინცაღამაინც ჩემს ოცეულზე შეაჩერეს არჩევანით. გენადი, როგორც ჩანდა, პატივმოყვარეობის შხამით იყო დაგესლილი.

„შემინშნეს, გამომარჩიეს. დამაცადეთ, ჯერ სადა ხართ. აწი მე ვიცოდეთ და ჩემმა ბიჭობამ“.

სანამ ლეიტენანტი გრომოვი ნეტარების ბურანში იყო გახვეული, მისი მეომრები წყნარ, მოფარებულ ადგილზე ისვენებდნენ. „წინა ხაზიდან“ გადმოყვანილი ოცეული მთელი თავისი ავღადიდებით ხშირი ბუჩქნარით დაბურულ გორაკზე იყო დაბანაკებული. ჯარისკაცები ჯერ ბაიბურშიაც არ იყვნენ, წინ რა საქმე ედოთ. ვისაც როგორ შეეძლო, ისე ისვენებდა. ზოგმა ხვრინვა ამოუშვა, ზოგიერთები ხმადაბლა საუბრობდნენ, ზოგი კი უხმოლ აბოლებდა.

2

ახლა შაქირ მურთაზოვსაც შეეძლო სხვებთან ერთად მხართმძოვ წამოწოლილიყო. მაგრამ ამისათვის ვისა სცხელოდა. ერთი დიდი უსიამოვნო და გადაუდებელი საქმე ჰქონდა მოსაგვარებელი. აგერ უკვე მესამედ ეკითხება მისი სატრფო ზაკია, არმიაში რა მოხელე ხარო. შაქირმა ორჯერ ოსტატურად დაიძვრინა თავი, მაგრამ მესამე წერილში ზაკიას საყვედურს დასასრული აღარა ჰქონდა. რატომ არ მპასუხობ, ძალიან მინდა ვიცოდეთ, რას აკეთებო. ნეტავ რაში სჭირდება ამის გაგება? თავი მომჭერთ, ეს თუ ვილაცის ჩაწყობილი საქმე არ იყოს. ან მეშურნე იქნება ვინმე, ან... ვინ იცის, იქნებ ამ საქმეში მეტოქის

ხელიც ურევია. ზაკიასთან მშვენიერი სატრფოს პატრონი კაცი ყველაფერს უნდა მოელოდეს. „ლამაზი ქალის მტერი რონსო...“ — ხომ გაგიგონიათ.

მოკლედ, გინდა თუ არა, პასუხი უნდა მისწერო, მოდი და თუ ბიჭი ხარ მისწერე, — შენი მამაცი, საოცნებო ჯიგიტი პორშისა და ფაფას ათუხთუხებსტყო. ივარგებს მერე? გინდა მოატყუო? კი ბატონო, მაგრამ ლამაზ ტყუილსაც რომ შნო უნდა?! ისეთი რამე უნდა მოიგონო, სატრფოს გული სიამაყით აუგსო. ეშმაკმა დასწყევლოს! ვინ არ იცის, რომ ჯიგიტს პაერში ნავარდი შეეფერება. უკიდურეს შემთხვევაში, თუ მიწაზე გაივლის, რაიმე მრისხანე მანქანას მაინც უნდა დააგრივლებდეს. სულ მცირე, პატარა ტანკს მაინც.

თვითმფრინავს უნდა მოვეშვათ: ზაკიამ იცის, რომ შაქირი ავიაციასში არ მსახურობს. რაც შეეხება ტანკს... ტანკი იყო ახალგაზრდა ტრაქტორისტის შაქირ მურთაზოვის აუხდენელი ოცნება. ეხ, როგორ უნდოდა ტანკისტობა, მაგრამ რას იზამ. ხომ გაგიგონიათ — კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო. სამხედრო კომისარიატში შაქირისათვის სატანკო ნაწილებში ადგილი ვერ გამოძებნეს და თავი სამზარეულოში უქრეს. მოდი ახლა და ლამაზ ქალიშვილს, ამაყსა და მიუკარებელს, სულ თავისი სატრფოს - მირობაზე რომ ოცნებობს, ეს ამბავი აუხსენი. მეტი არ იქნა შენი მტერი, იმას ვერაფერი შეასმინო.

გუშინწინ, სანამ იერიში დაიწყებოდა, შაქირმა მეზობელ ტანკისტებთან შეიარა. ჩვენებურ, ჟურნალისტურ ენაზე რომ ვთქვათ, სატრფოს წერილისათვის მასალების შეგროვება უნდოდა. კოვზი ნაცარში ჩაუფარდა. ვინც შეხვდა, სიტყვას ძალით თუ ამოაცლიდი პირიდან, თორემ ლაპარაკის თავი ვილას ჰქონდა. შაქირი არ განაწყენებულა. მიხვდა, ბიჭები ქანცაწყვეტილები იყვნენ. ჯერ იყო და მთელი ღამე მთეში გაატარეს. მერე აქ მოსვლისთანავე ბრძანება მიი-

ემანუილ ფეიგინი
ჯარისკაცი, შვილი ჯარისკაცისა

დეს, — გათენებამდე ყველა მანქანა სანგრებში ჩამალეთო. ხუმრობა ხომ არ იყო.

— რა იქნება, ეს რომ მისწეროს ზაკიას? არა, ამით ვერ გააკვირვებ კოლმეურნე ქალს. ზღაპრულ მეფის ასულივით მშვენიერი ზაკიასათვის ნიჩაბი და ბარი უცხო ხილი როდია. აბა რა მოგწერო, გოგო, რით გაგაოცო და განგაცვიფრო? “

საწყალმა მზარეულმა ვერ იქნა და თავი ვერაფერს ვერ მოაბა. მოდი, მისწერს, საიდუმლო საქმეზე ვარ გამწესებული და მაბატიე, სამხედრო საიდუმლოებას ვერ გაგიხსელთქო. მერე იფიქრა, — ბუნდოვან, გაურკვეველ რაღაცას მივწერ, ყველაფერს საიდუმლო ბურანში გაგახვევო. არც ეს დაუჯდა ჭკუაში. ასე რომ თავი გაისაიდუმლოვო, პირში წყალი უნდა ჩაიგუბო, დუმილი არჩიო. ჯუმილი კი სახიფათოა. მზარეულმა კარგად იცის, რომ დუმილით ქალიშვილის გულს ვერ მოიგებ.

რა ქნას აბა?

გამიჯნურებული მზარეული ისევ დივიზიის მეთაურის ბრძანებამ იხსნა. ქვეგანაყოფში მზვერავები მოვიდნენ, სულ დარჩეული, აშოლტილი ფეკაცები. ყველა შემნიღბავ ტანსაცმელში იყო გამოჯგიმული.

აი, სადაა ჩემი ხსნაო, — მათ დანახვაზე გულზე მოეშვა მურთაზოვს, — გადაწყდა, ამიერიდან ზაკიასთვის მზვერავი ვიქნები. მეტი რა უნდა ქალიშვილის ნაზ გულს. მზვერავი! საიდუმლოდაც ჟღერს და ამაღლეგებლადაც. არა, თუ?!

ახლა მთავარია წერილში არაფერი აღიროს. ყველაფერი უნდა დააზუსტოს და გაარკვიოს. შაქირმა გამოსალაპარაკებლად ერთი შავთვალწარბა გოლიათი შეარჩია.

— ცეცხლი ხომ არ გინდა? ინებე, ცეცხლის მეტი რა მაქვს ღუმელში. საუზმეს თუ ინებებ, ჩემი თავი შენ გენაცვალოს.

3

შავთვალწარბამ შაქირის მიბატიყება როდი იუცხოვა. იგი ხომ პურმარხილით

და სტუმართმოყვარეობით მთელს ქვეყანაზე სახელგანთქმული ხალხის ყველა იყო. ასეთი გულთბილი მასპინძლობა მას ყოველი ადამიანის თვისებად მიაჩნდა. მზვერავმა თავი ოღნავ დახარა და მადლობის ნიშნად ხელი მკერდზე მიიღო.

— მე პატივს ვცემ ყველა უბრალო კაცს, — სთქვა შაქირმა, — თქვენზე კი, კავკასიელებზე გამიგონია, ძალიან ამაყი ხალხიაო.

— ამაყები კი ვართ, მაგრამ თავაზიანობა როდი გვაკლია. ჩვენთან, საქართველოში...

— ქართველი ხარ, კაცო? ძალიან გამახარე. სახელი რა გქვია? ვახტანგი? კეთილი და პატიოსანი. აბა ერთი შენი ქებაუნა მომიმარჯვე. როგორ მოგწონს ბორში? კარგია ხომ? შექებისათვის დიდი მადლობა. ხშირად მაქებენ. ისე, ლანძღვასაც არ მაკლებენ. რას იზამ, ყოველთვის დუ შაში არ გაგიგორდება. გეტყობა, პილბილი გიყვარს. ფერზე ვატყობ, რომელი უფრო ცხარეა. შეხედე, ცეცხლის ენას არ ჰვავს? ნიორიც ხომ არ გინდა? ყოველ შემთხვევისთვის ერთი თავი მაქვს გადამალული. მიდი, მიდი, აიღე, ნუ გერიდება.

თავაზიანობაში არც შაქირი ჩამორჩებოდა ქართველ მზვერავს. მზარეული აბა რისი მზარეულია, ერთი უბრალო საიდუმლოება თუ არ იცის. კაცს საქმელი მანამ უნდა უქო, სანამ მადა არ მოუვა.

— კიდევ ხომ არ გინდა? აქ, ძმაო, ისეთი ჰაერია, კაცს სულ მგელივით გშია. რა თქვი? დავნაყრდიო? მჯერა, კარგი კაცისა ყველაფერი მჯერა. კაი ერთი თუ ღმერთი გწამს, რა მადლობას მიხბი. შენ სჯობია ის მიაშბო, როგორ ცხოვრობ, როგორ მსახურობ. საინტერესო კი იქნება მზვერავობა, ხომ იცი შენ.

როცა სტუმარს დაანაყრებ, ასეთი კითხვის მიცემაც შეიძლება. ახლა ყველაზე გადაპრანჭული კაციც კი ვერ დაგაბრალებს, თავაზიანობის წესებს არღვევსო.

— კი, სამსახური სერიოზული მაქვს.

— იღბლიან ვარსკვლავზე ყოფილხარ დაბადებული, — ამოიოხრა შაქირმა.



— მართლაც, — დეთანხმა ვახტანგი, — ახლა ოჯახში ორი მშვერავი ვართ — მე და მამაჩემი. მართალია, მისი სახელი მთელს ფრონტზე ჰქუხდა; მე კი ჯერ...

— მაგაზე არ დაღონდე, ჯერ მომავალი წინა გაქვს.

შაქირს, იცოცხლე, შეკითხვები ეხერხებოდა, არც ვახტანგი გამოდგა პირში წყალჩაგუბებული. ისეთი საუბარი გააჩაღეს, შენი მოწონებული.

„აი, მესმის ბიჭები, ცოტას კი ალამაზებს, მაგრამ უამისოდ სად გაგონილა“. ერთხელ მზარეულმა ხმამაღლა გამოთქვა ეჭვი, რას ამბობ, კაცო, მაგას კი ვერ დაგიჯერებო, რამაც ვახტანგიც ძალზე განაწყენა.

— შენ, რა, ეჭვი გეპარება?
— როგორ გეკადრება. შენს ნაამბობს წყალი არ გაუვა, — გამოასწორა შაქირმა, — მაგრამ ხომ იცი, მონადირეებმა და მეომრებმა ცოტა ტყუილი რომ არ გამოურიონ, გული არ მისცემთ.

— ჩვენ არც ომში ვართ და არც ვნადირობთ. ტყუილი რა საკადრისია, — ამჟღად წარმოსთქვა ვახტანგმა.

— კარგი, ნუ გეწყინება, უცაბედად წამოგაყარანტალე.

მშვერავს არც იმდენი უამბნია თავის სამსახურზე. მზარეულს კი ბარე ათი წერილის მასალად ეყოფოდა მისი ნაამბობი. არც ფანტაზია აკლდა შაქირ მურთაზოვს. მშვერავის ნაამბობის შელამაზება აბა რა დიდი ბედენა იყო.

ვახტანგს გულმხურვალედ გამოეთხოვა თუ არა, იმავე წუთში ფანქარს ეცა და დაჯდა წერად უსტარისა. არ დაიშურა ნიჭი და ფანტაზია, რომ სატრაფოსთვის წვრილად ეამბნა საქმენი საგმირონისა. წვრილი დაწერა, მაგრამ რა წვრილი. ქვას გახეთქავდა, თორემ ქალიშვილის გულს ხომ ჯერ აღტაცებისაგან აათრთოლებდა, მერე სიხარულისაგან აატირებდა. მოკლედ, წვრილი კი არა, ეს იყო მშვერავე შაქირ მურთაზოვის გმირონისა და ვაჟკაცობის ქებათა ქება. მაგრამ მზარეულმა დაუნანებლად მისცა ცეცხლს თავისი ნაშრომ-ნაღვაწი. რატომ? იმიტომ, რომ ზაკია ნამდვილად უყვარს.

პრდა, სიყვარული და სინდისი, სიყვარული და სიმართლე დეიძლი დებოვით ნუსყრენი არიან. არა, შაქირი სატრაფოს ვერ მოატყუებს, ანდა რა სჭირს მოსატყუებელი? აგერ ერთი წელია, რაც არმიაში მსახურობს და ერთხელაც არ უნახავს ამხანაგებს მშვერავი, ტანკისტი, ან მფრინავი ებურთავებინოთ. მზარეული შაქირ მურთაზოვი კი ჰაერში აიტაცეს. აი, ამას კი მისწერს სატრაფოს. მისწერს სიამაყით, ღირსეულად... და მკაცრად. თორემ ქალიშვილებთან სხვანაირად არ შეიძლება, ვერაფერს გაგიგებენ.

4

ოცეულში ჯერ არავინ ყოფილა ასეთ დაზვერვაზე. მათ შორის არც ლეიტენანტი გრომოვი. მართალია, რაღაც კი ჰქონდათ ნასწავლი, ამ საქმეში თეორიულადც ერკვეოდნენ, ოფიცერი უფრო მეტად, სერჟანტი და ჯარისკაცები უფრო ნაკლებად, მაგრამ ამოცანა მინც ყველასთვის ახალი, უჩვეულო და ამიტომაც საინტერესო და მიმზიდველი იყო.

გზას რომ გაუდგნენ, განწყობილება ჩინებული ჰქონდათ; მერე ნელ-ნელა გუნება გაუფუჭდათ, რადგან არაფერი ახალი და განსაკუთრებული ამ ამოცანაში არ დაუწახავთ. ალბათ იმიტომაც, რომ გულისგამაწვრივლად ცრიდა, ხან თოვლქყაას წამოთრევდა, ისინი კი გუშინდელივით გაბეზრებულნი მიაბიჯებდნენ მთის მწვერვალისაკენ. პირველად ყურები იმ ვაჟბატონებმა ჩამოყარეს, ყველაზე მეტს რომ ოცნებობდნენ საგმირო საქმეებზე. ჩვეულებრივი სამხედრო ამბისაგანაც რაღაც არაჩვეულებრივს მოელოდნენ. საშა საფონოვისათვის მართო სიტყვა „დაზვერვაც“ კი ბრწყინვალე შარავანდედით იყო მოსილი. საკმარისი იყო ეს შარავანდედი ამ თოვლქყააში ოდნავ მაინც გაფერმკრთალებულიყო, რომ საშასთვის მთელი დაზვერვის ფასი კაპიკი ხდებოდა. მთელს შრომას მოსაწყენ და უშიზნო საქმედ სთვლიდა. აბა

ემანუილ ფეიგინი
ჯარისკაცი, შვილი ჯარისკაცისა

ერთი მართლა მოუხდეს მტრის რაკეტული დანადგარების ძებნა, მაშინ იცის ბიჭმა, რასაც იზამს. მაშინ რას მიქვია სიძნელე, თოვლი ან წვიმა. დალღაც რა მოსატანია. მაგრამ როცა იცი, რომ სინამდვილეში არავითარი რაკეტა არ არსებობს და მის ნაცვლად ტყეში რაღაც ფანერის დახატული მაკეტია...

სიმართლე თუ გინდათ, მარტო საშა როდი ფიქრობდა ასე. ხალხს რაღაც გულის აუტრუვდა, დაღლილობა მოერია, თავშიც უღიმღამო აზრები მოსდიოდათ, რასაც გმირობასთან საერთო არაფერი ჰქონდა. ზოგი სითბოზე ფიქრობდა, ზოგი დასვენებასა და მშრალ ტანსაცმელზე. ზოგს კი ერთი გაბოლება მთელს ქვეყანას ერჩია. მაგრამ თუ საქმე საქმეზე მიდგებოდა, ბიჭები ისე დაქიჩმაჩადებოდნენ, დაღლილობა ვიღას გაახსენდებოდა. საკვირველი ერთი რამ იყო: ამ ილაჯ-გაწყვეტილ, წვიმაში გაუწუწულ ადამიანებს აზრადაც არ მოსდიოდათ, რომ ისინი სწორედ ახლა სჩადიოდნენ გმირულ საქმეს, როცა მიფორთხავდნენ ბიტალო კლდეებზე, მიაბიჯებდნენ უფსკრულის პირას, უკუნეთ სიბნელეში თავს ევლებოდნენ ადიდებულ, გაშმაგებულ დელებს.

ყოველდღიური სამხედრო შრომა ერთ-ერთი უძნელეს საქმეთაგანია მთელს ქვეყანაზე. მაგრამ რას იზამ, ადამიანი თურმე ადვილად ეჩვევა ყოველდღიურ ცხოვრებას.

ნაშუალამევს მზვერავთა ჯგუფი „მტრის“ დაცვას მიუახლოვდა. მაშინ კი გამოცოცხლდნენ ბიჭები: „ხუმრობა ხომ არაა, მოწინააღმდეგეს ისე გაუსხლტე-ვერავინ შეგამჩნიოს. არც ისინი არიან დოცლაბები.“

„გინჯავთ და გაეუსხლტებით კიდეც!“ მართლაც გაუსხლტნენ, მაგრამ მთლად ისე შეუჩნეულად ვერა, როგორც ფიქრობდნენ.

აღბათ იქ წვიმის წყლით სავსე პატარა ორმო იყო. დამით წყლის ზედაპირი

რი ყინულის თხელი ფენით თუ დაიფარა და შემდეგ თოვლიც წაეყარა. ბუნებრივად გან მომზადებული მახე მზად იყო. როგორ მოში ოთხი მზვერავი ჩაცვივდა, — გრომოვი, საფონოვი, ბრაქნიკოვი და ვახტანგ კერესელიძე.

ყინულის საფარმა გაიჭახუნა, რასაც წყლის ტყლაშუნი მოჰყვა. იმწამსვე ცაში მაშხალა აიჭრა. „მტერმა“ მზვერავების მოახლოება იგრძნო. მზვერავებმაც სამაშხალო პისტოლეტის ჩხაკუნი გაიგონეს. სანამ ირგვლივ ყველაფერი გაჩირაღდნებოდა, ელვის სისწრაფით მიწას გაეკრნენ. პისტოლეტის ჩხაკუნი ბრძანებასავით გაისმა, — ჩაწეით და გაიტრუნეთ. ისინიც მორჩილად ჩაწვნენ ყინულოვან მახე-აბაზანაში.

გრომოვმა იმის დანახვა მოასწრო, რაც მეთაურისთვის იყო საჭირო. მდგომარეობა სწრაფად შეაფასა, „მტრის“ მაშხალამ „მოწინააღმდეგის“ ნაცვლად თავისიანები გამოააშკარავა. გრომოვმა, თითქოს ეკრანზე ხედავსო, მარჯვნივ ლაბადიანი კაცი დალანდა. მის ზურგს უკან მეორე ჯარისკაცსაც მოკრა თვალი. მას პისტოლეტის ხელი ჯერ კიდევ მადლა ჰქონდა აწეული. იქვე ჯავშნოსანი მანქანის სილუეტიც შეამჩნია.

„მისიანები“ რომ არ იყვნენ, ეს გრომოვმა ძალიან კარგად იცოდა. ეჭვი არ იყო, საქმე „მტრის“ დაცვასთან ჰქონდათ. აქ რომ „მოწინააღმდეგის“ ძირითადი დაცვა არ იყო განლაგებული, ლეიტენანტმა ესეც კარგად იცოდა. აბა ტყუილად კი არ წამოსულა ასეთი მიხვეულ-მოხვეული ბილიკებით. მოწინააღმდეგე მარჯვნივაა, ხომ? კეთილი და პატიოსანი. მე რომ გეზი ცოტა კიდევ მარცხნივ დავიჭირო, აუცილებლად გავაღწევ. ჯერჯერობით ერთი ამოცანა გვაკისრია, — ვიწვეთ გაუნძრევლად, სანამ „მტერი“ საბოლოოდ არ დამშვიდება. ვიწვებით კიდეც. ეს წყალი რომ საქმეს არ აჭირვებდეს... თუმცა ყინულის აბაზანა მისთვის რა ბედენაა. ასეთი გაჭირვებანი სამხედრო პროფესიის ერთ-ერთი არასასიამოვნო მხარეა და მეტი არაფერი. წესდება დაუფარავად და უბოდიშოდ ჰპირდება მსგავს „დროსტა-

რებას“ ყველას, ვინც კი სამხედრო პროფესიას ეტანება. „სამხედრო მოსამსახურე ვალდებულია... მედგრად გადაიტანოს სამხედრო სამსახურის ყოველგვარი სიძნელე და გაჭირვება“. სიტყვა-სიტყვით ასეა ნათქვამი, მოკლედ და ხსარტად. სიძნელე და გაჭირვება! ჯერ სადა ხარ, ვინ იცის, კიდევ რამდენი სიძნელე და გაჭირვება შეგვხვდება წინ.

შეხედება და შეხედეს! გამარჯვებისათვის მზადაა ყველაფერი ვაკეაცურად გადაიტანოს. რადგან გენადის აზრით, მხოლოდ გამარჯვებისათვის ცოცხლობს სამხედრო კაცი. ის ცოცხლობს ბრძოლისათვის. ბრძოლაში კი, თუნდაც წამიერში, გენადი გრომოვისათვის მხოლოდ ორი გამოსავალი არსებობს, — ან სიკვდილი, ან გამარჯვება. რა თქმა უნდა, შეიძლება მოკვდე, მაგრამ მაინც გაიმარჯვო. დამარცხებულმა რომ იცოცხლო, ეს კი შეუძლებელია. ხომ გაგიგონიათ, „სჯობს სიცოცხლეცა ნაზრახსა— სიკვდილი სახელოვანო“.

პირადად გენადის შერცხვენილი სიცოცხლე ჩირადაც არ უღირდა. გამოდის, რომ ყველაფერი უნდა ისწავლო, რაც გამარჯვებისათვის გჭირდება, ყველაფერი უნდა აიტანო, რაც გამარჯვებამდე მიგიყვანს. ტყუილად კი არ იტყვიან, „მოთმინებითა შენითაო...“ ჰოდა, უნდა მოითმინო, ლეიტენანტო გრომოვი!

დაახლოებით ასე ფიქრობდა ამ შემაზრუნენ, სიკვდილივით ცივ მახეში გაბმული გენადი გრომოვი. მის გვერდით სულმინაბული იწვა სერგეი ბრაჟნიკოვი. კომორგიც იმასვე განიცდიდა, რასაც ლეიტენანტი. ფიქრით კი ბრაჟნიკოვი ცოტა სხვანაირად ფიქრობდა.

„კაი ხათაბალაში გავებით, მაგრამ რას იზამ. რაკი გავები, უნდა მოითმინო. მეტი რა გზა გაქვს. საქმისათვის ასეა საქირო. შრომა და მოთმინება ყველაფერს სძლევესო, სწორადაა ნათქვამი“.

სერგეის ღრმად სჯეროდა, რომ ცხოვრება შრომაა. სამხედრო სამსახურიც შრომად მიაჩნდა სერგეის.

„შრომა კი იოლი არასოდეს ყოფილა. შრომით ყოველგვარ სიძნელეებს გადა-

ლახავ. უსაქმურს დასაძლევიც არაფერი აქვს.

ცუდია, რომ ერთთავად დავსველდით. სად უნდა გავშრე? შახტიშიც კარგა გვარიანად ვიწუწუებოდი ხოლმე. შახტი... ძველ მეგობრებს ღღესაც ვერ მოუნდებოდათ, სერგეი რომ მეშახტი-მეგვირაბე გახდა. მანამდე რა, ურიგო ხელობა კი არ ჰქონდა. მკედლობას მისი დასაწუნი რა სჭირდა. სერგეის სულით და გულით უყვარდა სამჭედლო საქმე. მაგრამ როცა საქირო გახდა, ხელობას უღალატა, უფრო ძნელ საქმეს შეება. მეშახტობა მისთვის არავის მოუხვევია თავზე. პირიქით, უშლიდნენ კიდევ. არა, კი არ უშლიდნენ. გააფრთხილეს. კომკავშირის კომიტეტში დონბასის წარმომადგენელმა სწორედ ასე უთხრა: „დაფიქრდი, სერგეი, ნუ აჩქარდები. შახტში მუშაობა ხუმრობა საქმე არ გეგონოს. მეგვირაბე კალატოზიც უნდა იყოს და ზეინკალიც. თავის ძირითად იარაღს — სამჭვრევ ჩაქურჩს და ელექტრობურღს ხომ საკუთარ მარჯვენასავით უნდა ხმარობდეს. რაც მთავარია, მეგვირაბე გაბედული, საზრიანი და გამჭირახი გონებისა უნდა იყოს. შესძლებს კი, ამხანაგო ბრაჟნიკოვი?“

„შევეცდები“, — უპასუხა მაშინ სერგეიმ.

სიტყვა საქმედ აქცია. ისეთი ბიჭი გახდა, მეგვირაბეს რომ ეკადრებოდა. ხასიათიც რომ მეშახტისა აღმოაჩნდა! არავითარი შიში, არავითარი უკანდახევა. სიძნელეები განა არ იყო? მერე და რა სიძნელეები...

„...თუნდაც ერთხელ, ჭერში უზარმაზარი ნაპრალიდან წყალმა გადმოხეთქა. ერთ წამში ყველა გასაწური გახდა. თითქოს ბედზე, ტუმბოებიც გაჩერდა, — ორივე მოტორი გადაიწვა. ვილაცამ წამოიძახა: ახლა მუშაობას რა აზრი აქვს, დავიცადოთ, სანამ მოტორებს შეაკეთებენო. ეს ბიჭი თითქოს არ იყო ცუდი და მშინარა. რა ვიცი, ასე კი სთქვა და...

ხუთმა მეშახტემ ერთდროულად მიანათა სახეში ფარანი. მან თვალები მო-

ემანუილ ფეიგინი
ჯარისკაცი, შვილი ჯარისკაცისა

ჭუტა და უნებურად უკან დაიხია. ახლაც ყველა ბრიგადირის სიტყვას ელოდა. სერგეიმ დასქეჭა:

— აბა, ბიჭებო, ყურები ნუ ჩამოგიყრიათ, გულხელის დაკრეფა რას გამოგვადგება. წყალი შევავაშოთ, მერე ვედროებით და მუზარადებით ამოვხაპოთ. დავალებამ მაინც უნდა შევასრულოთ.

სთქვებს და შეასრულეს კიდეც. უკან არ დაუხევიათ.

ამბობენ, კარგი ფიქრი კაცს ათბობსო. მართლაც და, როცა სერგეის თავისი ბრიგადა მოაგონდა, სულში სითბო ჩაეღვარა... სხეული კი თითქოს სიცვისისაგან გაშეშდა. ძვლები ასტივდა.

„სულ ერთია, არ დავნებდებით, უკან არ დავიხევთ და დავალებას მაინც შევასრულებთ“.

მზვერავი ვახტანგ კერესელიძე სერგეისაგან როდი იყო გამოწრთობილი. მისი ცხოვრება სხვანაირად წარიმართა. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლის გაგრძელებას პოლიტექნიკურ ინსტიტუტში აპირებდა. ვერ მოახერხა. მაშინ ადგა და კინომექანიკოსის შეგირდად მოეწყო. სამუშაო ძნელი არ ყოფილა, მაგრამ დიდხანს როდი გაგრძელდა მისი მოღვაწეობა, — არამიაში გაიწვიეს. აქ კი, იცოცხლე, გაიგო, რა იყო ნამდვილი სიძნელეები. ისეთ ღღეში ჩავარდა, ძვლებს სულ ჭახა-ჭუხი გაჰქონდა. მერე რა, საჩივარი ერთხელაც არ წამოსცდენია. წუწუნის რა ვაჰკაცის ხელობა იყო. როცა ძალიან გაუჭირდებოდა, მხოლოდ ამას ფიქრობდა, — მამაჩემს რომ ფრონტზე დღე ადგა, ჩემი გაჭირვება იმასთან მონაგონი იქნებო.

აბა თუ ბიჭი ხარ, სინჯე და ვახტანგს უთხარი, ამ უბედურებას ვერ გაუძლებო. ამაზე უფრო საწყისს ვერაფერს ეტყვი. სიბრაზისაგან გაფითრდება და გიპასუხებს: „განა მე მამაჩემის შვილი არა ვარ?“

მართალი თუ გინდათ, მახეში ჩავარდნილი ოთხი ჭაბუკიდან ყველაზე უფრო საშას უჭირდა. ამბობენ, — მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო. მარტო გაეჭირდება კაცს, თორემ ახლა რა უჭირს, მეგობრები გვერდით ჰყავს. როცა საკუთარი

ძალა გამოეღევა, რაღაც უხილავი სედენებით გადაეცემა მეგობრების ძალა, ოთხი კაცი თუ ხართ, ოთხჯერ ღონისაგან ხდებით. ასე თუ იქნებით, ძალაც ასჯერ მოგემატებათ.

6

ცაში ატყორცნილი მაშხალა ჩაქრა. მთებს ისევ უკუნეთი დაეუფლა. დამშვილდა ვითომ „მტერი“? შევამოწმოთ. მგონი ვერაფერს მიხვდნენ.

— წინ! — უბრძანა გრომოვმა ოცეულს.

მზვერავებს უყვართ კუნაბეტი სიბნელე, თვალთან თითს რომ ვერ მიიტან, ისეთი. უყვართ, როცა შორეული მნათობი წამიერად გაიციმციმებს და მერე ისევ მიიმალება სქელ ღრუბლებში.

წვიმა, თოვლჭყაპი, ქარი. სმენა როგორც არ უნდა გაამახვილო, მაინც ვერაფერს გაიგონებ. ბილიკიც კი არსადაა, თორემ გზას ვინ დაქვებს. ეტყობა, ჯერ კაციშვილს არ დაუდგამს ფეხი ამ ტყეებში.

მზვერავები ისე ფრთხილად მიდიან, გეგონება, ღამეში ლანდები მიაბიჯებენო. ვახტანგს უეცრად მამის საყვარელი სიმღერა მოაგონდა. ცოტა ნაღვლიანი, ცოტა იდუმალი და მაინც ამაღლელები სიმღერა ფრონტელი მზვერავისა:

Лес и горы такие — словно из сказки.
Пусть в засаде враги сторожат,
Где с дороги свернет самый смелый
с опаской,

Я, разведчик, иду не дрожа.
Не коснусь я ни камня, ни ветки.
Пробегу, словно капля дождя...

ვახტანგს განსაკუთრებით უკანასკნელი სიტყვები მოსწონდა, წვიმის წვეთივით გავირბენო. სწორედ ასეთი ფრთხილი და ჩუმი ნაბიჯებით უნდა მიდიოდეს მზვერავი ტყიან მთაში. ვინ იცის, რომელი ხის უკან დაუხვდება ჩასაფრებული „მტერი“. რა თქმა უნდა, აქ მტერი პირობითია, თორემ დანარჩენი ყველაფერი ისეა, როგორც ნამდვილ ომში. სიძნელეები ხომ მოგონილი არაა, ნამდვილია. გამბედრობაც ნამდვილი გმართებს. გამჭირაობაც ნამდვილი უნდა იყოს, სიმ-

ტიკეც და სიმამაცეც. აქ უკვე პირობითობა რა მოსატანია. მხოლოდ გაბედული და მამაცი თუ დასძლევს ამ სიძნელეებს. აქ, გენაცვალე, ხრამიც შეგხვდება და უძირო უფსკრულიც. თუ გვერდს ოსტატურად აუვლი, შენ იცი და შენმა ბიჭობამ.

უკვე თენდებოდა, მზვერავებმა ერთ მიყრუებულ ავგილას „მტრის“ რაკეტულ დანადგარებს რომ მიაგნეს.

ძნელია იმის თქმა, პირველმა რომელმა დალანდა „მტრის მრისხანე“ იარაღი, გრომოვმა, კერესელიძემ, კატანიჩკამ, მიკეშინმა თუ საშა საფონოვმა, ანდა ამას რა მნიშვნელობა აქვს? მთავარი ის კი არ არის, რომ ერთი წამით დაგასწარი რაკეტების დანახვა. მთავარია, რომ „მტრის“ გამანადგურებელი იარაღი აღმოვაჩინეთ.

სამეთაურო პუნქტს რადიოთი აცნობეს, რაც საჭირო იყო. ახლა უკვე მეთაურების საქმეა, რა გადაწყვეტილებას მიიღებენ, მტრის რაკეტებს ჰაერიდან დასცხებენ თუ საკუთარი რაკეტებით გაანადგურებენ. სანამ ისინი რაიმეს გადაწყვიტენ, მზვერავებს შეუძლიათ მუხნე შეასვენონ, პაპიროსი გააბოლოონ. მიკეშინი ტკილად თვლემდა. საშა საფონოვი კი ტუჩებს იკვნიტდა და რაღაცას სწრაფად სწირდა. ალბათ ისევ ლექსებს, და, რა თქმა უნდა, მზვერავებზე. ამ ლექსსაც ალბათ ისევ ლეიტენანტ გრომოვის მიუძღვნის. საშას წყენამ დიდი ხანია გაუარა. ახლა ლეიტენანტით უფრო მეტად იყო აღფრთოვანებული. „აი, მესმის მეთაური! ამისთანა მეთაურთან ცეცხლში გადაშვებისაც კი არ შეგეშინდება“.

ასე ფიქრობდა საშა საფონოვი თავის ლეიტენანტზე. სერგეი ბრაჟნიკოვი კი სულ სხვა აზრისა იყო მეთაურზე. განა სერგეი ერთი წუთით დაფიქრდება და გრომოვის ცეცხლში არ გადაჰყვება? მაგრამ ამას იმიტომ როდი გააკეთებს ოცეულის კომორგი, რომ გრომოვზე ამოსდის მზე და მთვარე. სულაც არა. თავს მშობლიურ საბჭოთა ხელისუფლებისათვის გასწირავს, რომელმაც იგი გრომოვის ხელქვეითად დააყენა.

საშა და სერგეი რასაც არ უნდა ფიქრობდნენ გრომოვზე, ამას რა მნიშვნელობა აქვს. მთავარია, რომ ფიქრობდნენ ლეიტენანტს კი არც ერთი თავისი მეომარი არ გახსენებია. გრომოვს სულ სხვა ფიქრები იტაცებდა და აღეგებდა.

„ხუმრობა ხომ არაა, ორი გამარჯვება ერთ მეცადინეობაზე. მერე და ვინ ქნა ეს? ლეიტენანტმა გრომოვმა, ახლადგამოჩეკილმა მეთაურმა. იქნება ვინმემ სთქვას, ამ იღბლიან ვარსკვლავზე დაბადებულ ყმაწვილს ახლაც ბედმა გაუღიმაო. არა, გენაცვალე, ბედი რა შეუწია. ვინ რა იცის, სადაა ძაღლის თავი დამარხული“.

— ამხანაგო ლეიტენანტო, რადიოთი გადმოსცეს, შეწყდეს მეცადინეობაო. თქვენ კი დივიზიის მეთაური გიხმობთ.

— აპარატთან?

— დიახ.

ყურსაცვამებში ერთმანეთში ირეოდა ვილაცის ხრინწიანი ხმა, ადამიანების გამალებული ლაპარაკი. ვილაც ციფრებს ჰკარნახობდა, უცნაური ტკაცუნიც ისმოდა. გრომოვს ეს აურზაური ფეხებზე ეკიდა. მან იცოდა, რომ სულ მალე გენერლის ხმას გაიგონებდა. ლეიტენანტს წინასწარ შეეძლო გენერლის სიტყვების გამოცნობა. „ლეიტენანტო გრომოვ, მადლობას გიცხადებთ შესანიშნავი სამსახურისათვის. დარწმუნებული იყავით, რომ თქვენგან ნამდვილი მეთაური გამოვა“.

„არა, არა მგონია, რომ გენერალმა მთლად ასე მითხრას. ალბათ უბრალოდ, მამაშვილურად მეტყვის: „ყოჩად, კაი ბიჭი ყოფილხარ“,—ან რაღაც ამგვარს“.

შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ამ რამდენიმე სიტყვამ გადაწყვიტოს ოფიცერ გრომოვის ბედი, ან როგორც წინათ იტყოდნენ, კარიერა. რატომაც არა, გენერლის სიტყვებს დიდი ძალა და გასავალი აქვს.

„მე არაფერი ამის მსგავსი არ მინდა, მინდა მხოლოდ მაღიარონ, მეტი არაფერი“.

ემანუელ ფეიგინი
ჯარისკაცი, შვილი ჯარისკაცისა

თითქოს დიდს არაფერს ითხოვდა ლეიტენანტი. ღმერთმა დაიფაროს, კარიერისტი ხომ არ არის. მაგრამ ცოტაც რომ არ გაიმეტოს მისთვის...

— ამხანაგო ლეიტენანტო. გადაეცით ოცეულის პირად შემადგენლობას ჩემი გულითადი მადლობა, — სთქვა გენერალმა, — მართლაც რომ ოქროსავით ბიჭები გყლიათ.

„ნუთუ ესაა ყველაფერი? ნუთუ არ გავახსენდი? არა, არ გავახსენდი“.

— გაიგეთ? — გაზეპირებულივით იკითხა გენერლის რადისტმა, — გადავდივარ მიღებაზე.

— მორჩა? ესაა სამართლიანობა? არა, გენადი ვერასოდეს ვერ დაეთანხმება გენერალს, თქვენ როგორც გნებავთ, ამხანაგო გენერალო, მაგრამ მე ვიცი ჩემი ფასი. მაინც რას ნიშნავს ოქროსავით ბიჭები? აბა ეგენი ყოფილან ყველაფერი და მე არაფერი.

7

მეცადინეობიდან უხმოდ ბრუნდებოდნენ ისე, როგორც გლეხები ბრუნდებიან ხოლმე ალოობის დროს, ან მეშახტეები ცვლის შემდეგ. სიმღერა აღარავის ახსოვდა.

ჯარისკაცები თავისუფლად მოაბიჯებდნენ, ფეხებს ძლივს მოათრევდნენ, მაგრამ რიგის სისწორეს მაინც იცავდნენ. ნათქვამია, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო.

— კიდევ შორსაა? — ჰკითხა სერგეის კატანჩიკმა და გულახდილად აღიარა, — მეშინია, გზაში არ გამძვრეს სული.

— ცოტა კიდევ მოითმინე, უკვე ახლოსა ვართ, — უპასუხა სერგეიმ, — ამ მოსახვევის შემდეგ სოფელი იწყება. როგორც კი სოფელს ჩავათავებთ, ხეობაში მანქანებით გველოდებიან. ჩავჯდებით და ჰაიდა, ყაზარმებისაკენ ვღურთავთ თავს.

ქვეგანყოფი სოფელს მიუახლოვდა. სერგეიმ შორიდანვე შენიშნა პატარა ვატუტინი. ბიჭუნა გუშინდელივით სახლის ჭიშკრის მახლობლად ყორეზე წა-

მოკვიპულიყო და ჯარისკაცებს ელოჯობოდა.

სერგეის გაცინა, მერე ბიჭებს რილებით უამბო დიდი გენერლის სენიანაზე. მეომრებს გაელიმათ. როცა ზემდეგმა პეტროვმაც გაიგო პატარა ვატუტინის ამბავი, მასაც გულკეთილად გაებადრა სახე. ბიჭუნამდე სულ ორიოდ ნაბიჯი რჩებოდა. ზემდეგმა სერიოზული სახე მიიღო და უცებ, ყველასათვის მოულოდნელად განკარგულება გასცა:

— ასეულო, სმენა! სწორება მარჯვნივ! ჯარისკაცები შეკრთენ, — ბევრს კანიც აებურძღვია. ასეთი რამ მხოლოდ საზიმო წუთებში ხდება ხოლმე.

ზემდეგმა ბიჭს ხელი აუღო. პატარა ვატუტინმა ჯერ გაოსტებით დაახამამა გრძელი წამწამები, მერე ცხვირი დაასრუტუნა და თავისი ბუნჩულა ხელი ქუდთან მიიღო.

ბიჭი ახლაც თამაშობდა, ასეული კი ფეხშეწყობილი მიდიოდა. იგი პატივს სცემდა ყველასათვის უცნობ პატარა სოფელზე ბიჭუნას, რომელსაც მსოფლიოში სახელგანთქმული მხედართმთავრის სახელი ერქვა.

ეს წესდებით როდი იყო გათვალისწინებული. ბრინჯაოს, მარმარილოს ან გრანიტის ქანდაკება რომ ყოფილიყო, კიდევ მესმის. მაგრამ ეს ხომ მოკლემარვლიანი, უკაცრავად და ცხვირმოუხოციელი ბიჭი იყო?

აღბათ ცოცხალი ძეგლებიც არსებობენ. მაგრამ სამხედრო წესდებაში მათზე არაფერია ნათქვამი. ესე იგი, არ შეიძლება. ჯარისკაცები მიხვდნენ, რომ ამაში ცუდი არაფერი ყოფილა. პირიქით, ყველამ რაღაც ამაღლეგებელი, სუფთა და გულისამაჩუყებელი რამ იგრძნო ზემდეგ პეტროვის წესდებით გაუთვალისწინებელ ბრძანებაში.

ზემდეგი ახლა წესდების მუხლებით კი არა, გულის კარნახით მოიქცა. მერე და ვინ? პეტროვი, — წესდების უსასტიკესი და უმკაცრესი დამცველი. მაგრამ სუფთა გულის ნაკარნახევი განა შეიძლება კანონის საწინააღმდეგო იყოს? რა თქმა უნდა, არა.

მოდის ასეული, მოდის მხნედ, საზეი-



მო მარშით. საზიგმო წუთები. ახლა განცდაც საზიგმო და ფიქრიც. ამ საზიგმო ფიქრებთან ერთად ზემდეგის თავში ერთი შინაურული ფიქრიც ამოტივტივდა. ზემდეგს თავისი შვილიშვილი გაახსენდა, რომელიც ჯერ არც კი უნახავს. ყაზახეთელ პატარა ვანიუშა პეტროვს დიდი ხანი არაა ერთი წელი შეუსრულდა. ბაბუამისმა კი ამ წუთში რატომღაც ხუთი წლის ვატუტინივით წარმოიდგინა.

„რა განსხვავებაა? მის მშობლებს თუ დავუჯერებთ, ვანიუშა უკვე დარბის და ლაპარაკობს. ესე იგი, ისიც ისეთივე პატარა ადამიანია, როგორც ეს ბიჭუნა. მოკლედ. მათ შორის დიდი არაფერი განსხვავებაა. ყოველ შემთხვევაში ყაზახეთელი ვანია პეტროვი სულ მალე გახდება ამ პატარა ვატუტინივით მუხლმაგარი ბიჭი. შვილები და შვილიშვილები სწრაფად იზრდებიან. მოხედვას ვერ მოასწრებ და ტალიკა ბიჭები ხდებიან, საცოლე ბიჭები, წვევამდელები, ჯარისკაცები...“

არა, არ მინდა, ჩემი შვილიშვილი, ეს პატარა შავთვალწარბა ვატუტინი და მისი კბილა ბიჭუნები მეომრები გახდნენ. ღმერთმა მხოლოდ მაგათ ქორწილსა და ძეობას მომასწროს. მაგათ ხელში იარა-

ღ არ დამენახოს. აბა რისთვის ვიბრძოდით ამდენს, თელი ჩემი სიცოცხლე თოფი რატომ მეჭირა ხელში? განა არ ვინაა? ნუთუ როცა ეს ბიჭუნები დაიზრდებიან, ხალხს მაშინაც დასჭირდება ჯარისკაცები, არმია, ომები? არა; ეს არ უნდა მოხდეს! ნუთუ ამ ბედნიერ ბავშვებს ასეთ მოუწესრიგებელ მემკვიდრეობას დავუტოვებთ?“

ჯარისკაცები მწყობრად მიაბიჯებდნენ. ხელში იარაღი ჩაებლუჯათ და, როგორც ეს სამხედრო დღესასწაულზე ხდება ხოლმე, ისე ჩაიარეს ნაცრასფირი ქვის პიედესტალზე ქანდაკებასავით შემომდგარი პატარა ვატუტინის წინ.

ასეული ხარკს უხდიდა ერთი ვატუტინის საბრძოლო დიდებას და მეორე ვატუტინის მომავალ, მშვიდობიან შრომაში მოპოვებულ დიდებას...

მალე მეომრები თავისუფალ ნაბიჯზე გადავიდნენ და ბიჭუნასაც გამოემშვიდობნენ.

— აბა, გაიზარდე დიდი და ღონიერი ბიჭი, სულ ბედნიერი იყავი!

ბიჭი კი დარცხენილი ილიმებოდა. იმიტომ კი არა, რომ რუსულის ინჩინინჩი არ გაეგებოდა, იმიტომ რომ, ჯერ კიდევ არ ესმოდა, რა არის ნამდვილი ბედნიერება.

თავი მათი

1

ნიკოლოზ მაკაროვს გაზეთისათვის მასალის შეგროვების თავისებური წესი ჰქონდა. მას აზრადაც არ მოსდიოდა, რომ ამ საქმის გაკეთება სხვა გზითაც შეიძლებოდა. მიდის ხალხი დაზვერვაზე, — შენც მათთან უნდა იყო. ყინვაში ითოშებიან, — შენც კეთილი ინებე და გაითოშე. თავს საფრთხეში იგდებენ, — შენც იწვნიე მათი გასაჭირი. აი, მხოლოდ მაშინ შესძლებ ისეთი რამის დაწერას, ცოტა თუ ბევრად რომ ასახავს მეომრების საქმიანობასა და ფიქრებს. ყველაზე ნაღდია, მათ მხარდამხარ იარო, მათი ჭირ-ვარამი გაინაწილო და არ

წააგებ... თუ, რა თქმა უნდა, მხატვარი ხარ და არა უბრალო მეთვალყურე.

ამიტომაც გაყვა ნიკოლოზი დაზვერვაზე გრომოვის ოცეულს. თუმცა დრო იყო რედაქციაში დაბრუნებისა.

დაზვერვა იოლი როდი გამოდგა, მუცლით ხოხვაც მოუწია. მუხლიც გადაიყვლიფა, თორემ დასველება და გათოშვა ხომ არ დაჰკლებია. მაღლობა ღმერთს, ასეთი ამბები ნიკოლოზისათვის უცხო ხილი არ ყოფილა. თვითონ ხომ ყოფილი

ემანუილ ფეიგინი
ჯარისკაცი, შვილი ჯარისკაცისა

ჯარისკაცია, სამი წლის განმავლობაში ისე გამოიწერთო, რომ შენი მოწონებული.

მოკლედ, ნიკოლოზისთვის ეს საქმე უტყნობი არ ყოფილა, მხოლოდ ხალხი იყო ახალი. ახალ ადამიანებზე საინტერესო კი რა შეიძლება იყოს ამ ქვეყანაზე! გაცნობი და ყოველი ახალი ადამიანი ამადლეგებელი მოულოდნელობითა და ჯერ არნახული სილამაზით აღსავსე უტყნობი სამყაროსავით გადაგეშლება თვალწინ. ეს სამყარო ხანდახან ისე გაგიტაცებს, თავგზას აგიბნევს. ჰოდა, ნიკოლოზსაც აებნა თავგზა. სულ დაავიწყდა, ნომრის მასალა რომ ჰქონდა ჩასაბარებელი.

რედაქციაში ბრუნდებოდა და თან ფიქრობდა, მასალის დაგვიანებისათვის მაგრად მომხედებო. ახიცი იქნება. სამხედრო ჟურნალისტებს ერთი წმიდათაწმიდა წესი აქვთ, ჯერ კიდევ სამამულო ომის ფრონტზე შესისხლხორციებული, — ცოცხალი ხარ თუ მკვდარი, მთავარია ნომერში მასალის გადაცემა მოასწრო. დაარღვევ ეს წესი ხომ? ახალ ლანძღვა-გინებასაც... მაგრამ, საბედნიეროდ, მოლოდინი არ გაუმართლდა ნიკოლოზ მაკაროვს. ყველაფერმა შედარებით მშვიდობიანად ჩაიარა. რედაქტორმა კი შეახურა გვარიანად, მაგრამ ისე არა, როგორც ეკადრებოდა. რას იზამ, ზოგიერთი რედაქტორისაგან განსხვავებით პატივს სცემდა ნიჭიერ კაცს.

— კარგი, იყოს მხატვრული ნარკვევი, დაწერე, რაკი ასე აგალღევა. მე საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, — უთხრა რედაქტორმა მაკაროვს, მისი ახსნა-განმარტება რომ მოისმინა.

ნიკოლოზიც შეუდგა წერას... ამაზე იოლი ვითომ რა უნდა ყოფილიყო. სურვილიც დიდი აქვს და უნარიც შესწევს. დაიწყო, მაგრამ... ვერ იქნა და თავი ვერ მოაბა. ხალხი ამბობს, ზღაპარი იოლად საამბობიაო. შეიძლება მართლაც იოლი მოსაყოლი იყოს, მაგრამ მისი შეთხზვა კაი ხათაბალა იქნება. არაქათი გამოგელევა, ჯვარს ეცმები, სანამ ბოლომდე ჩახვალ, თუ, რა თქმა უნდა, ნამდვილი გზიდან არ გადაუხვიე და იოლად არ

გახვედი ფონს. ასეთი იოლი გზაა კაცის მაცოტუნებელი.

საოსტარია, მაგრამ იოლი, მაცოტუნებელი გზები ყოველთვის თავბრუს გახვევს, შეკაცო, რას წვალობ, ტვინს რაზე იჭყლეტ, აკერ არა ვარო?

ერთი წუთით ნიკოლოზს წარმტაცად და ხელმისაწვდომად მოეჩვენა იოლი. ათასჯერ დატყუანილი გზა. აბა, თუ ბიჭი ხარ, გაუმკლავდი ასეთ ცოტუნებას. თუ ძლიერი არა ხარ, სული წაგძლეგს და მერე კარგად იყავი.

საბედნიეროდ მაკაროვი იოლად არ მოტყუვდებოდა. ხეიბარი კი არ იყო, ძნელი გზის შეშინებოდა. რაც უფრო ძნელია, მით უკეთესიაო, ხშირად გაუგონია მზვერავებისაგან, ნიკოლოზიც მათ აზრს იზიარებდა.

დიდხანს და გულჯანსმით წერდა მაკაროვი. შესავალისათვის პეიზაჟი აღწერა. კი ესმოდა, რომ ასეთი დასაწყისი ცოტა შაბლონური იყო, მაგრამ სხვანაირად არ შეიძლებოდა. მკითხველმა ხომ უნდა იგრძნოს მიწის სუნი. აქ, ჩემო ძმაო, ბალტიისპირეთის ქვიშიანი დიუნები ხომ არ გგონია, ან უკრაინის ველები და ყორღანები. ეს კავკასიაა, ღრუბლებზე მაღლა აჭრილი გოლიათი მწვერვალები! იგრძენი, ხომ?

მადლობა ღმერთს, პეიზაჟი დახატულია. იგრძნობა ნამდვილი კავკასიური მიწა, — მკაცრი და დიდებული.

მიწას კი გასწვდა მაკაროვი, მაგრამ ზედ რომ ვერავინ დაასახლა! გავიდა ერთი დღე, მეორე, მესამე. როგორც იტყვიან, ერთი ფუთი მარილი შეჭამა, ასი პაპიროსი მანაც გააბოლა, ასანთის ღერების იმხელა გორა დააყენა, მომჭირნე კაცი მთელს წელიწადს იმყოფინებდა. ერთი წინადადებაც ვერ შეაკოწიწა.

„უბედურება თუ გინდა, ეს არის“.

სამუდამოდ შერცხვება რედაქტორთან და ამხანაგებთან. განსაკუთრებით კი ნარკვევის გამირის — სერგეი ბრაჟნიკოვისა რცხვენოდა.

„რას იფიქრებს ის კაცი?“

წინ ისევ ქაღალდი უდევს. უნდა იმუშაოს, მეტი გზა არაა. ერთადერთი ხსნა მუშაობაშია.



სუფთა ფურცელი გაუტეხავ ყამირსა ჰგავს. ერთი მიეცით მაკაროვს მრავალსახნისიანი გუთანნი, ცალად შეებმება და ყამირს სულ ბლღვირს გაადენს. მაგრამ ვაი რომ, აქ მძლავრი ტექნიკა ვერას გახდება. ხელში ბუმბულივით მსუბუქი კალამი გიჭირავს, შენი ერთცხენიანი გუთნის წვეტიანი, ფოლადის პატარა სახნისი. შორიდან რომ კაცმა შეხედოს, იოლად მოეჩვენება, გაატარე ხნული ხნულზე, ამას რა დიდი ფილოსოფია უნდაო.

თქვენ თუ გისინჯიათ? არა? აბა რა უნდა გელაპარაკოთ.

ნიკოლოზი თავს არ იზოგავდა, მაგრამ მეტი არ იქნა შენი მტერი, ხელი მოეცარა, არაფერი გამოუდიოდა. ხნულს ხან სიღრმე აკლდა, ხან იზრციებოდა, ხან კი სახნისი სულ არ იჭრებოდა სიღრმეში და ზედაპირზე გულსაკლავად მისრიალებდა.

ნიკოლოზი ნაჯღაბნ ფურცლებს ერთ წამში ნაკუწებად აქცევდა. წინ კი ისევ ქათქათა, სუფთა ფურცელი ედო... სასო წაგერთმევა, გინდა ყველაფერი მიატოვო და წახვიდე. მაგრამ გზა ყოველმხრივ მოჭრილი გაქვს. ვინ გაძალღებდა, როცა საკუთარი თავი შენ თვითონ სამუდამოდ მიაჯაჭვე ამ გუთანს! ახლა კეთილი ინებე და გასწი!

გასავათებული რამდენჯერ წაიბორძიკებ ხნულში, რამდენჯერ მკერდით დაეცემი ნახნავზე და შენს დაღლილ თვალებს თეთრი შვად მოეჩვენება. მაინც ადგები, თვალებს მოიფშენეტ და ხნულს ისევ გაჰყვები. გაჰყვები, რადგან უამისოდ სიცოცხლე არ შეგიძლია.

და აი, მძიმე შრომის ფასად მოხანი და დათესე პატარა ნაკვეთი. პატარა, რადგან დიდისათვის ჯერ ვერ შეგიბედიო. გულისფანცქალით ელოდები ჯეჯილის აბიზინებას. ამაოდ.

კიდევ ერთ ჭეშმარიტებას შეიცნობ, ამ ყანაში არაფერი არ გაიზრდება, სანამ საკუთარი სისხლით არ დანამავ.

...ხალხს ამისათვის შემოქმედებითი წვა შეურქმევია.

როცა მწერლის შემოქმედებით წვაზე ლაპარაკობენ, ჩვეულებრივ ასე წარმო-

უდგენიათ ხოლმე: მწერალს ყველაფერი აქვს, — სახეებიც, აზრებიც, მხოლოდ ჯერ სიტყვა არ მოუძებნია, ის ერთადერთი ჭეშმარიტი სიტყვა, რომლითაც მწერლის ჩანაფიქრი გამოითქმება. ეშმაკმა დალაზეროს, ყველამ კი იცის, რა ძნელია ამ სიტყვის პოვნა? სიტყვა ხელივით სხმარტალაა, ეს წუთია ხელში გეჭირა და უეცრად გაქრა, გაგისხლტა ხელიდან. თითებს შუა მხოლოდ პატარა აფართხალებული კუდი შეგატოვა. თვითონ კი ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერაფერს გაიგებ...

ან, ხდება ხოლმე, რომ ის ერთადერთი, უზუსტესი და საჭირო სიტყვა სადღაც ისეთ უფსკრულში ჩაიმალება, რომ ვერასოდეს ხელს ვეღარ მიაწვდენ.

ეს სიტყვა ყოველთვის ძნელი მისაგნებია. იოლად ვერასოდეს ვერ იპოვი. ჯგარს უნდა ეცვა, სანამ ამ ფასდაუდებელ საუწჯეს მიაკვლევდე.

იმიტომაც ამბობენ, შემოქმედებითი ტანჯვა და წვაო. ეს მართალიცაა და არცაა მართალი. ყოველ შემთხვევაში, სრული სიმართლე მაინც არაა.

შენ ადამიანის დასახატ შესაფერ სიტყვას ეძებ. გინდა მისი სულის მოძრაობა გამოხატო. მართალია, არაა იოლი ასეთი სიტყვის ძებნა, მაგრამ ადამიანის გაგება, მის სულში ჩაწვდომა ასჯერ უფრო ძნელია.

აი, სწორედ აქ იწყება ნამდვილი ტანჯვა.

სერგეი ბრაჟნიკოვზე თითქოს ცოტა რამ იცის. ამიტომაც, დიდი ფიქრის შემდეგ მაკაროვმა ნარკვევის გმირად სერგეი აირჩია. თავისი წიგნი ვერც კი წარმოუდგენია უბრაჟნიკოვოდ. მზვერავ ფედოსიევზე რვეულში მთელი ათი გვერდი აქვს ჩაჭიკჭიკებული. სერგეივ კი ორმოცდაათამდე. ადრე ამოდენა მასალიდან ორ ნარკვევს ისე გამოაცხობდა, ერთს არ ამოისუნთქავდა. იოლად და უბრალოდ ჩააბულბულებდა, რაც ბრაჟნიკოვზე იცოდა. სად დაიბადა, სად სწავლობდა, რად მუშაობდა. რას ამბობ-

ემანუელ ფიგინი
ჯარისკაცი, შვილი ჯარისკაცისა

დნენ მასზე უფროსები და ამხანაგები. ან თვითონ რა სთქვა უკანასკნელ კომკავშირულ კრებაზე. და მორჩა, საგაზეთო ნარკვევს რომ ეძახიან, ისეთი ნარკვევი მზად იქნება. ასეთ ნარკვევში გვერდს ვერ აუგლი მიქარგულ-მოქარგულ სიტყვებს. განსაკუთრებით თავსა და ბოლოში. სათაურიც რაც შეიძლება მიმზიდველი უნდა მოიფიქროს. ასეთ მარტივ რეკეტებს დიდი ხანია მოუსინჯა კბილი მაკაროვმა. მაგრამ ახლა სხვანაირად უნდა დაწეროს. ამიტომაცაა, რომ თავი ვერაფერს მოაბა, ერთი წინადადებაც ვერ მოახლადფორთა. სერგეი ბრაჟნიკოვი მიუწვდომელი მოეჩვენა. ხსნა არსად იყო.

2

— მე ხომ გეუბნებოდი, არაფერი არ გამოგვივა, — უთხრა სურენ აირუმინამ. იგი განა ნიშნს უკებდა. სურენი ბუნებით კეთილი კაცი იყო და მაკაროვი გულწრფელად ეცოდებოდა. ნეტავ რა თავს იკლავს. ერთი მითხარით, რა საჭიროა იმას წაეპოტინო, რასაც ვერ შესწვდები? ნუთუ ამ ყმაწვილს არ ესმის, რომ ის არც შექსპირია და არც ჩეხოვი. შექსპირი და ჩეხოვი რა მოსატანია, ვალენტინ ოვეჩკინიც კი არაა.

ეხ, ახალგაზრდობავ, ახალგაზრდობავ, იყო დრო, როცა სურენიც ვარსკვლავებს ეთამაშებოდა. სანამ არ მიხვდა, რომ... არა, თვითონ თუ ვერ მიხვდა, ცხოვრებამ მიახვედრა. იმედებს არ იძლეოდა თუ რა? ხანდახან ასეც ასხენებდნენ ხოლმე. — „ცნობილი ჟურნალისტი სურენ აირუმინა“. დიდება ხანდახან მასაც აფარებდა ხოლმე მოწყალე კალთას. ჟურნალისტის ბედის ცვალებადობას რა ვუთხრა, თორემ... რაღაცას თვითონაც ვერ მოაბა თავი, რაღაცა სხვებმაც აურიეს და ყველაფერი საპნის ბუშტივით გაქრა.

სურენს რომ ყური უგდოთ, კიდევ უხარია, მისი ცხოვრება ასე რომ წარიმართა. ყოველ შემთხვევაში ისიც კარგია, თავი რომ სამუდამოდ დააღწია, „დაწყვედილ ჟურნალისტურ გაწამაწიას“. ახალგაზრდობაში საყმაწვილო სენივით მოიხადა მრავალი ლიტერატურული

ავადმყოფობა, გამოცდილებაც კაბილოთ მიიღო. ახლა სიამოვნებით არიგებს ას ახალგაზრდებს. თუ გაუჭირდა, თავმოყვარეობასაც არ დაზოგავა.

— ახალგაზრდა რომ ჟურნალისტი ეკლიან გზას დაადგება, უნდა ახსოვდეს, — საგაზეთო დიდება გაზეთით ერთდღიანია. გუშინდელ გაზეთში სახელის მოხვეჭა შარშანდელი თოვლის ფასია. ბრწყინავ ხომ დღევანდელი ვაზეთის გვერდზე, არ გაკლია ფერთა სიუხვე, მინც ფარშევანგი ხარ და მეტი არაფერი. მეორე დღეს გაიხედავ და უკვე სანაგვე ყუთში გღიხარ გამოსუნებული ძონძივით.

მენდეთ, შეილებო, სიმართლეს გეუბნებით, მეც ასე გავხუნდი თავის დროზე. ერთ ღროს კაი ლოყებლაქლაქი ბიჭი ვიყავი. ახლა თქვენც კარგად ხედავთ, რაცა ვარ, ფერი მე არა მაქვს და ხორცი, — ამბობდა სურენი.

სურენს თავის ხუმრობაზე თვითონვე ეცინებოდა. ვუღიანად ხარხარებდა. ახლაც ყმაწვილივით უღვიოდა გულმოდგინედ გაპარსული ლოყები.

— რატომ, აღარ იკითხავთ? — აგრძელებდა სურენი, — ახლავე მოგახსენებთ. ისეთ ნორმალურ ცხოვრებას ვეწევი, არც ერთ მაწანწალა ჟურნალისტს რომ არ დაესიზმრება. ასეა, აბა, ჩემო შეილებო.

სურენ აირუმინა თავს მართლაც რომ თვალისჩინივით უფროხილდებოდა. სამი წლის წინ შესთავაზეს, ძველი ხელოზა გაეხსენებინა და ცენტრალური გაზეთის მოხეტიალე კორესპონდენტობა ეკისრა. სურენმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა:

„რაო, აქეთ-იქით ხეტიალი? ახალ-ახალი ადგილები და ახალი ადამიანები? რა თავში ვიხლი! თუ გინდათ დედამიწას ოთხმოცკერ შემოვივლი ფეხით, ოღონდ პირობა მომეცით, რომ ჩემს ნაჯღაბნში ერთი პუშკინისეული მაღლით დაწერილი სტრიქონი მინც გამოერევა. გესმით, თუ ერთ სტრიქონს მინც დავწერ პუშკინივით. „არაო“, — მეუბნებით ხომ? მაშ რად მინდა ახალი ადამიანები, ახალი შთაბეჭდილებანი?“

არა, სურენს ამის მსგავსიც კი არაფე-

რი სურს. ურჩენია ღუზა მყუდრო და წყნარ ყურეში ჰქონდეს ჩაშვებული, აი, თუნდაც ისეთში, როგორაც მას სამხედრო გაზეთის სამდივნო მიაჩნია. მართალია, წერილების ლიტერატურული დამუშავება დიდი ვერაფერი თანამდებობაა. ის კი არა, ორმოცდაოთრმეტი წლის ჟურნალისტისათვის, მხრებზე ამხელა სტაჟი და გამოცდილება რომ აწევს, ცოტა სათაკილოც კი უნდა იყოს. სურენი თავმდაბალი კაცია და ამას არ თაკილობს.

ერთი სიტყვით, ჟურნალისტისათვის ეს კაცი მკვდარი იყო. გემოვნება და, თუ შეიძლება ასე ითქვას, ლიტერატურული ყნოსვა, ჯერ კიდევ შენარჩუნებული ჰქონდა. რედაქციაში ანგარიშს უწყვედნენ მის სასარგებლო რჩევასა და საფუძვლიან შეფასებას.

ნიკოლოზ მაკაროვიც მისი აღმოჩენილი გახლდათ. ერთხელ რედაქციის ბებერ მგელს გასასწორებლად სამხედრო კორესპონდენტის მაკაროვის წერილი მისცეს. სურენმა წერილი წაიკითხა. — ბიჭოს, ეს უბრალო ბიჭი არ უნდა იყოსო, შენიშნა გამოცდილმა თვალმა და მაშინვე რედაქტორს მიაშურა.

— ამ ბიჭს კალამი უჭრის. რედაქციაში აიყვანეთ, არ ინანებთ, — ურჩია რედაქტორს სურენმა.

როცა ისიც აღმოაჩინა, მაკაროვი რომ არაუშავს ლექსებსა და მოთხრობებს წერდა, სურენი სიხარულით ცას ეწია.

— ხედავთ? ხომ გითხარი! ნიჭიერ ხალხზე მეძებარი ძალიანთა მაქვს ყნოსვა გამახვილებული. ამ ბიჭიდან თუ მწერალი არ დადგეს, ყურები მომჭერიო. ერთი რამე კია დასანანი. რაზეც უნდა წერდეს, იმაზე არ იწუხებს თავს. მაგის ასაკში კაცს რომანტიული ამბები უნდა იტაცებდეს, — ბუნება, ქალიშვილები, სიყვარული. ამას კი სულ მხედრები და მემორები აუჩემებია. ნაწარმოებებიც ერთფეროვანი გამოუდის. რას უნდა ველოდეთ მისგან? მოკლედ ვიტყვი — კარგს არაფერს.

...სურენ აირუმიანი მაკაროვს გვერდით მიუჯდა, თვალეები მოჭუტა და ნა-

წერი ისე გადაათვალიერა. მერე თავი თანაგრძნობით გაიქნია.

— ხომ გეუბნებოდი, ხელი სხვა შენას მოკიდე-მეთქი, აგერ მესამე დღეა, რაც ამ ნარკვევს თავს აკლავ. ვისზეა ნარკვევი, რა მითხარი? რიგით ჯარისკაც ბრაცნიკოვზე, ხომ? მე ბრაცნიკოვს კი არ ვერჩი. ღმერთი, რჯული, მისი სახელი პირველად მესმის. საქმე ისაა, ჩემო შეგილო, რომ მასალაა მკვდარი. ხელოვნებასთან საერთო არაფერი აქვს. გესმის? ხელოვნების ნიმუშები იქ იწყება, სადაც დაწერილი კანონები მთავრდება. ამ შემთხვევაში სამხედრო წესდებას ვვულისხმობ. გახსოვს „კარმენი“? ეს ნაწარმოები იმიტომ არსებობს, რომ ჯარისკაცმა ხოზემ საყარაულო სამსახურის წესდება დაარღვია. მხოლოდ ამიტომ. სხვანაირად ეს შედეგრი არ დაიწერებოდა. დამიჯერე, ასეა.

— მაპატიეთ და თქვენი ვერაფერი გამიგია! იმას ხომ არ მიჩრჩევთ, ურჩებზე ვწერო? — გაოცდა ნიკოლოზი.

— არა, კაცო, ასე პრიმიტიულად კი ნუ გამიგებ. მე იმას გეუბნები, ვისაც ყველა დიდი შეკრული აქვს, ასეთი ადამიანი ნაწარმოების გმირად არ გამოდგება. ამ დილემზაწიკვიკებულ კაცს სულში ვერ ჩახედავ. ხელში მარტო დილები შეგრჩება.

— ომზე რაღას იტყვი? განა ფრონტზე მემორები ჩამოხეულები დაჯიოდნენ?

— თავს ნუ იკატუნებ. თუმცა... შენ ომისა რა უნდა იცოდე. ომში, ჩემო შეილიკო, ადამიანს სულიც გახსნილი აქვს და მუნდირიც: ცოდვა კია, შენ ომი არ გენახოს. ომზე წერა ნაღდად შეგიძლია, გაქვს დრამატიზმის გრძნობა. აი, მშვიდობიანობისას არმიაზე წერა კი წყლის ნაცუაა და მეტი არაფერი. შენ ხომ იცი, ცოტას მეც ვიცნობ სამხედრო ლიტერატორების შემოქმედებას. ზღეში ათას სტრიქონზე მეტს თუ არა, ნაკლებს არ ვკითხულობ. აბა ერთი ამას დამიხედ!

„...მან სული შეიგუბა და ხელი გამშვებ ბერკეტს დააჭირა“. არა, ჩემო

ემანუელ ფეიგინი
ჯარისკაცი, შეილი ჯარისკაცისა

კარგო, ასე არაფერი არ გამოვა. კარგი, აბა მითხარი, სადა გაქვს კონფლიქტი ამ ნარკვევში? უკონფლიქტოდ კი ცხოვრება არ არსებობს, ჩემო ნიკოლოზ. ამას რომ გეუბნები, წყალი არ გაუვა. ვერ ნახე ხომ კონფლიქტი! — წერე ინფორმაციები ჟანგმოკიდებულ თემაზე. „სული შეიგუბა და...“ ამ ნარკვევს შეეწვი. მართალი არა ვარ? აბა შენ თვითონ განსაჯე!

მაკაროვს ბევრი რამ არ მოსწონდა სურენის ნალაპარაკებიდან.

„ნეტავ რას ქილიკობს და იგესლება? ეტყობა, ცოტა გაბოროტებულიცაა. ნეტა ვისზე მოსდის გული? კონფლიქტი. ჩემს ნარკვევს კონფლიქტი სჭირდება თუ არა, ჯერ არ არის ცნობილი. კარგი, ვთქვათ სჭირდება კიდევ. სად ვიშოვო მერე? შეეთხზა? კი, შეიძლება, ყველაფრის მოფიქრება შეიძლება. როგორიც გაგებარდება, ისეთ კონფლიქტს გამოიგონებ კაცი. მაგრამ ტყუილი რომ იქნება?“

თუმცა... დაზვერვაზე რომ მიდიოდნენ, ბრაჟნიკოვმა რაღაც უამბო, ლეიტენანტთან თავისი ანგარიშები ჰქონია. ძალზე ძუნწად ილაპარაკა. წვრილმანები არც კი წამოსცდენია. ალბათ კორესპონდენტს კბილი მოუსინჯა, ლეიტენანტთან რა მეგობრობა აკავშირებდა. ამას კი მიხვდა მაშინ მაკაროვი.

„მერე რა, — უთხრა სერგეის, — გინდა ჩემი აზრი იცოდე? პირდაპირ გეტყვი. ეს დაწვრილმანებაა, რაც შენისთანა ვაჟაკს არ ეკადრება. მეთაური მეთაურია. ის პასუხს აგებს მთელს ოცეულზე და თვითეულ თქვენგანზე ცალ-ცალკე. აბა ერთი იფიქრე, რამხელა პასუხისმგებლობა აკისრია! რა მოხდა მერე, თუ ზოგჯერ თავის ხელქვეითს დაუყვარებს! რა არის აქ საწყენი? მამაჩემი ახლაც მიყვირის, მაგრამ გული კი არ მომდის. სასაცილო არ იქნება, ამაზე რომ გავბრაზდებ? აბა რისი მამაა, თუ შეიღს არ დაუყვირა?“

ბრაჟნიკოვს მგონი დიდად არ ეჭამნიკა ჩემი სიტყვები. ანდა მე ვისი ტიკიტომარა ვიყავი. რაში მომეპრიანა ამხელა კაცის დარიგება? გაკმიდა ბიჭმა ხმა და კრინტი აღარ დაუძრავს. აღარც

მე მითქვამს არაფერი. არც დიდი ინტერესი გამომიჩენია. თუმცა... ^{ანუ ჩემი} ნარკვევისათვის ეს კონფლიქტი ^{მართლაც} რომ ზედამოჭრილია.

— მირჩიეთ რამე, სურენ, მგონი რაღაცას მივაგენი. ბრაჟნიკოვის ოცეულს ლეიტენანტი გრომოვი მეთაურობს, ძალზე საინტერესო კაცია. რომ იტყვიან, ნამდვილად მეომრადაა დაბადებული.

სურენი მაკაროვს დიდი ყურადღებით უსმენდა, მაგრამ ისე ნაღვლიანად იღიმებოდა, თითქოს ეს ახალგაზრდა კაცი ებრალებო.

— ეს რა კონფლიქტია, ჩემო ნიკოლოზ, — სთქვა მან, როცა მაკაროვის ნაამბობი ბოლომდე მოისმინა, — ლეიტენანტი ერთს უბრძანებს შენს ბრაჟნიკოვს „სმენაო“ და შენი კონფლიქტი ხელში შემოგადნება. ამაზე კიდევ მეტყვი, ცდებო?

„კაი ბებერი მეღაა ეს მოხუცი! რა უნდა ვუთხრა. ამაში კია მგონი მართალი“. გამოტეხილი რომ ვთქვათ, არ სიამოვნებდა, სიმართლე რომ სურენის მხარეს იყო.

— იქნებ ვცდები, ნიკოლოზ?

— არა, არ ცდები, — უგულოდ დაეთანხმა მაკაროვი.

— ამაშია საქმე. დამიჯერე და არ წააგებ. შეეწვი ამ საქმეს. ჩემი ხნის კაცს სიზმარიც დაეჯერება.

მაგრამ მაკაროვს არც უნდოდა და არც შეეძლო დაეჯერებინა სურენის შეგონებანი. მისი სული სურენის სიტყვებს ისე ირეკლავდა, როგორც ტანკის ჯავშანი რევოლვრის ტყვიებს. მაღლობა ღმერთს, მშობლიური არმიის მხურვალე სიყვარული, თავისი ამხანაგი არმიელების სიყვარული ჯავშანივით იცავდა სურენის ქადაგებისაკან. ეს დარჩეული ბიჭები იყვნენ და იქნებოან მისი მომავალი ნაწარმოებების გმირები. რამდენიც არ უნდა უჩინინოს ჩვენმა პატივცემულმა აირუმინამა, სერგეი ბრაჟნიკოვზე მანც დაწერს წიგნს. მაკაროვმა ჯერ არ იცოდა, რომანს დაწერდა, ნარკვევს თუ პოემას. პოემა მგონი ყველას სჯობია. სტრიქონები წკრიალა, გამძლე მეტალი-საგან იქნება ჩამოსხმული. იოლი არაა

ეს საქმე, მაგრამ ოცნება ცოდვად როდი ეთვლება ადამიანს. დე, პირველად ნარკვევი იყოს. პირველი დაზვერვა უც-

ნობ სამყაროში. ამ სამყაროს უბრალო და საყვარელი, ადამიანური სახელი ჰქვია, — სერგეი, სერიოჟა.

თავი მეთერთმეტი

1

მეცადინეობიდან თითქმის ყველანი კარგ ხასიათზე დაბრუნდნენ. მხოლოდ ზემდეგს გულზე ხინჯად ხედებოდა, რომ ასეულის სამოსელი გვარიანად იყო შელანძღული. „ხარჯი იქნება და რა ხარჯი“, — ფიქრობდა იგი. მერე ვის გინდა დააბრალო. კავკასიის მიწას ხომ არ უსაყვედურებ, რატომ ბუმბულით არა ხარ მოფენილიო. ჯარისკაცებმა კი, იცოცხლე, ბევრი იარეს და იხობეს ამ უჯიათ მიწაზე. ჰოდა, შეხედე, ერთის ჩექმას დაუფჩენია პირი, მეორეს შარვალი გამოსხვია... თანაც ხვალ აბანოს დღეა. ესე იგი, ყველაფერი ისე უნდა მომზადდეს, როგორც წესი ჯა რიგია, სუფთა საცვალი, საპონი, დრუბელი, საკუთარი თავისთვის კი არყის ხის ცოცხიცა აქვს შემონახული. რა ქნას ზემდეგმა. ჩვეულება რჯულზე უმტიკიცესიაო, უყვარს აბანოში განცხრომა.

იცოცხლე, ჩექმები თავზე საყარადა აქვს ზემდეგს. მაგრამ მთავარი საზრუნავი მაინც იარაღი და ტექნიკაა. ეს ხომ არმიის წმიდათა-წმიდა წესია: როგორც კი მეცადინეობიდან დაბრუნდები, პირველ რიგში იარაღის წმენდას უნდა მიჰყო ხელი. თუ ვინმეს ამაში ეჭვი ეპარება, ზემდეგი ახსნას არ დაამაჯლის: „ძმობილო, იყო დრო, როცა ჩვენი მამაპაპანი შიშველ-ტიტველნი იბრძოდნენ და მაინც იმარჯვებდნენ. უიარაღოდ კი რის მაქნისი ხარ. აბა უიარაღო მეომარი ვის გაუგონია?! ჰოდა, იარაღს თვალისჩინივით უნდა გაუფრთხილდე. ასე ლულის გაწმენდა ვის გაუგია. გაისარჯე, გაისარჯე, ძმობილო, ნუ გერიდება! საქმეს ცოტა გულიც მიატანე, უგულოდ, ჩემო ძმაო, კარგი საქმე არ გაკეთდება. აი ეგრე, ყოჩაღ, ხომ შეგძლება!“

ასე გაწამაწიაში მიიღია ყაზარმაში დაბრუნების დღე. მაგრამ გრიგორი ივა-

ნოვიჩს როდი დავიწყებია ერთი მნიშვნელოვანი საქმე. ხვალისთვის რატომ უნდა გადადო ის, რისი გაკეთებაც დღეს შეიძლება? ზემდეგმა გამოცდილებით იცოდა:

„განა ხვალამდე დამავიწყდება ეს საქმე, მაგრამ ის სიმძაფრე დაეკარგება, გულიც დაგიშვნიდდება, მერე ცოტას დაფიქრებები და შეიძლება ხელიც ჩაიქნისო, ბოლოს ჯა ბოლოს ისეთი არაფერი არ მომხდარა, რომ თავიც შეიწუხო და ხალხიც შეაწუხო.

მერე რა გამოვა აქედან? ადამიანი ნაზარალევი დარჩება. საქმეც უკუღმა წავა. ამიტომ არ შეიძლება ასეთი საქმის სახვალიოდ გადადება. თუ ძალიან გაჭირდა, მანქანა დაიცდის, ქალაღიც შეიძლება შეყოვნდეს, ადამიანი კი ისეა მოწყობილი, თუ დროზე არ მიეშველე, მერე კაპოკია შენი დახმარების ფასი“.

2

— ახლა ნება მომეცით ერთ პარტიულ საკითხზე გკითხოთ რჩევა, — უთხრა გრიგორი ივანოვიჩმა ასეულის მეთაურს კაპიტან სოროკინს მას ზემდეგ, რაც თავისი მოხსენება ჩაუბუღებულა.

გრიგორი ივანოვიჩს იმიტომ კი არ უთქვამს, რჩევა უნდა გკითხოო, რომ თავისი ახალგაზრდა უფროსისთვის ეამებინა (სიტყვამ მოიტანა და სოროკინი ამ ცოტა ხნის წინ აირჩიეს ბატალიონის პარტიული ორგანიზაციის მდივნად), ის მართლაც დიდ პატივს სცემდა ამ ჭკვიან ახალგაზრდა კაცს. კაპიტანი წინ რალაც ეშმაკობით და მამაძაღლობით კი არ მიიწვედა, მომავალი თავისი უნარითა და

ემანუილ ფეიგინი
ჯარისკაცი, შვილი ჯარისკაცისა

დაულაღავი შრომით ჰქონდა განაღდე ბული.

მერე რა, რომ კაპიტანი ასეთი ახალგაზრდაა. ამას რა სჯობია. ვინ უნდა გაიზარდოს და წავიდეს წინ, თუ არა ახალგაზრდა?

კაპიტანი სულ ოცდარვა წლისაა. ამ ომში, რასაკვირველია, მონაწილეობა არ მიუღია. ახლად გამოჩეკილი ლეიტენანტი იყო, პოლკში რომ მოვიდა. მაშინ იგი არმიაში გამობრძმედილი გრიგორი ივანოვიჩისათვის გენადი გრომოვივით პირზე რძეშეუმშრალი ყმაწვილი გახლდათ. მათ შორის განსხვავება ერთი რამ იყო. გრომოვისნაირებს უყვართ ხმაურის ატეხა, დიდი თავმდაბლობით ვერ დაიკვებნიან. სოროკინმა კი სამსახური შეუმჩნევლად დაიწყო. ერთმა ნაფრონტალმა ოფიცერმა ისიც კი სთქვა, რა უღიმღამოები არიან ეს ომისშემდგომი ოფიცრებიო. ზემდეგმა მას მხარი არ აუბა, — მაგასაც ვნახავთო. მისმა გამოცდილმა და კეთილმა თვალმა მაშინვე შეამჩნია, ამ ოფიცერში დაგროვილი დიდი და გამოუქვდავანებული ენერჯია, მოთმინება და დასახული მიზნისაკენ სწრაფვის მტკიცე უნარი.

როცა სოროკინმა პარტიამი შესვლა გადაწყვიტა, რეკომენდაცია გრიგორი ივანოვიჩის სთხოვა. ზემდეგმა ისეთი თბილი სიტყვებით შეამკო, გეგონებოდა, მამა გულმხურვალედ ლოცავს შორეულ მოგზაურობაში მიმავალ შვილსო. ეს ახალგაზრდა კომუნისტის ღირსებისა და თავდადების საწინდარიც იყო.

როცა სოროკინმა რეკომენდაცია წაიკითხა, თავშეუკავებლად ამოიხენწეშა და სთქვა: „გმადლობთ ნდობისათვის“. მართლაც, დიდ ხანს არ გაუვლია და ვაკაცმა გაამართლა მოხუცის ნდობა და იმედები. ორიოდ თვის შემდეგ, ზეგრისთვის მოულოდნელად, საინსპექტორო შემოწმებაზე დააღვინეს, რომ ლეიტენანტ სოროკინის ოცეულში ყველა ჯარისკაცი წარჩინებული იყო. ზემდეგს კი ეს ამბავი სულაც არ გაკვირვებია. ლეიტენანტს შეეძლო ჩუმად, უზაქიბუქოდ ემუშავნა. იგი პირად დიდებაზე კი არ ფიქრობდა, მთელი კოლექტივის საქმეზე ზრუნავდა. სწორედ ამ თავდადებაში მო-

უპოვა სახელი და პატივისცემა, ზეგრისთვის უცნობი კაცი ცნობილი გახდა. ორჯერ აირჩიეს პარტიული ორგანიზაციის ბიუროს წევრად. აგერ, ახლა კი მდივნის პოსტიც მიანდეს.

ზემდეგს „ნათლულით“ თავი მოჰქონდა და ახალგაზრდა კაპიტანს გულწრფელად აფასებდა. გრიგორი ივანოვიჩის სწამდა, რომ სოროკინით სპეტაკ, თავმდაბალ და მუშა ხალხზეა დაყრდნობილი ჩვენი დიდი სამშობლო.

კაპიტანიც არანაკლებ პატივს სცემდა გამოცდილ ზემდეგს. ახლა კი სოროკინმა პირველად მისცა თავს ნება ზემდეგ პეტროვის სიტყვებში შეეჭვებულყო.

„ნეტა რატომ არ მოსდის თვალში გრომოვი? ზემდეგს უნდა ყველას ერთი საზომით მიუდგეს, ყველა ერთ ქვაბში მოაქციოს. ცოტა არ იყოს, სალდაფონობასაც ჩამოგავს ეს ამბავი. თუმცა ეპატიება მოხუცს. აბა ამდენი ხანი შენ იყავი ზემდეგი და ვნახოთ, როგორ ამდერდები“, — გაიფიქრა სოროკინმა და პეტროვს ფრთხილად შეაპარა:

— გრიგორი ივანოვიჩ, ხომ გეჩვენებათ... რომ თქვენ... როგორ გითხრათ. ცოტა ხომ არ აზვიადებთ... ვითომ ასეთი საფრთხე ემუქრება გენადი გრომოვს?

პეტროვმა გამომცდელად შეხედა სოროკინს.

„ნეტავ საით უმიზნებს კაპიტანი? რა გავზიადებაზე მიკრავს სიტყვას?“

— არა, არაფერს არ ვაზვიადებ, კაპიტანო!

— იცით რაშია საქმე. გრიგორი ივანოვიჩ, გრომოვი თავისებური კაცია. სტანდარტული, ტიპური პიროვნება როდია. მე რომ მკითხოთ, ლეიტენანტი ნათელი ბუნების კაცია და თავის ხასიათს, ცოტა არ იყოს, თქვენთვის უჩვეულო ფერებით ამჟღავნებს.

ზემდეგს მწარედ ჩაეცინა.

„ყველაფრად კარგია, ჩინებული ბიჭია კაპიტანი, მაგრამ ადამიანების შეფასებისას კი ხანდახან მაინც ცდება. ახალგაზრდობით მოსდის. სწორედ ესაა ახალგაზრდობის უდიდესი ნაკლი“.

— თუ მართლა ასეა, მაშინ გამოამჟღავნოს თავისი კი კაცობა. აბა, თუ



ხალხს არ არგო, რის მაქნისია ლეიტენანტის არსებაში ჩამარხული კეთილი თვისებები?!

ჩამხედეთ და სულსა ჰკითხეთ? განა მინდა ცხოვრებას მოვწყდე, სამუდამოდ დავემშვიდობო? გესმით, არ მინდა. მთა ჩა და გათავდა“...

— კარგი, თქვენ თუ ასე ფიქრობთ... ზემდეგს კიდევ ერთი თვისება მოსწონდა თავისი „ნათლულისა“. საკუთარ აზრს არ ღათმობს, მაგრამ სხვისი აზრის ანგარიშის გაწევის უნარიც შესწევს.

ამიტომაც გაახარა ასე ახალმა პარტიულმა დავალებამ.

— ...ჰო, თუ თქვენ მიგაჩინათ, მოკიდეთ ხელი გრომოვს, მოელაპარაკეთ, — დააბოლოვა სათქმელი კაპიტანმა.

ზემდეგმა მაინც ვერ მოისვენა, ცოტა რომ არ წაებუზღუნა:

— რას ამბობთ, ამხანაგო კაპიტანო, უხერხულია, რაც არ უნდა იყოს, კაცი ლეიტენანტია. ეწყინება, იტყვის, ჩემს ავტორიტეტს უთხრიან ძირსო.

— უკეთესი იყო, ეს საქმე კომკავშირის მდივნისათვის მიგენდოთ. რაც არ უნდა იყოს, ოფიცერია. თანაც ურიგო არ იქნებოდა, კომკავშირელი ოფიცრებისათვისაც მიეხედა, თორემ აქაო და ვარსკვლავები გავირტყითო, თავი უკვე განსწავლულენი ჰგონიათ.

სოროკინმა თავი გააქნია.

კაპიტანმა მშვენივრად იგრძნო, ზემდეგს გულში რა სიხარულიც უღიტინებდა. „იზუზღუნე, იზუზღუნე, მოხუცო, თუ კი ასე გსიამოვნებს“.

— მაშინ პირველ რიგში ლეიტენანტს ჩემს თვალში დაეკარგება ფასი. რას მიქვია განაწყენდება! პოლკში უხუცესი, ხელისგულზე სატარებელი კომუნისტი გეყავხარ. გრომოვის ადგილას მე ვიამაყებდი, თუ ასეთი კაცი ჩემი ზედ-იღბლით დანტერესდებოდა და შეწუხდებოდა. მე კი, როგორც გრომოვის უფროსი და ასეულის მეთაური, ამ საუბრიდან შესაფერი დასკვნას გამოვიტან. შეეთანხმებით?

აბა ეს რა სიამოვნებაა, კაპიტანო, სიამოვნო კი არა, სადარდებელია. კაცი რომ ტყუილად ბუზღუნს დაიწყებს, სიბერის პირველი ნიშანია. სიბერეში ყველანი ბუზღუნა ვხდებით. ასეა და რას იზამ. თავს ზევით ძალა არ აჩის.

— გმადლობთ პატივისცემისათვის, ამხანაგო კაპიტანო! — უთხრა ზემდეგმა. პეტროვს ეამა ახალი პარტიული დავალება. ზემდეგს ასე არასოდეს არ მოსწყურებია მუშაობა. ოღონდ საქმე მიეცით და თუ საჭირო იქნება, მთებს გადააბრუნებს. ამას ალბად თავისი მიზეზიც ჰქონდა. პეტროვს გულში შიში უღიტინებდა.

დღეისთვის მაინც კმარა. ახლა დასვენებაც შეიძლება. დაილალა ზემდეგი. ხუმრობა ხომ არაა, მთელი დღე ენაგადმოგდებული დარბოჯა. გულმა მაინც არ მოუთმინა, — ერთს კიდევ შევიხედავ პოლკის შტაბშიო. იქნებ საღამოს ფოსტამ შეიღის წერილი მოიტანა. მოხუცს იმედი გაუცრუვდა. წერილი არ იყო. ალბათ სახზევ გამოეხატა გულისტკივილი. მორიგემ გაიღიმა და ამ შემთხვევაში ბევრჯერ ნათქვამი, გაცვეთილი სიტყვებით დამაშვიდა:

„ერთიც ვნახოთ და ერთ მშვენიერ დღეს გვერდი ამიარონ, შემთხვევით კი არა, შეგნებულად. მერე და რას ნიშნავს ეს? ამით ხომ თავაზიანად გაგრძნობინებენ, ძვირფასო ზემდეგო, შენ უკვე დაბერდი, ძმაო, გზა სხვას უტყიე, თადარიგში გადი და ფეხებში ნუ გვებლანდებო. თუ გინდა ზარზეიმით გაგაციოლებთ დასასვენებლად. არ გესიამოვნება? ჩუმიად წადი. როგორც შენს სულსა და გულს ურჩევნია, ისე...“

— ნუ დელავთ, ამხანაგო ზემდეგო. მოგწერენ.

ჩემს სულსა და გულს? აბა გულში

„აი, ჭკუის კოლოფი. მომწერენ, აბა რას იზამენ. ეგლა მაკლია, მაგაში ეჭვი შემეპაროს. ლიოშა ისეთი მზრუნველი ბიჭია, მამას გულს როგორ ატკენს. ალბათ საქმეებში ყელამდეა ჩაფლული. კატისასაც არ სცალია. არა უშვებს რა. მალე შვილიშვილი წამოეზრდება და ბაბუას ის გაახარებს ძვირფასი წერილებით. ეჰ, აქამდე მიაწიოს, თორემ...“

თარგმნა დალი კოკიაიამ

პოლონური შთაბეჭდილებებიდან

შენით იწყება პოლონეთიც

და პოლონეთიც იწყება შენით,
როგორც იწყება ახლის შენება,
შენი ღიმილი საოცრად შველის
ყველა ტკივილის გადაშენებას!
და სიხარულის კარის გაღებას
ჰგავს დღე, რომელიც აღარ ილევა,
დიდი ქალაქის ქუჩებს დავყვებით,
სავსეს ხმაურით და ყვავილებით!
ვგრძნობ, ვით მიგნებულ ბედსა და
იღბალს,

აქ მიცკევიჩის ძვირფას სონეტებს,
მეგობარივით გვიღებს და გვხიბლავს,
მზისკენ მავალი დღეს პოლონეთი!
ასე მინდოდა მიზნის მიღწევა
ქარში გათოშილ ცივი თითებით,
ახლა ბინდისას მშვიდად ირწევა
ვისლა და ვისლის თეთრი ხიდები!
წყალი სინათლის ზოლებს ირეკლავს,
ხიდების თაღქვეშ გადის ბინდებად,
ქარი დაცრეცილ ღრუბელს მირეკავს,
ქალაქის ზეცა უფრო ინთება!
და პოლონეთიც იწყება შენით,
შენი უმანკო ღიმილთ იწყება,
და ეს ღიმილი საოცრად შველის
ყველა ტკივილის გადავიწყებას!


ქალაქს დარბეულს,
დაშლილს და დამწვარს,
აწვიმდა სისხლი ღამით თუ დღით,
ადამიანებს მხრებზე დააწვათ
გაქრობისა და სიკვდილის ჩრდილი!

ყველას წამების ბორკილი ედო,
იყო გოდება მამის და დედის,
დღესაც ღაღადებს ვარშავის გეტო,
როგორ წყდებოდა ხალხების ბედი!

მათ ხელში იყო უფლება, ვიდრე
თეთრი ქალაქი სისხლისფრად ღებეს,
ამით კი ძეგლი ელოდა ჰიტლერს
გერმანიიდან მოზიდულ ქვებით!

მაგრამ ციხის და ვაების შექმნით
ვერ იზოგინეს ქვეყნად სვავებმა,
ჰიტლერის ნაცვლად დაედგა ძეგლი
ხალხის გმირობას და უკვდავებას!

მეტყველი ძალა ავსებს 'ლოდებსაც
და ახლა, როცა ჰყვავის აპრილი,
ისინი დგანან რისხვად, გოდებად,
ყველა მხეცის და ყველა დამპყრობლის!



ვისლას სანაკიროზე

მთელ დღეს ქალაქი ქუჩებს გვიშლიდა,
სიმშვიდე იყო ჩვენი მთარველი,
ახლაც ღამდება ჩვეულ სიმშვიდით
და დაღამებას სხვაგვარს არ ველი!


აქ არ მაწუხებს მე უშენობა,
დიდი ქალაქი ანთებს ნათურებს
და იქნებ ახსოვთ აშლილ შენობებს
ნგრევა — საოცრად მუხანათური!

როცა ვარშავის ზეცა აკვამლდა,
ხალხს სატანჯველი აღარ აკმარეს,
შეაძულებენ ბავშვებს აკვნიდან
იმ დამბუგველი წლების ნაკვალევს!

☆
წამოვიღე ვარშავის მუზეუმიდან
☆
მეტი ვერაფერი

მერე ღუშმანიც ფეხით გათილეს,
მისი ცისკარიც შავით შებურეს,
ახლა გავცქერი ახალ სართულებს,
როგორც კრილობებს, მოშუშებულებს!

და აქანავებს ქარი მიმოზებს,
ქალაქს ვარდები მკერდზე ებნევა
და სირინოზი სანაპიროზე
მშვიდი ვარშავის მოჩანს ემზღემა!



ელენია გურა

მთა მაგონებს ბორანს
და წვიმაში ცურავს,
სიღეზია ბოლავს —
რესპუბლიკის ქურა!

მალაროებს აწვიმს,
ქალაქს ნისლი ბურავს,
მერე დგება თვალწინ
ელენია გურა!

მწვანე, ლურჯი, რუხი
აფერადებს სახლებს,
აქ დღეების დუღილს
ხელს ვერაგინ ახლებს!

ჯარისკაცის ძეგლი,
ვით მფარველი ძალა,
თითქოს მკერდზე ეკვრის
აყვავებულ ქალაქს!

გახსენება ძველის
აღარ უნდა არვის,
შუადღისას ფარავს
ქალაქს ფერი ქარვის!

მზე იღვრება ყვითლად
და მშვიდობა სახლობს,
უკვე წუთებს ვითვლით,
მთებთან გვინდა ახლოს!

მალაროებს აწვიმს,
ქალაქს ნისლი ბურავს,
მერე დგება თვალწინ
ელენია გურა!



ნაქსოვის დარად დახლართულები
აქ კიბეები ქვესკნელს ერთვიან,
და გზით — ზღაპარში დახატულივით,
საოცრებაში მოვხვდით ერთიან!

ქრება მიწა და დუმილში ახლა
მივდევთ დერეფნებს, რბილსა და მლაშეს,
ადამიანის დიდება ახლავს
დედა ბუნების საოცარ ნაშენს!

რუხი მარილის კარიბჭეს ვაღებთ,
სადაც გორები ქვებივით დაძრეს,
და აფრქვევს ნათელს მარილის ჭალი
მარილის ძეგლებს, მარილის ტაძრებს!

ჭალი დარბაზის ქერზე გაბმული
საუკუნეთა ნათელს არ იღევს,
და სიდიადე ისე გაბრუებს,
როგორც ორთქლი და სუნი მარილის!

გინდა ძლიერთა კვალით იარო,
მუდამ კაცური გქონდეს იერი,
როცა ახლოა ადამიანი,
ბუნებაზე და ღმერთზე ძლიერი!



☆ ნუგზარ წერეთელი ☆ ათლუნური შთაბეჭდილებებიდან ☆

„ჰინჭრაქას“ ნახვის შემდეგ

რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზის სცენაზე დადგმული სპექტაკლი „ჰინჭრაქა“ ერთდროულად იწვევს კმაყოფილებისა და უკმაყოფილების, მოწონებისა და დაწუნების გრძნობებს. სწორი იქნება თუ ვიფიქრებთ, რომ ორივე გრძნობას საკმარისი საფუძველი აქვს. ოღონდ მაყურებელთა ერთ ნაწილში მოწონების გრძნობა სჭარბობს, მეორეში კი — დაწუნებისა. ამიტომაც ხელაღებით შესხმულ ხოტბას ან უარყოფას ერთმანეთისათვის ფიქრის გაზიარება სჯობს. ფიქრის დროს კაციც სხვასაც ეკამათება და თავისთავსაც. ამდენად, ფიქრს კატეგორიული მსჯელობის ხასიათი არა აქვს.

ამ მცირე შესავლის შემდეგ უშუალოდ სპექტაკლზე ლაპარაკს შევუდგეთ.

სპექტაკლის ნახვისას დამაფიქრა პარალელიზმის მხატვრულმა პრინციპებმა, რომელიც წარმოდგენის ავტორებს

გ. ნახუცრიშვილსა და მ. თუმანიშვილს თითქმის ყველგან აქვთ გამოყენებული. ცხადია, ყოველი მხატვრული პრინციპი გარკვეული აზრის გამოსახატავად სჭირდება მხატვარს და ამიტომ „ჰინჭრაქას“ პარალელიზმები განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. თუმცა, უნდა გამოვტყდეთ და ვაღიარო, რომ გამიჭირდა გამომეცნო პარალელიზმის ფარული აზრობრივი დანიშნულება. მაგრამ ჯერ ამ პარალელურ ხაზებს გავეცნოთ და შემდეგ ვცადოთ ამ პრინციპის აზრობრივი საფენელის ახსნა-გაგება.

სპექტაკლში შემდეგი პარალელური წყვილებია:

1. სიუჟეტური. ერთი მხრივ — ჰინჭრაქა-მზიასა და ბაყბაყ დევის თავგადასავალი და მეორე მხრივ — დათვი და „კომპანია“. გავიხსენოთ წარმოდგენის შინაარსი.

მზია-ჰინჭრაქასა და ბაყბაყ დევის თავგადასავალი

ბაყბაყ დევმა მზიას მამა დაამარცხა და მისი სამეფო დაიპყრო. ტყეში გადამალული მზია გლეხის ბიჭს ჰინჭრაქას გაეცნო. ჰინჭრაქას შთაგონებით

მზიამ გადაწყვიტა დევს შებრძოლებოდა. ამისათვის საჭირო იყო გაეგოთ, სად იყო დამალული თუ დამწყვდეული დევის ძლიერების წყარო — ბუმბერა-

ზი. ამის გასაგებად კი უკვდავების მზე-
თუნახავთან მისვლა და ჯადოსნურ
სარკეში ჩახედვა იყო საჭირო. მზეთუ-
ნახავთან მისასვლელად კი მფრინავი
ხალიჩა იყო აუცილებელი. მაგრამ
მფრინავი ხალიჩა, ჯადოსნურ შანდალ-
თან და ბეჭედთან ერთად, მოლალატე
ბოროტმა ვეზირმა დევს მიართვა

ძღვნად. აუცილებელი იყო ამ ნივთ-
ების დაბრუნება. ჭინჭრაქამ და მზეთუ-
მთვარის დახმარებით, ნივთები მფრ-
არეს დევს, მზეთუნახავთან მიფრინ-
დნენ და ბუმბერაზის ადგილ-სამყოფე-
ლი გაიგეს. იგი გაანთავისუფლეს და
ღვეი დაამარცხეს.

ღათვისა და კომპანიის ამბავი

აქ გარკვეული სიუჟეტი არა გვაქვს.
მზიას მამის სამეფო ტყეში ბინადრო-
ბენ დათვი, მგელი, ტურა და მელა.
ისინი ამბავთა სვლაში არავითარ მო-
ნაწილეობას არ იღებენ. მხოლოდ აინ-
ტერესებთ კი, რა ხდება სამეფოში და
ტელეფონით კაქკაქთან საუბარში იგე-
ბენ, რა ამბებიც დატრიალდა ქვეყნად.
მათ სახეებს ალგეორიული მნიშვნე-
ლობა აქვს. მაგრამ ამაზე ქვემოთ.
მართალია, დათვმა და კომპანიამ ბო-
როტი ვეზირი, ქოსა მრჩეველი და დე-
ვის ჯარისკაცები შეჭამეს, მაგრამ ეს
შემთხვევით მოხდა და სიუჟეტის კა-
ნონომიერებას არ მიუყვანია ამ აქ-
ტამდე ცხოველები. თანაც, როცა ქოსა
მრჩეველი და დევის ჯარისკაცები შე-
იჭამა, სპექტაკლში მოთხრობილი ამბა-
ვი და კონფლიქტი დასრულებული
იყო (ღვეი უკვე დამარცხებული იყო).

როგორც ვხედავთ, ამ ორ ამბავს ერ-
თმანეთთან არაფერი აკავშირებს, გარ-
და, თუ შეიძლება ასე ითქვას, გეოგ-
რაფიული მდებარეობისა (დათვი და
კომპანია იმ სამეფოს ტყეში. ცხოვრო-
ბენ, რომელიც დევმა დაიპყრო) და
ცხოველების მომეტებული ცნობის-
მოყვარეობისა (დათვი და კომპანია
ტელეფონით ცდილობენ გაიგონ, რა
ხდება სამეფოში).

2. უანრობრივი პარალელიზმი. ჭინ-
ჭრაქამ-მზიასა და ბაყბაყ დევის თავვა-
დასავალი ნაამბობია ზღაპრული უან-
რით, ხოლო დათვისა და კომპანიის
ამბავი იგავ-არაკული ალგეორიაა.

თავისთავად ზღაპრისა და იგავის
უანრობრივი გაერთიანება საინტერესო
მხატვრული ამოცანა იყო როგორც
მწერლის, ისე თეატრისათვის, მაგრამ
მათი გაერთიანების მექანიკურობა მა-
ყურებელს თვალში არ უნდა ეცეს.

3. სპექტაკლში მოთხრობილი ამბები
ორ დროში ვითარდება — ირრეალურ-
ზღაპრულ და დღევანდელ დღეს. ირრე-
ალურ-ზღაპრულია ბაყბაყ დევი, უკვ-
დავების მზეთუნახავი, მფრინავი ხალი-
ჩა და სხვანი, ხოლო დღევანდლობაზე
ლაპარაკობს ტელეფონი, დათვისა და
კომპანიის ხასიათი, თვისებები და ტან-
საცმელი, ბაყბაყ დევის ჯარისკაცების
ავტომატები და სხვანი.

აქედან გამომდინარე პარალელიზმის
პრინციპითაა გადაწყვეტილი სპექტაკ-
ლის პერსონაჟების კოსტუმებიც: მზიას
ბალერინას „პაჩკა“ აცვია, ლაშას კი —
მამაკაცის ტრადიციული ქართული
კაბა; ქოსა მრჩეველი ძველ-აღმო-
საველურ ხალათსა და ქოშებშია გა-
მოწყობილი, ბაყბაყ დევი კი — კოვ-
ბოურ შარვალში; მთვარე გიმნასტი
ქალის კოსტუმით დადის და ა. შ. ყო-
ფისათვის დამახასიათებელი საგნებიც
ორ ჯგუფად არის დალაგებული: ერთი
მხრივ — მფრინავი ხალიჩა, ჯადოსნუ-
რი სარკე, შანდალი, ბეჭედი და მეორე
მხრივ — ტელეფონი, პიჟამა, ავტომა-
ტები. აქაც ზღაპრული და რეალური
ერთ სიბრტყეზეა მოთავსებული.

4. სპექტაკლში არსებული ბოროტე-

აკაკი ბაქრაძე

„ჭინჭრაქას“ ნახვის შემდეგ

ბაც ორსახიანია. ერთი სახეა ზღაპრის ტრადიციული დევი, დამახასიათებელი ავკაცობით, მეორე სახით კი ბროწეული, რომელსაც თანამედროვე ატომის თვისებები შეუძენია.

ქართული ზღაპარი იცნობს ბროწეულს, რომელსაც ქალაქის აშენება შეუძლია, მაგრამ იგი მოკლებულია დამანგრეველ თვისებებს. „ქინჭრაქას“ ბროწეული უფრო მრავალმხრივია: იგი დამანგრეველი ძალაც არის, თუ მას ბოროტება ფლობს, მაგრამ თუ სიყვითე დაეპატრონება, მაშინ კეთილდღეობის წყაროდ გახდება, ე. ი. ზღაპრულ ბროწეულს გ. ნახუცრიშვილმა თანამედროვე ატომური ენერჯის შინაარსი მიანიჭა. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ბროწეულის ატომური თვისება და ამასთან დაკავშირებული პრობლემატიკა ერთობ მკრთალად არის ნაჩვენები სპექტაკლში.

5. სპექტაკლის მუსიკაც პარალელიზმის პრინციპით არის დაწერილი. ერთმანეთის გვერდით არსებობენ ხალხური „დათვმა ლინიი გადინადა“ და „როკ-ენდ-როლისა“ თუ „ტვისტის“ მოტივები, რაც თავის მხრივ, აგრეთვე ორი ბანაკის არსებობას გულისხმობს ანდა ორი აზრობრივი სამყაროს დაპირისპირებას ემსახურება.

ამ პარალელური მოტივების ჩამოთვლით ნათელი ხდება, რომ პარალელიზმის პრინციპი სრულიად შეგნებულად არის გამოყენებული სპექტაკლში. მაგრამ, როგორც ზემოთაც ვთქვით, ძნელია პრინციპის აზრობრივი დანიშნულება-შინაარსის გაგება. აქ კაცმა უნდა იმკითხოს და შეიძლება დაფარულ აზრს მიაგნოს.

იქნება პარალელიზმი სპექტაკლის ალეგორიების გახსნას ემსახურება და ამდენად აუცილებელია? მაშინ ალეგორიები ავსნათ და მათი ფარული შინაარსი-აზრი დავადგინოთ. ერთ-ერთი მთავარი ალეგორიული ფიგურა სპექტაკლში ბაყბაყ დევია. როგორც მხატვრული სახე, იგი ერთდროულად ხალხური ზღაპრის დევზე მეტიც არის და ნაკლებიც. მეტია იმდენად, რამდენა-

დაც ბროწეულ-ატომს ფლობს (ე. ი. დღევანდელი ბოროტების გარკვეული ნიშნები აქვს მინიჭებული) და მისი ბია იმიტომ, რომ მთელი მისი ძალა სხვაზე — ბუმბერაზზეა დამოკიდებული, ე. ი. დევი მოკლებულია საკუთარ ძალ-ღონეს (ხალხურ ზღაპარში კი დევს საკუთარი ძალა აქვს: რამდენიმე თავიანია, შეუძლია ფრენა, ერთი შებერვით მიწას სპილენძად აქცევს და ა. შ.). ამასთან თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ სპექტაკლში დევს „კოვბოური“ შარვალი აცვია (ეს ზღაპრისათვის შეუფერებელ ზუსტ მისამართსაც კი იძლევა), მისი ჯარისკაცები კი პარაშუტისტთა ფორმას მიმსგავსებულ ტანსაცმელში არიან გამოწყობილი და ხელთ ავტომატები უჭირავთ და, რაც მთავარია, დევი ატომს (ბროწეულის სახით) ფლობს, უნდა ვიფიქროთ, იგი იმპერიალიზმის აგრესიული ძალების ალეგორიული ფიგურაა. მაგრამ დევს სახით წარმოდგენილი ალეგორიის ასეთი გაშიფრვის საშუალებას მხოლოდ გარეგნული კომპონენტები იძლევა და არა მისი ბუნება და ხასიათი. ბუნებითა და ხასიათით დევი — ს. ზაქარიაძე უწყინარი, განებივრებული, ჯიუტი ბავშვია. იგი ქოსა მრჩეველს კოჰს ეთამაშება, გაბუტული ესაყვედურება — რად მიჯავრდები, ჯერ სულ პატარა, ორი თუ ოთხი წლისა ვარო, დამით თავს განგებ იმძინარებს, რათა ქოსა მრჩევლის ლიტინს (დევს ჰგონია, რომ ქოსა ულიტინებს, როცა ჭინჭრაქა ცდილობს ჯადოსნური ნივთები მოპაროს) ყურადღება არ მიაქციოს და ამით გამზრდელი გააბრაზოს, საიდუმლოს შენახვა არ შეუძლია და ა. შ. დევს ამგვარი თვისებები მეტისმეტად ინფანტილურ ბოროტებას წარმოგვიდგენს; დევის ხასიათის ინფანტილიზმი კი ალეგორიას აზრს უკარგავს, რადგან, თუ სწორად გამოვიცანით და დევში ქარაგმულად მართლა იმპერიალიზმი იგულისხმება, მაშინ იმპერიალიზმის აგრესიული ძალების ინფანტილურად წარმოდგენა მწარე შეცდომაა. საერთოდ ბოროტების ინფანტილურად



წარმოდგენა არ შეიძლება, რადგან ამით ნელდება მაყურებლის სიძულვილი ბოროტების მიმართ და მას ერთგვარი გულაჩვილებული დამოკიდებულება უჩნდება. ასეც არის სპექტაკლში: დევი უწყინარი ღიმილის მომგვრელი ბოროტებაა და არა სიძულვილის აღმძვრელი. ერთი სიტყვით, გარეგნული კომპონენტების პარალელიზმით მიგნებულ ალეგორიას შინაარსს, აზრს უკარგავა პერსონაჟის ხასიათი და ბუნება და ამდენად, მათ შორის წინააღმდეგობაა, რაც სახის მთლიანობასა და ერთიანობას შლის.

სპექტაკლში ბაყბაყ დევს ორი მოწინააღმდეგე ჰყავს—ჭინჭრაქა და მზია. ცხადია, თუკი დევი ალეგორიული პერსონაჟია, მისი ორი მოწინააღმდეგეც გარკვეული ქარაგმული შინაარსის მატარებელი უნდა იყოს. ამ თვალსაზრისით ჯერ მზიას სახე განვიხილოთ: სცენაზე გამოჩენისას მაყურებლის ყურადღებას მზიას ჩაცმულობა იპყრობს: მეფის ასულის ბალერინას „პაჩკა“ აცვია. რას ნიშნავს ეს? „პაჩკა“ ხომ სრულიად გარკვეულ პროფესიასთან არის დაკავშირებული და განზოგადების ან ალეგორიული მნიშვნელობით მისი გამოყენება შეუძლებელია. იგი არც დროის მიმანიშნებელ ფაქტორად გამოდგება (ბალერინებს ყოველ დროში „პაჩკები“ ეცვათ), არც ეროვნული კოლორიტისა თუ ხასიათის მისამართს გვაძლევს (ყოველი ერის ბალერინას „პაჩკა“ აცვია; ამას მოითხოვს პროფესიაც) და არც პერსონაჟის ხასიათს განსწავნავს გვეხმარება (მზიას ცეკვა უყვარს? მაგრამ ეს არსებითს მეფის ასულის ხასიათზე არაფერს ამბობს). ამ შემთხვევაში ტანსაცმელი ნათელ ალეგორიულ შინაარსს არ ატარებს. იგი აზრობრივ გაუგებრობას უწყობს ხელს და სპექტაკლის მხატვრულ გადაწყვეტას აბუნდოვანებს. სხვათა შორის, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსახიობი ბელა მირიანაშვილი როლის შესრულებისას მზიას ჩაცმულობიდან უფრო გამოდის, ვიდრე მეფის ასულის ხასიათიდან. ამიტომაც არის, რომ მზიას მოძრაობებში

ხაზგასმულია ცეკვისეული პლასტიკური ხაზები. ცეკვისეული პლასტიკურობის მოძრაობებში გარეგნულად იძლება ლამაზი იყოს (თუმცა პირადად მე ეს საეჭვოდ მიმაჩნია, რადგან მზიას მოძრაობა არც ცეკვაა და არც ნორმალური სიარული. რაღაც საშუალო კი ყოველთვის უკმარობის შთაბეჭდილებას ახდენს), მაგრამ აზრობრივად და შინაარსობრივად მზიას გაბალერინებული სახე გაუგებარია. იქნებ ეს ორი ალეგორიული ფიგურა—ბაყბაყ დევი და მზია—ბალერინა—უხეში აგრესიული ძალისა და ხელოვნების ბრძოლას გულისხმობს? ამ ბრძოლაში მზია, ე. ი. ხელოვნება, იმარჯვებს. მაგრამ აქ ერთი რამ არის საშიში: იქნებ სპექტაკლის ავტორებს ის აზრი მივაწერეთ, რის გამოთქმაც მათ მიზნად არ ჰქონიათ? ასეა თუ ისე, ერთი ცხადია: მზიას სახეს სინათლე და სიცხადე აკლია.

მზი, დევის წინააღმდეგ ბრძოლაში მართო არ არის. მას მოკავშირე ჰყავს ჭინჭრაქას (მსახიობი კ. საკანდელიძე) სააით. ჭინჭრაქა, სხვა პერსონაჟებთან შედარებით, უფრო ახლოს დგას ხალხური ზღაპრის გმირებთან. თუმცა, ერ აგვარი გამათანამდროვებელი ელემენტი მის სახეშიც არის შეტანილი: მაგალითად, მისთვის უცხო არაა ტელეფონი (იგი მზიას ტელეფონობის ეთამაშება და თავის მდებობას ხაზს უსვამს პროვინციული „ალიოს“ ხშირი გამეორებით), მაგრამ უმთავრესი მაინც ის არის, რომ მსოფლმხედველობრივად ჭინჭრაქას თანამედროვე ადამიანის შეხედულებები აქვს. იგი აცხადებს, რომ ბროწეულ-ატომს ბუმბერაზს გადასცემს ხალხისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ. მართალია, ჭინჭრაქას სახე უფრო მთლიანის და ჩამოქნის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ იგი ვერ გაექცა ერთბაშად მთლიანობას. ამის გამო ჭინჭრაქას სახის მეორე პლანის ალეგორიული შინაარსი ყურადღებას ვერ იპყრობს და ინტერესს არ

აკაკი ბაქრაძე
„ჭინჭრაქას“ ნახვის შემდეგ

იწვევს. უფრო მეტიც, უტბად თანამედროვე კაცის ენით ჭინჭრაქას ამეტყველება (იგულისხმება მისი კრედო: ბროწეულ-ატომი მოხმარდეს მშვიდობას) მოულოდნელი და არალოგიკურიც გეჩვენებათ.

ჭინჭრაქას სახეს აუცილებლად სჭირდებოდა მრავალპლანიანობა. ერთდროულად უნდა შეგვეგრძნო ტრადიციული ზღაპრის გმირის გონიერება, გამჭრიახობა, ვაჟკაცური ოპტიმიზმი და თანამედროვე ადამიანის ცხოვრებისეული სიბრძნე, აზროვნების სიმართლე. მაშინ შესძლებდა იგი მთელი სპექტაკლის ალეგორიული აზრის ნათლად გახსნას. ამჟამად კი იგი რჩება ტრადიციულ გლეხად არა მარტო ჩაცმულობის მიხედვით, არამედ აზროვნების დონითა და ფორმითაც. ეს კი, ჩემი აზრით, ჭინჭრაქას გამოთიშავს სპექტაკლის საერთო სტილიდან, ამავე დროს აღარბიებს კიდეც მის სახეს.

სპექტაკლში მთელი ალეგორიული სამყარო არსებობს დათვის, მგლის, მელასა და ტურას სახით.

ადამიანისა და ცხოველის ურთიერთობა ზღაპრისათვის ჩვეულებრივი ამბავია. ცხოველი ხშირად ადამიანის მოკავშირეა. მაგალითად, არწივი ფრენაში ეხმარება (შეიძლება ფრთებიც აჩუქოს), ირემი — სიმარდეს მატებს და ა. შ. ხანდახან ცხოველი ადამიანის მტერიც არის, რადგან ზოგჯერ ბოროტების ძალას ინახავს: დევის სული, ჭკუა და ძალა შეიძლება ტახის თავში ცხოვრობდეს, იქ შენახულ კოლოფში დამწყვდეული სამი ჩიტის სახით. დევის დამარცხებას თუ მოიწადინებს ადამიანი, ცხადია, მან ტახი უნდა მოკლას და სამივე ჩიტი დახოცოს და ამ გზით გამოაცალოს დევს სული, ჭკუა და ძალა. ერთი სიტყვით, ზღაპარში ცხოველი ადამიანის ან მოკავშირეა, ან მტერი; ნეიტრალური და გულგრილი კი არასოდეს არ არის. სპექტაკლ „ჭინჭრაქაში“ კი დათვი და კომპანია ნეიტრალური სამყაროა. მართალია, დათვმა, მგელმა, მელამ და ტურამ ბოროტი ვეზირი შეჭამეს, მაგრამ

ეს სტომამქის დაკმაყოფილების მოხსნით მოხდა და არა მზიასა და ჭინჭრაქას დასახმარებლად. ისინი არც მტრები არიან მზიას და ჭინჭრაქასი. ე. ი. სპექტაკლში ზღაპრის ლოგიკა დარღვეულია, მაგრამ იგი არც სხვა რაიმე ლოგიკით არის შეცვლილი. ამიტომ მათი დაკავშირება სპექტაკლის ძირითად ამბავთან დათვისა და კომპანიის ალეგორიული შინაარსის დადგენის შემდეგ თუ მოხერხდება.

გარეგნულად დათვის, მგელს, მელასა და ტურას დამოუკიდებელი, მკვეთრად ინდივიდუალიზებული სახეები აქვთ, მხოლოდ დრამატურგიული ფუნქციის თვალსაზრისით არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

დათვი პიქამაში ჩაცმული დაიარება და ლაპარაკისას რაჭულად უქცევს. იგი მთელი თავისი ბუნებით ობივატელურ-მეზინაური სამყაროს წარმომადგენელია. მგელი ძველი ყაიდის პროვინციული დარდიმანდია. იგი იოლ ცხოვრებას ეტრფიალება და ხელობად მომღერალთა თვითმოქმედი გუნდის ხელმძღვანელობა აურჩევია. ჩაცმულობით და ხასიათით მგელი იმერელს ვაგახსენებთ, თუმცა მეტყველებისას ხანდახან მეგრული აქცენტით სარგებლობს. მელა ჩაცმით და ხასიათით ქალაქელი კოკობზიკაა, ტურა კი — პროვინციული ჭორიკანა დედაკაცი. თუ ამ გარეგნული დახასიათებებიდან გამოვალთ, მაშინ დათვი და კომპანია ჩვენი ყოფის გარკვეული უარყოფითი მოვლენების — ობივატელობის, მუქთახორობის, ჭორიკანობის — პერსონიფიცირებული უკუფენაა. ეს აზრი მართალი იმიტომაც გგონია, რომ დათვისა და კომპანიის მიმართ მყურებლის დამოკიდებულება სიცილით გამოიხატება, ე. ი. მამხილებელ ელემენტს ატარებს. მართალია, სიცილს სატირის ხასიათი არა აქვს, იგი უფრო იუმორით არის გაყენებული, რაც კრიტიკულ დამოკიდებულებას არბილებს, მაგრამ იგი მაინც გამკიცხავი თვისებაა.

სპექტაკლის იგავ-არაკულ ნაწილში (ეს შეეხება დათვისა და კომპანიას) სი-



ცილი გამოწვეულია გაუმართლებელი საშუალებებით. მაგალითად, მსახიობი ე. მანჯგალაძე და რეჟისორი მ. თუმანიშვილი სარგებლობენ ზეპირად გავრცელებული წარმოდგენებით რაჭულ სიღინჯესა, სიღარბაისლესა და სიზანტეზე და ამ თვისებებს აკავშირებენ დათვის სახესთან. ცხადია, რაჭული კილოთი მოლაპარკე, ზანტი და დინჯი დათვი (აქ ისიც უნდა დავმატოს, რომ ე. მანჯგალაძე როლს როგორც მეტყველების, ისე ფიზიკური მოძრაობის თვალსაზრისით საოცარი სიზუსტით ასრულებს) სიცილს იწვევს, მაგრამ ეს სიცილი გამოწვეულია გარეგნული ფორმით (დათვი-რაჭველის ნიღბით) და არა დათვის ალგორითული სახის შინაარსით. ობიექტულობა (პირადად მე, როგორც მაყურებელმა, დათვი ობიექტულური ბუნების ადამიანად აღვიქვით) არა ეთნოგრაფიულ-ტომობრივი თვისება, იგი სოციალური მოვლენაა და ამდენად სიცილიც მიმართული უნდა იყოს ობიექტულობის, უარყოფითი სოციალური შინაარსის წინააღმდეგ. მაგრამ აქ თავს იჩენს პიესის ნაკლოვანება — ამა თუ იმ სახის სქემატურობა და შინაგანი სიცარიელე. ამიტომაც არის, რომ მგლის როლის შემსრულებელი გ. გეგეჭკორიც სიცილის აღსაძვრელად უმთავრესად ნიღბს მიმართავს (მგელი იმერელისა თუ მეგრელის ნიღბით). თუმცა აქაც გაურკვეველია, ფუქსავატური დარღვიანობა (რაც, ჩემი აზრით, მგლის სახის შინაარსია) რატომ უნდა იყოს წარმოდგენილი იმერელის ან მეგრელის ტომობრივ-ეთნოგრაფიულ თვისებად მაშინ, როცა საქმე გვაქვს ისევ სოციალურ მოვლენასთან? ეთნოგრაფიული ნიღბები არ არის არც უბრალო შტრიხი, გამოყენებული სახის გასაცოცხლებლად და არც ხალხური კომედიის ნიღბების გაცოცხლება-განახლება. ხალხური კომედიის ნიღბი (გავისენოთ, მაგალითად, ქალაქური ბერკაობა ან ყენობა) ყოველთვის სოციალურ ან პოლიტიკურ შინაარსს გულისხმობდა. მარტო ის რად ღირს, რომ მე-19 საუკუნეში ყენობამ ყენის

ნიღბი რუსეთის მეფის ჩინოვნიკების ნიღბით შეცვალა! ამით იყო გამოიყვანებული ხალხის დამოკიდებულება სინამდვილესთან. ესა თუ ის ნიღბი შექმნილი ინდივიდუალური შემოქმედისა თუ ხალხის მიერ, აუცილებლად გულისხმობს სინამდვილესთან დამოკიდებულებას (ცხადია, ამ დამოკიდებულებაში სრულიად გარკვეული აზრია). სხვანაირად იგი უშინაარსო ფორმაა.

სხვათა შორის, ქართულ თეატრში არსებობს ერთი მავნე ჩვეულება: როცა რომანტიკულისა და ამბულბულის გამოხატვა უნდათ, მიმართავენ მოხევურ ან ხევსურულ კილოს, ხოლო, როცა სასაცილოსი — იმერულს ან გურულს. ალბათ ხანდახან ავიწყდებათ, რომ არსებობს ერთიანი ქართული სალიტერატურო ენა, რომელზეც თავისუფლად გამოიხატება სასაცილოცა და რომანტიკულ-ამბულბულიც. ლიტერატურული ენის როგორც წერითი, ისე მეტყველებითი საშუალებების გამდიდრება არ ხდება პროვინციალიზმისაკენ მიბრუნებით (პროვინციალიზმში იგულისხმება დიალექტის გრამატიკულ-სინტაქსური ფორმებისა და სამეტყველო ინტონაციის უთავბოლო გამოყენება და არა დიალექტებიდან ნასესხები ლექსიკური მასალით ენის გამდიდრება). მაქსიმ გორკი წერდა: ენის დამახინჯებასა და დანაგვიანებაში უდიდეს როლს თამაშობდა და თამაშობს ის ფაქტი, რომ ჩვენ (ე. ი. რუსები — ა. ბ.) ლაპარაკის დროს ვცდილობთ თბილისში ქართველებს წავბაძოთ, ყაზანში — თათრებს, ვლადივოსტოკში — ჩინელებს და ა. შ. ეს წმინდა მექანიკური წაბაძვა ერთნაირად მავნებელია იმათთვისაც, ვისაც ბაძავენ და იმისთვისაც, ვინც ბაძავს. ეს მავნე ტრადიციაა. ზოგიერთი ტრადიცია კი სხვა არაფერია, თუ არა ტვინის კოჟრები (Мозоли мозга), რომელიც ხელს უშლის გონების შემეცნებით მუშაობასო. თავისუფლად შეიძლება იგივე

აკაკი ბაქრაძე
„ჭინჭრაქას“ ნახვის შემდეგ

ითქვას ქართული თეატრის ცდაზეც, ამა თუ იმ მხატვრული ამოცანის გადაწყვეტის მიზნით მიმართოს ქართული ენის დიალექტების გრამატიკულ-სინტაქსურ ფორმებსა თუ სამეტყველო ინტონაციას. დღევანდელი ქართული თეატრის, კინოს, ტელევიზიის, რადიოს სამეტყველო ენა ლიტერატურული ქართული უნდა იყოს და სამეტყველო ინტონაციაც ლიტერატურული ენის კანონებს უნდა ემორჩილებოდეს. ყველა სხვა გზა ახლა მხოლოდ ჩამორჩენილობისა და ენისადმი უპატივცემულობის ნიშანია.

მივუბრუნდეთ ისევ სპექტაკლს. როცა დათვი და კომპანიის შესახებ ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ აღინიშნოს დათვის, მგლის, მელასა და ტურას „პორტრეტული გადაწყვეტის“ სიზუსტე. მიუხედავად იმისა, რომ არსად სპექტაკლში არ მიმართავენ არავითარ ტექნიკურ საშუალებებს ამ ცხოველებთან მსგავსების გასაძლიერებლად, მაინც მაყურებელი ერთი წუთითაც არ ეჭვდება, რომ სცენაზე მის თვალწინ დათვი, მგელი, ტურა და მელა არაა. სპექტაკლის პერსონაჟი ცხოველები ყოველი ადამიანის წარმოდგენაში ცოცხლობენ გარკვეული დამახასიათებელი თვისებებით და მსახიობებიც (ე. მანჯგალაძე, გ. გეგეჭკორი, მ. ჩახავა, ზ. კვერენჩხილაძე) სწორედ ამ ნაცნობ თვისებებს ზუსტად გვახსენებენ, მკაფიოდ წარმოგვიდგენენ და მაყურებელიც არავითარ სიყალბეს არ გრძნობს.

ავად თუ კარგად შევეცადეთ დათვი, მგელი, მელა და ტურა თითქმის სათითაოდ დაგვეხასიათებია და მათი ალეგორიული შინაარსი ამოგვეცნო. ისინი ობიექტულობის, მუქთახორობის, ჭორიკანობის, უზრუნველ-უდარდელობის ქარაგმულ მხილებლად (იგავ-არაკულ ფორმაში) მივიჩინეთ. დავუშვათ, რომ მართალი ვართ. მაშინ სრულიად ბუნებრივად ისმის კითხვა: რა მხატვრული დეური კავშირია ბაყბაყ დევის (ე. ი. ბოროტების) და მზია-ჭინჭრაქას (ე. ი. სიკეთის) ბრძოლასა და ცხოვრებისეუ-

ლი უარყოფითი მოვლენების მამხილებელ იგავს შორის? და თუ არა, ვართ მართალი — მაშინ საერთოდ რას ნიშნავს დათვისა და კომპანიის იგავ-არაკი? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ძალიან ძნელია ისე, რომ საკუთარი მოსაზრების სიმართლეში დაეჭვებული არ იყო, რადგან სპექტაკლის აზრობრივი ბუნდოვანება ხელს უშლის მკაფიო დასკვნების გამოტანას. მიუხედავად ამისა, მაინც შევეცდებით სპექტაკლის ამ ორი ხაზის დამაკავშირებელი რგოლის პოვნას.

დათვი და კომპანია გულგრილია იმ ბრძოლის მიმართ, რომელსაც მზია და ჭინჭრაქა აწარმოებენ დევის წინააღმდეგ. მართალია, მათ აინტერესებთ, ჭორიკანული ცნობისმოყვარეობის თვალსაზრისით, თუ რა ხდება, მაგრამ ბრძოლაში მონაწილეობის მიღება არც ერთის მხარეზე არ სურთ და მომღერალთა გუნდში მეცადინეობას უაზროდ განაგრძობენ. მთვარე, მაგალითად, სიკეთისა და ბოროტების ბრძოლის დროს ნეიტრალური არაა. იგი ჭინჭრაქასა და მზიას ეხმარება ჯადოსნური ნივთების მოპარვაში. ეს ალეგორია ნათელია: სინათლე სიკეთის მოკავშირეა ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლაში. მთვარის აქტიურობამ გვაფიქრებინა, რომ მის საპირისპიროდ არსებობს ცხოველების (ამ კონკრეტულ შემთხვევაში დათვის, მგლის, მელასა და ტურას) პასიურობა-გულგრილობა. აქ უნდა გავიხსენოთ ერთი ფილოსოფოსის სიტყვები, რომელიც ბრუნო იასენსკის მოყავდა თავის რომანის ეპიგრაფად: ნუ გეშინიათ მეგობრების, უკიდურეს შემთხვევაში, მათ შეუძლიათ გიღალატონ; ნუ გეშინიათ მტრებისა, უკიდურეს შემთხვევაში, მათ შეუძლიათ მოგკლან; გეშინოდეთ გულგრილთა, რადგან მათი ჩუმი თანხმობით არსებობს ამქვეყნად ყოველგვარი ბოროტებაო. გვინდა ვიფიქროთ, რომ ამ აზრით არის ნაჩვენები დათვისა და კომპანიის გულგრილობა სპექტაკლში. მაშინ გასაგები გახდება, რა აზრობრივი კავშირია სიუჟეტურად და ქანობრივად ორ და-




მოუკიდებელ ამბავს შორის. სხვანაირად გამოცანა გამოუცნობი რჩება. გასაგები ხდება აგრეთვე პარალელიზმები, რომლებიც თანამედროვეობაზე მიგვანიშნებენ, რადგან გულგრილობის წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენი ეპოქის ერთი მეტად აქტუალურ საკითხთაგანია.

პრინციპი, რომლის მიხედვითაც „ჭინჭრაქა“ არის დაწერილი, ახალი და ორიგინალური არაა. თანამედროვე დრამატურგია ხშირად მიმართავს თავისებურად გადააზრებული ზღაპრული თუ მითოლოგიური სიუჟეტის გადმოტანას დღევანდელ სინამდვილეში ანდა პირიქით: ჩვენი ეპოქის მიერ წამოჭრილი პრობლემები გადააქვთ წარსულში, ხევეენ ზღაპრული თუ მითოლოგიური ამბების ბურუსში და ამ გზით ცდილობენ მათ (დღევანდელ პრობლემებს) ზოგადფილოსოფიური პასუხი გასცენ. ეს იმდენად ხშირი მოვლენაა დღეს დრამატურგიაში, რომ დამასაბუთებელი მაგალითების დასახელებაც კი არ არის საჭირო. „ჭინჭრაქაშიაც“ ქართული ხალხური ზღაპრის მოტივები დღევანდლობის მიერ წამოჭრილი საკითხების მხატვრულ ანალოზს უნდა დახმარებოდნა. რა თქმა უნდა, თანამედროვეობასთან დამაკავშირებელი მოტივები სპექტაკლში არსებობს (ამაზე ზემოთაც ვლაპარაკობდით: ბროწეული-ატომი, მისი საკეთილდღეოდ გამოყენება და ა. შ.), მაგრამ მათ, ფილოსოფიური გააზრების თვალსაზრისით, სიღრმე და სინათლე აკლია. გარდა ამისა, სპექტაკლში აზრობრივ-შინაარსობრივი მხარე მეორე პლანზე დარჩა გადატანილი, პირველი პლანი კი წარმოდგენის ფორმალურმა გადაწყვეტამ დიქირა. ცოდვა აღიარებული სჯობსო და გულახდილად უნდა ითქვას, რომ სპექტაკლი „ჭინჭრაქა“ ფორმით უფრო საყურადღებოა, უფრო თანამედროვეც (დადგმის კულტურის დონით), ვიდრე შინაარსით, მიუხედავად იმისა, რომ ქარავმულად იგი ეპოქის საჭირობოროტო პრობლემებს ეხმაურება. ალბათ სურვილმა — შეენარჩუნებია ზღაპრისა-

თვის დამახასიათებელი თხრობის სიმსუბუქე და თავისუფლება — ზოგან ბუნდოვანებისაკენ უბიძგა სპექტაკლის შემქმნელებს და ზოგან პრიმიტიულობამდე დასული უბრალოებისაკენ. ამიტომაც იყო, რომ სპექტაკლის ანალიზის დროს უპირველესად ფორმის საშუალებით ვცდილობდით შინაარსის ამოკითხვას, და არა იმის დადგენას, თუ რამდენად შეესაბამება პიესის აზრსა და შინაარსს რეჟისორის მიერ მოქმენილი ფორმა. სისურველი კი იყო, სპექტაკლის ფორმასაც და შინაარსსაც თანაბრად მიეპყრო მაყურებლის ყურადღება და არც ერთის უპირატესობა არ გვეგრძნო, რადგან ჭეშმარიტი მხატვრული გამარჯვების ერთ-ერთი უპირველესი ნიშანი ფორმისა და შინაარსის კლასიკური ზომიერებით შერწყმა-შეერთებაა. სხვანაირად ყოველი მხატვრული ნაწარმოები ყოველთვის ტოვებს უკმარობის, უკმაყოფილების, დაშლილობის და ბუნდოვანების შთაბეჭდილებას. ასეთ გრძობას ვერც „ჭინჭრაქას“ ნახვის შემდეგ გავიქეცი.

შეიძლება მკითხველის გაკვირვება გამოიწვიოს იმ ფაქტმა, რომ წერილში ქოსა მრჩეველის როლის შემსრულებელი რ. ჩხიკვაძე არ გვიხსენებია. ამას აქვს თავისი მიზეზი: ქოსა მრჩეველის სახე არაა დამოუკიდებელი დრამატურგიული და სიუჟეტური ფუნქციის მატარებელი. იგი დევის გარშემო გარკვეულ ატმოსფეროს და კოლორიტს ქმნის. აქტიორული შესრულების თვალსაზრისით კი იგი იმდენად საინტერესოა, რომ აუცილებლად მოითხოვს სპეციალურ გაანალიზებას და ცალკე წერილს, სადაც დაწვრილებით შეიძლება დახასიათდეს რ. ჩხიკვაძის თამაში. ამ საინტერესო აქტიორული ნამუშევრის ზერეულედ მოხსენიება მიზანშეწონილად არ მივიჩნით.

აკაკი ბაქრაძე
„ჭინჭრაქას“ ნახვის შემდეგ



დრამატული ნაწარმოების ენა

სასცენო მეტყველების საერთო პრობლემატიკაში შემაჯავალ საკითხთა შორის დიდად მნიშვნელოვანია დრამატული ნაწარმოების ენის საკითხი.

ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკითხი არ არის მეცნიერებაში სათანადოდ დამუშავებული და გამოკვლეული. მონოგრაფიულად დრამატული ნაწარმოების ენის პრინციპული საკითხები არავის შეუსწავლია და თუ ამ საგანზე არსებულ ცალკეულ მოსაზრებებსა და დებულებებს თვალს გადავაკვლებთ, დავრწმუნდებით, რომ არსებობს მხოლოდ ერთმანეთის გამომრიცხავი შეხედულებანი, დაუზუსტებელი ფორმულირებანი და არამყარი დებულებანი.

ეს გარემოება შესაძლებელია იმიტომ აიხსნებოდეს, რომ დრამატურგიის ენის საკითხი სტილისტიკის საერთო პრობლემატიკას განეკუთვნება, უფრო ზედმიწევნით რომ ვთქვათ, იგი უნდა განიხილებოდეს მხატვრული ლიტერატურის სტილის ასპექტში, მაგრამ სტილისტიკის პრობლემა ჯერ კიდევ გადაუწყვეტელია მეცნიერებაში და, ამდენად, როგორც ვხედავთ, დრამატული ნაწარმოების ენის შესწავლას წინ ეღობება ფუძემდებელი ლინგვისტურ-ლი-

ტერატურული პრინციპული საკითხების მოუგვარებლობა თუ არასაკმარისი სიცხადით გადაწყვეტა. აქედან გასაგებია, რომ რაკი ჩვენთვის საინტერესო საკითხის გასარკვევად აუცილებელი თეორიული წინამძღვრები სრული ეჭვმიუტანლობით დადგენილი არ არის, ყოველგვარ მსჯელობას ამ მიმართულებით სიფრთხილე სჭირდება და საბოლოო დასკვნების გამოტანაც ფაქტობრივი მასალის დეტალურ ანალიზს უნდა ემყარებოდეს.

ჩვენ მიზნად არ ვისახავთ დრამატული ნაწარმოების ენის ამომწურავი და სრული ეჭვმიუტანლობით გარკვევას, — შევეცდებით მხოლოდ რამდენიმე მოსაზრება გამოვთქვათ ჩვენთვის საინტერესო საგანზე.

ენა ადამიანთა შორის ურთიერთობის საშუალებაა. მართალია, იგი ურთიერთობის საერთო-სახალხო იარაღია (რამდენადაც ამა თუ იმ ენაზე მოლაპარაკე ადამიანები ერთმანეთს თავის სათქმელს აგებინებენ), მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ენაში შინაგანი დიფერენციაცია არ არსებობდეს, — ენის მთლიანობა არ გამორიცხავს მის მრავალფეროვნებას. ენას ადამიანები იყენებენ თავიანთი ურთიერთობის სხვა-



დასხვა სფეროში, სხვადასხვა გარემოში. აქედან ვასაგებია, რომ ენა არ შეიძლება ერთნაირი სტრუქტურისა იყოს ადამიანთა ურთიერთობის სფეროებში, განსხვავებულ სიტუაციებსა და სოციალურ გარემოში. ეს შინაგანი დიფერენციაცია თავს იჩენს ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური, გრამატიკული და ფონეტიკური საშუალებების თავისებურ შერჩევასა და შეხამებაში. ენობრივ საშუალებათა ამ თავისებური შერჩევის კვალობაზე გამოიყოფა მეტყველების სახეობანი, რომელთაც სამეტყველო სტილს ვუწოდებთ. მაშასადამე, ყოველ ენაში არსებობს სხვადასხვა სამეტყველო სტილი, რომლებიც წარმოადგენენ საერთო-სახალხო ენის, მეტყველების შინაგანშტოებებს, შინასახეობებს. ყოველი სამეტყველო სტილი სისტემას წარმოადგენს, რამდენადაც შერჩეული ლექსიკურ-გრამატიკული და ფონეტიკური ელემენტები ურთიერთშეკავშირებული და ურთიერთშეხამებულია. ასე, მაგალითად, მეცნიერული სტილის ძირითადი ფუნქციაა — ბუნებისა თუ საზოგადოებრივი ცხოვრების ზუსტი აღწერა და ახსნა, ამა თუ იმ დებულების ლოგიკური დასაბუთება. ამ სტილის ლოგიკური ხასიათი თავის გამოხატულებას პოულობს თავისებურ ლექსიკურ-ფრაზეოლოგიურ და გრამატიკულ მოვლენებში. მეცნიერულ სტილში ჭარბობს ტერმინოლოგიური ხასიათის სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც იხმარება ზუსტი საგნობრივ-ლოგიკური მნიშვნელობით და ისინი ზედმიწევნით ასახავენ საგნებსა და მოვლენებს.

აქვე უნდა ითქვას, რომ სხვადასხვა სამეტყველო სტილის არსებობა ოდნავადაც არ გამორიცხავს საერთო-სახალხო ენის მთლიანობას. ყოველი ცალკეული სტილის ყოველი სიტყვა თუ ფრაზეოლოგიური შეხამება განეკუთვნება საერთოეროვნული ენის ლექსიკურ ფონდს; ყოველი გრამატიკული კონსტრუქცია, გამოყენებული ამა თუ იმ სამეტყველო სტილში, წარ-

მოადგენს საყოველთაო ენის გრამატიკული სისტემის შემადგენელ ნაწილს. ამა თუ იმ ენაზე მოლაპარაკე ყოველ ადამიანს შეუძლია გამოიყენოს საურთიერთო საშუალებათა სხვადასხვა სამეტყველო სტილი, იმისდა მიხედვით, თუ როგორია სფერო და სიტუაცია ურთიერთობისა. ჩვენი მსჯელობა აქ პრინციპული ხასიათისაა, თორემ, ცხადია, პრაქტიკულად საზოგადოების ყველა წევრი შეიძლება არ ფლობდეს მეტყველების ყველა სახეობას.

ზავგასამელია შემდეგი დებულება: ეროვნული ენის სხვადასხვა სამეტყველო სტილს აქვს საერთო საფუძველი, ესაა სალიტერატურო ნორმა. სალიტერატურო ნორმა ისტორიული კატეგორიაა და ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ენის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე სხვადასხვანაირია. სალიტერატურო ნორმა ეროვნული ენის უმაღლესი და დამუშავებული ფორმაა.

ენაში გამოიყოფა სამეტყველო სტილის ორი ძირითადი სახეობა: მწიგნობრული სტილი და სასაუბრო სტილი.

თავის მხრივ ამ ორ ძირითად სახეობას თავისი ქვესახეობებიც მოეპოვებათ. ასე, მაგალითად, ოფიციალურ-საქმიანი სტილის სტრუქტურაში არსებობს გარკვეული ვარიაციები იმისდა მიხედვით, თუ რა კატეგორიისაა ტექსტი (დიპლომატიური დოკუმენტები, ხელშეკრულებანი სახელმწიფოთა შორის, საკანონმდებლო აქტები, იურიდიული საბუთები, ოფიციალური მიმოწერა დაწესებულებათა შორის და სხვ.).

არაერთგვაროვანია სასაუბრო-სალაპარაკო სტილიც. უნდა გამოვყოთ: ლიტერატურულ-სასაუბრო და ფამილარულ-სასაუბრო ქვესახეობანი.

როდესაც ვლაპარაკობთ ყოველ განვითარებულ ეროვნულ ენაში მწიგნობრული და სასაუბრო-სამეტყველო სტილის სხვაობაზე, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვგულისხმობთ მათ შორის არსე-

შოთა ძიძიგური
დრამატული ნაწარმოების ენა

ბით, ძირეულ განსხვავებას; ამ სახეობებს შორის უფსკრული არ არსებობს, აქ მხოლოდ საერთოეოროვნული ენის სტილისტურ დიფერენციაციაზე არის საუბარი.

ჩვენ ზეპირი, სასაუბრო სამეტყველო სტილი დრამატული ნაწარმოების ენის საფუძვლად მიგვაჩნია. სხვანაირად რომ ვთქვათ, პიესის ენა არ შეიძლება დავაფუძნოთ საერთოეოროვნული ენის სტილურ განშტოებას — მწიგნობრულ სამეტყველო სტილს, რამდენადაც დიალოგური მეტყველება სტილის სალაპარაკო სახეობის უკუფენაა, ამ ენის ლიტერატურული ქმნილების პერსონაჟები სადა ენით უნდა მეტყველებდნენ, მათს ენაში თავის გამოხატულებას უნდა ჰპოვებდეს სასაუბრო სტილისათვის ნიშანდობლივი ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური, გრამატიკული და ფონეტიკური თავისებურებანი.

დრამატურგიული ნაწარმოების დავაფუძნება საერთოეოროვნული ენის მწიგნობრული სტილის კონსტრუქციებზე მიუღებელია მხატვრული თვალსაზრისით, გაუმართლებელი და არაბუნებრივია გმირის ენობრივი დახასიათებისათვის.

რაკი ზეპირ, სასაუბრო-სალაპარაკო სტილს პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება დრამატული ნაწარმოების ენისათვის, საჭიროდ მიგვაჩნია დავახასიათოთ ამ სამეტყველო სტილის სტრუქტურული ნიშნები.

უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ ზეპირ ანუ სასაუბრო სამეტყველო სტილს ნაკლებად ახასიათებს რთული დაქვემდებარებული წინადადებები, რთული სინტაქსური კონსტრუქციები, რომლებიც უფრო ნიშანდობლივია მწიგნობრულ-სამეცნიერო სტილისთვის. სასაუბრო სტილს შეეფერება მარტივი წინადადებები, მარტივი სინტაქსური დაკავშირებანი, თანწყობის (პარატაქსის) კონსტრუქციები; იგი გაურბის კავშირებსა და საკავშირებელ სიტყვებს. უმთავრესად — მაქვემდებარებელ კავშირებს. მაგალითად, ქართულ სასაუბრო ენაში იშვიათად შეხვდებით ისეთ

კავშირებს, როგორცაა ვინაიღა იმიტომ რომ, რამედ და მისთანანი. საუბარს უყვარს უკავშირო წინადადებები. მხატვრული ლიტერატურის ენა, საზოგადოდ, აცდენილია მწიგნობრული სტილის შტამს და, მაგალითად, არ არის შემთხვევითი, რომ აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას თხზულებებში იშვიათად შეხვდებით არამედ კავშირს, რომელიც მწიგნობრულ დაღს ასვამს მეტყველებას. აი წინადადებები, რომლებშიც არამედ კავშირი გაუჩინარებულია: „არა თუ აზრი, ყოველი სიტყვის მნიშვნელობა უნდა გვცოდნოდა და აგვეხსნა“ (აკაკი); „არამც თუ ვინაჲ, დიდად კმაყოფილი დავრჩი“ (ილია); „მარგია კი არა, ხელსაც მიშლის საზრდოს შოვნაში“ (ვაჟა) და სხვა. ამ წინადადებებში მწიგნობრული ენის შაბლონის მიხედვით უნდა ყოფილიყო კავშირი — არამედ. ამგვარი ასინდეტური კონსტრუქციები ჩვენს კლასიკოსებთან იმით აიხსნება, რომ არამედ მწიგნობრული წარმოშობისა და არ გვხვდება ხალხურ-სასაუბრო მეტყველებაში. გავიხსენოთ: „მაღლა კი ნუ სცემ სპილოსა, დაბლა შემოჰკარ რბილოსა“ (და არა: „არამედ დაბლა შემოჰკარ რბილოსა“). ამიტომ ბუნებრივია, რომ კლასიკურ ნაწარმოებებში პერსონაჟები სრულიადაც არ იყენებენ შემოსენებულ კავშირს. ასევე ხელოვნურია და მწიგნობრული ენისათვის დამახასიათებელი რა კავშირიანი კონსტრუქციები თანამედროვე ქართულ ენაში. ასე, მაგალითად, შეუფერებელი იქნებოდა, პიესის გმირს ეთქვა: „რაოთანის კარი დახურეს, ფეხზე წამოვხტი“, ანდა: „რა დავასრულე საქმე, სასეირნოდ წავედი“ და მისთანანი. სამეცნიერო სტილისათვის კი რა კავშირიანი კონსტრუქცია აუცილებელია კაუზალობისა თუ დროულობის კატეგორიების გამოსახატავად. ასევე ტიპობრივია სასაუბრო სტილისათვის ამგვარი უკავშირო წინადადება: „წყალში ჩავაგდე, წყლად გადაიქცა, ცეცხლში ჩავაგდე, ხმად გადაიქცა“. აქ გამოტო-

ვებუღია კავშირი — რ ო ც ა, რ ო დ ე -
ს ა ც.

დიალოგური მეტყველება აგებულია რებლიკებზე ანდა კითხვებსა და პასუხებზე. სიტუაციის ეს სპეციფიკური ვითარება თავისებურ გავლენას ახდენს წინადადების სტრუქტურაზე, სახელდობრ — იწვევს არასრულ წინადადებებს. თანამოსაუბრისათვის სათქმელის საერთო აზრი ცნობილია ადრე თქმულის მიხედვით, ანდა იმის წყალობით, რომ ესა თუ ის საგანი ან მოვლენა დასახელებული იყო მოსაუბრის მიერ... ასევე დამახასიათებელია სასაუბრო ენისათვის დაუმთავრებელი წინადადებები, რაც ჭარბ გამოხატულებას პოულობს დიალოგურ მეტყველებაში.

სასაუბრო-სალაპარაკო სტილი, გარდა წინადადების კონსტრუქციისა, თავისებურებებს ავლენს ლექსიკა-ფრაზეოლოგიის სფეროში.

სასაუბრო სტილის ძირითად ლექსიკურ ფენას წარმოადგენს ნეიტრალური ლიტერატურული სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც ლიტერატურულ ნორმალიზაციას განეკუთვნებიან და არ გამოირჩევიან რაიმე სტილისტური ელფერით. ამ კატეგორიისაა აგრეთვე სიტყვები, რომლებიც გამოხატავენ ყოფითი ხასიათის საგნებსა და მოვლენებს და იხმარებიან უმთავრესად სასაუბრო სტილისათვის დამახასიათებელი თავისებურებებით. გარდა ნეიტრალური ლიტერატურული ლექსიკისა, ამ სამეტყველო სტილისათვის ნიშანდობლივია სიტყვები და გამოთქმები, რომლებსაც ახასიათებთ სათანადო სასაუბრო სტილისტური შეფერილობა. სტილისტურად შეფერილ სასაუბრო-სალაპარაკო ელემენტებს განეკუთვნება ე. წ. ფამილარულ-სასაუბრო და მდაბიური ლექსიკა. ფამილარულ-სასაუბრო ლექსიკა ისეთი ლექსიკაა, რომელიც არ არღვეს ენის ლიტერატურულ ნორმებს, მაგრამ იხმარება მხოლოდ და მხოლოდ სასაუბრო სტილის ფამილარული ქვესახეობის ფარგლებში. მდაბიური ლექსიკა კი რამდენადმე არღვევს ლიტერატურული ენის კანონზომიერებას, მის-

თვის უცხო არ არის როგორც ე. წ. ვულგარული ლექსიკის ელემენტები ისევე პროვინციალიზმები (გარკვეულ შემლდევით).

სასაუბრო-სალაპარაკო სტილის წარმოქმნის ფაქტორებია: სასაუბრო თემის შედარებითი სიმარტივე და მისი დიალოგური ფორმა, სიტუაციის კონკრეტულობა, მიმოიკისა და ქესტის გამოყენების შესაძლებლობა, ძალდაუტანლობა და საუბრის თემისადმი მკვეთრი ემოციური დამოკიდებულება; სასაუბრო მეტყველების დროს გამოყენებულია ისეთი მნიშვნელოვანი ფონეტიკური საშუალება, როგორცაა ინტონაცია.

ჩვენ აქამდის ვლაპარაკობდით ისეთ სასაუბრო მეტყველებაზე, რომელიც არსებითად ლიტერატურული ნორმის ფარგლებში ექცევა, სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩვენი მსჯელობა შეეხებოდა „ლიტერატურულ-სასაუბრო“ მეტყველებითს სტილს. ეს არის მეტყველება ინტელიგენტისა, რომელიც ფლობს სალიტერატურო ენას, მაგრამ, რაკი მისი მეტყველება დიალოგურია, ზეპირია, ამიტომ ეს სამეტყველო სტილიც სტრუქტურულად განსხვავებულია მწიგნობრული ენისაგან. დრამატულ ნაწარმოებში პერსონაჟთა მეტყველება დაფუძნებულია საერთოეოვრულ ენის სწორედ ამ სახეობაზე.

ჩვენ წინაშე დგება შემდეგი საკითხი: როგორი უნდა იყოს დრამატურგის ენობრივი პოზიცია იმ შემთხვევაში, როდესაც ნაწარმოების პერსონაჟი ამა თუ იმ კუთხის წარმომადგენელია და საუბარში დიალექტს იყენებს, სხვანაირად რომ ვთქვათ, როგორ უნდა გაირკვეს დიალექტებთან დამოკიდებულება?

ზემოთ ყურადღება გავამახვილეთ იმ გარემოებაზე, რომ ენობრივი დახასიათების გარეშე არ შეიძლება შეიქმნეს ხასიათი და ტიპი, არ შეიძლება ღრმად გაჩვენოთ ადამიანის შინაგანი სამყარო.

შოთა ძიძიგური

დრამატული ნაწარმოების ენა

ზოგიერთ მწერალთან გმირები აზროვნებენ და მეტყველებენ ისე, როგორც აზროვნებს და მეტყველებს თვით ავტორი. თანამედროვე ქართულ პროზაში თუ დრამატურგიაში ცოტა როდია ისეთი მავალითები, როდესაც ლიტერატურული გმირის ენა მთლიანად ავებულია ლიტერატურული ენის ტრაფარეტზე, ავტორისა და გმირის მეტყველება სტრუქტურულად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. პერსონაჟის ენა ცოცხალი მეტყველების ანარეკლი უნდა იყოს. საზოგადოების სხვადასხვა ფენას ენაში შეაქვს სპეციფიკური სიტყვები და გამოთქმები. აქედან ჩვენ უნდა გამოვიტანოთ დასკვნა: პერსონაჟის ენაში, იმისდა მიხედვით, თუ რა სოციალური და პროფესიული წრის წარმომადგენელია ნაწარმოების გმირი, უნდა ჩანდეს ეს სპეციფიკა.

მაგრამ აქ საგულისხმოა შემდეგი გარემოება: როდესაც ვლაპარაკობთ მწერლობის ენის ხალხურობის შესახებ, აუცილებელია აღინიშნოს, რომ საჭიროა ხალხური პოეტური ენის არა უბრალოდ განმეორება, არამედ ამ მასალის სტილისტური დამუშავება და დახვეწა. დასაგმობია პოეტური ენის ფორმირება ხალხური სიტყვიერების უბრალო იმიტაციის გზით. ქართული პოეტური კულტურის ტრადიცია გვიკარნახებს, რომ მხატვრული ნაწარმოები არ უნდა იქნეს მთლიანად დაყვანილი ხალხური შემოქმედების სტრუქტურულ ნიშნებამდე. არ არის დასაძალი, რომ ზოგიერთი თანამედროვე ქართველი პოეტი იოლ გზას ირჩევს და მისი ლექსი არაფრით არ განირჩევა ჩვენი ხალხური შემოქმედების ვერსიფიკაციისაგან. ხალხური პოეტური ენის სტერეოტიპული გამოთქმების, ფოლკლორული ფრაზეოლოგიის გადაჭარბებით გამოყენება ამდებლავს პოეტური ენის კულტურას და აღუნებს იმ შესაძლებლობებს, რომლებიც ქართული საერთო-სახალხო ენის სტრუქტურიდან გამომდინარეობენ. უნდა გვახსოვდეს, რომ საბჭოთა მწერ-

ლის პოეტური აზროვნება ხალხურად და არა ფოლკლორული. ამრიგად, მაკცერად უნდა იქნეს ერთმანეთისაგან მიჯნული ხალხურობა და ფოლკლორულობა. ესენი სხვადასხვა ცნებებია.

მე ვფიქრობ, ენის დემოკრატიზაციის იმგვარი მეთოდი, რომელსაც კუთხური მეტყველების გაიდელვებამდე მივყავართ, შორსაა ენობრივი რეალიზმის ტრადიციებისაგან. ნატურალიზმი სრულად ასახავდა ეროვნული ენის განმტოებებს, მაგრამ ყურადღებას არ ამახვილებდა ხალხური მეტყველების იმ საღ ტენდენციებზე, რომლებიც გამართლებული იყო საერთო-სახალხო ენის თვალსაზრისით და რომლებიც უნდა გადაზრდილიყვნენ ლიტერატურულ ენაში. ენობრივი ნატურალიზმი გაუშვართლებელია ეროვნული ენის ინტერესებისათვის, გაუშვართლებელია მხატვრული თვალსაზრისითაც.

ამრიგად, პერსონაჟის მეტყველებას უთუოდ უნდა ჰქონდეს შენარჩუნებული ხალხური კოლორიტი. შეუძლებელია, ვთქვათ, დრამატული ნაწარმოების გმირის მეტყველებას არ ემჩნიოს კვალი იმ ტერიტორიული დიალექტისა, რომლის წარმომადგენელიც ის არის, შესაბამისად ამისა — შეუძლებელია ამა თუ იმ გმირის მეტყველება არ იყოს შეფერილი ჟარგონული ელემენტებით, იმისდა მიხედვით, თუ იგი რომელ სოციალურ თუ პროფესიულ ფენას წარმოადგენს. მხატვრული ნაწარმოების ენობრივ ქსოვილში მკვეთრად უნდა ჩანდეს სპეციფიკა იმ მეტყველებისა, რომელიც ახასიათებს პერსონაჟის სოციალურ გარემოს. ტიპის დახასიათების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი ენობრივი კომპონენტი და იგი შედის ლიტერატურული ნაწარმოების საერთო სისტემაში, როგორც არსებითი მნიშვნელობის მხატვრული ხერხი.

მაგრამ აქ თავს იჩენს მეტად მტკივნეული და, შეიძლება ითქვას, დღემდის საბოლოოდ მოუგვარებელი საკითხი: როგორ უნდა გავიგოთ სპეციფიკა მე-



ტყველებისა, რომელიც ახასიათებს პერსონაჟის დიალექტალურ-სოციალურ გარემოს, რა დოზით და რა ხერხების მომარჯვებით უნდა გამოიყენოს მწერალმა — დრამატურგი იქნება ის თუ პროზაიკოსი — მეტყველების კოლორიტი, ამა თუ იმ დიალექტალური კუთხისათვის თუ სოციალური წრისათვის ნიშანდობლივი ენობრივი თავისებურებანი, რა საშუალებით უნდა მიანიშნოს მწერალმა, რომ მისი პერსონაჟი მწიგნობრულად არ მეტყველებს, რომ იგი ხალხური მეტყველების ამა თუ იმ განშტოების წარმომადგენელია, რათა ამ ხერხითაც მიაღწიოს მხატვრულ ეფექტს? როგორ დაუქვემდებაროს მწერალმა დიალექტალური მასალა იმ იდეურ და სტილისტურ ამოცანას, რომელიც დგას მის წინაშე?

ამათვისვე უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ უესტი და მკაცრი რეგლამენტაცია შეუძლებელია. ამ სფეროში გადამწყვეტი როლი ენიჭება თვით მწერლის ენობრივ ალღოს, ზომიერების გრძნობას და ლიტერატურულ ტაქტს, რის გარეშეც არ არსებობს ნამდვილი შემოქმედება.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მეცნიერებას არ შეუძლია განსაზღვროს და დაადგინოს ის ძირითადი ტენდენციები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია ენობრივი კოლორიტის დაცვა იმ ზომითა და მასშტაბებით, რომ თავიდან იქნეს აცდენილი ენობრივი ნატურალიზმის საშიშროება.

რას გვეუბნება ლიტერატურული ტრადიცია?

არიან მწერლები, რომლებმაც ნაწარმოების გმირის მეტყველება მთლიანად და საესებით დააფუძნეს დიალექტზე, ე. ი. მათი გმირების ენა მთლიანად იმეორებს ამა თუ იმ კილოს თავისებურებებს. ასეთი მეტყველება უფრო დიალექტოლოგიურ ჩანაწერებს წარმოადგენს. ამგვარი მეთოდი გამოიყენეს უმთავრესად ნინოშვილმა და ყაზბეგმა. ნინოშვილის გმირები მთლიანად გურულად მეტყველებენ, ყაზბეგისა — ასევე ზედმიწევნით მოხევურად.

არიან მწერლები, რომელთა გმირების მეტყველებაში დიალექტური მთვლენები (გრამატიკის სფეროში) დიდი შეზღუდვითა და ზომიერებით არის წარმოდგენილი. ასეა, მაგალითად, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნაწილობრივ დავით კლდიაშვილის ნაწარმოებში.

არიან ისეთი მწერლები, რომელთა გმირები არ მეტყველებენ დიალექტით. მათი ენა ლიტერატურული ენის შტამპს იმეორებს და გაურბის კუთხური მეტყველების თავისებურებებს.

როდესაც ლაპარაკია დიალექტისათვის დამახასიათებელ თავისებურებებზე, აქ უნდა გავარჩიოთ ერთიმეორისაგან ორი კატეგორიის ნიშნები. ერთია გრამატიკულ-ფონეტიკური მოვლენები (ამ ტიპისა: **წევია, დუუწერა, აულავის, დაიწეროდი, ავიდევი**) და მეორე — ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური თავისებურებანი (ვთქვათ: **გიდელო, აბალი, ფირალი, ნაჩხატი, სენა...**).

ჩვენი აზრით, ენობრივი რეალიზმის პრინციპებისათვის მიუღებელი უნდა იყოს გმირის მეტყველების მთლიანად დაფუძნება დიალექტის მასალაზე. ესაა ენობრივი ნატურალიზმის დასავლობი მეთოდი, რომელიც აქვეითებს ნაწარმოების მხატვრულ ღირსებებს და, ამავე დროს, ზიანს აყენებს სალიტერატურო ენის სიწმინდესა და მის ფართოდ დამკვიდრებას.

ჩვენ მხედველობაში გვაქვს დიალექტალური მოვლენები გრამატიკულ-ფონეტიკური კატეგორიისა. არ არის გამართლებული, რომ, ვთქვათ, გურული პერსონაჟი მთლიანად თავიდან ბოლომდე გურულად მეტყველებდეს, ხევსური — თავიდან ბოლომდე ხევსურულად, ქართლელი — თავიდან ბოლომდე ქართლურად. თავიდან ბოლომდე, რომ ვამბობ, აქედან ჩანს, რომ რაღაც გამონაკლისი შეიძლება არსებობდეს, — აქ ლაპარაკია მაქსიმალურ შეზღუდვებზე, თორემ მწერალს რომ ავუკრძა-

შოთა ძიძიგური
დრამატული ნაწარმოების ენა

ლოთ, მისი გმირის მეტყველებაში სრულიად აღიკვეთოს დიალექტალური გრამატიკულ-ფონეტიკური მოვლენები, ეს შესაძლოა არც მხატვრული თვალსაზრისით იყოს გამართლებული და არც ლიტერატურული ტრადიციით. როგორც ზემოთ ითქვა, ამ შემთხვევაში გადაწყვეტია მწერლის ენობრივი ტაქტი და მხატვრული გემოვნება. მაგალითად, პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერში“ იმერული კილოს გრამატიკულ-ფონეტიკურ თავისებურებებს თითქმის სრულიადაც ვერ შეხვდებით. ფრაზა აგებულია ლიტერატურული ნორმების მიხედვით, მაგრამ აქაიქ, უაღრესი შეზღუდვით ფრაზის არქიტექტონიკაში გარეულია რომელიმე იმერული ფორმა, რაც მხატვრულ ეფექტს იძლევა. მაგალითები: „ისეთ უბედურ სამუშაოზედ მიგვიყვანა მოიჯარადრემ, რომე მე და ქუჩარას ხელისგული აბედივით ვაგვიხადა“; „გული არ მომაცვანოთ, იცოდეთ, არ გამაბრაზოთ“; „შენ იცი, ღმერთი რომ არ არის, ა? იმე!“; „ყვარყვარე, რას მიშობი!“ ავიღოთ ამავე პიესიდან ფრაზა: „ასე გადაეციოთ, სახჩობელაზე რომ გაყავდეთ, იქიდან შემოგიოთვალა, ძალი ჩაგაკვდა მაგ სულში-თქვა“. აქ მხოლოდ ერთი ფორმაა არალიტერატურული: სულში-თქვა (უნდა იყოს: **სულშითქო**). ავტორი რომ გაპყლოდა დიალექტის თავიდან ბოლომდე დაცვის გზას, მაშინ შემოხსენებული ფრაზა ასეთ სახეს მიიღებდა: „ასთე გადაეციოთ, სახჩობელაზე რომ გაყავდენ, იქიდან შემოგიოთვალა, ძალი ჩაგაკვტა მაგ სულში-თქვა“. როგორც ვხედავთ, ამ წინადადებაში ავტორი ერთი დიალექტალური ფორმით დაკმაყოფილდა მხატვრული ამოცანის მისაღწევად.

ეს გზაკი გაცილებით უფრო ძნელია მწერლისათვის, ვიდრე პირველი.

თუ დრამატურგი უნდა მოერიდოს დიალექტის ჭარბ გამოყენებას გრამატიკა-ფონეტიკის დარგში, სამაგიეროდ, იგი ნაკლებშეზღუდულია ლექსიკა-ფრაზეოლოგიის სფეროში. ადგილობ-

რივი კოლორიტის გადმოსაცემად, მხატვრული ეფექტის მოხდენის მიზნით მწერალი არ უნდა დაერიდოს კუთხური სიტყვებისა და სპეციფიკური გამოთქმების გამოყენებას, ოღონდ აქაც შერჩევა და ზომიერების დაცვა არის საჭირო. ფრაზეოლოგიური ერთეულების გამოყენება, კალამბურები და სიტყვათა თამაში, შედარებებისა და ხალხური ანდაზების ჩართვა, ჰიპერბოლიზაცია, ხატოვანი სიტყვა-გამოთქმები, კოლორიტული სიტყვები, — ეს არის წრე ლექსიკური ერთეულებისა, რომლებსაც უნდა მიმართავდეს დრამატურგი და მოხდენილად აქსოვდეს მათ გმირის ენობრივ ქსოვილში. აი ერთი მაგალითი დავით კლდიაშვილის პერსონაჟის მეტყველებიდან: „ღმერთმა დასწყევლოს ამნაირი გაძალღებული ცხოვრებაც! მშიერ, გალატაკებულ კაცს რავა უნდა ენდო კაცი?! პატიოსნებაც დავიწყებული აქვს და სვინდისიც. ცოდვათაც აღარ მიაჩნია, თუკი რამე წაგღლიტა, წაგაფცქენა, გაგაცუცურაკა! ყორიფელი დავიწყებული აქვს ამ ოხერ გაფშოკებულ კუჭის გამოისობით. დასწყევლა ღმერთმა ხელ-მოკლე აზნაურის უსაშველო, გაძალღებული ცხოვრება!... ყოველ ნაბიჯზე ტყუილი და უპირულობა: რა გამოვიდა ორი თვის ჩემი წანწალიდან! ამ ფრაზის ემოციური სიმძაფრე მიღწეულია, უპირველეს ყოვლისა, ტიპობრივი იმერული სიტყვების — წაგღლიტა, წაგაფცქენა, გაფშოკებული, გაგაცუცურაკა, უსაშველო, უპირულობას მეშვეობით. რამდენად გაღარბებული იქნებოდა ფრაზა უამსიტყვებოდ, რამდენად უსახური და მხატვრულ ღირსებებს მოკლებული!

სპეციფიკური დიალექტალური სიტყვებისა და გამოთქმების თვალსაზრისით საინტერესოა პოლიკარპე კაკაბაძის პიესები, პირველ ყოვლისა, „ყვარყვარე თუთაბერი“. მე მგონია, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ამ ნაწარმოების გამარჯვების ერთი უმთავრესი მიზეზი სწორედ ენობრივ

ქსოვილში არის საძიებელი. მიუხედავად იმისა, რომ „ყვარყვარე თუთაბერში“ თითქმის არ არის გამოყენებული დიალექტალური გრამატიკულ-ფონეტიკური ნიშნები, ავტორი დიდი ოსტატობით მიგვანიშნებს იმერული მეტყველების სპეციფიკაზე, გმირები აქ ტიპობრივი ხალხური ენით ლაპარაკობენ.

რა ხერხებით შეძლო ავტორმა დაეცვა იმერული დიალექტის სურნელება (გმირის დახასიათების მიზნით, ცხა-დია)? კაკაბაძემ მთელი სიმძიმის ცენტრი გადაიტანა სპეციფიკურ სიტყვებსა და გამოთქმებზე. აი ზოგიერთი მაგალითი: 1) „წისქვილს სულ რ ი ა - რ ი ა ჯ წავიღებ,“ 2) „ს ი ა მ ტ კ ბ ი ლ ა დ მო ვ უ ქ ც ი თ ე რ თ მ ა ნ ე თ ს ღ რ ა ნ ჰ ი“, 3) „მაშ, ერთი, შენს გახარებას, წადი და შეშა მოიტანე“, 4) „ჩემი გულთამზე კარგი სახიერიც დადგა“, 5) „ქალს როდესაც ვექორქოშებო, ჰქუე მებნევა, და მრავალი სხვა.

ადგილობრივი კოლორიტის გადმოსაცემად კარგი საშუალებაა სპეციფიკური საკუთარი სახელების შერჩევა. მაგალითად, მხატვრული ეფექტის გაძლიერებას ემსახურება პიესების გმირთა ისეთი სახელები, როგორცაა კაკუტა, ქუჩარა, აკვირინე, ქიშვარდი, ვასასი, ბაბილო, კაკანო, ნათია, ბათუა და მისთანანი. დუმბაძისა და ლორთქიფანიძის პიესაში — „მე ვხედავ მზეს“ გვხვდება ისეთი კუთხური სიტყვები, როგორცაა: აბდალი, ბაყუნი, ბალანა, ვახაზირება, დათბილვა, დუნია, კვახი, ნაგრაში, სარაქამი, ფირალი, ყაზილარი, ციცა, ხვადაგი და სხვ.

პიესა, საერთოდ, დაწერილია სალიტერატურო ნორმების დაცვით და, ამდენად, იგი აცდენილია დიალექტალური თავისებურებების ჭარბად ხმარებას. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ავტორებს სტილისტური მიზნებით აქა-იქ გამოყენებული არ ჰქონდეთ კილოური ფორმები. აუცილებელია ითქვას, რომ ნ. დუმბაძე და გ. ლორთქიფანიძე ზომიერებას იჩენენ და არალიტერატურული ნორმები დიდი სიფრთხილითა

და შეზღუდვით შემოაქვთ გმირთა მეტყველებაში.

ავტორებს შეუთრჩევიათ მხოლოდ რამდენიმე დიალექტალური მოვლენა, ტიპობრივი და ნიშანდობლივი გურული დიალექტისათვის და მათი კომბინირებული გამოყენებით ცდილობენ მხატვრული ეფექტის მიღწევას, კოლორიტის მინიშნებას; სათანადო ფორმებს მხოლოდ და მხოლოდ სტილისტური ფუნქცია აქვთ დაკისრებული ნაწარმოებში, რომლის ენობრივი ქსოვილი არსებითად ლიტერატურული ენის თარგზეა ამოყვანილი.

აი, ეს თავისებურებანიც:

1. გამოყენებულია ორიოდე ზმნა, სადაც ვე კომპლექსი შეცვლილია ოდ (შობა, მიყობა);

2. რამდენიმე ფორმაა, სადაც ადგილი აქვს ასიმილაციას პრევერებში (გეიგებს, გეიხედე, დეიქცა, დეიბრალე, დევილუპე, დეეგდე, დევედი, დოუზუქავს, დოუკრეფია);

3. გვხვდება ნაცვალსახელები: ა გ ი („აგი მარგალიტამ გამოვიგზავნა“, „აგი დაუსრულებული ადგილი“, „აგი ჩექმა“, „აგი ცნობები“), ა გ ე ნ ი („აგენის საქმე წასულია ხელიდან“), მ ა გ ი („ვინ გითხრა, ბიჭო, მაგი“, „ტყუილია მაგი“, „არა, მაგი არა, ცივი მომიტანე“), მ ა გ ე ნ ი („მაგენს თავს გადაპარსავენ ყველას“), რ ა ე ა („სამჯერ რაეა არ უნდა გადასხა თავზე“);

4. დაკარგულია ნ, კაუზატივის მაჩვენებელი („გოდორი მომაკიდებიე“, „დააჭერიე ჩემი თავი“);

5. კნინობითობის სუფიქსების (ი ა, ა) გამოყენება (1. სოსოია, ლუკაია, შაქროია, ქიშვარდია, ბაბაია; პარალელური ფორმები: სოსოიე, მაკარიე, 2. რაქდენა, ბეყანა, კუკურა);

6. კავშირები: მ ა რ ა („კაი, მარა კრებას მდივანი არ უნდა?“), თ ვ ა რ ა („სადაა რძე, თვარა კაი შენ!“; „ნამეტანს ნუ გააჭირვებთ საქმეს, თვარა...“);

შოთა ძიძიგური
დრამატული ნაწარმოების ენა

დადასტურებითი ნაწილაკი ქე („კაც ქე მოკალი“).

აქ საჭიროა ხაზი გაესვას შემდეგ გარემოებას:

ზემოთ დასახელებული დიალექტალური მოვლენები მთელ ტექსტში კი არ არის გატარებული, არამედ ისინი მხოლოდ აქა-იქ გვხვდება. მაგალითად, თ ვ არა კავშირი ყველგან არ ცვლის მის ლიტერატურულ შესატყვის თორემ-ს. შეადარე: „შვილო, სადაა ღმერთი, თორემ შენისთანა ანგელოზი... როგორ არ უნდა ხედავდეს“ (გვ. 50); „არ მტკივა, ისე ვერ ვხედავ, თორემ სულ არ მტკივა“ (იქვე); „გაჩერდი, ბეჯანა, თორემ... წავართმევ“ (გვ. 63).

ასევე ყველა შემთხვევაში არ არის მ მოვარდნილი (კაუზატურ ფორმებში). შეადარე ლიტერატურული ფორმები: „გავადიდებინე“ (გვ. 54); „ღამეს გაგათევიანებ კი არა“ (გვ. 49); „თუთუნი მომწევიანეთ“ (გვ. 65).

ამრიგად, გურული კილოს თავისებურებათაგან ნაწარმოებში შერჩეულია მხოლოდ და მხოლოდ შემდეგი ტიპობრივი მოვლენები:

1. ეე-ო, 2. ასიმილაცია ზმნისწინებში, 3. ნაცვალსახელები (ავი, მაგ...), 4. ნ-ს დაკარგვა კაუზატივში, 5. იზა თანდებული, 6. კნინობითობის სუფიქსები, 7. კავშირები (მარა, თვარა), 8. დადასტურებითი ნაწილაკი.

ავტორები რომ გამოდევნებოდნენ დიალექტალური მოვლენების სრულად წარმოდგენას, მაშინ ნაწარმოების გმირებს თავიდან ბოლომდის გურულ კილოზე აამეტყველებდნენ. არჩეულია სხვა გზა: ღუმბაძემ და ლორთქიფანიძემ ზომიერების დაცვით აქა-იქ გაუჩიეს მოქმედ პირთა მეტყველებაში ზოგიერთი ძირითადი მნიშვნელობის ტიპობრივი ფორმა და ამით მიანიშნეს ადგილობრივ კოლორიტზე. გმირის ენობრივი დახასიათებისათვის ავტორების მიერ არჩეული ეს გზა უთუოდ გამართლებულია.

ასეთია ჩვენი შეხედულება დრამატული ნაწარმოების დიალექტთან მიმართების საგანზე.

მაგრამ ეს ეხება დრამატულ ნაწარმოებს, — სასცენო მეტყველებაში დიალექტის გამოყენების საკითხი ამით არ ამოიწურება. სცენაზე განხორციელებულ დრამატულ ნაწარმოებს ემატება ერთი არსებითი მნიშვნელობის კომპონენტი — ინტონაცია. გამოსარკვევია ამ კომპონენტის რაობა და მისი მიმართება დიალექტალურ მასალასთან. სასცენო მეტყველება უნდა შევაფასოთ, როგორც ერთი მთლიანობა, რომელიც წარმოადგენს ლიტერატურული ნაწარმოების ენისა და მისი სცენაზე განხორციელების ენობრივი საშუალებების თავისებურ სინთეზს.

ცნობილია, რომ ზეპირ მეტყველებაში თანმხლები ელემენტების როლს ასრულებენ არასიტყვიერი საშუალებები: ყესტიკულაცია და მიმიკა, ერთი მხრივ და ინტონაცია, მეორე მხრივ. ეს დამატებითი შემავსებელი საშუალებები განსხვავებულია კონკრეტული სიტუაციის მიხედვით. ეს ელემენტები არ ახასიათებს წერითს მეტყველებას.

ბერნარდ შოუ ამბობს: „არსებობს რვა ხერხი, რომ ვთქვათ „დაახ“ და 500 ხერხი, რომ ვთქვათ „არა“, მხოლოდ ერთადერთია მათი დაწერილობა“. საგულისხმო სიტყვებია იმის გამოსახატვად, თუ რა ნაირნაირი ვარიაციება არსებობს ენაში ინტონაციის თვალსაზრისით, მეტყველების ტონის მიხედვით.

უნდა დავიცვათ თუ არა სცენაზე ამა თუ იმ დიალექტისათვის დამახასიათებელი ინტონაციური შეფერილობა, ინტონაციური თავისებურება? გურულმა პერსონაჟმა, ვთქვათ, იმეტყველოს ლიტერატურული ინტონაციით, ფრაზის ლიტერატურული ტონის ფარგლებში თუ წარმოსათქმელი ტექსტი წარმოგვიდგინოს ამ დიალექტისათვის ნიშანდობლივ ინტონაციურ სამოსელში?

ლიტერატურული ენის საწარმოთქმო შტამში, მწიგნობრული მეტყველების ნორმირებული მელოდიკა მოურგები და შეუფერებელი იქნება იმ შემთხვევაში, თუ პიესის გმირი რომელიმე დიალექტის წარმომადგენელია! პიესის ამგვარი პერსონაჟი რომ სცენაზე ლი-



ტერატურული ინტონაციით მეტყველებდეს, ეს იმას უდრის, რომ ამ პერსონაჟის ენაც მწიგნობრული ენის სტრუქტურაზე იყოს დაფუძნებული და არა სასაუბრო ენის აგებულებაზე.

აქ მთელი სიმძიმე რეჟისორს აწევს მხრებზე, რამდენადაც მეტყველების ტონი ლიტერატურულ (დრამატულ) ნაწარმოებში არ შეიძლება აღბეჭდილი იყოს და, მაშასადამე, მისი განხორციელება მხოლოდ და მხოლოდ სპექტაკლის ავტორის კომპენტენციაა.

აქ უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი მნიშვნელოვანი გარემოება.

ენობრივი გამოსახულების არც ერთ სფეროში არ შეიძლება ისე რელიეფურად და თვალსაჩინოდ გამოჩნდეს სიყალბე, ნორმიდან გადახვევა და დამახინჯება, როგორც ინტონაციის სფეროში. თუ შევალამაზეთ და სრული სიზუსტითა და დიდი ზომიერებით არ დავიცავით ამა თუ იმ კუთხის მეტყველებისათვის ნიშანდობლივი ინტონაციური ვარიაციები, მივიღებთ მეტყველების კურიოზულ ტონალობას, ნაკარნახევს გაუმართლებელი სტილიზაციითა და გარეგნული ეფექტების მოხდენის სურვილით. ამ გარეგნული ესთეტიკური სტილიზაციის სამწუხარო ტრადიცია ერთ დროს გამეფებული იყო რუსთაველის თეატრში მთიელთა (ხევსურების, ფშავლების...) ცხოვრების ამსახველი სპექტაკლების წყალობით. ამ გარემოებამ გამოიწვია მეტყველების განყენებული ფორმებით გატაცება და არაიშვიათად სიტყვის კულტურის დაქვეითება, აქტიორის შემოქმედებაში მექანიკური ჩვევების გამეფება. სრულიად სამართლიანად აღნიშნავს თავის მემუარებში უშანგი ჩხეიძე, რომ „ექსპრესიონისტულმა პიესებმა შემოიტანეს ჩვენს სცენაზე და ძაბულობა მოძრაობასა და მეტყველებაში“.

შემჩნეულია, რომ ინტონაციის სფეროში ქართული თეატრების პრაქტიკაში არაიშვიათია დამახინჯებანი და არაბუნებრივობა. გამოირკვა, რომ ზოგიერთ თეატრში მსახიობები წარმოგვიდგენენ არა ერთი დიალექტისათვის

ნიშანდობლივ ინტონაციურ თავისებურებას, არამედ ერთგვარ ნაზავს, სადაც გაერთიანებულია სხვადასხვა ინტონაციური ნაკადი, რაც არაბუნებრივობის შთაბეჭდილებას ბადებს. მაგალითად, თელავის სახელმწიფო თეატრში, სპექტაკლში — „მე ვხედავ მზეს“, აქ-იქ შეიმჩნევა ასეთი ნაკლი: ერთი და იგივე მსახიობი წარმოგვიდგენს გურულ-კახურ ინტონაციურ შეერთებას ერთი და იმავე როლის ფარგლებში. ასეთივე, ასე ვთქვათ, „ინტონაციური აღრევის“ ზოგიერთი ნიმუში დღდასტურებულია გორის თეატრშიც.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ თუ დიალექტის წარმომადგენელი არ არის გამოყვანილი პიესაში, მაშინ ქართული სასცენო მეტყველების საწარმოთქმო ნორმები უნდა ემთხვეოდეს სალიტერატურო ქართულის საწარმოთქმო ნორმებს, ვინაიდან მათ ძირითადად ერთი საფუძველი აქვთ. ნორმად უნდა მივიჩნიოთ თბილისის საშუალო ასაკის ინტელიგენტის მეტყველება.

დასასრულ, ჩვენს თემასთან დაკავშირებული არის ერთი მტკივნეული საკითხი, რომელსაც, ვფიქრობთ, მოგვარება ესაჭიროება.

საკითხი შეეხება ავტორისეული ტექსტიდან გადახვევის შემთხვევებს.

ჩვენი დაკვირვების საგანი იყო შედარება რამდენიმე პიესის ტექსტისა (ისეთი ტექსტისა, სადაც დიალექტის წარმომადგენლები არიან გამოყვანილი) იმასთან, რაც სცენაზეა წარმოდგენილი. შეიმჩნევა ასეთი ტენდენცია: არაიშვიათად მსახიობები აჭარბებენ: დიალექტალურ მოვლენებს უფრო უხვად გვაწვდიან, ვიდრე ეს პიესაშია მოცემული. მაგალითად, ნ. დუმბაძის პიესებში, როგორც შესწავლამ გამოარკვია, დიალექტალური ფორმები (ლექსიკა არა მაქვს მხედველობაში) ძალზე იშვიათია, შეიძლება ითქვას, მინიმუმადეა დაყვანილი. რას ვხედავთ სცენაზე? მსახიობთა არამცირედი ნაწილი დალა-

ტობს ტექსტს და, ვთქვათ, თუ ტექსტშია — „გაუყეთე“, სცენიდან ისმის „გაუყეთე“, თუ ტექსტშია — „წაუყრუე“, სცენიდან ისმის „წოუყრუე“ ანდა „წუყრუე“ და მისთანანი. აქიონდა დუმბაძისეულ ტექსტში — თუნდაც ძლიერ იშვიათად — გვხვდება დიალექტიზმებით. დიალექტის ზედმეტად „ერთგული“ მსახიობი შორს მიდის და სადაც მოუხერხდება, მთლიან, გაბმითს ტექსტს „აგურულებს“. ხშირად სალიტერატურო ენის თვალსაზრისით სრულიად გამართლებული პიესა უწყალოდ მახინჯდება ზოგიერთი არტისტის საწარმოთქმო პრაქტიკაში და ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა წარმოდგენის დამდგმელი რეჟისორების მხრივ.

ასეთია ჩვენი ზოგიერთი მოსაზრება დრამატული ნაწარმოების ენისა და მისი სასცენო განხორციელების თაობაზე.

ჩვენი შეხედულებები შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი დებულებების სახით:

1. საერთო-ეროვნულ ენაში, იმისდა მიხედვით, თუ იგი საზოგადოებრივი ურთიერთობის რომელ სფეროში გამოიყენება, გამოიყოფა სხვადასხვა სამეტყველო სტილი. ეს შინაგანი დიფერენციაცია ენისა დაფუძნებულია ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური, გრამატიკული და ფონეტიკური ელემენტების თავისებურ შერჩევასა და გამოყენებაზე. ენაში არსებული სამეტყველო სტილური კატეგორიების სხვადასხვაობა სრულიადაც არ არღვევს საერთო-სახალხო ენის სტრუქტურის ერთიანობას.

2. მიუხედავად შინაგანი სტრუქტურული სხვაობისა, ეროვნული ენის ყველა სამეტყველო სტილს აქვს საერთო საფუძველი: ეს არის ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი ნ ო რ მ ა; ლიტერატურული ნორმის ცნება ისტორიული კატეგორიაა.

3. მკაფიოდ უპირისპირდებიან ერთმანეთს მწიგნობრული სტილი და სასაუბრო-სალაპარაკო სტილი. თითოეული მათგანი ხასიათდება შინასხვაობებით.

ტერმინები — „მწიგნობრული სტილი“, „სასაუბრო სტილი“ ამ სტილის განმარტების ძირითად შემთხვევებში გამოიყენება.

4. სასაუბრო სტილი ერთგვაროვანი არ არის. გამოიყოფა: ლიტერატურულ-სასაუბრო სახეობა და ე. წ. „ფამილარულ-სასაუბრო“ სახეობა.

ლიტერატურულ-სასაუბრო მეტყველება მთლიანად ემთხვევა სალიტერატურო ენის ნორმებს. ფამილარულ-სასაუბრო სტილისათვის დამახასიათებელია მეტყველების მკვეთრი ემოციური იერი, რაც თავის გამოხატულებას პოულობს უმთავრესად სინტაქსურ კონსტრუქციებში, ლექსიკა-ფრაზეოლოგიაში და საწარმოთქმო სისტემაში. მისთვის არ არის უცხო დიალექტიზმებისა და ქარგონიზმების ელემენტები.

5. დრამატული ნაწარმოების სტილი არსებითად განსხვავდება სიტყვაკაზმული მწერლობის სხვა ქანრების ენობრივი ქსოვილისაგან იმით, რომ იგი მთლიანად დაფუძნებულია სასაუბრო მეტყველების სტრუქტურაზე, მაშინ როდესაც, ვთქვათ, ბელეტრისტულ ქმნილებაში სასაუბრო-სალაპარაკო სტილი ჩვეულებრივ გამოყენებულია დიალოგში (პერსონაჟთა ენაში).

6. ენობრივი რეალიზმის პრინციპისათვის არ უნდა იყოს შეუფერებელი პიესის ენაში პროფესიულ თუ ტერატორიულ დიალექტთა ელემენტების შექრა და, საერთოდ, მეტყველების სასაუბრო სტილის სტრუქტურულ თავისებურებათა გამოყენება. აქ საჭიროა მხატვრული ზომიერება. ყოველგვარი გადახვევა ბადებს ენობრივი ნატურალიზმის საშიშროებას.

7. თუ დიალექტის გამოყენებაში საჭიროა მაქსიმალური შეზღუდვები, სამაგიეროდ, გმირის ენობრივი დახასიათებისათვის მეტად მნიშვნელოვანია თავისებურებანი ინტონაცია-მელოდიკის სფეროში.

8. ხალხური მეტყველების მასალათა გამოყენების თვალსაზრისით ქართულ დრამატურგიაში შეიმჩნევა სიჭრელე

და შრავალფეროვნება; დრამატურგთა ენობრივ-ლიტერატურული პოზიციები ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულია.

9. ჩვენს თეატრებში დასტურდება პიესის ტექსტიდან გადახვევის გაუმართლებელი ტენდენციები. ეს თავს იჩენს

ა) დიალექტალურ-გრამატიკულ თავისებურებათა გადაჭარბებით გამოყენებაში და ბ) სხვადასხვა დიალექტისა-

თვის ნიშანდობლივი ინტონაციურ-მელოდიკური მოდელის თავისებურ „სინთეზში“, შერევაში („ინტონაციური კონტრასტის რევა“).

ამგვარი ტენდენციები, დამკვიდრებული ქართულ თეატრებში, დასაგმობია.

შოთა ძიძიგური
დრამატული ნაწარმოების ენა



ბამოჩენილი უკრაინელი პოეტი და საზოგადო მოღვაწე

მიკოლა (ნიკოლოზ) პლატონის ძე ბაქანი დაიბადა 1904 წლის 9 ოქტომბერს, ქალაქ კამენეც-პოდოლსკში, სამხედრო მოსამსახურის ოჯახში. 1918 წლამდე პოეტი უმანის გიმნაზიაში სწავლობდა, ხოლო შემდეგ კოოპერატიულ ტექნიკუმში, რომელიც 1921 წელს დაამთავრა. მ. ბაქანიმა სწავლა კიევის კოოპერატიულ ინსტიტუტში განაგრძო, მაგრამ მალე თავი დაანება მას და ლიტერატურულ საქმიანობას მოჰკიდა ხელი.

მიკოლა ბაქანის პირველი ლექსები კიევის გაზეთ „ბოლშევიკში“ დაიბეჭდა, ხოლო 1926 წელს ხარკოვში გამოვიდა მისი ლექსების პირველი კრებული „მეჩვიდმეტე პატრული“.

კრებულის თემატიკა სამოქალაქო ომთან იყო დაკავშირებული. პოეტისათვის ჯერ ყველაფერი როდი იყო ნათელი, მსოფლმხედველობაც არ ჰქონდა ჩამოყალიბებული, მაგრამ მისი მგზნებარე გული რევოლუციის ქარიშხალს ხალისით ეგებებოდა, სმენა კი სულ ადვილად არჩევდა დიადი ბრძოლების მრისხანე მუსიკას: ტყვიების ზუზუნს, ყალუზზე დამდგარი ცხენების ჭიხვინს, ხმლების ზრიალსა და ლამის პატრულის ფეხის ხმას...

კრებული იხსნება ლექსით „მებრძოლის სიმღერა“, სადაც პოეტი მამაცობას, გმირობასა და რევოლუციის საქმის ერთგულებას უმღერის.

კრებულში დაბეჭდილია ბალადა „აირწინალი“. ამ ნაწარმოებში პოეტი მთელი პოლკის დაღუპვის ტრაგიკულ სურათს ვეხატავს. კომკავშირის სახელობის მეხუთე პოლკი შეტევაზე უნდა გადასულიყო, მაგრამ გაიგეს, რომ მტერი მათ ქიმიური კონტრშეტევით უპასუხებდა. პოლკში სამი ათასი კაცი იყო, აირწინალი კი მხოლოდ ათას კაცს ჰქონდა. პოლკმა გადაწყვიტა, თუნდაც სიკვდილის ფასად, მტრის შემოტევა შეეჩერებინა.

ეს ბალადა თხრობის ლაქონურობით, მოქმედების დინამიურობით, რევოლუციური საქმისადმი ერთგულებით ნ. ტიხონოვის ბალადებს „პერეკოპსა“ და „სიმ ფერას ჯარისკაცზე“ ენათესავება.

მიკოლა ბაქანის პირველი ლექსები სოციალისტური რევოლუციის, სამოქალაქო ომის პეროიკის პათოსით არის გამსჭვალული.

პოეტის პირველსავე ნაწარმოებებში გამოიკვეთა ქალაქის თემა და ლექსის ეპიკური წყობა. მისი პოეტური სტილი

მინაგანი წინააღმდეგობით ხასიათდებოდა. უბრალო, მართალ პოეტურ სიტყვას, რომლისთვისაც უცხო იყო ორნამენტულობა, ხანდახან ექსტატიური სიტყვა და ფორმა სცვლიდა. ამიტომაც იყო, რომ მიკოლა ბაქანმა სანამ სოციალისტური რეალიზმის გამოჩენილი პოეტი გახდებოდა, გამოსცადა გამარჯვების სიტკბოცა და დამარცხების სიმწარეც.

ამ პერიოდში გამოქვეყნებული ლექსის „სონეტის“ მთავარი აზრი ასეთი იყო: სამოქალაქო ომის ხანძრის ჩაქრობასთან ერთად რომანტიკული ალიც ჩაქრა, დაიწყო ჩვეულებრივი, უფერული ცხოვრება. ცხოვრების მოვლენების ასეთივე არასწორი შეფასება მოგვცა პოეტმა ლექსში „მეჩვიდმეტე პატრულის მებრძოლი“. მისი მთავარი გმირი ანტონ სედიხი არ იყო დადებითი გმირის ტიპური პორტრეტი. ყოფილი ქურდი და ზანდითი ანტონი რევოლუციონერებს მიეკედლა, მაგრამ მისი წარსული გამოაშკარავდა. მაშინ ანტონი თვითნებურად გადაადგებს ლიანდაგიდან მტრის მატარებელს და თვითონაც დაიღუპება.

პესიმისტურმა განწყობილებამ უფრო მკვეთრად იჩინა თავი ლირიკულ კრებულში „მოჩუქურთმებული ჩრდილი“ (1927 წ.), განსაკუთრებით კი ქალაქის თემასთან დაკავშირებულ ლექსებში, სადაც იგი დარდობს, რომ ძლიერ გვიან გაჩნდა ამ ქვეყანაზე და დიად, გმირულ წარსულს ვეღარ მოესწრო.

„მოჩუქურთმებული ჩრდილის“ სონეტებში ახმინადა შორეული წარსული, მაგრამ იგი უფრო ტკბილ სიზმრებს მოგვაგონებს, ვიდრე ობიექტურ სინამდვილეს. იცვლება პოეტური მეტყველების სტილიც. ახლა „მოჩუქურთმებულ ჩრდილში“ კლასიცისტური მოტივები აქდერდა, დინამიურმა, მაიაკოვსკისებურმა ლექსმა ადგილი დაუთმო აკადემიზმს.

ახალგაზრდა ბაქანი დაცემულობისა და უაზრობის პოეზიის „ვაპლიტეს“ („თავისუფალი აკადემია პროლეტარული კულტურისა“) ნაციონალ-უკლო-

ნისტო დაჯგუფების გავლენის ქვეშ მოქცეა.

მიუხედავად ამისა, მიკოლა ბაქანი, როგორც თავისი ხალხის ჭეშმარიტი შვილი, ვერ იტყუებს უცხო სამოსელს და იმ ვითარებაშიაც კი თავის გმირს, უბრალო და მამაც ადამიანს ეძებს. იმდენად ძლიერი იყო პოეტის ლტოლვა დიადი, ჭეშმარიტად რომანტიკული და გმირული ცხოვრებისაკენ, რომ იგი ადრე თუ გვიან უსათუოდ უნდა მისულიყო თანამედროვეობასთან, და ეს ასეც მოხდა.

ერთგვარი „მხატვრული მანიფესტის“ ხასიათს ატარებს ამ პერიოდში გამოქვეყნებული მისი ლექსები „ღამის რეისი“, „ჩემს მეგობარს“, „გზა“ (1927 წ.), „პოფმანის ღამე“ (1929 წ.)... პოეტის აზრი დაუნდობლად ებრძვის ძველ, ჩამორჩენილ შეხედულებებს ცხოვრებასა და ხელოვნებაზე, ცდილობს მისტიკური ბარიერების გადალახვას და გზას თანამედროვეობისაკენ იკვლევს.

პოეტი თანდათანობით ანგრევს ყველა იმ შენობას, რომელიც მას რეალური სამყაროს დანახვაში ხელს უშლის, ანგრევს იმ ხიდებს, რომელიც მას „ვაპლიტობასთან“ აკავშირებდა. თანდათანობით უფრო ნათლად იკვეთება მის შემოქმედებაში დიადი სამყაროს კონტურები, უფრო მტკიცედ დგება იგი სოციალისტური რეალიზმის ნიადაგზე. მაგრამ სანამ საბოლოოდ გაშლიდა ფრთებს პოეტის ფანტაზია, საჭირო იყო სულიერი დუალიზმის დაძლევა, მისთვის „ომის გამოცხადება“.

პოემა „გულთა საუბარში“ (1928 წ.) პოეტი ჭუჭყიან კიბეზე ხვდება აჩრდილს, რომლის ზურგს უყან სამიციტნო, ქრისტიანობის ყალბი მორალი, ეკლესია, პოლიციელები და ძველი სამყაროს სხვა ატრიბუტები დგანან. აჩრდილს სურს კვლავ გაცოცხლდეს, ახალ ცხოვრებაში წილი დაიდოს, გახდეს თანამედროვეობის ორეული. ძველი და ახალი ერთმანეთს დაუპირისპირდა და

ოთარ ბაქანიძე
გამოჩენილი უკრაინელი პოეტი და საზოგადო მოღვაწე

ჩვენ უკვე ნათლად ვხედავთ ახლის გამარჯვების პერსპექტივას.

მართალია, პოემა ჯერ კიდევ არ იყო თავისუფალი „ვაპლიტობის“ გავლენისაგან, მაგრამ ამ პოემაში უკვე ისმოდნა ახალი ცხოვრების მომდგრის ხმა.

ბაჟანმა შეიგნო, რომ ხელოვნების ძალა ცხოვრების სინამდვილის, სოციალიზმის მშენებელი ადამიანების ასახვაში მდგომარეობს და იგი ჯერ ფრთხილად, მაგრამ შემდეგ მტკიცედ დაადგა ამ გზას.

ამ მხრივ დამახასიათებელია ბაჟანის პოემა-ტრილოგია „შენობანი“ (1929 წ.). პოემის პირველ ნაწილში დახატულია გოთური სტილის ტაძარი, შუა საუკუნეების პერიოდის მოქანდაკის ნახელავი. კათოლიკური ტაძარი ბაჟანისათვის საშინელი სულიერი მონობის, ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრის სიმბოლოა.

მეორე ნაწილში — „ჭიშკარი“ — პოეტი გამყიდველი მაზეპას მსგავსი ფეოდალების მიერ აგებულ არქიტექტურულ ნაგებობას — ჭიშკარს გვიხატავს და ეს ძეგლიც ბაჟანისათვის სოციალური უკუღმართობის სიმბოლოა.

ამ პოემის მესამე ნაწილი თანამედროვეობისადმი არის მიძღვნილი. პოეტი ხაზს უსვამს მშენებლობის ახალ ხასიათს, მას მოსწონს მანქანა, რომელსაც თავისუფალი შრომისმოყვარე ადამიანი მართავს. ნაწარმოებში შრომის ოპტიმისტური სიმფონია მოისმის:

სკედენ რკინის და სპილენძის ღერებს,
მკლავები ახვევს კუნთების ღვედებს,
ეთ საუკუნე ამღვრებულნი,
დედამწაზე მოდის, გუგუნებს,
და ძველ მიწაზე მძლავრად გაისმის
აღმშენებლობის მარაღი ქდერა.

მაქსიმ რილსკის მსგავსად, რომელმაც „მუსკულატურის სიმფონიას“ უმღერა, ბაჟანმა „რკინის კლავიატურა“ აახმიანა.

ოცდაათიან წლებში მიკოლა ბაჟანი ძირითადად პოემებს წერს. ამ დროს არის დაწერილი „ჰამლეტის სიკვდილი“ (1932 წ.), „ვენებათა ტრილოგია“ (1933 წ.), „მეზალე“ (1934), სამი პოემა კიროვზე, გავრთიანებული ერთი სათაურით — „უკვდავება“ (1935—1937 წწ.),

პოემები „მამა და შვილები“ (1938 წ.), „დედა“ (1939 წ.) და სხვ. ამთავანდობელი სამი უგმირო პოემაა.

სულ სხვა ხასიათის არის ამ მხრივ პოემები კიროვზე. აქ მთავარი თვითგმირის ბიოგრაფია, მისი ცხოვრების რეალური და ლეგენდარული გზის ასახვაა.

ამ პოემებში რეალისტურად არის დახატული პიროვნებათა სახეები თუ ისტორიული მოვლენები, აგრეთვე ჩანს ხელინდელი დღის პერსპექტიული განვითარებაც.

პოემა „ჰამლეტის სიკვდილი“ რთული ფილოსოფიური ხასიათის ნაწარმოებია, რომელიც პოემის „გულთა საუბარის“ ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს. ამ პოემაში გრძელდება პოლემიკა გაორებული სუბიექტთან, ინტელიგენტთან, რომელიც ჯერ კიდევ დიდ მერყეობას განიცდის.

მაგრამ თუ „გულთა საუბარში“ ბაჟანი მკაცრად აკრიტიკებდა და უარყოფდა ძველს, რეაქციულს, ამ ახალ ნაწარმოებში იგი უფრო აღრმავებს თავის კრიტიკას და ცდილობს კლასობრივ ურთიერთობათა და მიმდინარე პროცესების ანალიზი მოგვეცეს.

სრულიად მარტივი და გასაგებია მკითხველისათვის ბაჟანის საუბარი სპილოს ძვლის კოშკზე. ეს ხომ ანდრე ჟიდის ლოზუნგი იყო.

როდესაც მიკოლა ბაჟანი „ჰამლეტის სიკვდილს“ წერდა, ყველასათვის ნათელი როდი იყო კავშირი ანდრე ჟიდის ტიპის ადამიანთა და ფაშისტური პარტიის მოღვაწეთა შორის. დასავლეთეგროპელ პოლიტიკოსებსა და ლიტერატორებს მოსწონდათ კიდევ სპილოს ძვლის კოშკებში ჩაკეტილ „ჰამლეტთა“ ცხოვრება და მათი აზრები, ყოველშემთხვევაში ისინი პატიოსან და კეთილშობილ ინტელიგენტებად მიაჩნდათ. მიკოლა ბაჟანი გაცილებით უფრო შორსმჭვრეტელი აღმოჩნდა.

ბაჟანი ნათლად გვიხატავს „ჰამლეტების“ რეაქციულობასა და ბოროტებასაც. იგი პირდაპირ აცხადებს, რომ ასეთ დაძაბულ სოციალურ-პოლიტიკურ ვი-



თარებაში საზოგადოებრივ საქმიანობას და აზრს თუ განუღებქი, ამით ბოროტებას, რეაქციის ძალებს დაეხმარები.

XX საუკუნის ალექსეი კარამაზოვი დახეტილობს ევროპაში და „გულებს კაწრავს შავი კლანჭებით“. სამხედრო ფორმაში გამოწყობილი დაქირავებული კაცისმკვლელები და თვით იესო ქრისტე იმათ სამსახურში დგებიან, ვინც მსოფლიოს ახალი ომის საშინელებით ემუქრება.

პოემა დაიწერა 1932 წელს გერმანიაში ხელისუფლების სათავეში ჰიტლერის ჩადგომამდე და საოცარი ის არის, რომ მოვლენათა შემდგომმა მსვლელობამ მთლიანად დაადასტურა პოეტის წინასწარმეტყველება.

მიკოლა ბაქანს მოვლენების სწორად გაანალიზებაში უთუოდ დაეხმარა მაქსიმ გორკის სტატია „ვისთან ხართ თქვენ, კულტურის ოსტატებო?“, 1932 წლის 23 აპრილის პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „ლიტერატურის მხატვრული ორგანიზაციების გარდაქმნის შესახებ“ და, რაც მთავარია, ლენინური სიმართლე.

კაცთსიყვარულიც და კაცობაც
ჩვენი ბრძოლების
დიად ლენინურ სიმართლეში არის
და გვეჯერა.

ლენინური სიმართლე დაეხმარა მწერალს განეკუთვნა — როგორ გამოიყენებდნენ დაცემულობის თეორიას ფაშისტები თავიანთი იმპერიალისტური ზრახვების განხორციელების დროს.

მიკოლა ბაქანი თავის პოემაში ხელოვნებისა და ლიტერატურის პარტიულობის ლენინურ პრინციპს აყენებს. ამიერიდან ლიტერატურის პარტიულობა პოეტის შემოქმედების განუყოფელ თვისებად იქცევა. ამიტომ სრულიადაც არ არის შემთხვევითი, რომ სწორედ ამ ნაწარმოებში იგრძნობა ყველაზე მეტად სოციალისტური რევოლუციის მომღერლის ვლადიმერ მაიაკოვსკის გავლენა. მართალია, ეს გავლენა ადრე სხვა ნაწარმოებებშიაც შეინიშნებოდა, მაგრამ მაშინ იგი ლექსის ტექნიკას უფრო შეეხებოდა.

პოემები „ვნებათა ტრილოგია“ (1933 წ.) და „მებაღე“ (1934 წ.) პოეტის შემოქმედების შემდგომი განვითარების დადასტურებაა.

„ვნებათა ტრილოგიაში“ ავტორი კიცხავს ძველ სამყაროს და აწყყოსა და მთავალს უმღერის:

ო, გული ყრმაა, ახალ სწრაფვით და
ცოდნით სავსე
და აი, სახლში სიხარული შემოდის მისთან,
აღგება გულიც და სიციცხლის
ფესვგადგმულ მარცვალს
თავის სიმღერას — მყობადსა და ხალხს
შესთავაზებს.

მ. ბაქანის პოემათა შორის „უკვდავება“, რომელიც მგზნებარე ტრიბუნის ს. მ. კიროვისადმი არის მიძღვნილი, მაღალმხატვრულობით გამოირჩევა.

პოემა სამი ნაწილისაგან შედგება. პირველ თავს „დროშა“ ეწოდება. აქ გადმოცემულია ახალგაზრდა კიროვის რევოლუციური მოღვაწეობა ციმბირში. ტომსკში კიროვის თაოსნობით იმართება დემონსტრაცია მთავრობის წინააღმდეგ-დემონსტრანტებს თავს ესხმის პოლიცია და კაზაკები. კიროვის მეგობარი — მედროშე კონონოვი იღუპება. სიკვდილის წინ იგი უბეში მალავს დროშას. კიროვი ახერხებს ხელიდან დაუსხლტის პოლიციას. ღამით ჩუმად მიაკითხავს მეგობრის ცხედარს. დაკვიცილ წითელ დროშას იგი მის მკერდზე იპოვნის.

პოემის მეორე ნაწილში — „ღამე ბრძოლის წინ“ — მოთხრობილია ბაქოში კიროვის ყოფნის პერიოდი. ხოლო მესამე ნაწილი — „დღე“ — ასახავს მის ცხოვრება-მოღვაწეობას ლენინგრადში.

მიუხედავად სიუჟეტის ფრაგმენტული ხასიათისა, სამივე პოემა სერგეი მირონის ძე კიროვის მთლიან და ნათელ პორტრეტს გვიხატავს.

ამ ნაწარმოებში ბაქანმა გვიჩვენა მთავარი მოქმედი გმირის რევოლუციური სულისკვეთება, მისი ფიქრები

ოთარ ბაქანიძე
გამოჩენილი უკრაინელი პოეტი და
საზოგადო მოღვაწე

და ოცნებები, ნებისყოფა და მიზანსწრაფვა.

ცხოვრებამ, სოციალისტურმა სინამდვილემ შესაძლებლობა მისცა პოეტს ახლებურად გადაეწყვიტა სიკვდილისა და სიცოცხლის პრობლემა. პოემის პირველივე თავში ახმინდა სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვების სიმღერა, იგი გაფართოვდა და გაღრმავდა მეორე თავში, ხოლო მესამეში სიცოცხლისა და თავისუფლების ჰიმნივით აუღერდა.

„უქვდავება“ დიდი ეპიკური ნაწარმოებია, პოემას რთული კომპოზიცია და დაძაბული სიუჟეტი აქვს.

ამ დროს ბაქანი მხატვრული გამოსახვის ახალი გზების, ფორმებისა და ხერხების ძიების პროცესშია, პოეტი ეძებს ახალ და ზუსტ ფორმებს, ნათელი აზრების გამოხატვის ისეთ საშუალებებს, რომლებიც გასაგები იქნებოდა მშრომელთა ფართო მასებისათვის.

1935—1941 წლები მიკოლა ბაქანის პოეტური ნიჭის შემდგომი გაფურჩქვნის პერიოდი. ამ დროს არის შექმნილი პოემები „მამები და შვილები“ (1938 წ.), „დედა“ (1939 წ.), ლირიკული ლექსების ციკლები — „ლექსები საქართველოზე“, „უზბეკური ლექსები“, „ბორისლაველი მოთხრობები“ და სხვ. ყველა ამ ნაწარმოებში ბაქანი გვევლინება საბჭოთა პატრიოტიზმის მგზნებარე მომღერლად, ხალხთა მეგობრობის მეხოტბედ. იხვეწება პოეტის ოსტატობა. მიკოლა ბაქანის ლექსს ფოლადის სიმტკიცე და ელვარება, პლასტიკურობა და სიფაქიზე ემატება.

1939 წელი მიკოლა ბაქანისათვის მნიშვნელოვანი თარიღი იყო. ამ წელს სხვა გამოჩენილ საბჭოთა მწერლებთან ერთად იგი დააჯილდოვეს ლენინის ორდენით, ამ წელსვე შევიდა იგი კომუნისტური პარტიის რიგებში. უკრაინელი ხალხის სახელით იგი მიესალმა პარტიის XVIII ყრილობას. პოეტი საბჭოთა ჯარებთან ერთად შევიდა დასავლეთ უკრაინაში.

როდესაც ჰიტლერული გერმანია თავს დაესხა საბჭოთა ქვეყანას, მიკოლა ბა-

ქანმა ომის პირველივე დღეებიდან სწრაფი ოფიცის მაზარა ჩაიცვა.

პოეტმა მთელი თავისი გამოცდილება და ოსტატობა დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლას მოახმარა. ომისადმი მიძღვნილ თავის ერთ-ერთ პირველ ლექსში — „ფიცი“, წყევლა-კრულვას უთვლის ფაშისტ დამპყრობლებს და საბჭოთა ხალხს სამშობლოს დასაცავად მოუწოდებს:

ერთი არის ჩვენი ფიცი, ჩვენი ნება,
და მამულმაც ერთი აზრი შთაგვაგონა:
უკრაინა არასოდეს არ იქნება
გერმანელი ბატონების ყმა და მონა!

სამამულო ომის პერიოდში მიკოლა ბაქანმა ბრძოლის და შემოქმედებითი შრომის სახელოვანი გზა განვლო. მისი კალამი ფაშისტი აგრესორების წინააღმდეგ მიმართული ბასრი იარაღი იყო.

მიკოლა ბაქანმა მრავალი ლექსი უძღვნა სამამულო ომის თემას.

1942 წელს მიკოლა ბაქანმა დაწერა პოემა „დანიელ გალიცკი“.

პოეტმა შეისწავლა XIII საუკუნის სამხედრო ხელოვნება, მატიანეები, შექმნა შორეული წინაპრის მხატვრული სახე და იგი თანამედროვეობის სამსახურში ჩააყენა. პოემაში მოთხრობილია 1235 წელს ქალაქ დროგოჩინთან დანიელ გალიცკის მეგრძოლების მიერ გერმანელი რაინდების განადგურების ამბავი. ნაწარმოები გამოირჩევა მკაცრი სიმარტივით, ლაკონურობით, ისტორიული სინამდვილისადმი ერთგულებითა და, ამავე დროს, თანამედროვეობასთან ცხოველი კავშირით.

ომის პერიოდის ბოლო ნაწარმოებებს განეკუთვნება ლექსების ციკლი „კიევის ეტიუდები“. იგი მიეძღვნა გერმანელი ოკუპანტებისაგან კიევის განთავისუფლებას და ქალაქისა და ქვეყნის აღდგენითი სამუშაოების პირველ ნაბიჯებს.

„კიევის ეტიუდებში“ მკაფიოდ გამოვლინდა სოციალისტური რეალიზმის ძირითადი თვისება — ცხოვრების ფაქტების რეალისტური ასახვა და ცხოვრების

გარდაქმნის პერსპექტიული განვითარების განჭვრეტა. დანგრეულ ქუჩებსა და სახლებს შორის, აჩხილ და ნახანძრალ ხეივნებსა და ბაღებს შორის პოეტი უკვე არჩევს მშვენიერ სილუეტებს — ნათელსა და სწორ პროსპექტებს, ზვიადსა და მიწხიდველ სასახლეებს, ბრჭყვიალა შადრევნებს, თვალწარმატებულ ხეივნებსა და ბაღებს.

„კიევის ეტიუდების“ ციკლის ლექსში „მშენებელი“ ომგადახდილი საბჭოთა ჯარისკაცის მთავარ თვისებას — მომავლის ღრმა რწმენასა და ნანგრევებად ქცეული სამშობლოს აღდგენის პათოსს ასახავს. პავლო ტიჩინას ლექსთან — „ვიცოცხლოთ, ვიშრომოთ და გავიზარდოთ“ — ერთად მიკოლა ბაჟანის ლექსი „მშენებელი“ თანამედროვე პოეტებს გზას უკაფავდა ომის შემდგომი მშვიდობიანი მშენებლობის თემისაკენ.

ბაჟანი 1943—1949 წლებში მუშაობდა უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, ხოლო შემდეგ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ. იგი იღწვოდა უკრაინული ლიტერატურისა და ხელოვნების განსავითარებლად, იბრძოდა უკრაინული ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ. თავის წერილებსა თუ გამოსვლებში პოეტი შემოქმედებს მოუწოდებდა კიდევ უფრო დაეხვეწათ თავიანთი პოეტური ოსტატობა, ღრმად შეესწავლათ კლასიკოსი მწერლების მემკვიდრეობა, აეთვისებინათ და გაეანალიზებინათ იგი და ნათლად გამოეხატათ თავიანთი იდეოლოგიური მრწამსი.

დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ ბაჟანი გენერალურ ასამბლეაზე წარგზავნილი საბჭოთა უკრაინის დელეგაციის წევრი იყო. უცხოეთში ყოფნის დროს პოეტმა ჯერ 1946 წელს, ხოლო მეორედ 1947 წელს მოინახულა ინგლისი.

ინგლისში მოგზაურობის შედეგად შეიქმნა ახალი ლექსების ციკლი — „ინგლისური შთაბეჭდილებანი“. ამ ნაწარმოებში მშვიდობისათვის ბრძოლის იდეა ბურჟუაზიული იდეოლოგიის კრი-

ტიკულ მხილებასა და კაპიტალისტური ინგლისის ცხოვრების სატირულ ასახვასთან არის შერწყმული.

ციკლში სულ თერთმეტი ლექსია და ყოველ მათგანს სიუჟეტი აქვს.

ციკლი იწყება ომის დღეების გახსენებით. პოეტი გაპყურებს ლა მანშს, ინგლისის სანაპიროებს. მან იცის, რომ ეს ნისლიანი სანაპიროები დამპყრობელთა ჩექმებით არ გადაითელა მხოლოდ იმიტომ, რომ გერმანელების მთელი ძალა ვოლგამ შთანთქა. „ბრიტანეთო, გახსოვს ეს შენ?“ — ეკითხება პოეტი ინგლისს.

„ჰამლეტის სიკვდილის“ სატირა კვლავ განმეორდა იმპერიალისტების, კოლონიზატორებისა და სხვა ომის „ღმერთების“ წინააღმდეგ მიმართულ ბაჟანის ლექსებში. „პორტრეტის ჩანახატი“ და „მოხეტიალე ჯენტლმენი“ ომის გამჩაღებელთა ტიპიურ სურათებს გვიხატავენ: ამ ლექსებში გამოვლინდა მიაკოვსკისა და დემიან ბედნის სატირული სკოლის სული.

თავისი ლექსებით „ბიგ ბენი“ და „შემოღამება ჰაიდ-პარკში“ ბაჟანი ოსტატურად იყენებს პოლიტიკურ სატირას. პოეტი ირონიულად აგვიწერს ინგლისელთა თავისუფლებას; რასაც მოისურვებს ნიუ-იორკი, ლონდონი ყველაფერს „ოკეით“ უბასუხებსო. ხოლო ლექსში — „ბიგ ბენი“ — იგი მოხდენილად დასცინის ლეიბორისტთა და კონსერვატორთა პოლიტიკას — „ესკვაირი დალატი, ლორდი ომი — ერთი კომპანია“, — წერს პოეტი.

ამ ციკლში ბაჟანი ოსტატურად აგვიწერს ლონდონის სურათებს:

„შემხუთავი ბინდი ნისლის ქულებად იხვევა ლონდონის ქუჩებსა და პარკებში და მიედინება წყნარად“. პოეტი რეალისტურად აგვისახავს უსახლკარო და ღარიბი ადამიანების განწირულ მდგომარეობას. ძუნწად, მაგრამ ზუსტი შედარებებითა და სხვა მხატვრული ხერხე-

ოთარ ბაქანიძე
გამოჩენილი უკრაინელი პოეტი და
საზოგადო მოღვაწე

ბის გამოყენებით ნათლად გადმოგვეცემს
ამ ადამიანების ტრაგიკულ ხვედრს.

მას მისდევს ლანდი მეორე. ბედი
აწვალებს კრული,
დაოსებული, სნეული ბინდში გზას
ძლივსდა აგნებს;
მასაც სერთუის ქვეშ უცემს დარდით
შეკმული გული
და მიდის თავჩაქინდრული, მოკუმული
აქვს ბაგე.

ვით აღმრიცხველზე რიცხვები, ლანდს
კვლავ მიჰყვება ლანდი,
გაივლის ერთი, მეორე, ჩრდილი
იცილება ჩრდილით.
ერთმანეთისთვის უცხონი დღეს
ამთავრებენ დარდით,
ფრთხილად მიდიან ლონდონის ეს
უსახურნი შვილნი.

სახლში მიდიან კლერკები, თითქოს
იცივენ ადათს,
როცა კეტავენ კანტორებს და ყველგან
შუქი ჰქრება.
და ჰაიდ-პარკში შიშვლის უსიტყვო
პარადს მართავს
უიმელო და უბედურ ადამიანთა წყება.

პოეტი გვიხსნის ცხოვრების ამ უკა-
ნონობას და გვეუბნება, რომ ინგლისში
გაბატონდა დოლარის ღმერთი, ბიზნე-
სის ღმერთი, რომელიც ამშვევს და აღა-
ტაკებს მშრომელ მოსახლეობას და
მთელს ინგლისს კი ამერიკის ორმოცდა-
მეცხრე შტატად გადაქცევით ემუქრება.

პოეტმა ბურჟუაზიული სამყაროს სი-
დამპლედ და გახარწნილება გააშიშვლა
ლექსებში „შოტლანდიის გზაზე“ და
„ჯარისკაცული ბალადა“.

სახელმოხვეჭილ ომგადახდილ მეო-
მარ ტომ ატკინსს ლონდონი ზეიმით
ეგებება.

ლონდონი გხვდება, ტომი,
შენს სადიდებლად, ტომი,
სიტყვებს მიჰყვება სიტყვები,
გრიალი გააქვს ორკესტრს.

ჯარისკაცული ბალადა

ატკინსის სადიდებლად „დასწერეს
მთელი ტომი“. ჯარისკაცმა მკერდში
ჩაიკრა ცრემლმორეული ცოლ-შვილი,
მაგრამ მათ სასიხარულო ამბავი ვერ
დაახვედრეს ომიდან შინ მობრუნებულ

ვაჟკაცს. „სახლი აღარ გვაქვს, ეგებ-
ნება ცოლი, ახლა სხვასთან ვართ შეწყვი-
კედლებული, კეთილმა ხალხმა შეგვი-
ფარაო“.

ტომს მანაც არ უტყვდება გული, მას
არ ეშინია ხვალინდელი დღისა, მას
სჯერა, რომ

მომემენ სამუშაოს და
სახლს დაეამშვენებ შრომით.

ბევრი იწვალა ტომიმ, მაგრამ „მი-
ნისტრმა — ლეიბორისტმა“ წესიერი
სიტყვაც ვერ გაიმეტა ტომისთვის.

— ჰე, უსახლკარო ტომი,
შენ მაწაწვალა ტომი,
თავს ნუ აბეზრებ ყველას,
თუნდ წაუღიხარ ეშმაკს!

ასე კარდაკარ დაეხეტებოდა ტომი.
სანამ ციხეში არ ამოაყოფინეს თავი.

ასე ამტკიცებს უძველეს
ტრადიციების მცველი,
რომ ლეიბორისტს წესრიგში
ქვეყნად არა ჰყავს ტოლი.

მას რაღას ეტყვის ტომი?
ვინდა მოუსმენს ტომის?
უნდა უსმინონ მინისტრს, —
„სოციალისტი“ ძველი!

ბაჟანი განსაკუთრებით ამახვილებს
ყურადღებას ხელოვნებისა და ლიტერა-
ტურის ხვედრზე კაპიტალისტურ სამყა-
როში. ამ თემას მიუძღვნა მან ლექსები
„სტრატეგორდში ეივონაზე“ და „ბერნ-
სის ვახსენება“.

შექსპირის სამშობლოში დიდი ხანია
„დადუმდა ამაყი გელი“, ინგლისელი
მწერლის ნათელმა აზრებმა აქ ვერ გაი-
ხარეს. მათ ჭეშმარიტი აღიარება და ახა-
ლი სიცოცხლე საბჭოების ქვეყანაში, ამ
„თუმცა შორეულ“, მაგრამ „არა უცხო
ხალხში“ მოიპოვეს.

სწორედ საბჭოეთში, სოციალიზმის
ქვეყანაში განხორციელდა შოტლანდი-
ელი პოეტის რობერტ ბერნსის ოცნება:

— მაგრამ მე მჯერა, დაღება ეამი
და გაზაფხული კარზე მოდგება.
მოჰყვება იგი მშვენიერ ამინდს,
გადიშლება მწვანე ფოთლებად.

სიღარიბე და მონობა მაშინ
დაავიწყდებოდა ქვეყნებს, მხარეებს.
ამოუღებელი ხალხი ხალხს მხარში
და ყველგან ძმურად გაიხარებენ.
ბერნსის გახსენება

„ინგლისური შთაბეჭდილებანი“ მი-
კოლა ბაქანიის კიდევ ერთი მნიშვნელო-
ვანი გამარჯვებაა. მის ლექსებში ბევრი
კარგი პოეტური მიგნება, ორიგინალუ-
რი სახეები და თავისებურად გააზრე-
ბული თემებია.

1949 წელს ბაქანმა პავლო ტიჩინას-
თან ერთად შექმნა უკრაინის სსრ სა-
ხელმწიფო ჰიმნი.

ბაქანიის დიდი დამსახურება ლიტერა-
ტურისა და ხელოვნების დარგში იმითაც
აღინიშნა, რომ იგი 1952 წელს აირჩიეს
უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ნამდვილ წევრად, 1953 წელს უკრაინის
მწერალთა კავშირის გამგეობის თავ-
მჯდომარედ, ხოლო 1954 წელს მესა-
მეჯერ აირჩიეს საბჭოთა კავშირის
უმალღესი საბჭოს დეპუტატად. ბაქანი
არჩეული იყო უკრაინის კომუნისტური
პარტიის ცენტრალური კომიტეტის
წევრად.

1952 წლისათვის მიკოლა ბაქანმა გა-
მოსცა ლექსთა ახალი კრებული
„მაცხოვრის კოშკთან“. ამ ციკლში
პოეტმა რუსი და უკრაინელი ხალხების
ტრადიციულ მეგობრობას უმღერა.

ლექსი „მალემსროლი“ მკითხველს
უკრაინელი ხალხის ისტორიის ერთ
ეპიზოდს ასხენებს. ბოგდან ხმელნიცკის
მიერ კიევიდან მოსკოვს გაგზავნილი კა-
ზაკის გზა ძნელი და ხიფათიანი იყო.

მალემსროლი მიიჩქარის კრემლისა-
კენ. მახეში გაბმულ კაზაკს რუსი მეზრ-
ძოლის მამაცობა დაიხსნის სიკვდილისა
და სირცხვილისაგან.

მეხუთე დილა თენდება,
წყალგაღმა კრემლი კიაფობს.
ერთ ცხენზე ამხედრებული
ორი ძმა ტრამალს მიაპობს.

ბოლოს ძმადუფეციული მხედრები
„მაცხოვრის ჰიმნის“ მიადგენენ“.

საუკუნეთა სიღრმიდან თანდათან
ბით, მიგყავართ პოეტს დღევანდელს
დღემდე და ასევე თანდათანობით, მაგ-
რამ ბეჯითად ანვითარებს იგი მეგობ-
რობისა და ერთგულების იდეას.

ინტერნაციონალური თემა ბაქანიის
პირველივე ლექსების თემაა, ოცდაათი-
ან წლებში ჩნდება „მოგზაურობათა“
ქართული და უზბეკური ციკლები,
„ჩუფთო-კალელი ბიჭუნა“, ლექსები
ვაჟა-ფშაველასზე, შოთა რუსთაველზე,
შექსპირზე, ბერნსზე, მიკევიჩიზე და
სხვ.

პოეტმა უკრაინულ ენაზე თარგმნა
შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსა-
ნი“. დავით გურამიშვილის ცხოვრება-
მოღვაწეობამაც მიიზიდა მიკოლას გუ-
ლი. ამიტომაც ასე მიმზიდველად ახმი-
ანდა უკრაინულ ენაზე „დავითიანი“. მასვე
ეკუთვნის ქართველი კლასიკოსე-
ბის ნიკოლოზ ბარათაშვილის, აკაკი წე-
რეთლისა და ვაჟა-ფშაველას ლექსებისა
და პოემების თარგმანი.

მიკოლა ბაქანმა მრავალი ქართველი
საბჭოთა პოეტის ნაწარმოებიც თარგმ-
ნა. მან უკრაინულ ენაზე აამეტყველა
გალაკტიონის, გ. ლეონიძის, ს. ჩიქოვა-
ნის, ა. მაშაშვილის, ვ. გაფრინდაშვი-
ლის, ს. შანშიაშვილისა და სხვათა ნა-
წარმოებები.

მიკოლა ბაქანიის რედაქტორობითა და
წინასიტყვაობით 1939 წელს გამოვი-
და ქართული საბჭოთა პოეზიის ანთო-
ლოგია უკრაინულ ენაზე.

პროლეტარული ინტერნაციონალიზ-
მის იდეები წლიდან წლამდე მტკიცდებო-
და და ვითარდებოდა მიკოლა ბაქა-
ნის შემოქმედებაში. პროლეტარულმა
ინტერნაციონალიზმმა, რომელსაც პოე-
ტი თავის „ყველაზე დიდ შენაძენად“
თვლის, მისცა ძალა შემოქმედს ასე
ვაჟაკურად აეხმიანებია ხალხთა შო-
რის მეგობრობისა და ძმობის სიმღერა.

ოთარ ბაქანიძე
გამოჩენილი უკრაინელი პოეტი და
საზოგადო მოღვაწე

როცა სხვები შრომის ოფის ღვრიდნენ

1964 წლის 24 ივნისი იწურებოდა. ქვეყანა აჯამებდა იმ დღის გმირულ საქმეებს. გაშვებულ იქნა ახალი თანამგზავრი „კოსმოსი 33“. „თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამომთვლელი ცენტრი აწარმოებს მიღებული ინფორმაციის დამუშავებას“, — ეუწყა საბჭოთა ხალხს; ობნიისკის მშრომელებმა იდღესასწაულეს მსოფლიოში პირველი ატომური ელსადგურის შექმნის 10 წლისთავი; რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პარტიულმა და სამეურნეო აქტივმა 1964 წლის გეგმის ვადამდე ადრე შესრულების გადაწყვეტილება მიიღო; ტყვარჩელის №3 შახტის მალაროელებმა ქვეყანას უბატაკეს, რომ ეკონომიის ახალი ფორმების შემოღების შედეგად დაზოგეს 30 ათასი მანეთი და იგი დიდი ქიმიის ფონდში შეიტანეს; სტავროპოლმა, ერევანმა, ბაქომ და ცელინოგრაძმა პირველი კომბაინები გაუშვეს ახალი მოსავლის ზღვაში; ჩაის საკრეფმა მანქანა „საქართველომ“ წარმატებით გაიარა გამოცდა და საკავშირო კომისიის მოწონება დაიმსახურა; 30 ათასი ახალგაზრდა დაიძრა ყამირი-საკენ; ახალგაზრდა მოშაშე შეგოლევი

გახდა მსოფლიოს ჩემპიონი; საგარეჯო-ელმა თენგიზ ასლამაზიშვილმა ბაქოში გამართულ თავისუფალ მოჭიდავეთა საკავშირო ჩემპიონატში ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა...

იმ დროს, როდესაც ჩვენი პრესა და რადიო ამ ცნობებს გადასცემდა, — თბილისში, რუსთაველის გამზირზე მი-აბიჯებდა ექვსი ახალგაზრდა.

— რა ფილმები გადის დღეს? — იკითხა ერთმა მათგანმა.

— ერთმანეთზე უარესი!

— მაშ რა ვქნათ?!

— დავლიოთ! — მივიდნენ საერთო დასკვნამდე და რესტორან „სამაიასაკენ“ ჩაუხვიეს. ჯერ გასტრონომში შეიარეს და ორი ბოთლი არაყი იყიდეს. სავაჭრო ფარდულის წინ დადგმულ მაგიდასთან მოიკალათეს და „საქმეს“ შეუდგნენ. არაყს გადაჰკრავდნენ, შემდეგ კი ლუღს მიაშველებდნენ ხოლმე ჩამწვარ გულ-მუცელს.

უცებ ერთი მათგანი, ლევან მაღალაშვილი, მეზობელ სუფრას მიაშტერდა, თვლები გაუფართოვდა და სახეზე ჭარხალივით წამოწითლდა. კბილების ხრჭილით წამოიწია და იმ სუფრას მიაშურა. მეზობელ მაგიდასაც ექვსი

ახალგაზრდა შემოსხლომდა. მაგიდაზე ამდენივე ლუდის ბოთლი ელავა.

— ნოშრევან, წამობრძანდი ჩემთან, ლუდი დაგვილიე! — მიმართა ლევანმა ნაცნობ ახალგაზრდას. მის კილოში მუქარა უფრო ისმოდა, ვიდრე თხოვნა.

— უმჯობესია, ის ფირფიტები დამიბრუნო, ერთი წლის წინ ერთი დღით რომ ითხოვე! — დინჯად უპასუხა ნოშრევანმა.

— მაშ, პურ-მარილს მიწუნებ, არა? ეს თორმეტკაპიანი ბოთლი რომ არ მენანებოდეს, თავზე დაგამტკრედე! — იყვირა ლევანმა და ბიჭებს გასძახა, შეუარაცხოფას გვაყენებენ, აქეთ მოდითო.

მეგობრებმაც არ დააყოვნეს.

ხელსაყრელი მომენტი მიეცა ლევან მაღალაშვილს. იმ ფირფიტების თაობაზე მას ხომ უსიამოვნება ჰქონდა ნოშრევან ნიკოლაძესთან ერთი თვის წინ. მაშინაც საჩხუბრად გაიწია, მაგრამ პირისპირ შეხმა ვერ გახედა, მომერევაო, იფიქრა და გაცლა ამჯობინა. ახლა კი... ხუთი ამხანაგი თან ახლავს, და რაც მთავარია, მუშტით არ მოუხდებათ ბრძოლა, რამდენიმე მათგანს პირალესილი დანა ჯიბეში უდევს.

ძმაცალებმა მუშტით დაიწყეს და როდესაც მიხვდნენ, ვერაფერს გაეხდებოთო, დანები იშიშვლეს. ლაპლაპა დანე-

ბის დანახვამ ხუთი მოპირდაპირე და აფრთხო და ისინი ჩხუბის ადგილს წააფრთოდ გაეცალნენ. ექვსის პირისპირ ერთი შევერანგინი ახალგაზრდა დარჩა. ვაჟაკურად იცავდა თავს შიშველი ხელებით. გააგებული და სისხლომწყურებული ხულიგნები კი გარს შემოერთყნენ მას, იხელთეს დრო და ხუთჯერ დაჰკრეს დანა. სისხლმა შეუღება პერანგი ახალგაზრდას, თანდათან ძალა გამოელია; ბოლოს, როგორც იქნა, იგი გაუსხლტა შეიარაღებულ ლაჩრებს, თავქვე დაეშვა, მაგრამ ელბაქიდის დაღმართთან ჩაიკეცა. ამასობაში მკვლელებიც წამოეწივნენ, ზემოდან გადაემხნენ და კვლავ ამოქმედეს დანები. შემდეგ ქუჩა გადაჭრეს, წითელი „მოსკვიჩი“ გააჩერეს და სწრაფად გაეცალნენ იქაურობას.

ახლა კი მიირბინეს გაქცეულებმა მომაკვდავ მეგობართან. ელდა ეცაო. დაჭრილის თვლებში აღარ იგრძნობოდა სიცოცხლის ნიშანწყალი.

იგი სასწრაფოდ წაიყვანეს საავადმყოფოში, მაგრამ გზაში გარდაიცვალა.

ასე მოკლეს გარეწრებმა ჩვენი დროის შესანიშნავი ახალგაზრდა მალხაზ ადიეშვილი, პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტი, დიდი იმედების მომცემი სპორტსმენი, სანიმუშო მეგობარი და მოქალაქე.

ხორცმეძები

იმ დროს, როდესაც ექვსი ჭრილობისგან სისხლდაცლილი მალხაზი სიცოცხლეს ეთხოვებოდა, მკვლელები ორგანიზებულად შეიკრიბნენ და მოითათბირეს, თუ როგორ დაეფარათ ამ მძიმე დანაშაულის კვალი.

მართლმსაჯულებას მაინც ვერ დაემალნენ.

ლევან იოსების ძე მაღალაშვილი, გივი გიორგის ძე ქაჯაია, ზურაბ ნიკოლოზის ძე ნადარაია, გიორგი დავითის ძე ინწყირველი, რევაზ ალექსანდრეს ძე კეიშვილი, — აი, მრავალგვერდიანი სა-

გამომძიებლო საქმის ხუთი „გმირი“; მკვლელობის მეექვსე მონაწილემ — გურამ ზაქანიძემ გაქცევა მოასწრო.

ვათვალიერებ საქმეს. ხუთივე ახალგაზრდა თბილისის უმაღლესი სასწავლებლების უფროსი კურსების სტუდენტია. ლ. მაღალაშვილი სამხატვრო აკადემიის დეკორატიული ფაკულტეტის მე-3 კურსზე სწავლობდა, გ. ქა-

ავთანდილ ციხაძე
როცა სხვები შრომის ოფლს ღვრიდნენ

ჯაია — პოლიტექნიკური ინსტიტუტის სატრანსპორტო ფაკულტეტის მე-4 კურსზე, ზ. ნადარაია — იმავე ფაკულტეტის მე-5 კურსზე; გ. ინწირველი და რ. ჭეიშვილი კი — სახელმწიფო უნივერსიტეტში.

არც ერთი მათგანის ბიოგრაფია არ შეიცავს რაიმე ისეთ მნიშვნელოვან შესამჩნევ დეტალს, საერთო-სასარგებლო საქმიანობაზე რომ მიუთითებდეს. ჩვენი ყურადღება მიიქცია ერთმა ვითარებამ: ყოველ მათგანს ჰყვარებია მუსიკა, „კარგი“ მუსიკა, — როგორც თვითონ ამბობენ. დანაშაულის ჩადენამდე ისინი ზ. ნადარაიას ოჯახში დიდხანს ისმენდნენ ახალ მუსიკალურ ჩანაწერებს. ეს თვისება — მუსიკის სიყვარული — თითქოს მაღალ ესთეტიკურ გემოვნებაზე უნდა მიუთითებდეს და მათს მორალურ თვისებებსაც კარგად უნდა ახასიათებდეს. მაგრამ ვაი, რომ ასე არ არის. ჩვენების ამ ადგილის კითხვისას გამახსენდა ერთი ჩეხური ფილმი, სადაც გესტაპოს უფროსს გაეყვებამდე უყვარს კლასიკური მუსიკა, თვალები ნაზად ელულება ყვავილების დანახვაზე, მაგრამ ეს ერთის შეხედვით ნაზი გრძნობის ადამიანი ყოველდღიურად ათობით ტყვეს ხვრეტს საკუთარი ხელით.

ღიას, დასახელებული მკვლელების მიერ მუსიკის სიყვარული მხოლოდ მოდიტ გატაცებაა. მუსიკის ძალას გადაკეტილი აქვს გზა მათს გულამდე; მათი მიზნები და იდეალები დიდი ხანია შეიზოლდა და დაკნინდა, ჩამოცილდა ცხოვრებას. ისინი სკეპტიკოსი, გულგრილი ადამიანის გამომეტყველებით დასცქერიან კოსმონავტთა პორტრეტებს. სამაგიეროდ გატაცებით ლაპარაკობენ სულით ავადმყოფ ადამიანთათვის დამახასიათებელ უაზრო მოქმედებაზე, რაც მათ „ანგალ“ მეგობარს ჩაუდენია. ლაჩართა საყვარელი იარაღის — დანის ხმარებით გამოწვეულ სასიამოვნო განცდას ისინი ვერ მალავენ საგამომძიებლო ორგანოებისადმი მიცემულ ჩვენებაშიც კი. „მაღალაშვილი ამბობ-

და, რომ მე მგონი ორჯერ მოვექნიე დანა, ერთი უკან მოხვდა, მეორე შემომჩნევიაო“. ქაჯაიას კი ტრანზანით უთქვამს: „მე სამჯერ დავარტყი, ორი მკერდში, მესამე აღარ ვიცი, სად მოხვდაო“.

„საქმეში“ იშვიათი სიცხადით გამოსჭვების ამ ხუთი ხორცმეტის ლაჩრული ბუნება, რაც თითქმის ყველა ხულიგნისა და მკვლელისათვის არის დამახასიათებელი. გამომძიებლის კითხვაზე — რამ გამოიწვია დანის ხმარების აუცილებლობა, — ქაჯაია პასუხობს: „აბა, რა მექნა, მაშინ ხომ ნაცემი დავჩებოდიო“.

და აი ჩვენს წინაშე დგას ხუთი ბოროტმოქმედი. ვინც ნახა საქართველოს ტელევიზიის სატირულ-იუმორისტული ჟურნალის „ოქროპირის“ სპიციალური გამოშვება, ალბათ აღლევებლად ვერ მოისმენდა ერთ-ერთი მკვლელის ქაჯაიას სიტყვებს, რომელიც ფირზე იყო ჩაწერილი: „დანის დარტყმაზე ადვილ-ვილი რეაგირებას არ აკეთებდა. ისე, სამივე ჭრილობა ჩემი მიყენებულია“. — განმარტავდა ეს ნაძირალა. მაგრამ ამ სიტყვების შინაარსზე მეტი აღშფოთება გამოიწვია კაცისმკვლელის აულელებელმა და ცივმა ტონმა.

ჩვენიბაში მარგალიტებად გაბნეულ ტერმინებს აღარ იკითხავთ? რ. ჭეიშვილი წერს: „გივი ქაჯაია ლაპარაკობდა, რომ შევსაროჩიანი ბიჭს სამჯერ შევუტრქე დანაო“. ეს გამოთქმა ხომ ისეა შერჩეულ-შებრუნებული, რომ მისი წარმოთქმა თუ დაწერა გულს თხანს რეციდივისტს. ლ. მაღალაშვილი კი ასე ამხნევიბდა საჩხუბრად მომზადებულ ამხანაგებს: „დაბრიდეთ, მაგათი...“

ანდა აიღეთ მკვლელის გულცივობის განსაცვითრიბელი მაგალითი: „მკვლელობის შემდეგ მივედი სახლში, დავწე-ქი და დავიძინეო“, — წერს გ. ინწირველი.

მაგარ საქმიოს მიჩვეული უსაქმურები, მკვლელები, გულცივი რეციდივისტები, ჩვენი დიდი ეპოქის ხორცმეტები, — აი ვინ არიან ისინი.

წიწვოლამ ლაფით გაგვთხიფა,
გაგვექცა სარბილიანი;
ნეტა სად დაიმალება
სიცოცხლით სიკვდილიანი?!

ამბობს ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონის“ გმირი, რომელიც ბრძოლის ველიდან გაქცეულ მხალს სიცოცხლეშივე მკვდრად თვლის.

როდესაც ხალხს ასეთი მკაცრი განაჩენი გამოაქვს, იგი დანაშაულის წმინდა მორალურ მხარესთან ერთად ითვალისწინებს ამ დანაშაულის სავალალო შედეგსაც. — ამხანაგის ჭირში მიტოვებას უმრავლეს შემთხვევაში ხომ დიდი უბედურება მოსდევს?

სამწუხაროდ, ანალოგიური დალატის მოწმე გავხდით 24 ივნისს, მალხაზ ადეიშვილის მკვლელობის დღეს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ საბედისწერო დასასრულს სანახევროდ ხელი შეუწყო სიმხდალემ და დალატმა, რამაც ასეთი სამარცხვინო ფორმით იჩინა თავი მალხაზის მეგობრებს შორის.

სიმართლე რომ ითქვას, მალხაზს ჩხუბში ძალაუნებურად მოუხდა ჩარევა მისი მეგობრის ნოშრევან ნიკოლაძისა და ლევან მაღალაშვილის არაქეთილსასურველი ურთიერთობის გამო, თუმცა საერთოდ მას ჩხუბი გასაგონადაც კი ეჯავრებოდა.

და აი, მეგობრების ინტერესების დაცვის გრძნობამ მალხაზი მისთვის საძულველ სიტუაციაში მოახვედრა. მეგობრები კი... მეგობრები შემოეფანტნენ და იგი მარტოდმარტო აღმოჩნდა შეიარაღებული მკვლელების პირისპირ. იმ დროს, როდესაც მალხაზი იგერიებდა გახელებულ მკვლელებს, მისი მეგობრები... თუმცა უმჯობესია თვით მათ მოვუსმინოთ.

დაიწყეთ ჰენრი პარლაგაშვილით. იგი საერთოდ არაა ცუდი ახალგაზრდა; სწავლობს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. ამავე დროს მუშაობს მუშად, არის კომკავშირის წევრი. მაგრამ აბა მოუსმინეთ მის ჩვენებას. „რკინის კეტის სა-

შუალებით გზა გავიკაფე, გამოვედრი სირბილით ქუჩაზეო, — წერს იგი. — გამოვიქეცი და ფეხსაცმელების მაღაზიასთან შევეამჩნიე, რომ აღარ მომდევდნენ“ (ვაი, სირცხვილო!), „შემდეგ წამოვედი უკან, მაინტერესებდა ჩემი ამხანაგების ამბავი“. პარლაგაშვილს მიბაძეს ჯ. კერესელიძემ და ვ. ალანიამაც. „მე და ჯუმბერი, — წერს ალანია, — გავიქეცი თქით. როდესაც მოვედი, ვნახეთ, რომ მართლაც მალხაზ ადეიშვილი დაჭრილი იყო“. ნ. ნიკოლაძე კი ასე ამხელს თავის სამარცხვინო საქციელს: „მე მინდოდა ქვევით გაქცევა, რომ ამ დროს დავინახე, მალხაზ ადეიშვილი გამოვარდა ჩიხიდან და სირბილით გადაჭრა ელბაქიდის დაღმართი“, მკვლელები წამოეწივნენ, „შეკრეს მის გარშემო წრე და უცბათვე დაიშალნენ, ადეიშვილი გულაღმა ეგდო ქვაფენილზე, მე ყოველივე ამას ვუყურებდი ქუჩის მეორე მხრიდან“.

დღეს ძნელია ასეთ საქციელს სასჯელის რაიმე ზომა მიუყენო, იგი წმინდა მორალური ხასიათისაა და სამწუხაროდ, მისი ჩამდენიც დაუსჯელი რ.ება.

„ბახტრიონში“ მეგობრების მოღალატე წიწვოლამ შეიგნო თავისი საშინელი დანაშაული და თვითმკვლელობით დაამთავრა სიცოცხლე; ადეიშვილის მეგობრებს არავინ თხოვს ასეთი გზით გამოასწორონ თავიანთი სამარცხვინო საქციელი. დაე, მათთვის და ყველა სხვა შეგნებულ ახალგაზრდისათვის გაკვეთილად დარჩეს ის „ცოდვა“, რომელსაც ისინი დიდხანს ვერ დაივიწყებენ. მინდა მათ იცოდნენ საწინააღმდეგო მოქმედების შესანიშნავი მაგალითები, როცა დროული და ვაჟკაცური ჩარევით უხსნიათ ადამიანთა სიცოცხლე.

სპორტის მოყვარულნი კარგად იცნობენ საბჭოთა სპორტის ვეტერანს მა-

ავთანდილ ციბაძე

როცა სხვები შრომის ოფლს ღვრიდნენ

მია ჟღერს. 1953 წლის ნოემბერში იგი ტრამვით სადგურში მიდიოდა. ტრამვაი ჩელუსკინელთა ხიდს უახლოვდებოდა, ამ დროს ორი ახალგაზრდა აეტუზა წინ ხანშიშესულ მანდილოსანს. ერთმა მათგანმა ქალს ჩურჩულით მისცა წინადადება — მოეხსნა საათი, ოქროს ბეჭედი და სამაჯური. მანდილოსანი ჯერ გაფითრდა, შემდეგ კი დაკვივლება დააპირა. „ხმა, თორემ აქვე გაავთავებ“, იყვირა მძარცველმა და დანა იშიშვლა. ჟღერტი, რომელიც თვალს ადევნებდა ყველაფერს, ერთი ნახტომით მძარცველთან გაჩნდა და დანამომარჯვებული ხელი გადაუგრიხა. სპორტსმენის გამჭირახმა თვალმა შენიშნა, რომ მეორემაც ჯიბისაკენ წაიღო ხელი. მაშინ მან, არც აცია, არც აცხელა და ძლიერი დარტყმით ერთი მათგანი ტრამვიდან გადააგდო. შემდეგ მივარდა მეორესაც და ისიც თანამზრახველს მიაყოლა. გაჩერებაზე მილიციელს დაუძახა, წაიყვანა შემთხვევის ადგილზე და ორივე ხორცმეტი საავადმყოფოში მოათავსა. შემდეგში მძარცველებმა დამსახურებული სასჯელი მიიღეს.

მართალია, ძველმა სპორტსმენმა გარკვეული ფიზიკური ზიანი მიაყენა დანის ხმარების მოყვარულთ, მაგრამ მილიციის განყოფილებაში სწორად გაიგეს ჩადენილი მოქმედების არსი და მ. ჟღერტს მაღლობა უთხრეს. მაგრამ, სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როცა ღრმად არ ჩაწვდებიან საქმის შინაარსს და ნაჩქარევად აკრავენ დამნაშავეის იარაღს იმას, ვინც ფიზიკურად დაახიანებს ხულოვანსა თუ მძარცველს. ეს კი, ბუნებრივია, იწვევს ლოიალურ და „განზე მდგომ“ ადამიანთა გამრავლებას. მახსოვს როგორ იყო შეწუხებული ერთი ჩემი მეგობარი, თბილისის ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის ფაკულტეტის დეკანი. მისი საუკეთესო სტუდენტი ჯემალ კაკიტელაშვილი მილიციაში აღმოჩნდა და ხუთ წლამდე პატიმრობა ელოდა. მან ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მოქალაქეს კიროვის ქუჩაზე, განუმარტეს დეკანს მი-

ლიციაში. მილიციის ცნობებზე დაყრდნობილმა პრესამაც ამცნო ქვეყანას კიტელაშვილის „ავაკობა“. მაშინ მით დაინტერესდა გაზეთ „მოლოდიოე გრუზიის“ კორესპონდენტი, რომელმაც პროკურატურის სათანადო წარმომადგენელთა დახმარებით ბოლოს და ბოლოს შეძლო ქეშმარიტების დადგენა. იმ, რა მოხდა სინამდვილეში: შუალამე იყო. ჯემალი კიროვის ქუჩით ლენინის სახელობის მოედნისაკენ მიდიოდა. „მიშველე, ძამიკო!“ — შემოესმა სუსტი ხმა. ჯემალმა დაინახა გოგონა, რომელიც მისკენ მორბოდა. მას ფეხდაფეხ მოჰყვებოდა ვიღაც მთვრალი მამაკაცი. დამფრთხალი გოგონა ჯემალს ამოუფარა.

— რას ერჩით, ჩამოეხსენით! — მძარტა ჯემალმა მოქალაქეს.

— ჩამომეცალე და შენს ვაზზე წავეთრე! — იღრიალა მან და ახალგაზრდა ქომავს ხელი ჰკრა.

ჯემალმა გადაწყვიტა მისი შეპყრობა და წაყვანა იქ, სადაც ჯერ არს, მაგრამ მთვრალმა ელვის სისწრაფით იშიშვლა დანა. მაშინ კი ჯ. კაკიტელაშვილმა მთელი ძალით ამოჰკრა მას ყბაში. მუშტი და ძირს დასცა გრძნობადაკარგული ხულოვანი.

ჯემალი დააბატიმრეს. მხოლოდ სამი თვის შემდეგ გაირკვა სიმართლე. დამნაშავე დაისაჯა, ჯემალი განთავისუფლდა, მაგრამ მილიციის ზოგიერთი მუშაის უყურადღებობამ უდანაშაულოდ დასჯილი ჰაბუკის მეგობრებსა და ნაცნობებს შორის ასეთი მითქმამოთქმა გამოიწვია: რა ხელი გამიხმება და ჩავერევი სხვის ჩხუბში. ერთმანეთი დაუბოციათ. ჯემალიც ჩაერია, ბატონო, და სამი თვე ციხის კედელი ხეხაო!

საუბედუროდ, ასეთი არაჯანსაღი მსჯელობის გამოზარებელნი ესწრებოდნენ მ. ადგიშვილის მკვლელობის სურათს. საოცარია, რომ მკვლელობის ადგილზე, სავაჭრო ფარდულთან ოცამდე ადამიანი იყო თავმოყრილი და არც ერთი მათგანს ფიქრადაც არ მოსვლია, რითი-



მე ჩარეულიყო ამ ორომტრიალში და გზა გადავღობა ბოროტებისათვის. აი, ადგილი ერთ-ერთი მათგანის ჩვენებიდან: „ჩხუბის დროს ჩვენი კომპანიიდან არავინ არ ამდგარა მაგიდიდან... ჩვენ ვიჯექით ამ პავილიონის დაკეტვამდე. შემდეგ ავდექით ყველანი და გამოვედით ქუჩაში. იქ ვავიგეთ, რომ ის ბიჭი მოუკლავთ“. გარდა იმისა, რომ ამ ჩვენებით მოქეიფე „ვაჟაკებმა“ გამოამყლავნეს სიმხალე და გულცივობა, ჩვენებაში დაუფარავად გამოსჭვივის თავის დამზღვევთა შორი მიზანიც: „ნუ შეგვაწუხებთ გაუთავებელი დაკითხვებით, ჩვენ არაფერი არ ვიცით ამ საქმის შესახებ, ხომ ხედავთ, კაცს კლავდნენ და ჩვენ მაინც არ გავნძრეულვართ ადგილიდან“, — ასე უნდა წავიკითხოთ ჩვენების ნამდვილი აზრი.

ასევე არ ეყო ვაჟაკობა მკვლელობის ადგილზე მდებარე სახლში მცხოვრებ მამაკაცებს ჩარეულიყვენ ჩხუბში და ესნათ ადამიანის სიცოცხლე, პირიქით, მათ სახლიდან მხოლოდ მაშინ გამოიყვან თავი, როდესაც მკვლელებმა თავიანთი შავი საქმე მოათავეს.

მე დავესწარი ფარდულის გამგის ამამჩიანისა და მისი მეუღლის დაკითხვას.

— რა იცით ამ საქმის შესახებ? — შეეკითხა გამომძიებელი ამამჩიანს.

— რა საქმეზე მეკითხებით? — უბრუნა კითხვა ამამჩიანმა.

— მკვლელობის შესახებ, 24 ივნისს რომ მოხდა თქვენს ფარდულთან!

— როგორ, იქ განა მოკლეს ვინმე? — გულისამრევი მიამიტობით იკითხა ამამჩიანმა და გაკვირვებული სახე მიიღო.

— ფარდულიდან მკვლელობის ადგილამდე სულ 5-6 მეტრია. ნუთუ ვერაფერი შეამჩნიეთ თქვენს გარშემო? — კვლავ შეეკითხა გამომძიებელი.

— მე ჩემი საქმით ვიყავი გართული, არაფერი არ დამინახავს და არც ვამიგია!

აი, რისი გაგება შესძლეს საგამომძიებლო ორგანოებმა ადამიანისაგან, რომელმაც მკვლელებს ნება დართო ფარდულში არაყი შემოეტანათ და „გამხნევებულიყვენ“ დანის დატრიალების წინ.

აი, თურმე რამდენი წიწოლა გვეყავს ჯერ კიდევ. მარტო ზემოთ აღწერილ მკვლელობასთან დაკავშირებით თავისი თავი გამოამყლავნა ორომცამდე მხალა და და სხვის საქმეში „ჩაურევლობის“ მოყვარულმა ადამიანმა.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომელთა შეგნებამდე მთელი სიცხადით არ დასულა უკვდავი სიტყვები: „ადამიანი ადამიანის ამხანაგი, მეგობარი და ძმია!“

გამწარბებული სიბერე

სასიკვდილოდ დაჭრილი მალხაზ ადვიშვილის სისხლი თითქმის ყველა მკვლელის პერანგს მოეცხო. სისხლით შეიღება გიორგი ინწკირველის პერანგიც. მკვლელობის შემდეგ მან ხიდთან მიიბრინა, გაიხადა პერანგი და მტკვარში გადააგდო.

— რა მოსაზრებით გააკეთეთ ეს? — ჰკითხეს ინწკირველს დაპატიმრების შემდეგ.

— იცით, დედას სუსტი გული აქვს და ვიფიქრე, სისხლიანი პერანგის დანახვა ცუდად იმოქმედებდა მასზე, — უპასუხა „დედის მოყვარულმა“ შვილმა.

განა შეიძლება ეგოიზმის ამაზე ნათელი მაგალითის დასახელება? მკვლელთა ჯგუფის მონაწილე შვილი ადამიანის მოკვლის შემდეგ ასე „უფრთხილდება“ მშობელს, რომელსაც „მზრუნველი შვილის“ გამოუსწორებელი დანაშაულის გამო სიცოცხლე უბედურებად გადაქცევა.

მაგრამ ვინაა ჩამწარბებული სიბერის მიზეზი? მარტო ცუდად გაზრდილი

ავთანდილ ციბაძე
როცა სხვები შრომის ოფის ღვრიდნენ

შვილი? „სწორი აღზრდა, — წერდა დიდი საბჭოთა პედაგოგი მაკარენკო, — ეს ჩვენი პედნიერი სიბერეა, ცუდი აღზრდა ეს ჩვენი მომავალი უბედურებაა, ეს ჩვენი დანაშაულია სხვა ადამიანთა წინაშე, მთელი ქვეყნის წინაშე“.

ღიახ, ბავშვის აღზრდა პირველ რიგში მშობლებზეა დამოკიდებული, ისინი პასუხს უნდა აგებდნენ მის ყოველ მოქმედებაზე. დაუფრთხნდეთ კონკრეტულ საკითხს და პირდაპირ ვთქვათ: საზოგადოებამ მ. ადენიშვილის მკვლელობა მშობლებსაც უნდა მოსთხოვოს პასუხი. რატომ? თვით ფაქტები გასცემენ პასუხს ამ კითხვაზე:

დანაშაულის ჩადენის შემდეგ, როდესაც უფრო ღრმად ჩასწვდნენ თვითეული დამნაშავის ბიოგრაფიის ცალკეულ დეტალებს, დადგინდა, რომ არც ერთი მათგანი არ ერიდებოდა მაგარ სასმელებს, ლოთობას. პირიქით, ზოგიერთი სისტემატურად ეტანებოდა მას; 24 ივნისსაც იგივე გაიმეორეს, მაღლულად თუ ფარდულს გამგის ნებართვით მიიტანეს მაგიდაზე არაყი და ღრეობას შეუდგნენ. და ეს ხდებოდა სისტემატურად. ვეკითხებით მშობლებს: როდესაც თქვენი ვაჟი ასე ხშირად „კარგ გუნებაზე“ მყოფი მოადგებოდა ხოლმე სახლს, ერთხელ მაინც თუ შეეკითხეთ მას, საიდან, რა სახსრებით ახერხებს იგი მაგარი სასმელების შეძენას? საიდან ჩნდება მის ჯიბეში ფული? თუ ისინი ქურდები და მძარცველები არ იყვნენ, მაშ, თქვენ, „გულაჩუყებულმა“ მშობლებმა შეუწყეთ ამას ხელი?! „ახალგაზრდაა, — მსჯელობდით თქვენ, — კინოსა და საუზმის ფული ხომ უნდა ჰქონდეს, ვარდა ამისა, იქნებ გულის სწორიც ჰყავს აჩენილი, ენაცვალოს დედა, მასაც პატივისცემა სჭირდება, მათხოვრობას ხომ არ დაიწყებს!“ მათხოვრობა არ დაუწყიათ, საამისო „თავმოყვარეობა“ გააჩნდათ ამ ხორცმეტებს, მაგრამ რაც დაიწყეს და რა გზასაც დაადგნენ, ეს ნათილი გახდა 24 ივნისს.

მშობელს შვილი უნდა უყვარდეს, მაგრამ როდესაც ეს სიყვარული ბრმა

და მშობელი განუკითხავად არის აღტაცებული შვილის საქციელით, ეკლავს საც შვილის მიმართ ეკარგება აკული მიდგომის ყოველგვარი უნარი, — ესეც ხომ დანაშაულის ჩადენის საწინდარია. ბევრი მშობელი გამწარებულა მსგავსი „აღზრდის მეთოდების“ გამო. ამას წინათ თბილისის უმაღლესი სასწავლებლის ერთ-ერთი ფაკულტეტის მუშაობას ვეცნობოდი. დეკანოზი მიჩვენა დაეთარი, სადაც აღრიცხული იყო სტუდენტთა მშობლების გამოძახება (პარალოქსია, არა? იმ დროს, როდესაც საშუალო სკოლის მოსწავლეები, პიონერები თავიანთი პატარა ხელებით სასახლო საქმეებს სჩადიან და ქვეყანას აკვირებენ, ინსტიტუტში სასწავლებლად შემოსულ ზოგიერთ აყლაყულდას მშობლის გამოძახება ესაჭიროება ჰქუაზე მოსაყვანად). განსაკუთრებით თვალში მომხვდა ერთი მშობლის გვარი, რომელიც რამდენჯერმე იყო განმეორებული გამოძახების ყურნალში. „იძულებული გავხდი, — მითხრა დეკანოზი, — სტუდენტის გარიცხვამდე ბევრჯერ მელაპარაკა მის მშობელთან. უკანასკნელი გამოძახების დროს კი გამიბრუნდა და უკმეხად მითხრა: არ ვიცი, რას ჩააცვიდით ამ ჩემს შვილს. ნეტავ მისთანა სსეები იყვნენ, ჩემი ბიჭი ცუდს არაფერს აკეთებსო“. ამას წინათ მე კვლავ შევხვდი იმ მშობელს, მაგრამ არა დეკანოზში, არამედ სასამართლოში. მის „წესიერ“ შვილს ასამართლებდნენ სახლის გაქურდვისათვის.

ამ ფაქტის განსაცვიფრებელ ანალოგიას წავაწყდით მ. ადენიშვილის მკვლელობის საქმეშიც. განსაკუთრებით ეს იტქმის ლევან მაღალაშვილის მამაზე. საქმეში ინახება მისი რამდენიმე განცხადება. სადაც იგი „ცეცხლს ანთებს“ „უდანაშაულო“ შვილიკოს დაპატიმრების გამო. „ლევანი არის მართალი, კარგი ბუნების ახალგაზრდა“, — წერს იგი ახსნა-განმარტებაში. ხოლო მეორე განცხადებაში უფრო მომხიბლავად აღწერს შვილის თვისებებს: ჩემ შვილს ლევანს მე კარგად ვიცნობ. რისი გამკეთებელიც არისო. მისი ხმამაღლა და-

ლაპარაკებაჲ კი არ გაუფონიათო მეზობლებს, ტოლ-ამხანაგებს და აკადემიაში თანამოსწავლეებს... მაგრამ იგი ატყობს, რომ მომხდარმა ფაქტმა საშუაროზე გამოიტანა მკვლელი შვილის თვისებები და სხვა გზით ცდილობს გამოსავალს პოვნას. იგი აღნაშაულებს პრესას, საზოგადოებას, რომ ისინი აღსდგნენ მისი და მისი შვილის წინააღმდეგ, აწყობენ პროვოკაციებს უდანაშაულო ოჯახის მიმართ. მიიღეთ ზომები, რომ ადგილი არ ჰქონდეს ჩემი ოჯახის „ტერორიზმას“, — აცხადებს იგი. შემდეგ კი უდიერად იხსენიებს ყველა იმათ, ვინც მისი შვილის სასტიკი დასჯა მოითხოვა. მისი მტკიცებით წამოყენებული ბრალდებები პროვოკაციულია და შეთხზულია მისი ოჯახის დასაღუპავად და მას სურს, პასუხი მოსთხოვონ „ლელოს“ რედაქციას და პრესაში გამოაქვეყნონ ყველაფერი.

მაღალაშვილის მამა პათეტიკური ტონით მიმართავს ზემდგომ ორგანოებს, რომ „უპატრონონ“ მას, გაიგონ მისი უბედურება და სიმართლე არ დაუტარგონ. ხოლო რა „სიმართლე“ არ უნდა დაუტარგონ მას, ამის თქმა კი ერთობ ძნელია.

ჩვენ ყურადღება მიიპყრო ერთმა საინტერესო და დამახასიათებელმა დოკუმენტმა. საგამომძიებლო საქმეში ინახება ორჯონიკიძის ქუჩის № 108 სახლში მცხოვრებთა კოლექტიური წერილი, რომელსაც 27 კაცი აწერს ხელს. ისინი თხოვენ სასამართლოს, შეუღმსუბუქოს სასჯელი ზ. ნადარაიას.

ამ 27 კაციდან ნუთუ არც ერთმა არ იცოდა, რომ ზ. ნადარაიას შეეძლო შეიარაღებული ამხანაგის დაკავება, წინ გადადგომა და მისთვის დანის წართმევა. მან ეს არ გააკეთა. პირიქით, როდესაც დაჭრილი მ. ადგიშვილი ელბაქიძის დაღმართისკენ გაიქცა, სხვა მკვლელებთან ერთად ისიც გამოედევნა სისხლისაგან დაცლილ ახალგაზრდას და „ხუთივე მკვლელი ზედ გადაემხრა ადგიშვილისო“, ერთხმად რომ წერენ ჩვენებებში, იმ ხუთში ზ. ნადარაიაც ხომ ერია? გვინდა შევეკითხოთ ორჯონიკი-

ძის ქუჩის № 108 სახლში მცხოვრებთ: ნადარაია რომ ყოფილიყო რომელიმე თქვენგანის შვილის მკვლელობის მონაწილე, თქვენ მოაწერდით ხელს განცხადებას მისი სასჯელის შემსუბუქების შესახებ? „სხვისი ქირი, ღობეს ჩხირია“, ნათქვამია. თქვენ არ გაძძიმებთ მალხაზის დედის ძაძა, თქვენ არ გასველებთ ცრემლი, რომელიც მალხაზის ტოლ-ამხანაგებს სდით, თქვენ არ გადარდებთ დანაკლისი, რომელიც საბჭოთა ფიზკულტურულმა მოძრაობამ განიცადა, — და დაუფიქრებლად აწერთ ხელს სამარცხვინო განცხადებაზე.

27 გულშემატკივარს, სხვათაშორის, ასეთი არგუმენტიც მოყავს კოლექტიურ წერილში: ზურაბ ნადარაიას ბავშვობაში სახლში ჯდომა უყვარდა და ბევრიც რომ გეძახათ, ეზოში ვერ გამოიყვანდითო. უხეირო საბუთია! ახალგაზრდას მარტო ქუჩა და ეზო როდი რყენის. აბა, მოისმინეთ, რა შესჩივლა მეგობარს მკვლელთა ექვსეულის მონაწილის რევაზ ჭეიშვილის დედამ: ბოლო ხანს ჩემი რევაზი შინ ჯდომას მიეჩვია. ამხანაგები სახლში აკითხავდნენ. მართალია, მთელი დღე პოკერის თამაშით იყვნენ ვართულნი, მაგრამ მაინც მიხაროდა: ქუჩა-ქუჩა ხეტიალს ასე სჯობს-მეთქი, ვფიქრობდი.

ასე ფიქრობდა დედა, მაგრამ იგი შეცდა. მან ტყუილბრალოდ მოიხსენია ქუჩა აუგად. ამ შემთხვევაში ხომ მისი ოთახი, სადაც გახურებული პოკერის აზარტი ენთო, არაფრით განსხვავდებოდა ქუჩისაგან, ამ სიტყვის იმ გავებით, რასაც ჭეიშვილის დედა გულისხმობს.

ასე იყო თუ ისე, კიდევ ექვს მშობელს ჩაუშწარდა სიბერე. და ამ უბედურების ერთ-ერთ მთავარ მიზეზს თვით ისინი წარმოადგენენ.

რამდენ მშობელს ეყოფა ეს დიდი ვაკვეთილი დასკვნების გასაკეთებლად?

ავთანდილ ციბაძე
როცა სხვები შრომის ოფლს ღვრიდნენ



„ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდება“, — ამბობს ქართული ანდაზა. სამწუხაროდ, განსაკუთრებით აღმზრდელობით მუშაობაში, ურემის ყოველ გადაბრუნებას როდი მოსდევს გზის გულისხმიერი ძებნა, შემდგომში რომ უხიფათოდ ვიაროთ ზედ.

მ. აღეშვილის მკვლევლობა და სხვა მსგავსი ფაქტები მოსვენებას არ უნდა აძლევდეს ჩვენს პრესას, რადიოს, ტელევიზიას, ჩვენს სასწავლო აღმზრდელობით ორგანოებს. ისინი განუწყვეტლივ უნდა ეძებდნენ ახალ-ახალ ქმედით ფორმებს ახალგაზრდებს შორის აღმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად, მათს შორის სისხლის საწარმოლის დანაშაულობათა მკვეთრად შესამცირებლად.

ამ წერილის დაწერისას ჩვენ მოგვიხდა მთელი რიგი აღმზრდელობითი ორგანიზაციების მუშაობის კონკრეტული მხარეების გაცნობა; გავეცანით თბილისის უმაღლესი სასწავლებლების კომკავშირის კომიტეტების მუშაობას, ვიყავით სხვა დაწესებულებებშიც და უნდა შევნიშნოთ, რომ თუ არსებული დოკუმენტაციის მიხედვით ვიმსჯელებთ, ყველგან დიდი მუშაობაა ჩატარებული. სამუშაო გეგმები, ოქმები, აღრიცხვის ჟურნალები აღარ ეტევა სეიფებსა და კარადებში. ბევრ შემოწმებულს თვალს სჭრის დოკუმენტების ასეთი სიმრავლე და დამაკმაყოფილებლად ფასდება საქმიანი ქაღალდების შემდგენელის მუშაობა.

მაგრამ აქვე უნდა ითქვას: ზოგიერთ აღმზრდელობითს ორგანიზაციაში დამკვიდრდა მუშაობის მავნე სტილი — მოდად იქცა ღონისძიების ფორმალური ჩატარება, — მათი ჩატარება ოქმებისათვის, წლის დასაწყისში დამტკიცებული გეგმის შესასრულებლად. შეხვალ ასეთ ორგანიზაციაში აღმზრდელობითი მუშაობის შესამოწმებლად და უმაღლესად მოგოგოგავებენ დასტად შეკრულ ქაღალდებს. არავის მოსდის აზრად გელა-

პარაკოს იმ შედეგზე, რაც ამ ღონისძიებების განხორციელებას მოჰყვა. მთავარი ხომ გაკეთდა — ღონისძიება ჩატარდა, არის ოქმი, ხელი მოწერილია, მაშასადამე საქმე კარგად არის!

ყურადღება უნდა გავამახვილოთ ერთ საკითხზე. ეს არის საკითხი თბილისიდან პარაზიტული ელემენტების გასახლების შესახებ. კრებამ იმსჯელა, ესა და ეს პარაზიტი გასახლებულ იქნას თბილისიდანო, — ვკითხულობთ ხშირად გაზეთების ფურცლებზე, მაგრამ ამ ღონისძიების გატარებისას ზოგიერთი დაწესებულების ხელმძღვანელები ფორმალისტს იჩენენ, გასახლებულ პარაზიტებს რაიონებში ამა თუ იმ ორგანიზაციას მიამაგრებენ და ამბობენ — იქ გამოასწორებენო.

ისინი თავიდან იცილებენ პასუხისმგებლობას, „ხელს იბანენ“, სამაგიეროდ იწერება ოქმები, იქმნება აღმზრდელობითი მუშაობის მოჩვენებითი პათოსი, ხოლო გასახლებულ პარაზიტებს მოიშორებენ რა თავიდან, უკვე არავითარ ყურადღებას არ აქცევენ, არ აინტერესებთ მისი ბედი, არც კი იკითხავენ, თუ რას აკეთებს, როგორ შრომობს იგი რაიონში, არ ეხმარებიან რაიონის ორგანიზაციას, ერთი სიტყვით, გასახლებულს სამუდამოდ ივიწყებენ. მათ თავისი ვალი ხომ უკვე მოიხადეს, რაკი მნიშვნელოვანი ღონისძიების მხოლოდ ნაწილი — გასახლება — ფორმალურად განხორციელეს, დაწერეს ოქმი, გამოიტანეს დადგენილება. ოღონდ ივიწყებენ იმ გარემოებას, რომ პარაზიტის გასახლება მხოლოდ ადმინისტრაციული ღონისძიება როდია, იგი აღმზრდელობითი მუშაობის კიდევ ერთი სახეა.

პასუხისმგებლობის თავიდან არიდების მოყვარულთ გვინდა მოუთხროთ ერთი მაგალითი იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ უნდა მუშაობა გზას აცდენილ ახალგაზრდებთან: კომკავშირის თბილისის კომიტეტთან შექმნილია ახალგაზრდობის ღირსების საზოგადო-

ებრივი სამსჯავრო. სამსჯავროს ერთ-ერთმა სხდომამ გაარჩია შემთხვევით გზასაცდენილი სამი ახალგაზრდის საქმე. სხდომაზე მოწვეული იყვნენ მოწინავე ახალგაზრდები თბილისის წარმოება-დაწესებულებებიდან. სიტყვით გამოვიდა „თბილვეირაბმშენის“ კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირი თამაზ ვაშაძე. სიტყვის დასასრულს მან აიღო ვალდებულება, რომ დაეხმარებოდა ერთ-ერთ გზასაცდენილ ახალგაზრდას. თ. ვაშაძემ სიტყვა საქმედ აქცია. მან ახალგაზრდა თავისთან მოაწყო სამუშაოდ, გვერდიდან არ იშორებდა, კინოშიც კი ერთად დადიოდნენ. ამასთან, ვაშაძე ყოველ კვირას აცნობებდა ხოლმე კომკავშირის თბილისის კომიტეტს, თუ როგორ იქცევა ახალგაზრდა, რომელიც პატიოსანი შრომის ფერხულში ჩაება. მისთვის თამაზ ვაშაძე ნამდვილ უფროს ძმად გადაიქცა.

სწორედ ასე, ვაშაძეებისა და სხვა მოწინავე ახალგაზრდების დახმარებით, მუშაობის ახალ-ახალი ფორმების გამუდმებული ძიებით უნდა ხდებოდეს გზასაცდენილ ადამიანებზე სასურველი ზემოქმედება.

მაგრამ როგორ მოვექცეთ მათ, ვინც არავითარი ზომა არ მოქმედებს და გამოუსწორებელ პარაზიტად ითვლება? ასეთთა მიმართ გადამჭრელი ზომები უნდა იქნას მიღებული.

ჩვენი უახლოესი ამოცანაა ვიბრძოლოთ ფორმალისმის წინააღმდეგ. საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები საქმით უნდა იქცეს ახალგაზრდობის გონიერი, სასარგებლო დასვენების კერებად: კლუბებში, პარკებსა და სხვა ად-

გილებში ახალგაზრდას უნდა უხაროდეს მისვლა. აქ იგი თავის სულს მოთხოვნილებებს უნდა იკმაყოფილებდეს.

თუ ასე იქნება, ახალგაზრდა თვით ჩამოცილდება მასზე მავნე გავლენის მქონე ადგილებს. ჯერ-ჯერობით კი, ზოგჯერ კვლავ ვისმინთ დიალოგს, რომლითაც დავიწყეთ ჩვენი წერილი:

- „— დღეს რა ფილმები გადის?
- ერთმანეთზე უარესი!
- მაშ რა ვქნათ?
- დავლიოთ!“...

როგორც ხედავთ, ასეთი დიალოგიდან ბოროტმოქმედებამდე სულ ერთი ნაბიჯია, ალკოჰოლით გაბრუებული, „დარტყმისა“ და დანის ტრიალის მოყვარული პარაზიტი ადამიანის სიცოცხლეს ხომ დაუფიქრებლად გაიმეტებს.

ჩვენ გვჯერა, რომ საზოგადოებრიობა, ჩვენი სახელოვანი კომკავშირი, აგრეთვე სხვა აღმზრდელი ორგანიზაციები დიდ დროსა და ძალას მონდომებენ ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას. ჩვენ შესანიშნავი ახალგაზრდობა გვყავს და ეს ახალგაზრდობა მ. ადღეიშვილის მკვლელთა და მათ მსგავს კაცთმოძულე რეციდივისტთა სამაგალითო დასჯას მოითხოვს. ჩვენი ახალგაზრდობის შემოქმედებით ცხოვრებასა და შრომას ხელს არ უნდა უშლიდეს რამდენიმე ხორცმეტი. მათი გზიდან ჩამოცილება აუცილებელი და სამართლიანი მოთხოვნაა.

ავთანდილ ციხაძე
როცა სხვები შრომის ოფლს ღვრიდნენ



აზიკან თაჰვაძე

ასუანის კაშხალის მშენებლობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ქართველმა სპეციალისტებმა. ებედურად კაშხალის მშენებლობის მონაწილას ინჟინერ ამირან თევზაძის ნარკვევს.

მსოფლიოს მერვე საოცრება

ნარკვევა

ვინ იცის, რამდენ საუკუნეს ელოდნენ არაბები 1964 წლის 14 მაისს. ამ დღეს ისინი შეიკრიბნენ ასუანის მაღლივი კაშხალის მშენებლობაზე, რათა საკუთარი თვალით ეხილათ ბობოქარი ნილოსის დამორჩილება. ამ რელიგიური ფანტიზმით გაყდენილ ქვეყანაში ძნელად თუ დაჯერებდი ვინმეს, რომ უბრალო ადამიანები შებოჟავდნენ ვეება ნილოსს, ხალხის სამსახურში ჩააყენებდნენ მას.

და აი, ასუანელები მოვიდნენ ნილოსის გადახიდვის გამო გამართულ დიდ ზეიმზე.

მიტინგზე სიტყვით გამოვიდნენ ასუანის მაღლივი კაშხალის საქმეთა მინისტრი სიდკი სოლიმანი და პრეზიდენტი ნასერი. მათ გულითადი მადლო-

ბა გადაუხადეს საბჭოთა კავშირს ასუანის მშენებლობაზე გაწეული უანგარო, ძმური დახმარებისათვის.

ასეთი დიდი დღესასწაული ეგვიპტეს არ ახსოვდა. ათასობით ეგვიპტელი ყვავილებითა და ღიმილით შეეგება საბჭოთა სპეციალისტებს, რომელთაც ძაღლონე არ დაიშურეს, რომ არაბ ძმებს უკეთესად ეცხოვრათ. ამიერიდან დიდი ნილოსი ადამიანის ტყვეობაშია.

დაიწყო უკანასკნელი შერკინება ბობოქარ მდინარესთან. ათასობით კუბური მეტრი კლდე უნდა ჩაიყაროს ნილოსში, რომ კაშხალმა მდინარე გადახიდოს. გადახიდვაში სამი ათასი რჩეული მშენებელი მონაწილეობს, მათგან ბევრი ჩვენი ქვეყნის წარგზავნილია. ოთხი წელი მუშაობდნენ ამ კაშხალის



აგებაზე, მათთვის აქ ყოველი კენჭი ნაცნობია. რამდენი ოფლი დაღვარეს მათ ამ დღისათვის, ამ ღიმღისათვის, ასუანელთა სახეებს რომ ანათებს.

საბჭოთა სპეციალისტები და მუშები არაბებთან ხელიხელგადახვეულნი დგანან. სწორედ ამ ერთობამ დასძლია დაუძლეველი, ამ დაძარღვულმა ხელებმა შებორკეს ბებერი და წყალუხვი ნილოსი — დაათმობინეს ძველი გზა და ამიერიდან სხვა კალაპოტში უნდა იდინოს. ამიერიდან მწვანე ბალახმა უნდა დაფაროს მშვიერი, ყვითელი უდაბნოები. ნაყოფით დახუნძლული პალმები დაირხევა გვალვით გადამწვარ მიწაზე. საბჭოთა ხალხის უანგარო დახმარებამ არაბებს მარადიული სიმდიდრის წყარო შესძინა.

უწყლობის გამო აფრიკის თვალუწვდენელი უდაბნოები ყოვლად გამოუსადეგარი იყო, რაც დიდად აფრხებდა სოფლის მეურნეობის განვითარებას. მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე წყალუხვი მდინარე ნილოსის წლავური ჩამონადენი 84 მილიარდი კუბური მეტრია, მაგრამ ეს ციფრი ხშირად მერყეობს — იზრდება ან მცირდება. ამის გამო ეგვიპტისა და სუდანის მოსახლეობა მიწების მოსარწყავად მხოლოდ 52 მილიარდ კუბურ მეტრ წყალს იყენებდა. დანარჩენი კი უსარგებლოდ უერთდებოდა ხმელთაშუა ზღვას.

ნილოსის დამორჩილებაზე ძველთაგანვე ოცნებობდნენ ეგვიპტელები, ძველთაგანვე აკლდა მათ მიწებს მორწყვა. საუკუნეებმა განვლო და დადგა დრო, რომ ნილოსის ჩქერებს ეგვიპტელი ფელახების ოფლით მორწყული მიწა დაეღობო. ეგვიპტელთა საუკუნოვან ოცნებას ფრთები უნდა შესხმოდა.

1952 წლის 8 ოქტომბერს ნაციონალური რევოლუციის საბჭომ გადაწყვიტა განეხილათ მდინარე ნილოსის საბოლოოდ დამორჩილების დიდი გეგმაპროექტი.

რესპუბლიკის ყველა ტექნიკურმა და ეკონომიურმა ორგანიზაციამ გამოთქვა თავისი აზრი პროექტზე და ყველანი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ პროექტის

განხორციელება ტექნიკურადაც და ეკონომიურადაც შესაძლებელია.

ასუანის კაშხალის მშენებლობის გეგმაპროექტი სხვადასხვა სახელმწიფოების სპეციალისტებმა შეიმუშავეს, მაგრამ შემოთავაზებული უამრავი პროექტიდან არაბთა გაერთიანებულმა რესპუბლიკამ საბჭოთა ინჟინრების მიერ შედგენილი პროექტი მოიწონა. საბჭოთა პროექტით ამ გიგანტური კაშხალის აშენება გათვალისწინებული იყო მცირე დროში და ხელსაყრელ ეკონომიურ პირობებში.

ეგვიპტის მთავრობამ გადაწყვიტა დაუყოვნებლივ შესდგომოდა მშენებლობას. ჯერ კიდევ მშენებლობის დაწყებამდე, 1959 წელს, არაბეთისა და სუდანის რესპუბლიკათა მთავრობები შეთანხმდნენ ნილოსის ერთობლივ გამოყენებაზე.

რადგან ნილოსის წყალსაცავი ახლომახლო მცხოვრებლებს წაღევას უქადა, მოხდა მოსახლეობის ევაკუაცია. ამ საქმეზე გაწეული ხარჯების ასანაზღაურებლად არაბთა გაერთიანებულმა რესპუბლიკამ სუდანის მთავრობას 14 მილიარდი ფუნტი სტერლინგი გადაუხადა.

გამოანგარიშებით ასუანის მაღლივი კაშხალის აშენება 415 მილიონი ეგვიპტური ფუნტი (1 ფუნტი — 2,60 კაპ.) დაჯდება. რადგან არაბეთს არ გააჩნია მშენებლობისათვის საჭირო ყველა მასალა, ამიტომ იგი უტხოვითიდან უნდა შემოზიდოს, რაზედაც გაანგარიშებული თანხის 35% დაიხარჯება.

დიდი ხნის მონობით ილაჯგაწყვეტილ ეგვიპტეს არ შეეძლო მხოლოდ საკუთარი სახსრებით დაეწყო ასეთი უზარმაზარი მშენებლობა და დახმარებისათვის სხვა სახელმწიფოებს მიმართა.


საერთაშორისო განვითარების ბანკი გულდასმით გაეცნო პროექტს, მოიწონა მისი დაფინანსება, მაგრამ 1956 წლის 19 ივლისს თავისი გადაწყვეტილება რატომღაც შეცვალა.

ამირან თევზაძე
მსოფლიოს მერვე საოცრება

მშენებლობის დაწყება ფერდებო-
და; 1956 წლის 26 ივლისს არაბთა გა-
ერთიანებული რესპუბლიკის პრეზი-
დენტმა გამალ აბდელ ნასერმა სუეცის
არხი სახელმწიფო საკუთრებად გამო-
აცხადა; ამას ვერ შეურიგდნენ ინგლი-
სელი და ფრანგი კოლონიზატორები და
თავს დაესხნენ ეგვიპტეს. ინგლის-საფ-
რანგეთისა და ისრაელის ინტერვენციას
საბჭოთა მთავრობის დროულმა და
ენერგიულმა მოქმედებამ გადაუღობა
გზა. ამ მიმე განსაცდელის უამს საბ-

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკი-
სათვის კაშხალის მშენებლობის პირვე-
ლი რიგის სამუშაოთა ჩასატარებლად
სესხად უნდა მიეცა 34,8 მილიონი ეგ-
ვიპტური ფუნტი. თავდაპირველად ეს
თანხა საკმარისი არ აღმოჩნდა მოძალე-
ბულ სამუშაოთა ხარჯებისთვის და საბ-
ჭოთა კავშირმა დამატებით 78, 4 მი-
ლიონი ეგვიპტური ფუნტი გაიღო. 1964
წლიდან ეგვიპტე უკვე შეუღდა აღებუ-
ლი სესხის გადახდას.

საექსპლოატაციოდ გადაცემის შემდეგ



ნილოსის გადახერგილი კალაპოტის ხედი

ჭოთა ხალხი ძმასავით ამოუღდა მხარში
ახალგაზრდა რესპუბლიკას და დაიცვა
მისი თავისუფლება იმპერიალისტთა
ხელყოფისაგან. 1958 წლის 27 დეკემ-
ბერს საბჭოთა კავშირსა და ეგვიპტეს
შორის ხელშეკრულება დაიდო. ამ ხელ-
შეკრულების თანახმად ჩვენს ქვეყანას

ასუანის კაშხალი უდიდეს ეკონომიურ
სარგებლობას მოუტანს ეგვიპტეს;
ქვეყნის სათესი ფართობი 1,3 მილიონი
ფედანით (1 ფედანი 4200 კვ. მეტრია)
გაიზრდება. აუზური მორწყვის შედე-
გად ხალხი წელიწადში რამდენიმე მო-
სავალს მიიღებს, გარდა ამისა, ნათესები

დაცული იქნება წყალდიდობისაგან. ყოველივე ეს კი დიდად შეუწყობს ხელს შიმშილობისა და სიღატაკის მოსპობას. ნილოსზე გაუმჯობესდება ნაოსნობა, ხოლო რესპუბლიკა წელიწადში 10 მილიარდ კილოვატსაათ ელექტრო-ენერჯიას მიიღებს.

ასუანის მაღლივი კაშხალი შენდება ძველი კაშხალის სამხრეთით, მისგან 7 კილომეტრის დაშორებით. როგორც ქვით ჩახერგილი ჰიდროტექნიკური ნაგებობა, იგი უდიდესია მთელს მსოფლიოში. კაშხალს აქვს 180 მეტრი სიგრძის ვერტიკალური ფილტრაციის კედელი; ეს კედელი კაშხალის ბირთვის ქვემოდან დაცემენტდება და მდინარის ძირეულ ქანებს დაეყრდნობა. მშენებლობა ისე მიმდინარეობს, რომ სათესი ფართობების მორწყვა არ ფერხდება.

ახალი კაშხალის სიგრძე 3600 მეტრი იქნება. ნილოსი 1950 მეტრი სიგრძის წყალგამტარში გაივლის. წყალგამტარი კაშხალის მარჯვენა მხარეს მოთავსებულ ზედა და ქვედა არხებისაგან შესდგება. ამ არხებს ერთმანეთთან 6 გვირაბი აერთებს. თვითეულ გვირაბს ორი გამოსასვლელი აქვს, რითაც იგი ჰიდროელექტროსადგურს უერთდება.

გვირაბიდან გამოსული წყალი 17500 კილოვატი სიმძლავრის 12 ტურბინას აამუშავებს. ასუანის კაშხალის მიერ შექმნილ ხელოვნურ წყალსაცავს მსოფლიოში ბადალი არ მოეპოვება; მისი სიგრძე 500 კილომეტრია, სიგანე — 10.

წყალგამტარი არხები

წყალგამტარი არხების გასაყვანი სამუშაოები დაიწყო 1960 წლის 9 იანვარს, როცა პრეზიდენტმა ნასერმა პირველად ააფეთქა წყლის გადამგდები არხი. ნილოსის ძველი კალაპოტიდან მომდინარე წყალი გადის ზედა არხში (კაშხალის ზემო მხრიდან), სანამ ელექტროსადგურს მიაღწევდეს, გაივლის ექვს გვირაბს, შედის ქვედა არხში და კაშხალის ქვემო მხრიდან ნილოსის ძველ კალაპოტს უერთდება. არხების

აერთო ტევადობა კი 157 მილიარდ კუბურ მეტრს აღწევს.

მშენებლობა ორი დიდი სამუშაოგან შედგება. პირველი რიგის სამუშაო ითვალისწინებს ახალი წყალგამტარი არხის გაყვანას (ეს არხი ამჟამად უკვე გაყვანილია) და 1964 წლის ნოემბრისათვის კაშხალის სიმაღლის აყვანას 47,5 მეტრამდე. ამ რთული სამუშაოს დროულად დამთავრება მიმდინარე წელს ცხრანახევარი მილიარდი კუბური მეტრი წყლის დაგროვების საშუალებას იძლევა. კაშხალი ისე აშენდება, რომ ყოველწლიურად, 1967 წლამდე, წყალსაცავის ტევადობა ორი მილიარდი კუბური მეტრით მოიმატებს.

1967 წელს კი საექსპლოატაციოდ უნდა გამზადდეს 3 აგრეგატი და ორიდან ერთი ელექტრო-გადამცემი ხაზი ჭაიროს მიმართულებით.

პროექტით დაკომპლექტებული გრაფიკის მიხედვით გიგანტი კაშხალის მშენებლობა 1968 წლისათვის უნდა დამთავრებულიყო, ჰიდროელექტროსადგურისა კი — 1970 წლისათვის. პირველი რიგი სამუშაოების შესრულების პრაქტიკამ მშენებლებს დაანახვა, რომ შესაძლებელია მშენებლობის ვადაზე ადრე დამთავრება. მათ ვალდებულება აიღეს, რომ კაშხალის და ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა განსაზღვრულ ვადაზე ერთი წლით ადრე დაამთავრონ.

გაყვანის დროს მთავარი სიძნელე ქანის ამოღება იყო. ამისათვის მბრუნავი ელექტრო და პნევმატური დანადგარებით დიდი დიამეტრის შპურებს ვებურღავდით და მერე ქანს ვაფეთქებდით. აფეთქებული ქანის აღება და გადაზიდვა ხდებოდა ექსკავატორებით, აგრეთვე ოცდახუთტონიანი თვითმცლელი მანქა-

ამირან თევზაძე
მსოფლიოს მერვე საოცრება

ნებით. ეს იყო უაღრესად დამქანცველი ფიზიკური სამუშაო. იმის წარმოსადგენად, თუ რა მასშტაბის სამუშაო ჩატარ-

და, საკმარისია ვთქვათ, რომ ქანების აფეთქებაზე 3.700 ტონა ფეთქებადი ნივთიერება დაიხარჯა.

გვირაბები და წყალმიწღები ნაგებობა

როგორც ზემოთ ვთქვით, ზედა და ქვედა არხებს შორის გაყვანილია ექვსი ძირითადი გვირაბი. მათ თითქმის მთელ სიგრძეზე (282 მ) წრიული ფორმა აქვთ; კედლის სისქე ერთი მეტრია. გაანგარიშების მიხედვით გვირაბებმა დღე-ღამეში ერთი მილიარდი კუბური მეტრი წყალი უნდა გაატაროს. ჰიდროელექტროსადგურამდე გვირაბები ორ ტოტად იყოფა. ეს განტოტება გამოსასვლელში სწორკუთხედის ფორმას იღებს, რათა ტურბინებამდე წყალი უფრო გაშლილად მივიდეს და ვარდნაც ძლიერი იყოს. გვირაბების ძირის ნიშნული ზედა და ქვედა არხების ძირის ნიშნულს უსწორდება. ამ მიზნით გაიყვანეს 603 მეტრი სიგრძის სატრანსპორტო გვირაბი. ამ გვირაბის საშუალებით არსებითად მოწესრიგდა ფუჭი ქანის გამოზიდვა და ბეტონის მიწოდება. გვირაბების გაყვანა ორ იარუსად მიმდინარეობდა. ამ გრანდიოზული და შეუსვენებელი მუშაობისათვის საჭირო დიდძალი საარმატურო რკინა სამონტაჟო ველზე მზადდებოდა, შემდეგ კი მანქანებს გვირაბში გადააქონდათ. ბეტონს პირდაპირ ქარხნიდან ეზიდებოდნენ საგანგებოდ ამისთვის განკუთვნილი მანქანებით. ძირითადი გვირაბების გახსნამდე ზედა და ქვედა არხიდან მთელი ტრანსპორტი სატრანსპორტო გვირაბში გადიოდა. მას შემდეგ, რაც გვირაბები გახსნეს, სატრანსპორტო და ძირითად გვირაბებს შორის ჩაისხა რკინაბეტონის საცობები. თვითეული გვირაბის ქვედა შესასვლელი მოთავსებულია ზედა არხის ძირის ნიშნულზე და ზედა წყალმიმღებს უსწორდება. ზედა შესასვლელი ძირითად გვირაბებს დახრილად უერთდება.

დან გამოტანილია 614 000 კუბური მეტრი ქანი. ბეტონის სამუშაოები 1962 წლის ნოემბრიდან სრულდება. დღემდე წყალმიმღებ ნაგებობაში 93 000 კუბური მეტრი ბეტონი არის ჩასმული.

როგორც ცნობილია, ასუანის მალღივ კაშხალს არაბებთან ერთად აშენებდა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებიდან წარგზავნილი ორი-ათასამდე სპეციალისტი. მშენებლობის პროექტი შედგა საბჭოთა ინჟინრის ნ. მალიშევის ხელმძღვანელობით. მთავარ ექსპერტად დაინიშნა ალექსანდროვი, მოადგილედ მასლოვსკი; ბოლო დროს იგი გვირაბთა სამმართველოს ხელმძღვანელობდა.

ამ გიგანტი კაშხალის მშენებლობაში თავიანთი წვლილი შეიტანეს ქართველმა სპეციალისტებმა: სამთო საქმის ინსტიტუტიდან, ტრესტ საქართველოს ჰიდროენერგომშენიდან, ტყებულისა და ტყვარჩელის მდარეობებიდან წარგზავნილებმა. ესენი არიან ინჟინრები: ზ. კუხიანიძე, ი. ბოხოლდინი, თ. რურუა, თ. თოდუა, ა. გამყრელიძე, ა. გუმბერიძე, გ. რაზმაძე, თ. ჯაფარიძე, ა. ჯინჭელაშვილი, ს. კელენავა, ბ. ტაბატაძე, დ. ბერიშვილი, დ. გვეტაძე, გ. ჩიტაიშვილი, დ. ფირცხალავა, ი. ხეცურიანი, ა. გველესიანი, გ. ჩუბინიძე, ს. ბუცხრიკიძე. ოსტატები: ვ. ფრუიძე, მ. ყუბლაშვილი, ს. რატიაშვილი, ბ. ალფაიძე, ბ. კრავიშვილი, გ. ბოსტოლანაშვილი, ფ. ქანჯარია, ი. ქარსელაძე, გ. ფარულავა, ძმები ვ. და დ. ნემსიწვერიძეები, ვ. კასიაკოვი, მ. ჭოხონელიძე.

საქართველოდან წარგზავნილთა სასახლოდ უნდა ითქვას, რომ თავიანთი საქმიანობით მშენებლობაში საუკეთესო ავტორიტეტი მოიპოვეს. ბევრ მათგანს მადლობა გამოეცხადა, ზოგი ჩაიწერა მშენებლობის საპატიო წიგნში და და-

ჯილდოვდა მთავრობის ჯილდოთი როგორც საბჭოთა კავშირის, ასევე არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ორდენებითა და მედლებით. ყველა სამუშაო ძმურ, მეგობრულ ვითარებაში სრულდებოდა. მშენებლობაზე მუშაობის წარმოების პასუხისმგებელი იყო მდლივი კაშხალის ორგანიზაცია. მშენებლობას დიდად შეუწყეს ხელი არაბულმა კომპანიებმა: „მისრ კონსტრუქტა“, „ინდასთრიალ ენდ ინჯინირინგ პროჯექტმა“, „ტრექტორ ენდ ინჯინირინგმა“ და სხვა.

გენერალურ, წლიურ და თვიურ გეგმებს იხილავდნენ საბჭოთა ექსპერტი და არაბთა ორგანიზაციები. ისინი ყო-

ტუმცა მეტად დაძაბული მუშაობა გვიწევდა, თავისუფალ დროს თითქმის ყველა მონაწილეობდა თვითმშენებლობით სალამოებში. განსაკუთრებით ჩვენმა ქალებმა გამოიჩინეს თავი. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ თინა ალფაიძე, ნათელა ყუბლაშვილი, გულიკო ტაბატაძე, სათო ბოსტოლანაშვილი, ლიდა ბერიშვილი, ეთერ გვენეტაძე. ორკესტრთან ერთად ქართულ, არაბულ და ინგლისურ სიმღერებს ასრულებდა მარინე ილურიძე-თევზაძე.

უქმე დღეებში ვაწყობდით ექსკურსიებს. ვნახეთ აბუ-სიმბელი, ლუქსორი, კომომბო, გიზის პირამიდები (გიზი პი-



ქართველ სპეციალისტთა ჯგუფი ნილოსის ნაპირას

ველგვარ ღონისძიებებს ხმარობდნენ მშენებლობის პროცესში წამოჭრილი საკითხების გადასაჭრელად.

საბჭოთა კავშირი არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას აწვდიდა აგრეთვე საჭირო მასალასა და მოწყობილობას. ამ მასალებსა და მოწყობილობას ჩვენი ქვეყნის სამასზე მეტი ქარხანა ამზადებდა.

რამიდების ადგილმდებარეობას ჰქვია და ფილეს კუნძული.

მნახველზე უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს ხეოფისის პირამიდა. ვინ იცის, რამდენი ადამიანი ემსხვერპლა მის აგებას, რომ ბოლოს იგი ფარაონის სამუ-


ამირან თევზაძე
მსოფლიოს მერვე საოცრება

დამო განსასვენებელი ადგილი ყოფილიყო. ეს უზარმაზარი აკლდამა 2.300.000 ქვისაგან არის აგებული. თვითეული ქვა საშუალოდ 2,5-დან 30 ტონამდე იწონის.

მრავალი ბრწყინვალე ტაძარია ლუქსორში, კარნასა და აბუ-სიმბელში.

ასუანის მალლივი კაშხლის აშენების შემდეგ აბუ-სიმბელი წყლით დაიფარება. „იუნესკომ“ გადაწყვიტა, გადაერჩინა ძვირფასი ტაძრები, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ აბუ-სიმბელის ტაძრის ამოღება მოხერხდება.

წმინდათა წმინდა ადგილი იყო. ამ კუნძულზე დგას იზიდას ულამაზესი ტაძარი. თვით ფილე ძველად ზღვარული სილამაზის ყოფილა, მაგრამ დროთა განმავლობაში ნილოსის მოდიდებებს მისი მშვენიებისათვის ბევრი რამ დაუქლია. წყალიდობის დროს იზიდას ტაძარს წყალი თითქმის მთლიანად ფარავს. იზიდას და ოსირისის კულტი მეტად მძლავრია მთელს ეგვიპტეში. საინტერესოა მითი ამ ლეგენდარულ წყვილზე. ოსირისი მიწის ღმერთის ჰეზისა და ცის ღმერთის ნუთის უფროსი



იზიდას ტაძარი კუნძულ ფილეზე

ეგვიპტის ფარაონის რამზეს II სხელთან მრავალი დიდებული ძეგლი არის დაკავშირებული. მის დროს გამოკვეთეს აბუ-სიმბელის კლდეში ტაძრის იშვიათი ანსამბლი. აბუ-სიმბელის ყველაზე დიდი ტაძრის სიმაღლე 34 მეტრია, სიგანე — 38, ხოლო სიღრმე 63 მეტრი. ტაძრის ფსადზე ოთხი ღვთაების სახით ამოკვეთილია რამზესის ორმეტრიანი ბარელიეფები.

ორიოდე სიტყვა კუნძულ ფილეზე. ეგვიპტელთათვის ფილე ძველთაგანვე

ვაჟი იყო. თავისი მეფობის უამს მან ეგვიპტელებს მიწათმოქმედება, მეზაღობა და ვენახის მოვლა ასწავლა. მეფობა რომ ხელში ჩაეგდო, ოსირისი მოჰკლა მისმა ძმამ, ღმერთმა სეთმა, თექვსმეტ ნაწილად დაჩეხა მისი სხეული და სსვადასხვა მხარეს გადაყარა. თავდადებული მეუღლე წავიდა ოსირისის სხეულის შესაკრებად. სადაც რაიმე ნაწილს წააწყდებოდა, იქვე აღმართავდა აკლამას; ბოლოს თავი მოუყარა ძვირფასი მეუღლის და ძმის სხეულს და იმ უამ-

რავი აკლდამიდან, რაც ოსირისის სახელზე იყო აგებული, იგი ერთ-ერთ აკლდამაში დაასვენა, რათა სეთისთვის კვალი დაეხსნა. სხვა ლეგენდის თანახმად იზიდა შევარდენის სახით მიფრინდა მოკლულ ოსირისთან და მისნური გზით ჩაისახა მისგან ვაჟი გორა. გორამ შური იძია მოკლული მამის გამო. ღმერთების სასამართლოზე მან დაამტკიცა თავისი სიმართლე და მემკვიდრეობის უფლება მიიღო. ამის შემდეგ გორამ მამას საკუთარი თვალი გადააყლაბა და სიცოცხლე დაუბრუნა, მაგრამ ოსირისი ქვეყნად აღარ დაბრუნებულა, ხელმწიფობა შვილს დაუთმო, თვითონ კი მიცვალებულთა მეფედ დარჩა. ოსირისი სიცოცხლის, ნაყოფიერების ღვთაებაა; ძველი ეგვიპტელების რწმენით ნილოსი ოსირისის ფეხებიდან მოედინება.

თუ ოგი დაწდა, სუნთქვა გვეკვრება,
და სარჩოს კარგავს კაცი ყოველი,
და ნადგურდება მსხვერპლი ღმერთების,
მილიონები იღუპებიან...

თუ ის მოდიდდა, ცოცხლდება მიწა,
სუნთქავს და ცოცხლობს ყველა არსება,
მზეზე ელავენ თეთრი კბილები,
აჩენენ კბილებს და იცინიან—

ნათქვამია ნილოსისადმი მიძღვნილ ერთ უძველეს ჰიმნში და ჩვენ ვგარძნობთ, თუ თავიდანვე რა იმედით შესცქეროდნენ ეგვიპტელები თავიანთ ღვთა-მდინარეს, თავიანთ მასაზრდოებელ ნილოსს.

კუნძული ფილე, სხვა მეზობელ კუნძულთან ერთად, რელიგიურ ცენტრს წარმოადგენს. ფილეს ჰეგოპოლიტად ამშვენებს იზიდას ტაძარი, რაც ამ ქალღმერთს მეფულისადმი უსაზღვრო ერთგულების ნიშნად აუგეს.

ისმაილ ფაშას მეფობის დროს, 1869 წელს, როცა სუეცის არხს ხსნიდნენ კომპოზიტორმა ჯუზეპე ვერდიმ ეგვიპტურ თემაზე შეკვეთით დაწერა ოპერა „აიდა“. ვერდის გენიალურ ოპერას საფუძვლად დაედო ფილეს ულამაზესი ტაძრისა და იზიდას თავგანწირული სიყვარულის ამბავი.

ვტოვებდით ეგვიპტეს, გავცქეროდით ბუმბერაზ პირამიდებს — მსოფლიოს პირველ საოცრებას, ეგვიპტის ძველი ძლიერების უტყვე მოწმეებს, არასდროს რომ არავითარი სარგებლობა არ მოუტანიათ ხალხისათვის. გული სიამაყით გვეესებოდა; აქვე იყო ასუანის კაშხალი, აშენების დღიდან რომ ხალხის სამსახურში ჩადგა. დიდი იყო ჩვენი სიხარული — საბჭოთა ქვეყნის წარგზავნილებმა ჩვენი წვლილი შევიტანეთ მსოფლიოს უდიდესი კაშხალის აგებაში, საკუთარი თვალით ვიხილეთ შებორკილი, დამორჩილებული ნილოსი. გვიხაროდა, რომ არაბეთის თვალუწვდენელი უდაბნოები წყლით გაძღებოდა, ბალახი დაფარავდა მათ შიშველ მკერდს, სარჩო მიეცემოდა ღარიბ-ღატაკებს.

ძლიერი შთაბეჭდილებით ვბრუნდებოდით პირამიდების და სფინქსების ქვეყნიდან. ამიერიდან არამარტო პირამიდებისა და სფინქსების ქვეყანა იყო ეგვიპტე, ხალხთა ურღვევი მეგობრობის ძალამ მას შესძინა „მსოფლიოს მერვე საოცრება“ — ასუანის გიგანტური კაშხალი.

ამირან თევზაძე
მსოფლიოს მერვე საოცრება



ავსტრია

ბავშვების ცრემლბუთის მიუხედავად...

ქვეყნის კინოთეატრებში მოწოდებულია ამერიკული და დასავლეთ გერმანიის მღა-რე ხარისხის ფილმები, — იუწყება გაზეთ „ფოლკსშტიმ-მეს“ კორესპონდენტი, — რაც იწვევს საზოგადოების პრო-ტესტს და კინოთეატრების მა-ყურებელთა სტიქიურ ბოი-კოტს. კორესპონდენტის ცნო-ბით უკანასკნელი წელიწად-ნახევრის განმავლობაში ავს-ტრიაში დაიხურა 86 კინოთე-ატრი, ე. ი. ყოველ კვირაში საშუალოდ ერთი კინოთეატრი იხურებოდა.

კინოთეატრების პატრონები რა ზომებს არ მიმართავენ, რომ როგორმე გამოასწორონ თავიანთი საქმეები და არა-ფერს ერიდებიან, არაფერს თაკილობენ: ძალიან ხშირად საბავშვო სიანსებზედაც კი უწ-ვენებენ კრიმინალის ტურ ფილმებს მკვლელობებზე.

როგორც კორესპონდენტი აღნიშნავს, იგი თვითონ არა-ერთხელ ყოფილა მოწმე შეშინებული ბავშვების ცრემ-ლებისა, როცა მოულოდნელად საბავშვო სიანსზე დაიწყეს ხსვა ფილმიდან ნაწყვეთი-ბის დემონსტრირება, აქ იყო მკვლელობები და ყველაფერი ის, რის ჩვენებაც ბავშვები-სათვის აკრძალულია...

ალჟირი

ალჟირელი მწერლების შურნალი

როგორც გაზეთ „ალჟერ რე-პუბლიკენის“ კორესპონდენ-

ტი იუწყება, გამოდის ალჟი-რელი მწერლების შურნალი „ნოვამბრი“ („ნოემბერი“) არა-ბულ და ფრანგულ ენებზე. რედაქციის შემადგენლობაში არიან გამოჩენილი მწერლები და პუბლიცისტები: მალეკ ხადადი, მუხამედ ბუდია, ბელკასემ ბენიახია, უან სენაკი, მურად ბურბუნი.

კორესპონდენტთან საუბარ-ში ბურბუნმა განაცხადა, რომ შურნალი „ნოვამბრი“ დაბეჭ-დავს ეროვნული მწერლების საუკეთესო ნაწარმოებებს და გამოავლენს ახალ ტალანტებს. შურნალი გაცნობს თავის მკი-თხველებს საზღვარგარეთთა ქვეყნების ლიტერატურულ და კულტურულ ცხოვრებას. გან-ზრახული გვაქვს გამოვცეთ სე-ციალური ნომრები მიძღვნილი კუბისა და მებრძოლი ესპანე-რის ლიტერატურისადმი. მაგ-რამ უნდა აღანიშნოს, რომ შურნალი არ იქნება წმინდა ლიტერატურული ხასიათისა — აღნიშნა ბურბუნმა. მის ირგვ-ლივ თავმოყრილი რევოლუ-ციური ინტელიგენცია შურ-ნალში გამოვა სტატეებით კულტურის ზოგად საკითხებზე. „ნოვამბრის“ პირველი ნო-მერი იხსნება შურნალს მი-საღებებით რესპუბლიკის პრე-ზიდენტ ახმედ ბენ ბელასადმი.

ეროვნული კულტურის მოგაბალი

გაზეთმა „ალჟერ რეპუბლი-კენმა“ გამოაქვეყნა ქალაქ ბუ-ზარეადან მკითხველ იუსეფ ბუკემიჯას წერილი ალჟირის კულტურის მომავალზე. „ჩვენი ქვეყნის სოციალის-

ტური ორიენტაცია, — წერს ბუკემიჯა, — არავითარ შემთხ-ვევაში არ ეღობება წინ ეროვნული კულტურის აყვავებას, პირიქით ხელს უწყობს ამ აყ-ვავებას. ამას დამარწმუნებლად ამტკიცებს შუა აზიის საბჭო-თა რესპუბლიკების მაგალითი“.

ბუკემიჯა წინადადებას იძ-ლევს გამოიყენონ შუა აზიის საბჭოთა რესპუბლიკების გა-მოცდილება ალჟირში ენობრი-ვი პრობლემის გადაწყვეტის დროს, სადაც მოსახლეობა ლა-პარაკობს ან განსხვავებულ დასავლეთარაბულ დიალექტებ-ზე, რომლებიც მკვეთრად გან-სხვავდება არაბულ სალიტერა-ტურო ენისაგან, ან ბერძნულ ენაზე. „თვითეულ საბჭოთა რესპუბლიკას, — წერს მკითხ-ველი, — აქვს თავისი ეროვნულ ენა, მაშინ როდესაც რუ-სული ენა არის ყველა რეს-პუბლიკის დამაყვარებელი ენა. რატომ არ შეიძლება ჩვენ-თანაც ასე გავაკეთოთ: გვქონ-დეს ოფიციალური კლასიკური არაბული ენა, რომელიც შეის-წავლება სკოლებში და თან შევიწარმოთ დიალექტები?!“

თავის წერილში ბუკემიჯა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აუცილებელია შევიწარმოთ და შევისწავლოთ ალჟირის უკ-ველესი კულტურული მემკვიდ-რეობა. „ჩვენი ეროვნული კულტურა ბრძოდ არ უნდა ბა-ძავდეს დასავლეთს... მოდიტ ღრმად ჩავიხედოთ ჩვენს კულ-ტურულ მემკვიდრეობაში: გავიცნოთ მასინისა, ტარკი, იზნ-ხაღდუნი, აბდ ალ-კადერი, იზნ-ბადისი, მულუდ ფერაუნი“.

**შემომავალითი
აპაზირება**

პირველად აზრიასში

ბულგარეთის მთარგმნელი პოეტები დიდი ინტერესს იჩენენ საბჭოთა ეროვნული ლიტერატურისადმი, სწავლობენ საბჭოთა კავშირის ხალხების ენებს. ამასწინათ ახალგაზრდა პოეტი ნოკოლა კინჩევი იმყოფებოდა საქართველოში, რომ უშუალოდ გაცნობოდა თანამედროვე ქართულ პოეზიის მიღწევებს. მან თარგმნა ბულგარულ ენაზე ირაკლი აბაშიძისა და ზუტა ბერულავას ლექსები.

ინტერვიუში ბულგარელმა პოეტმა განაცხადა: „ქართულ პოეზიაში მე მიტაცებს მისი ღრმა ჩაწვდომა თემის არსსში. აღუგორიულად ასე შეიძლება ითქვას, რომ ქართველი პოეტები აღწერენ არა ხეების ქერქსა და ქარით აზმურებულ ფოთლებს, არამედ მის გულს...“

**სტაფანე დიჩევის
ისტორიული რომანი**

თურქეთის ბატონობისაგან ბულგარეთის განთავისუფლება-სათვის ბრძოლაში დიდი რუსი ხალხის დახმარებაზე მოგვითხრობს სტეფანე დიჩევის ახალი რომანი „გზა სოფიასაკენ“. რომანის ცენტრში დგას — რუსული ჯარების მეტად ძნელი გადასვლა ბალკანებზე და ბულგარეთის დედაქალაქის განთავისუფლება.

ყურნალ „ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის“ რეცენზენტის სიტყვებით, ავტორმა დიდი სითბოთი დახატა რუსი ჯარისკაცების სახეები, გვიჩვენა ბულგარელი ხალხის სიმპათია განმათავისუფლებელი რუსეთისადმი. „რომანი „გზა სოფიასაკენ“, — წერს რეცენზენტი, — შეიცავს მდიდარ, გულდასმით დამუშავებულ ისტორიულ მასალას, ეს არის ერთ-ერთი საუკეთესო თანამედროვე წიგნი“.

აკრაში წარმატებით ჩატარდა საერთაშორისო საბავშვო წიგნის ბაზრობა. მსოფლიოს მრავალმა ქვეყანამ, მათ შორის საბჭოთა კავშირმა გამოფენაზე წარადგინეს რამდენიმე ათასი საბავშვო წიგნი.

ბაზრობასთან დეკავშირებით განის დედაქალაქში მოეწყო გამოფენა ქვეყნის ნორჩი მხატვრების ნაწარმოებებისა და საბავშვო მხატვრული შემოქმედების ნამუშევრების. ნაჩვენები იყო საბავშვო ფილმები და თოჯინების წარმოდგენები.

გაზეთ „განიენ ტაიმისს“ კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ საბავშვო წიგნის ბაზრობა პირველად ტარდება აფრიკაში.

ბღრ

**გერტოლდ ბრემტის
შემომავალითი
პოკულარობა**

აღნიშნული (ADN) სააგენტომ თხოვნით მიმართა 26 ცნობილ დრამატურგს, რეჟისორებს, მხახიობებს, მრავალი ქვეყნის კრიტიკოსებს გამოეთქვათ თვითნათი აზრი ბერტოლდ ბრემტის შემოქმედებასა და მის გავლენაზე თანამედროვე თეატრზე.

უძველესმა გერმანელმა რეჟისორმა თეატრ „ფოლკსბიუნეს“ დირექტორმა დასავლეთ ბერლინში, ერვინ პისკატორმა განაცხადა, რომ ნოვატორობამ და ბერტოლდ ბრემტის შემოქმედების ღრმად ჰუმანურმა იდეებმა გადამწყვეტი გავლენა მოახდინეს მასზე, პისკატორზე, მის შეხედულებებზე და გაზდენენ მისი თეატრალური შემოქმედების ნაწილი.

ამერიკელმა რეჟისორმა ალან ლეო შნიდერმა, რომელიც 1954 და 1956 წლებში შეხვდა ბრემტს, სიტყვა: „ყოველთვის თეატრ „ბერლინერ ანსამბლში“ ყოფნის დროს, მე მანცეფერება ყველაფერი, რაც ზღერბოდა სცენაზე. მე არასდროს არ განვიცდია მსგავსი გრძნობა

ში“ პიესის „გალაღის ცხოვრების“ დამდგმელმა ბრემტს „რევოლუციონერი, უდიდესი განმათავისუფლებელი იდეების მატარებელი“ უწოდა.

„ბრემტის პიესების საყოველთაო აღიარება იმით აიხსენება, რომ მისი შემოქმედება ეხება ჩვენი ეპოქის ქვეშაობით მწველ სოციალურ პრობლემებს. ჩხოვვის შემდეგ ბრემტი უდავოდ XX საუკუნის პირველი ნახევრის უდიდესი დრამატურგია. ის, ვინც ცდილობს ეს უარყუოს, ხასაცოლო მდგომარეობაში ვარდება“, — განაცხადა ფრანგმა დრამატურგმა არტურ ადამოვმა.

შავანში „ტეატრო ესტუდოის“ ხელმძღვანელი ვინენტი რევეუელტა სწერს: „ბრემტის პიესების პოპულარობა კუბაში გამოდგებით იზრდება... მე ახლაც აღფრთოვანებული ვარ ბრემტის უნარით მაქსიმალურად გამოაყენოს ხელშეწყნებაში დიალექტიკური მატერიალიზში და აიძულოს მყაურებელი იფიქროს მის პიესებზე. ეს არ აქვს სწორედ თანამედროვე ბურჟუაზიულ თეატრს“.

მექსიკის თვალსაჩინო დრამატურგმა რაფაელ სოლანამ სიტყვა: „სოციალური იდეების თეატრის შემქმნელი ბრემტი — ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ჩვენი დროის ნიჭიერ მწერალთა, დრამატურგთა და პოეტთა შორის. მისი პიესები და იდეები იმსახურებენ, რომ მათ იცნოდეს თვითონი თანამედროვე ადამიანი. მექსიკის თეატრების რეპერტუარში ბერტოლდ ბრემტს საპატიო ადგილი უჭირავს.“

**ინტერვიუ ჰელმუტ
ბაიერლისთან**

თეატრმა „ბერლინერ ანსამბლმა“ განაახლა ეროვნული პრემიის ლაურეატის ჰელმუტ ბაიერლის კომედიის „ფრაუფლინცის“ დადგმა. დადგამ გერმანელი მაყურებლის დიდი ინტერესი გამოიწვია. ბრემსამ

ერთხმად აღიარა ბაიერლის პიესა „გდრ-ის თანამედროვე დრამატურგიის საუკეთესო მიღწევად“.

გაზეთ „ბერლინერ ცეიტუნგის“ კრიტიკონდენტთან ინტერვიუში მწერალმა გამოთქვა თავისი აზრები და შეხედულებები თანამედროვე დრამატურგიაზე მწერლებისა და დრამატურგების ამოცანებზე.

„ჩვენ უნდა ვისწავლოთ ლიტერატურის დიდი ოსტატებისაგან, — განაცხადა ჰელმუტ ბაიერლმა. — ისეთი დიდი მწერლების ნაწარმოებებს, როგორებიც არიან სერვანტესი, ტოლსტოი, ბრემტი, შოლოხოვი, საფუძვლად უდევთ დროის უნივერსალური იდეები. ისწორედ ამგვარი პრინციპით უნდა შექმნან ნაწარმოებები თანამედროვე დრამატურგებმა.“

მწერალმა განაცხადა, რომ იგი მუშაობს ახალ პიესაზე გდრ-ის ცხოვრებიდან, პიესის სამუშაო სათაურია „იოჰანა ფონ დობელინი“. ბაიერლმა დიდი დრო დაჰყო სახალხო დაწესებულებებში. მათ გარშემო გაიშლება პიესის მოქმედება. „სრულიად გასაკვირი მიწეების გამო მე არ მსურს უფრო დაწვრილებით მოვიტონროთ ჩემს ახალ „ნაწარმოებზე“, — სთქვა ბაიერლმა.

ინგლისი

შამსპირი ახალგაზრდული თეატრში

„ეროვნულმა ახალგაზრდულმა თეატრმა“, რომელიც რვა წლის წინათ ცნობილია რეჟისორმა მაიკლ კროფტმა დააარსა, შექსპირის პიესების დადგმებით გაითქვა სახელი როგორც ინგლისში, ისე საზღვარგარეთ. მიუხედავად ამისა, თეატრს დღემდე არა აქვს საკუთარი სცენა. სპექტაკლები და რეპერტუარები ტარდება იმ შენობაში, რომელიც შემთხვევით აღმოჩნდება თავისუფალი.

კროფტი თავის თეატრში იზიდავს არაპროფესიონალ ახალგაზრდობას. შექსპირის ნაწარ-

მოებები იღებმა „ეროვნულ ახალგაზრდულ თეატრში“ თანამედროვე კოსტიუმებში. რეჟისორს მიაჩნია, რომ შექსპირული იდეების ცხოველყოფილობა, ენის სიღამეზე და სახეთა სიმკვეთრე ეკუთვნის ყველა დროსა და ხალხს. ამიტომ იგი თავის დადგმებს არ უკავშირებს იმ ეპოქას, რომელშიც ცხოვრობდა და ქმნიდა დიდი ინგლისელი დრამატურგი. გაზეთ „დეილი უორკერის“ მიმომხილველი ჯექსაუნტონი იუწყება, რომ მსაყურებელთა უდიდესი მოწონება დაიმსახურა კროფტის დადგმა „იულიუს ცეზარი“. „ამ თეატრში, — წერს საუნტონი, — ფარდის გახსნას უოველთვის სასიამოვნო მღელვარებით ელოდები. დადგმები სუნთქავს სიახლით, მსახიობები თამაშობენ ამაღლებულად, იგრძნობა, რომ ისინი გტაცებულნი არიან თავისი საქმით, და ამიტომ მათ მიერ შექმნილი სახეები ყოველთვის დამაჯერებელია“.

მაგრამ დღემდე ლონდონის საზოგადოებრივმა ცუდად მცნობს „ეროვნული ახალგაზრდული თეატრის“ დადგმებს იმ მიზეზისა გამო, რომ თეატრს არ გააჩნია უბრალო იაფფასიანი შენობა თავისი გამოსვლებისათვის. „დეილი უორკერის“ მიმომხილველი ამ ფაქტის გამო შენიშნავს: „შექსპირის ოთხასა წლის იუბილის დღესასწაულის წელს მსგავსი ფაქტი ინგლისში საერთოდ ხედვების ცუდ მდგომარეობაში ყოფნის ნათელი დადასტურებაა. თეატრს, რომელიც მხოლოდ შექსპირის პიესებს დავს, არა აქვს ლონდონში სცენა“.

„მართლად გაოგნასკომი ალამიანი“

სტენ ბარსტოუ, ახალგაზრდა იორკშირელი მწერალი ცნობილია, როგორც „მუშაობა რომანის“ ნიჭიერი წარმომადგენელი (საყოველთაოდ არის ცნობილი მისი ნა-

წარმოებები: „ასეც შეიძლება სიყვარული“ და „ხვალე შემიქცითხე“) ახლახან ბარსტოუმ გამოცხადდა ახალი რომანი „ჯობი“. ეს არის პატარა ბიჭის ჯობის ისტორია, რომელმაც ადრე დაკარგა დედა და იწვინა მისი გარემომცველი „დეიდების სამყაროს“ სიმკაცრემომქმედება იშლება ომის წინ ინგლისში. ომის მუქარა პატარაში ჰკიდა, — ჰიტლერის სახელი არ შორდება გაზეთების ფურცლებს. პატარა ჯობი კითხვითაა ომობანას ფაშისტების წინააღმდეგ...

„მწერლისათვის დამახასიათებელი მახვილი თვალი და ფაქიში დეტალები წიგნის პერსონაჟებს ხდის სიცოცხლისუნარიანსა და მართალს!

თვითონ ბარსტოუმ განაცხადა, რომ იცის და უყვარს უბრალო მშრომელი ადამიანი. ამ სიყვარულმა უბიძგა მახვილი მოეკიდა ლიტერატურისათვის. „ადამიანები მუდამ უნდა გაინტერესებდეს, — სთქვა ბარსტოუმ. — მწერალს უნდა შეეძლოს სხვადასხვა სიძნელესთან დაკავშირებული ადამიანთა განცდების გადმოცემა. აი, სწორედ ამ სიძნელეებში ვსოვლობ მე მასალებს ჩემი წიგნებისათვის. მართლად გამოსახო ადამიანი — ეს არის ჩემი შემოქმედებითი კრედი“.

უნგრეთი

ატილა იოჰანის სახელობის პრემიის ლაურეატები

მიმდინარე წელს თერთმეტ უნგრელ მწერალს მიეკუთვნა უმაღლესი ჯილდო — ატილა იოჰანის სახელობის პრემია, რაც ღირსშესანიშნავი მოვლენაა უნგრეთის ლიტერატურულ ცხოვრებაში. ეს პირველი შემთხვევაა სახალხო ხელისუფლების არსებობის მთელი ხნის მანძილზე, რომ ლაურეატების რიცხვი ასე დიდია.

ემილ კოლოვარი-გრანპიერმა, პროზაიკოსმა, კრიტიკოსმა და მთარგმნელმა, პრემია მიიღო რომანისთვის „დედა-

ლოგი ბედთან“, რომელიც სატირული ნაწარმოებია და მკაცრად დასცინას მეშინების დახვედრულ სამყაროს.

პოეტ იმრა ჩანადის ეს პრემია უკვე მეორედ მიეკუთვნა. პირველი პრემია მას 1953 წელს მიეკუთვნეს კრებულისათვის „წლების ტვირთი“, მეორე — 1964 წლის პრემია კი დიმიტრა მისი ლექსების ახალმა წიგნმა „შემკაპები საწიღებზე“.

ყოველგვარ ხდება ატილა იოჟუფის სახელობის პრემიის ლაურეატი პოეტი დერდ სიუდი — მუშათა მოძრაობის ექსტრანი, მრავალ ლექსთა კრებულის ავტორი, რომელშიც ასახულია უნგრეთის მუშათა კლასის ცხოვრება. პრემირებული წიგნი „ჩვენი საკუთარი კანონა“ მოგვითხრობს ქვეყნის მოვლენებზე ხორტის დიქტატურის დროიდან დღემდე.

ლაურეატებს შორის არიან მწერლებიც, რომლებმაც ლიტერატურაში ფეხი შემოადგეს უნგრეთის განთავისუფლების მიმდევ. იშტვან საბოს უნგრეთში იცნობენ როგორც სხარტი თხრობის ოსტატს, ცოცხალი და ფაქიზი იუმორის მწერალს. მოთხრობების პატარა ტომი „ჯადოქრობის ბაღი“ — საბოს მეორე წიგნია, მას მიეკუთვნა პრემია.

ფერენც შანტამ პრემია დაიმსახურა რომანისათვის „ოცსათაინი რეპორტაჟი“, ანდრამ მუხეიმ პოეტური კრებული-სათვის „დაუდგრომლობის კრილოები“, ტობორ რომან პადიოს პეისისათვის, შანდორ შომოდი ცოტმა — მოთხრობისათვის „ბავშვობის სარკე“.

ატილა იოჟუფის სახელობის პრემია მიეკუთვნათ აგრეთვე ცნობილ უნგრელ ლიტერატურათმცოდნეს მიკლოშ საბოლჩის მონოგრაფიისათვის ატილა იოჟუფზე, დევე ცოტს — თანამედროვე ლიტერატურული პრობლემების დამუშავებისათვის. მთარგმნელ იმრა მკაის რუსული და საბჭოთა ლიტერა-

ტურის ნაწარმოებების მაღალ-მხატვრული თარგმანებისათვის.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა

საბოთა მცინიარის წიგნი არაბულ ენაზე

როგორც ურნალ „ალ-ადიბის“ კორესპონდენტი იუწყება, არაბეთის ქვეყნების ლივის კულტურის საკითხების სამართველომ გამოსცა ცნობილი საბჭოთა აღმოსავლეთ-მცოდნის, აკადემიკოს კრაჩკოვის ფუნდამენტალური შრომა „არაბთა გეოგრაფიული ლიტერატურის ისტორია“.

პომეა განმათავისუფლებულ ბრძოლაზე

პოეტმა ამირ მუჰამედ ბუჰეირმა ერთ-ერთმა პირველთაგანმა ჩაუყარა საფუძველი საგმირო ეპოსს არაბულ ლიტერატურაში. იგი რამდენიმე საგმირო პოემის ავტორია.

ახლანან გამოვიდა მისი ახალი პოემა, მიძღვნილი ეგვიპტელი ხალხის განთავისუფლებული ბრძოლისადმი. პოემა დაწერილია ორიგინალური სალექსო წიგნით, უახლოვდება ტრადიციულ არაბულ მეტრიკას.

პოემის მოქმედება იწყება მეორე მსოფლიო ომის წლებში, როცა ეგვიპტეში ეროვნულ - განთავისუფლებელმა მოძრაობამ იფეთქა.

სწორედ ამ მოძრაობამ წარმოშვა 1952 წლის რევოლუცია. ნაწარმოების ფინალში ნაჩვენებია ინგლისის ჯარების ევაკუაცია ეგვიპტიდან და სუეცის არხის ნაციონალიზაცია.

ლიტერატურული კრიტიკა მაღალ შეფასებას აძლევს ბუჰეირის ახალ პოემას და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ნაწარმოები მაღალმხატვრულად ასახავს ეგვიპტელი ხალხის ცხოვრებას ანტიკოლონიური ბრძოლის წლებში.



მიხაი ბენიუკის ახალი რომანის — „რიგითი აღამიანის გაუჩინარების“ გმირი, ლიტერატურათმცოდნე ავრამ პროცაპი პროგრესული შეხედულებების მქონე პიროვნებაა. მეორე მსოფლიო ომის წინა ხანებში ის შეუერთდა მუშათა მოძრაობას. იწყება ომი. პროცაპი ხვდება აღმოსავლეთის ფრონტზე, ნებდებატყვედ, მოხალისედ შედის. რუმინეთის პირველი დივიზიის რიგებში. ეს დივიზია საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა.

პროცაპი ფაშოზმზე გამარჯვებამდე რამდენიმე დღით ადრე იღუპება ფრონტზე.

რუმინეთის ლიტერატურული კრიტიკა მიუთითებს რომანის კომპოზიციურ უჩვეულობაზე. ბენიუკი მკითხველს სთავაზობს სიუჟეტის მოულოდნელ ცვლილებებს: დაუშვავთ, პროცაპი არ დაღუპულა ფრონტზე, იგი დღესაც ცხოვრობს რუმინეთში, ოღონდ სხვა სახელით. იგი დღეი პოეტი ან აკადემიკოსია. ომში დაიღუპა მხოლოდ პროცაპის წარსული. დღეს სახალხო ხელისუფლება ინტელიგენტს ყველა შესაძლებლობას აძლევს თავისუფალი შემოქმედებითი შრომისთვის.

ყოველკვირეული „გაზეტა ლიტერატურის“ რეცენზენტის ნიჭიერებით, ბენიუკის ჩანაფიქრი იმაში მდგომარეობს, რომ ახსნას თავისი გმირის რევოლუციური იდეალების უპირატესობა. პროცაპს არ შეეძლო არ გამხდარიყო დიადი მოვლენების მონაწილე, ამ მოვლენებმა რუმინეთი ახალი სოციალისტური წყობის გამოარჯვებამდე მიიყვანა. „ეს არის თანამედროვე წიგნი, მას ბენიუკი უძღვნის უბრალო აღამიანს, რევოლუციის შემოქმედს“, — წერს რეცენზენტი.

„საკო და ვანცეტის“
ფრანგულ მნახე

ამასწინათ პარიზის თეატრ „რეპამის“ სცენაზე ახალ-გაზრდულმა ტრუპამ „ფრან ტეატრმა“ დადგა პიესა „საკო და ვანცეტის“. პიესას საფუძვალად დაედო მინო როლის და ლუჩანო ვინჩენცონის ტექსტი გადაშუშავებული სცენისთვის ჩეზარე გატინოს და ელიო მარინელის მიერ. გაზეთ „იუმანიტეს“ მიმომხილველის აზრით სპექტაკლი წარმოადგენს შთამბეჭდავ სანახაობას: სცენების უმეტესობა ეძღვნება დაკთვებებსა და სასამართლოში საქმის განხილვას. მაყურებლისათვის ნათელი ხდება, რომ სასიკვდილო განაჩენი საკოსა და ვანცეტის გამოუტანეს უხეშად შეთითხნილი ბრალდებების საფუძველზე.

მოქმედების პარალელურად სცენის სიღრმეში გამართულ ეკრანზე ხდება იმ დროის დოკუმენტური კინოქრონიკის დემონსტრირება. მაყურებლები ხედავენ კადრებს, რომლებიც ასახავენ წყრომასა და აღშფოთებას მთელი მსოფლიოს მილიონობით პატოსანი ადამიანებისას, ამერიკული რეპუბლიკის ცინიკური სამართლის გამო.

„იუმანიტეს“ მიმომხილველს მოჰყავს სიტყვები თქმული საბჭოთა კინორეჟისორის სერგეი ეიზენშტეინის მიერ, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს უნდა შევეუნახოთ შთამომავლობას საკოსა და ვანცეტის ტრაგიკული ისტორია. „ფრან ტეატრის“ დადგმა სავსებით პასუხობს ამ სურვილს, — წერს მიმომხილველი.

კრიტიკა აღნიშნავს, რომ ოსტატურად შეასრულეს საკოსა

და ვანცეტის როლები პიერ ტამენმა და რაიმონ უერბალმა.

მონოგრაფია ბალზაკზე

20 წელი მუშაობდა ანდრე ვიურმსერი მონოგრაფიაზე ბალზაკის შესახებ, რომელსაც მან „არაადამიანური კომედია“ უწოდა. ეს წიგნი ამასწინათ გამოსცეს გამომცემლობებმა „გალიბარმა“ და „პროგრესული წიგნის კლუბმა“.

ვიურმსერის მონოგრაფია აგებულია კომედიის პრინციპზე — ის იყოფა არა მარტო ნაწილებად, არამედ თავისებურ აქტებად, რომლებიც დასათაურებულია „ფული“, „ისტორია“, „ხელოვნება“, „პოლიტიკა“ და ა. შ.

ყოველკვირეული „ფრანს ნუველის“ კორესპონდენტთან საუბარში ვიურმსერმა ხაზი გაუსვა თავისი წიგნის პოლიტიკურ მიმართულებას და რომ ყველა პრობლემა მასში განხილულია მარქსისტული პოზიციებიდან. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ „არაადამიანური კომედია“ დაწერილია არა სპეციალისტებისათვის, არამედ მკითხველთა ფართო წრისათვის და უნდა დააფიქროს ისინი არა მხოლოდ ბალზაკის შემოქმედებაზე, არამედ დღევანდელი პრობლემებზეც.

„მე სრულიადაც არ ვაიღებ ბალზაკს, — განაგრძობს ვიურმსერი, — მისთვის დამახასიათებელია ყველა ადამიანური სისუსტე გარდა ერთისა, — ის ლაპარაკობს სიმართლეს“.

პიკასოს ნაწარმოებთა
აღგომი

გამომცემლობა „სერკლ დ'არმა“ რომელსაც გამოცემული აქვს უკვე რამდენიმე


ალბომი პიკასოს ნაწარმოებთა რეპროდუქციებით „ნარკოტორეადორები“, „საუწყებლახზე“, „ომი და მშვიდობა“, ახლანა გამოცემა ახალი ალბომი სათაურით „მუუენის ქალები“. მასში თავმოყრილია არა მხოლოდ პიკასოს გამოუქვეყნებელი ნახატების რეპროდუქციები, რომლებიც მის პირად საკუთრებას წარმოადგენს, და მის სახელოსნოში მუუენში არის, არამედ ნარკვევიც პიკასოზე, რომელიც ჩართულია საუბრები მხატვართან.

ნარკვევის ავტორმა ელენ პარმელენმა მრავალი დღე გაატარა პიკასოს სახელოსნოში. იგი ცდილობდა თავის ნარკვევში დაეხატა ის ატმოსფერო, რომელშიც ცხოვრობდა მუშაობს მხატვარი მუუენში.

ალბომი იყოფა ხამ ნაწილად. პირველ ნაწილში შევიდა ფართო წრებისათვის უცნობი ნახატების ფერადი 160 რეპროდუქცია მიღვნილი პიკასოს ცოლის უაკლინისადმი. მეორე ნაწილი რამდენიმე სიუჟეტია: „მხატვარი და მისი მოდელი“, „Похищение Собинянок“, სურათების სერია, რომელიც ასახავს ფანებსა და ნიშებს. მესამე ნაწილს შეადგენენ სურათები შექმნილი პიკასოს მიერ კლუზოს ფილმის „პიკასოს ხიდულოების“ გადაღების დროს. აქვეა მოთავსებული ფერადი ნახატების სერია დასათაურებული მხატვრის მიერ — „საოჯახო ალბომი“.

პიკასომ, რომელიც ჩვეულებრივ არ ინტერესდება თუ რას სწერენ მასზე, ამჯერად მხურვალე მონაწილეობა მიიღო ალბომის გამოსაცემად მომზადებაში — თვითონ ირჩევდა რეპროდუქციებს.





ქართული
ფოტოგრაფია

გაღამევები ბაკოს წინ



მებობები

ფოტოგრაფები გივი შვილაძისა

კონიჭი

უკნალი უკნაღუი

1

1964


მეც

ქ



მეუღლის პორტრეტი

მხატვარი
თეიმურაზ ჯაფარიძე



ნატურმორტი

საქართველოში საბჭოთა სკოლის შეფასება

მოდერნიზაცია

წელსაც ადრე ჩამოთვალა, შარშანაც. საერთოდ, ამ ბოლო დროს ზამთარი ადრე დგება. მთელი ხეობა უმაღლეს დადუმდება, თითქოს ნადრევმა დიდთოვლიანობამ სული შეუხუთაო; აღარც ჩანჩქერები ხმაურობენ. ენაჩაგარდნილი პირიქითის ალაზანი ზეაგებისა და ყინულების ქვეშ ყრულ ბორგავს. საწისქვილე ხევიც დამშრალს დაემგვანება, ყინულის ზოდვიით გაიშლება ხოლმე ფერდობზე.

თოვლით გადაღვსილ ფერდობებზე დაკლაკნილი შავი ზოლები — გაუყინავე წყაროებია, გახედავ და ბილიკი გეგონება. შავი ზოლები ფერდობს ბოლომდე მოყვება და თოვლში იკარგება.

ხევისპირზე შეფენილი დათოვლილი სახლები ერთმანეთს მიკერიან. სოფელი დუმს, თითქოს სიჩუმეში მთებსა და ხეობებს ეჯიბრება. ყველა სახლს ერთნაირი სარკმლები და აივნები აქვს. სოფელში ორი სახლის სარკმელია ანათებს; ბინდისას სოფლის თავსა და ბოლოში წყვილ-წყვი-

ლი თვალი ციმციმებს. ბოლიც ამ ორი სახლიდან ამოდის, სახურავიც მხოლოდ მათ აქვთ გადათოვლილი.

დართლოვებმა კარგა ხანია მიატოვეს პირიქითის ხეობა, მამაპაეული სოფელი და ბარად ჩასახლდნენ. ორი კომლიდა დარჩა აქ, ისინი ზამთრობითაც აქ არიან და ზაფხულობითაც. ზემო უბანში პაპა გიგოლე ცხოვრობს შვილიშვილთან ერთად. ბიჭს ბესო ჰქვია. ზვიადი და ამაყი ბერიკაცი თანასოფლელებს და ახლობლებს არ გაჰყოლია და აგერ რამდენი წელია, ამ დაცარიელებულ სოფელში ზამთრობს. გიგოლეს რა უქირს, მოსწრებული შვილიშვილი ჰყავს — ადრე დაიბრუნებულ ბიჭს საშუალო სკოლა რომ დაუმთავრებია, აქვე დაუწყია მუშაობა; ბერდედა საბედლო იკითხოს, გვერდით რომ არაინა ჰყავს, მარტოც ცხოვრობს სოფლის ბოლოში. რაკი შვილები ფრონტიდან აღარ დაბრუნებულან, ბარად ჩასახლება აღარ მოუსურვებია.

განთავისუფლებს ბესო სახლიდან ჩქარი ნაბიჯით გამოდის, შუა სოფელში ერთადერთ გზაწვრილზე ჩასრიალდება. ქვემო უბანში არც შეჩერდება, მდინარისაკენ ხაზივით გაგლეხულ ნაკვალევს გაჰყვება და სოფლიდან ცოტა მოშორებით, ბეჭობის თავზე შედგება. ჯერ ხეობის ყელს გახედავს, მერე — ბოლოს, თვალს შეაგლეხს ფერდობებს, საზვავე რუებს, მერე მდინარეს გადახედავს და თავს გააქნევს:

— წუხელის მაგარი ყინვა ყოფილა, — თავისთვის ამბობს ის.

„შარშანაც ამ დროს ყინავდა და თოვდა“, — ჩურჩულივით ესმის ბესოს ნაცნობი ხმა.

„რაო? თოვდა?“

„ჰო, თოვდა და ყინავდა, ყინავდა და თოვდა“.

„შეიძლება თოვდა, შეიძლება ყინავდა კიდევ“, — არ ეკამათება ბესო.

„შენ აქ იდექი და გინაროდა, ბარაქიანად რომ ბარდნიდა“.

„მე ზამთარი, საერთოდ, არ მიყვარა“.

„შენ აქ იდექი, გადმა ფიჭვნარს გაჰყურებდი და ამბობდი...“

„რას ვამბობდი?“

„დიდთოვლობაა და გაზაფხული მალე დადგება“.

„შეიძლება ვამბობდი, მე ყოველთვის ველოდები გაზაფხულს“.

„სხვა დროს სულ ერთი იყო შენთვის გაზაფხულიცა და ზამთარიც“.

„ის სხვა დრო იყო“.

„ახლა ასე მოუთმენლად ელოდები გაზაფხულს“.

„ჰო, ელოდები, ელოდები, მამა!“

მდინარის კვალდაკვალ ქარი ღაუბერავს და იმ მთრთოლვარე ხმას სადღაც მიჰქროლებს. ბესოს ნაწყვეტ-ნაწყვეტ ესმის რაღაც, მაგრამ ვერცხვანა თანდათან ძლიერდება, სისინებს და სმენას უხშობს. ნაცრისფერ ხეობაში ქარს დაადევნებს ძახილს:

— ეპ-ეპ-ეე!

— ჰე-ჰეე!

— ე-ე-ე!.. — იმეორებს ძახილს დაღვრემილი ქარავი. თვალს გააყოლებს ფიჭვნარში თეთრ, ზოლად დაკლავნილ გზას. მერე ნისლეტში გახვეულ მწვერვალებს ახედავს. თავდახრილი და დაღვრემილი გაჰყვება ბილიკს.

მდინარის პირზე საქათმისხელა ჯიხური დვას. რაზას გადახსნის და შიგ შეიხედავს. ხელებს მოისრესს, დაიორთქლებს, სანახევროდ შიგ შეძვრება.

— დასწყველოს ეშმაკმა, კიდევ ჩაყინულა ეს სატიალე! — თავისთვის ჯავრობს, ჯიხურში დადგმულ ხელსაწყოებს ღომით ყინულებს შემოაცლის, უბის წიგნაკში რაღაცეებს ჩაინიშნავს და იმავე ბილიკით ბრუნდება სოფელში. მდინარიდან სოფლამდე ეს ერთადერთი ბილიკია გაკვერილი. ბილიკი სოფელში მხოლოდ ერთგან იტოტება: ერთი წყაროსკენ უხვევს, მეორე — ბერდელა საბედოს ბონლისაკენ. ბესო ზოგჯერ ამ გზაგასაყარში შეჩერდება. ხანდახან ბერდელასაკენ გადაუხვევს და შორიდანვე გაეხმიანება. ბერდელა მოსვლისთანავე შინ შეიპატავებს და სადილად ცხარე ქიბიტაურს დააძალებს. თანაც ბერჯერ ნაამზობს თავიდან მოუყვება: სხვა დრო იყო წინათ, ჯელებმა სხვანაირი ლხინი ვიცოდით, ბერკიობაში ყოველგვარი გართობის მოთავე მე ვიყავიო;

თეიმურაზ აბუღაძე

არის დრო

არის დრო.

როცა სულ მარტო ვრჩებით

და მარტოობის შიში გვაფუთქებს...

„ჩემით თუ სხვისით, სხვისით თუ ჩემით

უნდა გათენდეს, უნდა გათენდეს“.

ეს ფიქრი ათბობს იმედს და ხალისს

და ღამეს ათოვს აპრილი თეთრი...

და ველტვით უფრო უკეთეს ხვალეს

და მიგაქვს დამწვარ გრძნობების ფერფლი.

ფერფლი, რომელიც გვეზნევა გზაში
და ცისფერ მტვერად ედება სივრცეს...

და დიდ იმედებს ფრთებივით გავშლით,
რომ ჩვენს გზას მეტი სინათლე მივცეთ.

ვივიწყებთ ყველა დარდსა და ტკივილს.

გესურს იმ ღიმილის მარადისობა,

რომელსაც ჩვენი სიციცხლის სიმი

სიმღერისათვის გამოიზოგავს.



სითამამე ეშს მმატებდა და ჩემზე თვალიც ბეგრ-
სა რჩებოდა, მაგრამ ჩემი გული ვერაჲინ მოინა-
დირა: ვერც ყანწილუარია დანოელებმა, ვერც
სიმღერაში ქებულმა მენაქოელებმა და ვერც
ფარსმანელებმა, ბოლოს ჯარჯომ გამიტაცაო. მე-
რე დაწვრილებით მოუყვება გატაცების ამბავს.
ბესო ჩუმად ზის, მოთმინებით უგდებს ყურს,
ზოგჯერ არყით საესე ყანწს ჩახედავს და ელი-
მება. მერე ბერდედა ოხვრით მოიგონებს ვაჟი-
შვილების ომნი გაცილების ანბავს, ოხვრითვე
დაუმატებს, რომ უგზოუკვლოდ დაკარგულის ცნო-
ბა მიიღო. ჯარჯოს რა უქირს, საკუთარი სოფლის
ნიწა ეღირსაო, — ჩაიჩინფიფებს იგი. ქმარ-შვი-
ლის შესანდობარს დააძალებს, თავადაც გადა-
პკრავს შესანდობარს და წყლიან, ბებრულ თვა-
ლებს შავი მანდილის ყურით მოიწმენდს.

დღეს ბერდედა საბედოსთან აღარ შეუტეია.
საკვამურიდან ბოლი არ ამოდიოდა და აღარ
შეუხვია.

— ვის ეძახდი, ბალოო?! — ეკითხება მოსვლის-
თანვე პაპა გიგოლე.

— არაფის.

— მე შეგონა, სტუმარი მოდიოდა და გაეხ-
მიანე.

— ასეთ ამინდში ვინ მოვა?

— წინათ მოდიოდნენ ხოლმე, ზოგი დღეობა-
ში — საქეიფოდ, ზოგი სანადიროდ.

— ახლა ხომ ხედავ, არავინ მოდის.

— მაინც რა გაყვირებდა, რა ეშმაკებს ეძახდი?

— ისე, ხეობას ეძინა და გავაღვიძე.

— რაღაცას მიედ-მოედები, ბალოო?!

— ხეობა გავაღვიძე, ეძინა და გავაღვიძე.

• შენმა მზემ, ფეხზე წამოახტუნე! — გიგო-

ლე პაპა დიდი ხნის უნახავივით აკვირდება
მგლოვიარესავით წვერმოშვებულ შვილიშვილს,
ქაბუკის ნაღვლიან თვალეში რაღაცის ამქრ-
თხვას ლამიბს და აკვირდება.

— ბალოო?!

— რა გინდა!

— გეტყობა, გული სადღაც მიგიწევს.

— შეიძლება მიმიწევს. ამ ხეობაში ვეღარ ვე-
ტევი, სული მეხულება და მიმიწევს...

— სხვანაირად ბორგავ წელს, ყოველ დილა-
საღამოს გაღმა ფიჭვნარს გაჰყურებ.

— სამაგიეროდ შენ ხარ მშვიდად: აქ ამოსუ-
ლი ჭინჭარი ხარ და აქვე უნდა ჩახვიდე.

— მაშა, მაშა! აქ ამოსული ვარ და აქვე ჩა-
ვალ!

— სხვები აქ ამოვიდნენ და სხვაგან ჩავლენ—
ბარად, ერთმანეთის თვალწინ.

— მათი საქმე სხვაა, იმათ მათაც დათმეს და
მამა-პაპათა ფუძეც.

— საცა სოფლის ნახირი, ბებრის ხზოც იქაო.

— გაჩუმდი, ბალოო!

ორივე უხმოდ ადის ზედა სართულში. ღუმელს
გახსურებენ. საუზმემდე ხმას აღარ ამოიღებენ.
საუზმეზე პაპა გიგოლეს, რაკი სამჯერ ზედიზედ
დილის მადლს შეიწევს, საუბრის საღერღელი
აეშლება. ავიწყდება, წიღან შვილიშვილს რომ
აწყყინა, ტახტზე წამოწვება და ვაკვაცობისას
იტყვის ხოლმე.

— აი, ისეთი მონადირე რომ იყო...

— როგორი? — ბესომ იცის, ვისზეც ჩამოუგლო
პაპა გიგოლემ საუბარი, მაგრამ მაინც ეკითხება,

— მოარიკაზე გუებნები. ისეთი რომ იყო, სხვა
ამბავია.

ასე იწვება აპრილში ღამე.
ახალი გზები ითხოვენ შეგლას...
და როცა დილის დარეკავს წამი
ჩვენ-ჩვენი კუთხით მივდივართ ყველა.

არის დრო,
როცა სულ მარტო ვრჩებით...



ლიმილი

შენი სიცოცხლის დამეცა ცვარი
და ავბიზინდი ლორთქო ბალახად...
შენი სიცოცხლის ღმილში გავრეც
ყველა ნახულს და ყველა სანახავს.

შენზე ამბობენ,
შენზე ამბობენ:
— სულ ალიკვალი მამამისია...
ჯერ ხომ აღრეა ჩემი მამობა,
ჯერ მამის ვალი არ დამიხსნია.
მაინც შენია ჩემი კისერი,
ღამადგი შენი მჩატე უღელი...
ვერ მოვისვენე,
ვერ მოვისვენე
და დამაბერა ფიქრმა წუხელის.

ცა გავაყრუე ლალი ყვილით
და გავეკიდე ყრმობის დინებას,
მაგრამ ღმილი,
ჩემი ღმილი,
ვერ დავამგვანე შენს გაღიებებს...

— დილა-საღამოს წყალს ვინლა დააკვირდებ?

— რაც მახსოვს, ასე მოდის ეს ოხერი ალაზანი. არავენ აკვირდებოდა — მოდიოდა. აკვირდებით, რაღაცას ჯღაბნით, მაინც მოდის. — პაპა გიგოლე გაიცინებს, მერე თითქოს თავისთვის პყვება მონადირე მოარკიას ამბავს. — გათენებისას გავიღოდა შინიდან, ხეობას შეუყვებოდა და ჭიუხებს თავზე მოქექებოდა. ჯიხვების ნოტოს უთუოდ სადმე დალანდავდა. ამბობდნენ, ადგილის დედა ულოცავდა გზას და ჯიხვების კვალსაც ადგილად მიაგნებინებდაო. ქარაფებსა და ყინულის ნაპრალეებში უშიშრად დადიოდა. მერე, რაკი სათოფეზე მიეპარებოდა, კლდის თავზე შედგებოდა, ერთს დაპყვებოდა, დააფრთხობდა, გაქცეულთ ფეხდაფეხ გაპყვებოდა და საითთაოდ დააგორებდა. ერთხელ წასულა მოარკია და ნოტო დაუფრთხია. მირბოდა ნადირი და მოარკია მიყვებოდა. ლივლივით გადავლდებოდნენ ჯიხვები კლდეებს, ნაპრალზე რქით ეკიდებოდნენ, მოარკია ზროიან ჯოხს იშველიებდა და უახლოვდებოდა.

ნაპრალის თავზე მიუშვედებოდა ხარლაღების ნოტო და დაღლილს წამით ამოუსუნთქავს, მერე პირჯვარი გამოუსახავს და წიხლით თითო-თითოდ კლდიდან გადაუსრია. გახლებული გონს რომ მოსულა, უფსკრულში ჩაუხედავს. ყინულის ნაპრალიდან წყლის ყრუ შხული და ჩახერგილი ნადირის გმინვა გაუგონია და ნაპრალის თავზე მუხლმოკეტილივით ჩამომჯდარა. ჩამომჯდარა და ქალივით აქვითინებულა. მას მერე აღარც უნადირია და ჯიხვის ხორცისათვისაც პირი აღარ დაუკარებია.

— ცოდვა ჩაუდენია.

— პო, მარტო კაცის კი არა, ნადირის მოკლაც ცოდვაა.

— რაღად აფრთხობდა, თუკი მიეპარებოდა?

— ქურდულად სროლა რა ვაქაცობა... აი, ისეთი მონადირე რომ იყო, სხვა ამბავია! — პაპა გიგოლე წამოდგება და სარკმლიდან სოფელს გადახედავს. ერთ ხანს ჩუმად დგას. თვითელი სახლის სახურავს აკვირდება. გაყურებულია, თითქოს რაღაც უნდა გაიგონოსო, მერე გაწბილებულივით მობრუნდება. კედელზე ჩამოკიდებულ ფანდურს ჩამოიდებს და წყნარად აჩხკუნებს. ეს მოარკიას უყვარდაო, ეუბნება შვილიშვილს, მოარკიას სიმღერას ეძახიანო. ბიჭს ფანდურის სიმების ქღერაში ესმის გაქცეული ნადირისა და მოარკიას ნაბიჯის ხმა, აგორებული ლოდების ჯახანი და გახლებული მონადირის კივილი. მერე ლარები ყინულის ნაპრალში ჩახერგილ ჯიხვებივით გმინავენ.

სარკმლის რაფაზე იდაყვდაყრდნობილი ბესო სოფლის ბოლოში გაშლილ მინდორს გადაპყურებს. პაპა გიგოლე წელიწადღეს უფრო წყნარად, ძლივს გასაგონად აწკარუნებს მათულის ლარებს. ფანდურის ხმა ნაწყვეტ-ნაწყვეტად ესმის ბესოს. ნაღვლიანი სახით გადაპყურებს სოფლის ბოლოში თოვლით გადალესილ ვაკეს. დიდთოვლობამ ადრეული გაზაფხული იცისო, ესმის მას პაპა გიგოლეს ბუტბუტი, მოხუცი რაღაც გრძელ ამბავს პყვება. მან იცის, — ათჯერ ნათქვამ არაკსა და ლეგენდას იმეორებს, მაგრამ დათოვლილი შინდორი თვალსა და სმენას სტაცებს.

მაშინაც ისეთი ზამთარი იყო, ალბათ უფრო დიდცი. ზვავები იანვარშივე დაიძრნენ და მდინარე გადასერეს. გაზაფხულიც ადრე დადგა. ბე-

ლია უსათიანო

მყინვართან დაბადება

იცო? ეს ენგური თითქოს რომ გემდურის, თითქოს რომ გიწყრება, რაგვარად იწყება?

რამდენი ნაკადი მთიდან რომ დაქანდა, რამდენი ჩანჩქერი, მთიდან რომ ჩასცქერი, შთანთქა ამ მდინარემ ლაღმა და მძინვარემ?

წუ გიკვირს, თუ სვან ბიჭს სახე აქვს ზვიადი და წარბი შეკრული. ის მყინვარს შეპყურებს და ძილშიც ჩაესმის გრიალი ენგურის.

ვიხილე ლეპჭერის მყინვარის ნათება, ეს ლეგა ენგური სადაც იბადება;

სადაც ლოდებია სახლების ოდენი, სად კალმახს დაწინწკლულს ჩქერები მოდენის.

ეს სვანი ვაჟაკი არავის ემდურის, არავის ემდურის ეს შლეგი ენგურიც.

სოს კარგად არ ახსოვს, საიდან დაბრუნდა იმ დღეს. მდინარის პირას კარგებს მოჰკრა თვალი. გაუკვირდა: სოფელში ამდენი ცარიელი სახლი იყო და კარგებში ღამისთევა რატომ სიამოვნებდათ უცხოებს.

ისინი ხუთნი იყვნენ; დილა-სალამოს, როცა ჯიხურის თვალმოსაველებად ჩადიოდა, იქ ფუს-ფუსებდნენ. მერე დაუახლოვდა, გაიციო. გული გაუსხნეს და თავისიც გადაუშალა. თავიდან პირველად ვიწროშარვლიანი და თმაშეკრევილი ქალიშვილები ერიდებოდნენ, მერე ისინიც გაუშინაურდნენ. სტუდენტები იყვნენ, უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტზე ვსწავლობთო, უთხრეს ბესოს. კარგებთან რიგრიგობით რჩებოდნენ, დანარჩენები ფერდობებსა და ხევისპირებში დიარებოდნენ, სხვადასხვა მცენარეებს აგროვებდნენ.

ბიჭები ყოველთვის ნადირობის ამბავს ეკითხებოდნენ, ჯიხვის ხორცს ნატრობდნენ. ნანობდნენ, რომ თოფები არ ჰქონდათ თან. ბესო ძუნწად უპასუხებდა ხოლმე შეკითხვებზე. როგორ სწრაფად გადიოდა დღეები!..

— მას მერე მთარეკას აღარ უნადირია, — ესმის ბესოს პაპა გიგოლეს ბუტბუტი. — უკან დაბრუნებისას ყინულზე ყვავილი დაუნახავს. გაჰკვირვებია, ეს დალოცვილი აქ, ამ ხრიოკსა და სიცივეში რამ ამოიყვანაო. მოუწყვეტია და თან წამოუღია.

პაპა გიგოლე კვლავ ფანდურს აწკარუნებს. ერთ ხანს დუმს. ალბათ ფიქრობს, საფიქრალსა და მოსაგონარს რა გამოუღვევს, ფიქრობს და ნაწყვეტ-ნაწყვეტ ჰყვება...

ბესოს გული სოფელში აღარ უჩერდებოდა. აქვთ, კარგებისაკენ მოუწევდა. სოფლის ვიწროებ-

სა და ყურეებს შორის სული ეხუთებოდა. სტუდენტებთან ბევრი არაფერი ჰქონდა სასაუბრო. მაგრამ მათთან ჩუმად ყოფნაც სიამოვნებდა. ბიჭებს უკვირდათ, რა ამღებინებს ბესოს ზამთარ-ზაფხულ ამ დაცლილ სოფელშიო. გოგონებს, განსაკუთრებით ნანას, დათოვლილი სერებისა და ზვავების ხსენებაზე თვალები უბრწყინდებოდათ. ბესოს მუდამ უღიმოდა, პირველი მიიპატიჟებდა ხოლმე, მერე გაკვირვებულვით თვალს არ აცილებდა მას.

ნანა მარტო იყო კარგებთან. ჯიხურიდან გამობრუნებულ ბესოს გზაზე გაეგება, თითქმის ძალად მიიყვანა კარგებთან.

— ნახე, რა ღამაში გვირილები ვიპოვე გუშინ! — უთხრა და ალბომი გადაუშალა. — ჩავიტან თბილისში და გაცდებიან. შენ არ გიყვარს ყვავილები?

— რა ვიცი...

— ალბათ ყურადღებას არ აქცევ, აქ ამდენი ღამაში ყვავილია და შენთვის სულ ერთია.

— ჰო, შეიძლება...

ნანამ ალბომი ზურგჩანთაში ჩადო, კარავში შეიტანა და ბესოს გვერდით მოუჯდა.

— არ იღლები?

— ვიღლები?

— ჰო, მარტოობით თუ იღლები?

— ხანდახან, როცა ზამთარია. ზამთარში ხანდახან ვიღლები.

ნანამ გაიცინა, სოფელს გახედა, ერთ იანს დუმდა, მერე თითქოს თავისთვის სთქვა:

— ჩვენ ყოველ გაზაფხულზე ამოვალთ, შენ ხომ აქ იქნები?

— არ ვიცი. ალბათ ჯერჯერობით ვიქნები.

აკოპანელი გუგუნიძე



მე ლაგოდები წვიმაში ვნახე,
კოკისპირულად წვიმდა და წვიმდა.
ერეკებოდა ბიჭუნა ნახირს,
გულის სიღრმეში რალაცა მწყინდა.

იცის მოწყენა ათასმა რამემ,
სილამაზემაც იცის მოწყენა...

მერე მოვიდა მაისის ღამე,
როგორც დალოლი მიწის ოცნება.

და მამძიმებდა პატარა ფიქრი,
(რაც საფიქრებლად ზოგისთვის არ ღირს),
რომ არ ვიყავი ბიჭუნა იგი,
ერეკებოდა რომელიც ნახირს.



— მომავალში აქ რომ არ დაგვხვდეთ, გული დავწყვდება.

ნანამ ბესოს ხელი ხელში მოჰკიდა და კვლავ გაეცინა.

— შენ ძალიან დიდი ხელები გაქვს.

— ჰოო, — გაელიმა ბესოს.

— ლონიერი ხარ, ძლიერი, — შეაქო ქალი-შვილმა.

— რა ვიცი, — შერცხვა ბესოს. ნანა ნაზ ხელებს მიიღო ძალით უჭერს ჯირკვივით უხეშ თითებზე, მერე ბესოს მისი სუნთქვაც ესმის.

— მისაავით დიდი და ლონიერი, — ჩურჩულებს ნანა. ორივე თავდახრილი ზის კარვის კალთასთან და ერთმანეთის ხელებს დასჩერებიან.

— მომავალ გაზაფხულზე თუ არა, მერმის უსათუოდ მოვალთ, შორიდანვე დაგიძახებთ, ერთხმად!

— ყველანი? — ჰკითხა ბესომ.

— არა, მარტო მე დაგიძახებ, სადაც არ უნდა იყო, ხმას მოგაწვდენ...

— იმ ყველის სოფლამდეც ვერ მოუღწევია, გზაშივე დამშენარა, — ამბობს პაპა გიგოლე.

— ყველი რაღად უნდოდა?

— ლამაზი ყოფილა. მოსწონებია და წამოუღია.

— მოსწონებია?

— მოსწონებია, მაშა! ლამაზი ყველას მოსწონს. მოუწყვეტია და წამოუღია.

— იქნებ შეეცოდა, ყინულზე მარტო რომ იყო.

— რა ვიცი, იქნებ შეეცოდა კიდეც.

პაპა გიგოლე ფანდურს მკერდზე მიისვენებს და თვლემს. სადაღაც შორს ზვავი გუბუნებს და დაღვრემილ ხეობას აფხიზლებს. ბესო საკმლიდან გადაპყურებს თეთრად გაღალსილ ვაკეს, ნაკვალევი მუქი ხაზივით რომ მიჰყვება.

სტუდენტებმა მცენარეებით გატენილი ზურგჩანთები წამოიკიდეს, ომალოს გზას გაუდგნენ. ჩქარობდნენ, იქნებ შეველმფრენს მიეტსწროთო და მალე ფიჭვნარს მიეფარნენ. ნანა მათ უკან მიდიოდა. მალიმალ შედგებოდა და სოფლის ბოლოში ბექობის თავზე გახვევებულ ბესოს გამოხედავდა. რამდენჯერმე ხელიც დაუქნია. ფიჭვნართან კარგა ხანს შეჩერდა. სოფლისკენ იყურებოდა. ბექობის თავზე წელში მოხრილი, ყავარჯნიანი ბერდევად ჩამოცუნცულდა. ცალი ხელით თვალი მოიჩრდილა და გაღმა ფიჭვნარში გაწვილილ გზას გახედა. ბესოს უნდოდა, წასულეებს გამოჰკიდებოდა, დღემდე მაინც გაციოლებმა, მაგრამ ახლა ბერდელასი შერცხვა და მხოლოდ გაეხმინა:

— ეპე!

ძახილი ფიჭვნარმა ყრუდ გაიმოხრა. ნანას არ უპასუხია, ერთხელ კიდეც დაუქნია ხელი და ფიჭვნარს მიეფარა.

— წავიდნენ, განა? — აკვირდება გზას ბერდევად საბედო.

— კი, წავიდნენ.

— კიდეც მოვალთო?!

— მერმისაც მოვალთო.

— თუ თქვეს, მოვლენ.

პაპა გიგოლემ ფანდური ააწკარუნა. მერე კედელზე მიაყუდა და სარკმელში გაიხედა. ხეობაში ნაცრისფერი ბინდი შემოპარულიყო. ისევ თოვდა.

სანამ ჯიხურიდან მობრუნდებოდა, ხაკვალევი თოვლს უკვე საკმაოდ დაეფარა. ძლივს ეტყობოდა წელიწადილი ნაფხურები. ბესო ახლად ნათოვარზე მოაბოტებდა. მხრებზე ფთილებივით ედო თოვლი და უხაროდა, რომ ბარაქიანად ბარდნიდა.

სოფლის ბოლოში, ბექობთან, ბერდევად საბედო იდგა. ბესოს გაუკვირდა: სხვა დროს — დარსა თუ ავდარში ბერდევად სოფელს იშვიათად გამოსცდებოდა, ახლა იდგა და დათოვლილ ხეობას გაპყურებდა.

— მეგონა, დილას შემოიცილიდი. გელოდე, არ მიხვედი.

— ცუდი ამინდია, ბერდევად.

— ხინკალი მოვხარაზე, ზედაშე ჩამოვასხი.

— სანთელ-ზედაშე რად გინდოდა?

ბერდევამ ბესოს მხრებიდან თოვლი ჩამოუბერტყა. შალის ყური სახეზე აიკრა.

— ჯარჯოს შესანდობარსაც იტყოდი, ბიჭებხაც მიდღერტძელვბდი.

ბესოს გაუკვირდა ბერდევად საბედოს ნათქვამი. ვერ მიხვდა, რატომ გაამზადა დედაბერმა ამ უღროო დროს სუფრა და გაკვირვებულმა შეხედა.

— ქრისტეშობის წინა შაბათია, შვილო. დღევანდელ დღეს გავისტუმრე ორივე, შინ მოსვლა აღარ ეღირსათ, დედა მოუყვდა ორთავეს... იმათი გასტუმრებიდან სამი წლის თავზე ჯარჯოს ზევაშა დალია.

— ჰოო... აცხონოს ღმერთმა.

ბესომ ხეობას გახედა. თოვლით მხრებდამძიმებულმა ფიჭვნარებმა მოსტაცეს მზერა. ერთ ხანს ჩუმად იყო, თითქოს რაღაცას ელოდა, თითქოს რაღაცის გაგონება უნდოდა.

— მაშინაც ასეთი ზამთარი იყო. სატიალე ზევაშებმა ადრე აიწყვიტეს, ჯარჯო იმ დღითოვლია-

ნობამ შეიწირაო, — ჩიფჩიფებდა დედაბერი. ბესოს სანახევროდ არ ესმოდა მისი ნათქვამი და დუმდა.

— გაზაფხული ადრე დადგა, მაგრამ ცუდი გაზაფხული დადგა ჩემთვის.

ბესომ გზიდან ერთხელ კიდევ გახედა ფერლობს. ბერდედა საბედოც შედგა, ყავარჯინანი ხელით თვალი მოიჩრდილა. მერე ნაძალადევად გაიღიმა, ნამტირალევი თვალები აუციმციმდა.


— არა უშავს, შვილო, გაზაფხული მალე დადგება.

ბესო თავდახრილი მიჰყვება მოხუცს.
„შორიდან დაკვიძახებ, სადაც იქნები, ხმას მოგაწვდენ...“

„აქ რომ არ დაგვხვდეთ, გული დაგვწყდება, ხომ იქნები აქ?“

- ვიქნები მაშა, უთუოდ ვიქნები!
- რა თქვი, შვილო? — ეკითხება ბერდედა.
- არაფერი.
- შეგონა, რაღაც მითხარი.

პირიქითის ხეობაში ისევ თოვდა. ზეავები წელსაც ადრე აიწყვეტდნენ.



თაბაზ გოლახიძე

სოფელში

ციკლიდან „გზები და შეხვედრები“

მალლა მთაში მოწითალო კვამლი გამოჩნდა. მანქანა არახრახდა, ოღროზოღრო შარაზე მტვერი დააყენა და ღმუილით შეუღდა აღმართს. მოწითალო კვამლი ხან გამოჩნდებოდა და ხან იმალებოდა.

— ეგ ხაბაზია! — სთქვა ექსპლედციის უფროსმა და რუკა გაშალა, — გამამდიდრებელი ფაბრიკა ამ რუკაზედაც არის აღნიშნული. ალბათ აქ მოგვიწევს გაჩერება დიდი ხნით.

გზა, თუ შეიძლება მას ასე ვუწოდოთ, მდინარეს მიჰყვება. ხევი ვიწროა. მდინარე და გზა ერთად ვერ ეტევიან და ხანდახან ერთდებიან. მაშინ მანქანა წყალში მიდის. მდინარე პატარაა. მთაში მდინარე ყოველთვის პატარაა. მანქანას არ უჭირს წყალში გაეღა. ქვეზე ხტუნავს, რახრახებს, „კულს იქნევს ქარაფშუტა ქალივითა“. — როგორც ჩვენი შოფერი ზაქრო ამბობს.

ხაბაზი პატარა სოფელია. სოფელი ფაბრიკის გამო გაშენდა. ამიტომ სახლები ერთ მწკრივად არის ჩარიგებული ფაბრიკის ახლოს. ფაბრიკაში რკინის მადანს ამდიდრებენ, ესე იგი, ფუჭქანს ამორებენ და მერე მანქანებით ქალაქში გზავნიან. ფაბრიკის მილიდან წითელი კვამლი ამოდის. ფაბრიკა სულ წითელია. სახლებიც წითელია. გზაც და ფაბრიკის მუშებიც წითლები არიან. მანქანამ გზაზე წითელი მტვერი აყარა და პატარა მოედანზე გაჩერდა.

დღეს შაბათია. სამუშაო დღე ადრე მთავრდება.

ბა. მუშები ტოვებენ ფაბრიკას და შინ ბრუნდებიან. გზადაგზა ტანსაცმელს იბერთყავენ. მუშებს თმაც, წარბებიცა და უღვაშებიც წითლად აქვთ შეფერილი. როცა ჩვენს მანქანას ჩაუვლიან, ეღიმებათ და თეთრ კბილებს აჩვენენ. მერე წყაროსთან მიდიან და ხელ-პირს იხეხავენ რაღაც ქვიშით, იქვე ყუთში რომ ყრია.

მე და ჩემი თანაშორებელი ქალი ია საბარგულიდან გადმოვდივართ. იას შარვალი და სქელ-ლანჩინი ფეხსაცმელი აცვია, ხელში გრძელტარიანი ჩაქურჩი უჭირავს და ფერადი სათვალე უკეთია. როცა სათვალე ადგას, ცხვირი ისე გრძელი არ უჩანს. ია გამხდარია და გრძელფეხებია. ვიდრე ხმას არ ამოიღებს, ვერ გაარჩევ ბიჭია თუ გოგო. ამიტომ მგზავრებსაც სწორად ბიჭი ჰგონიათ და ლაპარაკის დროს მისი თანდასწრებით ივინებია. ია ამ დროს იღიმება და წითლდება. მერე სათვალეს იხსნის და რაღაცას კითხულობს. ახლა მგზავრები ვარდებიან უხერხულ მდგომარეობაში.

მე და ია საბარგულიდან გადმოვდივართ. ია იქაურებს ათვალეირებს და სოფლის მალაზიისაკენ მიდის. მეც უკან მივყვები.

ასეთ მიყრუებულ ადგილას მალაზია სოფლის ცენტრად ითვლება. ჩამოსულები პირველად ცენტრს ათვალეირებენ. მალაზია პატარაა. ყველა სოფლის მალაზიაში ერთნაირი სუნია, სამრეწველო საქონლისა და სურსათ-სანოვაგის შერეული სუნი. ხაბაზის მალაზიაში ყველაფერი იშოვება: სახაფხულო პალტო, ძეხვი, ალუმინის სხვადასხვა ზომის ქვაბები, კრელი თავშალი, ლურსმანი, ზეთი, ნიჩბები, პური, კიტრის წნილი, წინდები, არაყი, ნეილონის პერანგები, წიგნები,

ერბო, ტყავის პალტოები, ნავთი, თევზის კონსერვები, თოკი, ქვამარილი, ლუდი, ფანქრები, კაუჩუკის ლანჩებიანი ფეხსაცმელი, თაფლი, თელი, ნაზი და მსუბუქი ფეხსაცმელი, ნათურები, მაჯის საათები, ჩითისა და აბრეშუმის საკაბეები და კიდევ ბევრი რამ. მალაზიის დირექტორიც და ნოქარიც ერთი ქალია, რომლის გვარი კედელზე გაკრულ აბრაზე სწერია. კარაქს რომ ასწონის, ხელს ფერად ტილოზე გაიწმენდს და საკაბეს ზომავს. ცალი თვალით ჩვენკენ იყურება.

ფეხშიშველა ბავშვებმა „ომობანას“ თავი დაანებეს და მალაზიაში შემოგვეყენენ. მალაზიაში რამდენიმე კაცი იყო და რაღაცაზე ლაპარაკობდნენ. ჩვენ რომ შევედით, გაჩუმდნენ. კუთხეში სუთი წითელტანსაცმლიანი მუშა არაყსა სვამდა.

— კიდევ ერთი ბოთლი მოგვეცი. — სთქვა პირველმა.

— ხომ გეუბნებით, მალაზიაში სმა არ შეიძლება!

— უცხოებს რომ დაინახავ, ნუ გაგივდები ხოლმე! — სთქვა პირველმა. დანარჩენებს გაცივანათ. საერთოდ პირველს რაც არ უნდა ეთქვა, დანარჩენებს ეცინებოდათ. ეტყობა, პირველი ძალიან ხუმარა კაცი იყო.

— ეშინია, გზა არ აგერიოს და მაგას არ მიადგე! — დაასვენა მეორემ.

— მე ჩემი მუქთახორა ქმარიც მეყოფა! — მიუთო ნოქარმა და ჩვენ მოგვიბრუნდა.

ჩვენ არავის არ ვაქცევდით ყურადღებას და მალაზიას ვათვალეირებდით. ნოქარმა მუშებს არაყი მიაწოდა. ერთ-ერთმა ბოთლის ძირი ფეხსაც-

გიორგი ნაჭროვილი

მხეცი და ალამიანი

ვინ მოსთვლის რამდენი რამ დაიწერა მეორე მსოფლიო ომზე, რამდენი ფილმი დაიდგა, რამდენი სპექტაკლი! იმ თაობას, რომელმაც ომი თავის მხრებზე გადაიტანა, და იმასაც, რომელმაც წიგნებითა და ფილმებით გაიცნო იგი, თითქოს ახალს ვეღარაფერს

ეტყვი! მაგრამ თურმე ამოუწურავი და დაუღვეველი ყოფილა ეს თემა, თურმე კიდევ ჰქონია მას ისეთი კუთხეებიც, სადაც ჯერ არავის შეუხედავს. და აი, უეცრად ისეთ მოულოდნელ ამბავს წააწყდები, პატარა ამბავს, რომელშიაც როგორც ერთ წვეთ წყალში,

მელის ქუსლზე დაირტყა. ბოთლიდან საცობი ამოვარდა და ცოტა არაყიც დაიღვარა. არყის სუნის დადგა. პირველმა არაყი ზუსტად გაანაწილა ხუთ ქუჩაში.

— აბა, გაგვიმარჯოს! — დაიწყო პირველმა.

— წავედით! — სთქვა მეორემ.

— ჯანმრთელად იყავი! — დაილოცა მესამე.

— ღმერთმა ჯანი მოგკეთა! — ტიქა ასწია მეოთხემ და მეხუთეს მიუჯახუნა.

მეხუთემ გაიღიმა და ერთი ყლუბით გააქრო არაყი.

— რა კარგად სვამს, ეს დეზილი. — სთქვა პირველმა და დანარჩენებს მეხუთეზე ანიშნა, ყველას გაეცინა, მეხუთესაც.

— რა გაცინებს, შე ოხერო, დეზილს გეცახის!

მეხუთემ ისევ გაეცინა. მეხუთე ყოველთვის იცინოდა დანარჩენებთან ერთად.

მაღაზიაში დაბალი მსუქანი კაცი შემოვიდა.

— ახალი ხომ არაფერია? — ჰკითხა ნოქარმა.

— ვანომ ოთხიანი მიიღო.

ნოქარს გაეხარდა. მასწავლებელმა პური და ძხევი იყიდა. ნოქარმა ნავაჭრი ქაღალდში გაუხვია და მერე ყველაფერი შავ, გაკრეცილ ჩანთაში ჩაულაგა.

— გამაღობო, ნახვამდის! — სთქვა მასწავლებელმა, მერე ჩვენ შემოგვხედა და გავიდა.

ნოქარი ბავშვებს გაუჯავრდა და მაღაზიიდან გარეკა.

— ნაქსოვი კაბა ხომ არა გაქვთ? — იკითხა იამ.

— არ მიგვიღია.

— არც მიიღებთ?

— არ ვიცი.

— ჩვენ აქ ძალიან დიდხანს დავგრებით. — დაუმეგობრდა ია ნოქარს.

— შემოიარეთ ხოლმე. — სთქვა ნოქარმა და მუშებისაკენ წავიდა.

ჩვენ მაღაზიიდან გამოვედით. ექსპედიციის უფროსს უკვე ამოერჩია სახლი სოფლის განაპირას. მანქანა იქ იდგა და შოფერი საძილე ტომარებს საბარგულიდან პირდაპირ ეზოში ყრიდა.

— სტუმრებს მიიღებთ? — ვიკითხე ხმა-მალა.

— მობრძანდით! — გაგვიღიმა ახალგაზრდა დიასახლისმა და ჭრელი თავშალი შეისწორა.

ფერდობზე ძროხა აბღაველდა. მწყემსი ნახირს სოფლისაკენ ერეკებოდა. ძროხები სახევ ცურებს ძლივს მოათრევენ. ორღობეში ნახირმა ბღა-ვილს უმატა. ძროხები თავით აღებდნენ ჭიშკარს და ბოსლისაკენ მიდიოდნენ. ბოსლის კართან ქვა-მარილი ევლო. ძროხები ქვა-მარილს ლოკავდნენ და წყალს სვამდნენ.

როცა დაბნეულდა, ორღობეში მუნჯმა მუშამ ამოიარა. ფეხი ერეოდა და რაღაცას ზმუოდა. ალბათ მღეროდა.



ისევ გამოჩნდება ის საშინელი ჭიდილი ადამიანსა და მხეცს შორის, რომლის მოწმე და მონაწილე იყო კაცობრიობა ამ ოცი წლის წინ.

შარშან ჟურნალ „ვოკრუგ სვეტას“ დამატების ფურცლებზე დაიბეჭდა მიხეილ სოსინის მოთხრობა „ხუთი დამე“. პირველი შეხედვით, მეტად უცნაური რამ იყო იქ მოთხრობილი — მრისხანე მხეცი უფრო გულმოწყალე ჩანდა, უფრო შემბრალებ, ვიდრე ადამიანი. თუ შორიდან, განყენებულად შევხედავთ ამ ამბავს, იგი თითქოს ყირამალა აყენებს მთელს ჩვენს წარმოდგენებს. მაგრამ არა, ეს ასე არ არის, ყველაფერი თავის ადგილზეა: საქმე ისაა, რომ თუმცა ადამიანი აქ მხეცზე უარესია, მაგრამ ეს იმიტომ

ხდება, რომ მას ჰიტლერელი ოფიცირის მუნდირი აცვია, ძაღლს კი ეს მუნდირი არა აქვს და არც ვებელსისა თუ როზენბერგის წიგნები წაუკითხავს.

მ. სოსინის მოთხრობაში საკონცენტრაციო ბანაკში ნამყოფი ტყვე ჰყვება, თუ როგორ შეაგდეს იგი ძაღლთან ერთად გამოკეტილ ოთახში — ძაღლი ავი იყო. მათ ხომ სპეციალურად წვრთნიდნენ ჰიტლერელები, ასწავლიდნენ ადამიანებზე ნადირობას... აქაც ძაღლი მიუჩინეს ტყვეს იმიტომ, რომ წუთით არ დასვენოს, დაძინების საშუალება არ მისცეს ადამიანს, და როგორც კი გაინძრევა, ყელში ეცეს და მოახრჩოს. და აი, დგანან მხეცი და ადამიანი ერთიმეორის პირისპირ, მთელი დამე უცქერენ ერთიმეორეს თვა-

კომისიის აქტიურობა

მოთხრობა

აჯობებდა, მე არ დამეწერა ეს ამბავი და იგი თქვენთვის რომელიმე ინგლისელ მწერალს მოეთხრო.

ძვირფასო პარი!

არ ვიცი, როგორ დავიწყო... ირგვლივ ყველაფერი თავბრულამხვევად ტრიალებს, ყოველი საგანი ერთითად ლამაზი მეჩვენება. შენზე ვვიჭრობ, ვიგონებ წარსულს და გული სიამით მეტება.

დღეს დეიდაჩემი სოფელში გაემგზავრა. დაშვიდობებისას ჭკუის სწავლება დამიწყო. „მერ-

წმუნე, ჟანეტ, მე მხოლოდ შენი სიკეთე მალაპარაკებს. მართალია, დიდი ზედნიერება გეწია, მაგრამ თავშეკავებაც გმართებს. ხომ იცი, ხალხის ამბავი: გააკიცხავენ, ქარაფშუტას დაგიძახებენ!“

„ხალხს ვინ კითხავს, ჩემს სიყვარულთან ვის რახელი აქვს. გაკირვებისას განა ვინმეს ვახსოვდი? მამამ ისეთ დროს მიმატოვა, როცა ყველაზე მეტად მჭირდებოდა მისი დახმარება, დედამ უარი

ლებში... ასევეა მეორე ღამეს, მესამეს — და ხდება უცნაური რამ: ისინი მეგობრებზე მეტად ჩახვეულნი, ერთად იძინებენ.

გაცოფებული მაიორი რევოლუციით ჰკლავს ძალს, რომელმაც უღალატა მესამე რაიხს და განწირული ტყვე შეიცოდა.

მიხეილ სოსინის ამ მოთხრობამ აფიქრებინა მარლენ სოსელიას შეექმნა მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო ფილ-

მი „სამი ღამე“, რომელიც ჩვენ უკვე ვნახეთ. სოსელიამ ამ ფილმის სცენარი თვითონვე დაწერა, თვითონვე დადგა და ოპერატორიც თვითონ იყო. და შეიძლება ითქვას, რომ სამივე ამ სფეროში მან კარგად გაართვა თავი აღებულ ამოცანას.

არ ვიცი, ტელემავრებლებს რა შთაბეჭდილება დარჩათ; მე კი ეს ფილმი ფართო ეკრანზეც ვნახე, „კომუნისტის“ კალუბში. იქვე იყვნენ შემსრუ-

სიტყვა ჩემს შენახვაზე. ძმისაგან ერთი იმედია სიტყვაც არ მახსოვს". ქვითინი ვერ შევიკავებ- მაგრამ მაღე ცრემლი შევიშვარაღ და მარტოდ დარჩენილმა მოგონებებს მივეცი თავი...

ე და შენ თავივე ვერ ავაწყვეთ ცხოვრება, მაგრამ იმედი არ დაგვიკარგავს! პირველი დაბრკოლება შენი ძმა, ტომი, იყო. საბრალო ბიჭს სიყვარულისა არა გაეგებოდა რა; ეგონა, გაგიყვებით ღუგუარს, სინამდვილეში კი მხოლოდ მოგწონდი, ნდომით აღსავსე თვალებით შემომცქე- როდა, რა იცოდა საბრალომ, რომ ჩემი გუ- ლი შენ გეკუთვნოდა, მე შენ მიყვარდი და ტო- მის უფლებას არ მიეცემდი, ამოეცნო და გაეთქვა ჩემი საიდუმლო, სათუთად რომ ვუფელიდი და ვინახავდი. საღ მქონდა იმდენი ძალა, ჩემი გრძობა შენთვის გამემახილა. ნეტავ თუ ხვედ- ბოდი რამეს?

შენი ძმა გარდაიცვალა. ჯავრისგან ავად გახდი და სამი თვე საწოლიდან ვერ წამოდექი. ვნატ- რობდი, მეც შემყოფოდა რამე სნეულეზა, ოღონდ შენს გვერდით, შენთან ახლოს ვყოფილიყავი. უშენოდ სიცოცხლე ვერ წარმომედგინა.

როგორ გამეხარდა, ბაღში მოსიერზე რომ და- გინახე. დადვრემილი და დაფიქრებული მიმო- დიოდი. სახზე ჯერ კიდევ გაჩნდა გადატანილი მღელვარების კვალი. შეგატყვე, რალაც გადა- გეწყვიტა, დაძაბული რალაცავე ფიქრობდი.

იმ დღეს ცუდი ამინდი იყო, ღონდონის ცა ღრუბლებს დაეფარა. ჩვენ მაინც მხიარულად შეგხვდით ერთმანეთს. თუმცა დაღლილი და ოდ- ნავ ხედიანიც ჩანდი, ხათრს არ მიტეხდი და ჩემს სიხარულს იზიარებდი. კინოში შევედით. შენ არ მოგწონდა ამერიკელი კინოვარსკვლავი. გამომწვევად იტყვრებაო, ასე ამბობდი. მე დაე- ცინოდი ერთ მსახიობს, სერიოზულ და ღირსეულ კაცად რომ მოქონდა თავი, სინამდვილეში კი ყოყლოინა იყო და მეტი არაფერი. ჩვენ ყუ- ლაფერში ვეთანხმებოდით ერთმანეთს და მთელი

საღამო გულიანად ვიცინოდით. მერეც ბევრი დღე გავატარეთ მხიარულად და ბედნიერად. ერთმა- ნეთით გატაცებულებს სულ გადაგვიწყდა და- ბრკოლება, რაც შენი ძმის სიკვდილმა გა- მოიწვია. შენ ჯერ კიდევ საზღვაო კოლეჯის სტუდენტი იყავი. სანამ ცოცხალი იყო, შენი ძმა იხდიდა სწავლის ფულს, ახლა კი... დაფიქრდ- ბოდი თუ არა ამაზე, თავს მხრებში ჩარგავდი და მაშინ გამჩნედი, შენ რალაც გადაგეწყვიტა, მაგრამ რა, არ ვიცოდი, სანამ საბოლოოდ არ მითხარი: „მანქანა უნდა გავყიდო, ჩემი ძმის საქმეები ღროებით ზიანჩემს გადავაბარო. სწავლას მერეც მოვესწრები. შენ რას მიჩნევ, ქანეტ?“ აბა, რა უნდა მეთქვა? ამოვიხსრე, მკლავები ყელზე ნა- ზად შემოგხვიე და წაგჩურჩულე: „ნახავამი“. ტკბილი იყო შენი კოცნა.

დედაჩემის შორეულმა ნათესავმა, ახალგაზრდა ექიმმა, ცოლობა მიხოვა. მამა დათანხმდა, დედა გაახარა ამ წინადადებას, ძმას არაფერი უთქვამს.

— მე ამ კაცს ცოლად ვერ გავყვები, დედა.

— მას უყვარხარ, შვილო. კარგად დაფიქრდი და ისე გადაწყვიტე.

— ჩემი საბოლოო სიტყვა ეს არის: ცოლად მხოლოდ იმას გავყვები, ვინც მიყვარს და ვის- თვისაც სიცოცხლეს არ დავიშურებ.

— შენ ის უნდა მიყვარო, ქანეტ.

— დედა, ძალით ვერავის შევიყვარებ.

ჩემმა უარმა შურეაცხაყო ახალგაზრდა კაცი და გაჯავრებულმა დატოვა ჩენი სახლი.

ამის შემდეგ ჩვენს ოჯახში გაუთავებელმა ჩხუმმა და აყალმაყალმა დაისადგურა. წერი- ლებს ვერწვდი, მაგრამ ვაი ამ წერს. ზოგჯერ იმას ვერ ვწვდები, რისი მოწერაც მუსურდა, გახ- სოვს, როგორ ვიტანჯებოდით ასეთ წუთებში? ახლა სასაცილოდ არ მყოფნის, ამას რომ ვიჯო- ნებ. ხომ შეიძლებოდა, სისულელეებს ავყოლო- დით და ჩენი ბედნიერებაც დამხსრეულიყო?

ლებლებიც — თეატრის მსახიობი გიზო სიხარულიძე, რომელიც პირველად გა- მოჩნდა ეკრანზე. ის ასრულებდა ტყვის როლს; შემდეგ, გურამ ყვანი, მაიორი ბეკერის როლში, ისიც პირველად ვნა- ხეთ ეკრანზე; შემდეგ, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ლეო ანთა- ძე — უნტეროფიცერი ერისის როლში, მსახიობი ვნევერ ქელბაქიანი — ჯარის- კაცის როლში და ტყვე — ივანე საყვა- რელიძე (მარჯანიშვილის თეატრის მსა- ხიობი).

როგორც ხედავთ, თითქმის ყველანი პირველად გამოდიან ეკრანზე.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მათ შექმნეს კარგი სატელევიზიო ფილმი, ძლიერ დამაფიქრებელი და საგულის- ხმო. ეს არის ერთი პატარა სურათი იმ ჯოჯოხეთიდან, რომელიც ადამიანებმა გაიარეს ჩენი საუკუნის ოცდაათიანსა და ორმოციან წლებში.

ფილმს „სამი დამე“ ეწოდება. მოკლე სატელევიზიო ფილმი მეტს ვერ დაი- ტევედა. მაგრამ რაოდენ შინაარსით სავ- სეა ყოველი კადრი ამ ფილმისა, რომე- ლიც მოგვითხრობს სიკეთისა და სიბ- რალულის გამარჯვებაზე.

პარი, ჩვენი თავგადასავალი ღამაზი და სანტერესოა. ერთ სიძნელეს თავს ძლივს დავაღწევდით, ამოიხვრას ვერ მოვასწრებდით, რომ კვლავ ახალი დაბრკოლება გველობებოდა წინ. ცხოვრებაში მუდამ ასეთი: ფიქრობ, მორჩა, გათავდა ყველაფერი, მაგრამ ტყუევლები.

როცა რამეს ვაკეთებ, ვგრძნობ, რომ ვსუნთქავ, ვარსებობ. დაღამდება თუ არა, გულზე დარდი მაწვება. ფიქრი ჭიანჭველურივით აფუსფუსდება; ხან უსაზღვროდ მზიარული ვარ, ხან სევდიანი.

ნუთუ ფილოსოფოსობა დავიწყებ? ღმერთმა დაამოყაროს. ბეკონს, ლოკსა და მილს ხარზად არასოდეს დავწაფებივარ. ამჟამად შოთმ გამიტაცა, მხოლოდ მან მაგრძნობინა, რას ნიშნავს სიყვარულის რწმენა ადამიანისათვის.

დღეები წელა და ერთფეროვნად მისდევდნენ ერთმანეთს. ადვილს ვერ ვპოულობდი. უკვე მერამდენედ ვიწყებდი ერთს და იგივე წიგნის კითხვას. ამასობაში მეგობრებიც შევიძინე და მათთან თავს კარგად ვგრძნობდი; შენც გინახოდა, ჩემს სახეზე ღიმილს რომ დაინახავდი.

შენ კოლეჯი დაამთავრე. იმ დღიდან თითქოს სხვა მზემ გაგვინათა. ასეთ ყოველთვის: პატარა სინარული კაცს უბედურებას დააიწყებს ხოლმე. გახსოვს, შენს ირგვლივ პატარა ბავშვივით რომ დავბტობდი. შენი ქული მეხურა. იმ ქულს დიდის ამბით გიხდიდი. უსაზღვრო ბედნიერებას ვგრძნობდი, ჩემს თვალში უკვე სახელმწიფოვით კაცი იყავი, ახალი ცხოვრება გველოდა ორივეს.

ვერ ავიწყრ დედაჩემის ბედნიერ ღიმილს, ჩვენი ნიშნობის ამბავი რომ გაიგო.

კვიროსზე შენი გამგზავრების ამბავი რომ შევიტყვე, მართალი გითხრა, გაურკვეველმა შიშმა შემიაპკრო. უსიტყვოდ იგრძენი ეს, იმ საღამოსვე რიხვედი და ქორწილის დღე დავთქვითი. მახსოვს, როგორ მკოცნიდი და მეხვეოდი. მე კი გაქცევებული ვიდექი და ვფიქრობდი იმ უსასრულო

დღეებზე, ისევე უშენოდ რომ უნდა გამეტარებინა...

კვიროსზე მიმავალ გემში ჩაჯექი. მე კი ვიხსენებდი და იმავეს დაზეპირებულივით ვჭურჩულებდი: „ღმერთო ჩემო, როდის დაბრუნდება, როდის დაბრუნდება!“.

ძვირფასო, დღეს მივიღე შენი ბარათი. კიდევ ერთი კვირა და ჩემთან იქნები. მთელი ქვეყანა დაპატარავდა ჩემს თვალში. მე ვცეკვავ. ვუმღერო ყვავილებს. ბაღში მსხდომ, ოცნებაში წასულ შეყვარებულებს რომ ვხედავ, გულში სითბო ვეღვრება.

ჩვენი სიყვარულის წიგნს ბევრი შავი ფურცელი ჰქონდა, ესეც უკანასკნელია. პაღე, მომავალ კვირას, გადავშლით ნათელ ფურცელს.

მართლაც, რა სიძნელეები არ შეგვხვედრია. მაგრამ გადავვილახავს, დარდისათვის გვიჯობნია და ახლა, ახლა უფლება გვაქვს მოვეშვათ ჩვენს ცხოვრებაში ყველაზე ღამაზი და მზიარული ღამისათვის, საქორწილო ღამისათვის.

სიყვარულში იმედგაცრუებული მწერალი, ყველაფერს შავი ფერებით რომ ხატავს, რა თქმა უნდა, თავის ნაწარმოებს უბედურად ასრულებს. მისი აზრით, ყოველ ქეშმარიტ სიყვარულს ტრაგიკული ბოლოს აქვს. მე ასე არ ვფიქრობ. წიგნებს აღარ ვუჯერო. ჩვენს სიყვარულს ხომ კეთილი და ბედნიერი დასასრული აქვს.

პარი, ძვირფასო, ამ წერილს რომ მიიღებ, შეიძლება უკვე აქეთ მოემგზავრებოდე. ღონდონის ქუჩებში ისეთი ყრიაშულია, თითქოს მთელი ქალაქი ჩვენს სიხარულს იზიარებდეს.

ნახვამდის, ჩემო სანატრელო!
შენი ჟანეტ.

ეს წერილი ვუპოვე ერთ ახალგაზრდა ინგლისელ მეზღვაურს. მისი გვამი ტალღებს გამოერიყა ნაპირზე, პორტ-საიდთან.

ფრანგულიდან თარგმნა
ელზა ახვლედიანმა



როცა ჩაქუჩი იძინებს

ნარკვევით

ეს უჩინო ორივე მხარეს აღმართულ ფერადი სახლების ფანჯრებში რიგ-რიგობით ქრება სინათლე. შავად ბზინავს ნაწვიმარი ქვაფენილი, თვლემენ ჭადრები, ისვენებს დღის ხმაურით დაღლილი ქუჩა.

ნაცრისფერ სახლში მხოლოდ ერთი ფანჯარა ციმციმებს.

წვიმს. ფანჯრიდან მხოლოდ სველი სახურავები და მოქუფრული ცა მოჩანს. მთელი დღე მზე ანათებდა, ახლა კი გაზაფხულის წვიმის წვეთები ხალისიანად ეცემა მტვრიან ქვაფენილს.

იგი ფანჯარას მოსცილდა და საწერ მაგიდას მიუჯდა. ჩაფიქრებული დაპყურებდა მაგიდაზე გაშლილ ქაღალდებს. სამუშაო დღე ისე შეუმჩნეველად მიილია, რომ გული დასწყდა: კიდეც ბევრის გაკეთებას აპირებდა. იგი მეცნიერია, დღესაც, როგორც ყოველთვის, ბევრი საქმე ჰქონდა, შემდეგ სახლში დაბრუნდა, ცოტა შეისვენა და ისევ განაგრძო მუშაობა.

მისმა ოჯახმა რახანია დაიძინა. ორი-ოდე საათის წინ ცოლმა ქაღალდებსა და წიგნებში თავჩარგულ მეუღლეს „ტრადიციული“ ყავა შემოუტანა, ფინჯანი ფრთხილად დადგა მაგიდის კიდეზე და კარი გაიხურა. მეცნიერი თითქოს გამოერკვა, ფრთხილად დახურა ნაშრომი „ცეოლითების პრობლემა საქართველოში“.

გიორგი ციციშვილი გამოღებულ ფანჯარასთან მივიდა. შორიდან მოჩანდა მტკვრის მოლაპლაპე ზოლი. გიორგი ფიქრებს მიეცა, მოაგონდა თავისი ბავშვობა, მშობლიური ქარელი.

...შარაგზაზე ურემი მიჭრიალებს. „ურმულის“ ხმები ეფინება მიდამოს. მეურმეს მოსწყენია მარტოობა და სიმღერით ამოკლებს გზას.

გიორგი მეცნიერებით მოულოდნელად არ დაინტერესებულა. უყვარდა ლიტერატურა, მუსიკა, ყველაზე უფრო კი ქიმიკა იტაცებდა ქიმიის სიყვარული შორეულ-

მა ნათესავმა, პროფესორმა ნინო ციცი-
შვილმა და მისმა მეუღლემ მეღქისედგ
ბექაიამ ჩაუნერგეს. მეღქისედგეს ქარე-
ლის ტყეებსა და მინდვრებში ნადირობა
უყვარდა. როგორც კი თბილისიდან ჩა-
მოვიდოდა, თავის ორღულნიან თოფს გა-
ამზადებდა და სანადიროდ მიდიოდა, ჭა-
ბუკი გიორგიც თან მიჰყავდა.

სწორედ ქარელის შემოვარენში მოის-
მინა მან პირველი „ლექციები“ ქიმიისში,
თვითონ მეღქისედგეი ხუმრობით „არის-
ტოტელეს გაკვეთილებს“ რომ უწოდებ-
და. რიყეზე გულდასმით სინჯავდნენ იშ-
ვით მინერალებს. პროფესორი დანტე-
რესებულ ახალგაზრდას ხალისით უხსნი-
და მათს შემადგენლობას. ასე ეცნობოდა
გიორგი ქიმიის ანბანს.

1932 წელი. გიორგი ამიერკავკასიის
ინდუსტრიული ინსტიტუტის ქიმიურ-
ტექნოლოგიური ფაკულტეტის სტუ-
დენტი გახდა. გაფართოვდა მისი ინტე-
რესების წრე. გიორგი გაიტაცა ქიმიის
თეორიულმა საკითხებმა, კერძოდ, ატო-
მისა და მოლეკულების აგებულებამ.

პროფესორს დღემდე შენახული აქვს
სტუდენტობისდროინდელი რეველები,
გაკრული ხელით რომ ჩაუწერია მისი
საყვარელი მასწავლებლების—რუსულად
ნიკოლაძის, მიხეილ შალამბერიძისა და
დიმიტრი ერისთავის ლექციები.

მეცადინეობის შემდეგ გიორგი ლაბო-
რატორიაში მიეშურებოდა. აქ იგი კოს-
მოსური სხივების ნივთიერებებთან ურ-
თიერთმოქმედებას იკვლევდა. იმ დროს
მეცნიერები გულმოდგინედ სწავლობდ-
ნენ საინტერესო პრობლემას — როგორ
უნდა გამოეყენებიათ ფიზიკის მიღწევე-
ბი ქიმიის ზოგიერთი პრობლემის გამო-
საკვლევად და ასახსნელად. გიორგი ცი-
ციშვილი ამ პრობლემის დამუშავებას
შეუდგა.

სტუდენტობის წლების გახსენებამ თა-
ვის ვაჭზე, ვლადიმერზე ჩააფიქრა.
„კარგი იქნება, თუ ისიც ქიმიკოსი გა-
მოვა“, — გაიფიქრა გიორგიმ. დღესაც,
სამუშაოდან რომ დაბრუნდა, ზარი და-
რეკა და კარი, როგორც ყოველთვის,
ვლადიმერმა გაუღო. სახლში შემოსულს
ნაცნობი მელოდია შემოესმა, მეუღლე

როიალზე უკრავდა. ვლადიმერს წიგნები
გაეშალა და გულდასმით ინიშნავდა რვე-
ულში რაღაცეებს.

„ვლადიმერი წელს დაამთავრებს სკო-
ლას. თვითონ აირჩიოს პროფესია. პატა-
რა კი აღარ არის. მაინც ძალიან გამე-
ხარდება, თუ ქიმიკოსი გახდება. ამას
არასოდეს არ ვეუბნები, მაგრამ იცის,
რომ თუ ქიმიკოსი ეყვარება, გამეხარდება.
და უყვარს კიდევაც“. მეორე ოთახში
როიალის უკანასკნელი აკორდი მიწყდა.

„ელენე მუდამ ყოჩაღი გოგო იყო, —
გიორგის ახლა ქალიშვილი გაახსენდა—
ფრიალებზე დაამთავრა ფიზიკის ფაკულ-
ტეტი. პირველი სამუშაო დღის ბოლოს
ოთახში კი არ შემოვიდა, შემოფრინდა.
მერე, ვითომდა სერიოზული ტონით გა-
ნაცხადა: „პატივი მაქვს გავცნოთ—კი-
ბერნეტის ინსტიტუტის უმცროსი მეც-
ნიერი მუშაკი ელენე ციციშვილი!“ აკა-
დემიკოსმა ოთახი შეათვალიერა. კუთხი-
დან მოწყენილად უყურებდა ტელევიზო-
რის ჩამქრალი ეკრანი.

...1937 წელს გიორგი ციციშვილმა
უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტი და-
ამთავრა. ამ დროისათვის იგი უკვე რამ-
დენიმე დამოუკიდებელი ნაშრომის ავ-
ტორი იყო. იმავე წელს მიავლინეს საბ-
ჭოთა კავშირის ფიზიკური ქიმიის კვლე-
ვის ცენტრში — მოსკოვის კარპოვის სა-
ხელობის ფიზიკური ქიმიის ინსტიტუტ-
ში. ამ ინსტიტუტში გატარებულმა
წლებმა ახალგაზრდა ასპირანტის მეცნი-
ერულ ბიოგრაფიაში წარუშლელი კვალი
დატოვა. მისმა ფანტაზიამ და აღმაფრე-
ნამ ახალი საზრდო შეიძინა. გიორგი გა-
ტაცებით სწავლობდა წყალბადური კავ-
შირის ევრეტ წოდებული ზმის ბუნებას.
ეს მისი სადისერტაციო თემა იყო. 1940
წელს მან წარმატებით დაიცვა საკანდი-
დატო დისერტაცია.

...ღამის სიჩუმეში მოულოდნელად გა-
ისმა საათის გაბმული წკრიალი. ამ
დროს გიორგი ციციშვილი მუდამ იძი-
ნებდა, მაგრამ დღეს რატომღაც არ ეძი-
ნებოდა. მტკვარზე ჩამოწოლილი მსუბუ-
ქი ნისლი გაიფანტა. შორს ისევ გაიღვმა
მატარებლის განათებულმა ფანჯრებმა.

1940 წლიდან გიორგი ციციშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტზე ლექციებს კითხულობს ფიზიკურ ქიმიაში. პარალელურად იგი ნაყოფიერ სამეცნიერო მუშაობას ეწევა თბილისის მელიქიშვილის სახელობის ქიმიის ინსტიტუტში, 1947 წლიდან არის მისი უცვლელი ხელმძღვანელი. დაუღალავ მეცნიერულ მოღვაწეობაში გაიარა წლებმა. 1947 წელს გიორგი ციციშვილმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „მოლეკულების ურთიერთქმედების პრობლემა“. ამ ნაშრომში მან გააღრმავა თავის საკანდიდატო დისერტაციაში დასმული საკითხები.

როგორც ცნობილია, ფიზიკური ქიმია მიჩნეულია მეცნიერების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან დარგად. მისი შესწავლის ობიექტი მატერიის მოძრაობის ფიზიკური და ქიმიური ფორმების ურთიერთქმედებაა. გიორგი ციციშვილი მძიხე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორია. მათი დიდი ნაწილი სწორედ ზემოთ დასახელებული საკითხების შესწავლასა და გადაჭრას ემსახურება. ფიზიკურმა ქიმიამ ნათელი მოპოვინა მრავალ პრობლემას.

ქიმიის სამყაროში დიდი რეზონანსი აქვს გიორგი ციციშვილის წიგნს „სორბციული პროცესები“. იგი 1959 წელს გამოიცა აკადემიკოს დებინინის წინასიტყვაობით. ნაშრომი ცეოლითებს ეხება. ეს წიგნი, სპეციალისტების აზრით, გადაუჭარბებლად შეიძლება ჩაითვალოს „სასწაულებრივი“ გარდაქმნების წიგნად.

დიდა გიორგი ციციშვილის დამსახურება თანამედროვე ქიმიის განვითარების საქმეში. სწორედ ამიტომ 1960 წელს

იგი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. საქველმოქმედო მუშაობის გვერდით რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილების თავმჯდომარე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკური ქიმიის კათედრის პროფესორი, სხვადასხვა საკავშირო სამეცნიერო საბჭოების წევრია. ხალხმა იგი ნდობით აღჭურვა და თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად აირჩია.

ჩვენი ეპოქის რიტმი დაძაბული და ინტენსივია. ადამიანმა დალაშქრა კოსმოსი, იგი ვარსკვლავეთის სტუმარი გახდა. საბჭოთა ადამიანმა კოსმოსიდან გადმოხედა დედამიწას — საოცრად ლამაზ, ცისფერ პლანეტას. თანამედროვე მეცნიერი დგას კოლოსალურ გამოგონებათა და აღმოჩენათა ზღურბლთან. იგი გონების თვალთ უბრუნდება შორეულ ეპოქას, ჩვენი დიადი სინამდვილის ღირსეულ აღმოჩენებზე ფიქრობს, ქმნის, იმარჯვებს.

დღეს ქიმია უფრო და უფრო მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ჩვენს ცხოვრებაში. მას სამართლიანად უწოდებენ მომავლის მეცნიერებას. მეცნიერების ეს ძველი, მაგრამ ახალგაზრდა დარგი მოუთმენლად ელოდება დიად აღმოჩენებს. სასწაულები კი, როგორც ცნობილია, არ არსებობს, ისინი იქმნება შრომისა და შემოქმედებითი ძიების შედეგად. მათ ქმნიან ადამიანები, ჩვენს გვერდით რომ ცხოვრობენ და მუშაობენ, მათს რიცხვს ეკუთვნის აკადემიკოსი გიორგი ციციშვილიც.





ჩვენი „ჭაშნიკის“ გარეკანის პირველ გვერდზე დაბეჭდილია ახალგაზრდა ფოტომოცეპარულის გივი შეყილაძის მხატვრული ფოტოები. იგი მხოლოდ სამი წლის წინ „დაუმეგობრდა“ ფოტოაპარატს და მას შემდეგ ყველგან — საქართველოს ჩრდილოეთ თუ სამხრეთ მთიანეთში, იმერეთსა და კახეთში, ლენინგრადსა თუ ტალინში ფოტოაპარატი მისი მუდმივი თანამგზავრია.

გ. შეყილაძეს დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილება. ოთხი წელი მუშაობდა ქართული მარგანეცის ქალაქის — ჭიათურის საქალაქო გაზეთის რედაქციაში. ამჟამად სახელმწიფო უნივერსიტეტში გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქციის თანამშრომელია.

მართო ფოტოხელოვნება როდი იტაცებს ახალგაზრდა ჟურნალისტს. მისი მოთხრობები და ნარკვევები ხშირად იბეჭდება ჩვენს პრესაში.

თეიმურაზ ჯაფარიძე

ჩვენს „ჭაშნიკში“ მკითხველები გაეცნობიან ახალგაზრდა თვითნასწავლი მხატვრის თეიმურაზ ჯაფარიძის ნახატებს.

თეიმურაზ ჯაფარიძე დაიბადა 1937 წელს. მიმდინარე წელს დამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. სულ სამიოდე წელია, რაც იგი ხატვამ გაიტაცა. ხელოვნების ამ დარგში მას სპეციალური განათლება არ მიუღია.

მიმდინარე წელს უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში მოეწყო ახალგაზრდა მხატვრის ნამუშევრების გამოფენა. თ. ჯაფარიძემ მონაწილეობა მიიღო აგრეთვე საქართველოს მხატვრების საგაზაფხულო გამოფენაში.

„ჭაშნიკის“ გარეკანის მეორე გვერდზე ვაქვეყნებთ ახალგაზრდა მხატვრის სამი ნაწარმოების ფოტორეპროდუქციას. ეს ნამუშევრები საშუალებას გვაძლევს გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ ამ ახალგაზრდა, ნიჭიერი მხატვრის შემოქმედებაზე.

მხატვრული რედაქტორი **ტიტე შეყილაძე** ტექნიკური რედაქტორი **მედეა შონია**

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლებანოვის პროსპ. № 91.

ცალაფონები: რედაქტორის — 5-08-75, პ/მზ მღვიმის — 5-08-86, განყოფილებაების: კრიტიკისა და პუბლიცისტიკის — 5-05-85, პოეზიისა და პროზის — 5-08-85.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/X-64 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 13,7 შეკვ № 1053. უე 12083. ქალაქის ზომა 70x108. ტირაჟი 8 000.

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.
Комбинат печати. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.



კადრები საბელევიჩიძის ფილმიდან „სამი ღამე“





ს/ა/ა

მხატვარი ტიმ შუილაძე


მალეიზიის ანორბიტი



მკვიდრი
ანორბიტი


ბროწიშლები.

მხატვარი
თეიმურაზ ჯაფარიძე



უსიტყვოდ

ნახტი ვაჟა მიშველაძისა




1

ჭ ა უ ნ ი ჯ ი

უკნალი უკნალში 1 1964



წვიმიანი დღე



ახალი წიგნები

საქართველოში უკრაინული ლიტერატურის დეკადის დღეებში გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“ გამოსცა უკრაინელი პოეტებისა და მწერლების წიგნები. ქართველ მკითხველს საშუალება მიეცა კიდევ უფრო ახლო გასცნობოდა უკრაინული მხატვრული სიტყვის ოსტატების მიკოლა ბაჟანის, მაქსიმ რილსკის, ოლეს გონჩარის, პავლო ტიჩინას, სტეფანე ოლეინიკის, ნათან რიბაკის, დმიტრო კოსარიკის, პლატონ ვორონკოს, ვასილ კოზაჩენკოს, იური ზბანაცკის, პავლო ზაგრებელნის, ლიუბომირ დმიტერკოს, ლუბოვ ზაბაშტას, ოლექსა ნოვიცკის, ივანე ვირგანის, დმიტრო პავლიჩკოს, ანდრეი მალიშკოს შემოქმედებას.

უკრაინელი თანამოკალმეების ნაწარმოებები თარგმნეს გრიგოლ აბაშიძემ, შალვა აფხაიძემ, ალექსანდრე გომიაშვილმა, ნოდარ გურეშიძემ, კარლო კალაძემ, მედეა კახიძემ, კონსტანტინე ლორთქიფანიძემ, მურმან ლებანიძემ, ალიო მირცხულავამ, რევაზ მარგიანმა, მაყვალა მრევლიშვილმა, იოსებ ნონეშვილმა, შოთა ნიშნიანიძემ, გიორგი ნამორაძემ, არჩილ სულაკაურმა, ლადო სულაბერიძემ, მორის ფოცხიშვილმა, ალექსანდრე ქუთათელმა, ალექო შენგელიამ, ჯანსუღ ჩარკვიანმა, ნიკოლოზ ჩაჩავამ, გრიგოლ ცეცხლაძემ, თამაზ ჭილაძემ, თეიმურაზ ჯანგულაშვილმა და სხვებმა.

წიგნების გაფორმებისას მხატვრებს — დინარა ნოდისას, თენგიზ სამსონაძეს და ირაკლი ჯანაშვილს უკრაინული ეროვნული ორნამენტები გემოვნებით გამოუყენებიათ. მაღლობის ღირსნი არიან მხატვრები, რომელთაც ასე ლამაზად გააფორმეს უკრაინელი მწერლების წიგნები.

უკრაინელი პოეტებისა და მწერლების ახალი წიგნები ნამდვილად დაამშვენებს ქართველი მკითხველის ბიბლიოთეკას.

3360 60 333.

Реплика
электронная

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„ЦИСКАРИ“

ИЗДАТЕЛЬСТВО

„ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА“

ИНДЕКС 76236